# კვირის პალიტრა

ყოველკვირეული გაზეთი

№ 10 (470) ◆ 8 – 14 მარტი. 2004 წ. ◆ ფასი 50 თეთრი ◆ დაარსებულია 1995 წ.


## „საუკუნის ქურდობა“ იაღლუჯაზე

**ამერიკელ სამხედროებს 150 ათასი დოლარი სეიფიანად მოჰპარეს**

ამ ოთახს სიგნალიზაცია არ ჰქონდა, თუმცა ამერიკელების დასახლება შემოღობილი სამხედრო ნაწილის შუაგულშია და დამატებითი, მავთულხლართებიანი ღობეც აკრავს გარს. მას, ქართველი სამხედროების გარდა, საგანგებოდ დაქირავებული დაცვის სამსახურის თანამშრომლებიც იცავენ, დაყენებულია სათვალთვალო ვიდეოკამერებიც...

მაგრამ რად გინდათ. ამ, ერთი შეხედვით კარგად დაცული ობიექტიდან, უხმაუროდ და უკვალოდ გაქრა დოლარით გატენილი სეიფი! გვ.9



სკანდალი

## ფულის აღების ახალი მექანიზმი საგზაო პოლიციაში

**როდის იყო, პრეზიდენტი რეკავდა სხვა ქვეყნის საგზაო პოლიციაში და მანქანების გაშვებას ითხოვდა?!..**




„რომ ჩაგვიარა მანქანამ და ფული არ დატოვა, თავდაპირველად გაგვიკვირდა. მძღოლმა გვითხრა: რა ვქნა, ძმაო, თქვენმა უფროსებმა გაგვაფრთხილეს, ფული წინასწარ აგვეკრიფა და მათთვის გადაგვეცაო... ისე გაატარეს სომხების ტრაილერები, არავინ არაფერი გვითხრა. ფული აიღეს და თქვეს, ქოჩარიანმა დარეკა სომხეთიდან და მანქანების გაშვება გვთხოვაო(?!).

ეგ კი არა, მანქანები ველარ შეგვიკეთებია. დილის „რაზვოდის“ შემდეგ, „კანარეიკა“ ბუქსირით მიგვყავს ტრასაზე და ისე ვდგებით. ვიქნებით სამი-ოთხი საათი. მერე ისევ გამოვაბამთ ამ ჩვენს მანქანას თოკს და სხვა ადგილზე გადავათრევთ.

რასაც ვიშოვი, მირჩევნია ოჯახში მივიტანო... ვთქვათ, 25-ლარიანი ჯარიმაა გამოწერილი. შენს ქვითარზე ორიანს წაშლი და „სმენის“ დამთავრების შემდეგ ხუთლარიან ჯარიმას ჩააბარებ. ოცი ლარი ჯიბეში რჩება.“ გვ.5,13

## „ხომ გეუბნებოდი, გაფრინდებაო!“



პრეზიდენტის საჰაერო ნათლობა, საბედნიეროდ, უხიფათოდ დამთავრდა, ერთი ესაა, რომ საჰაერო ძალების სარდალს, ბრიგადის გენერალ სალუქვაძეს იმ 12 წუთში ჭაღარა მოემატა ნერვიულობისგან, მით უმეტეს, რომ ზურგს უკან გენპროკურორი ოქრუაშვილი ედგა. გვ.8

მფრინავს საგანგაშო სიტუაციაში აკრძალული ჰქონდა კატაპულტის გამოყენება მანამდე, სანამ პრეზიდენტი მშვიდობიანად არ დატოვებდა მოიერიშეს!

საჰაერო ძალების წარმომადგენლებისთვის სასიამოვნო სიურპრიზი იყო პრეზიდენტ სააკაშვილის საუბრის დედააზრი — საჰაერო ძალები საქართველოს შეიარაღებული ძალების ელიტად უნდა იქცესო!

## ვინ „მოკლა“ მე-10 ენერგობლოკი?

**„მე და თქვენ ღილაკებით რომ გვეთამაშა, ავარია მაინც არ უნდა მომხდარიყო“**



„დანგრევასა და აფეთქებას არავინ ელოდა და ასეთი ნიუანსები არ იყო ნახსენები ხელშეკრულებაში(?!).

კანცელარიაში, „ეი-ი-ესთან“ ერთ-ერთი სერიოზული თათბირის დროს განვაცხადე კიდეც, რომ მათი ქმედება ქართული მხარის ეჭვს იწვევდა და კიდევ უფრო აღრმავებდა ჩვენს სურვილს, სერიოზულად განგვეხილა ეს საკითხი. ამასობაში დროც დაიკარგა.“

*ახლა მთავარია, სახელმწიფოს პოლიტიკური სტრატეგია ქვეყნის ენერგოუსაფრთხოებისკენ იქნეს მიმართული. განსაკუთრებული სიფრთხილით უნდა მოვეკიდოთ ენერგეტიკის სფეროში საერთაშორისო ხელშეკრულებების დადებას.*

*იმედია, მე-10 ენერგობლოკი, რომელსაც 200 მგვტ ელექტროენერგიის გამომუშავება შეუძლია, წარსულის კუთვნილება არ გახდება...* გვ.12,13

## „გაყეყეჩების ძველი პერიოდი არ უნდა გაგრძელდეს“ გვ.7

**„არ მინდა უკვე ჩამცხრალი ძველი ვნებები ჩემი კომენტარით ხელახლა გავაღვივო“**



ნინოს სპიკერობა ეჭვქვეშ არ დამდგარა. კითხვის ნიშანი თავად ქალბატონმა ნინომ დასვა და არ მინდა იმის განსჯა, რამდენად სწორი ტაქტიკური ნაბიჯი იყო ეს...



ამნისტია სანახევრო ღონისძიებაა, თუ მას არ მოჰყვა საგადასახადო სისტემის გამარტივება. გვ.6,7

თუ ბიზნესმენს სამუშაო პირობები არ შეუქმნა სახელმწიფომ, არც იმის ილუზია უნდა ჰქონდეს, რომ გადასახადს კეთილსინდისიერად გადაიხდის.

## ვის დაასახელებს შალიკიანი?

**სკანდალების სერია ჯერ კიდევ წინ არის**

ლაპარაკია მილიონებზე, რომელსაც საქართველო ველარასოდეს დაიბრუნებს და რომლის გატანასაც ონიანი აქაური პოლიტიკოსების ჩარევის გარეშე ვერ მოახერხებდა.. გვ.5

**ვინ შეუტანა ბურჭულაძეს თოკი?**

## სულით ჩამოტანილ გულამაყრელ იებს მოგართმევთ საგაზაფხულოდ...



გვ.18

ზეპირად ვიცოდით, რომელ კლდეზე სად რომელი ყვავილი ყვაოდა. თან ყოველთვის კი არ ვწყვეტდით ყვავილებს, სანახავად ავდიოდით... ქარაფი ხომ მოღუშულია, ის თეთრი ყვავილი კი სანთელივით ანათებს ირგვლივ ყველაფერს.

ერთხელ, დათვმა კინაღამ მოკლა დედაჩემი.

...მერე ის დათვი მოკლეს მონადირეებმა. დედამ ძალიან იდარდა და იტირა. დაენანა... იმაზე უფრო გაგიჟდა, რომ ეს დათვი ბელებით მიდიოდა მთაზე.

**გოდერძი ჩოხელი**

**თქვენ გემოვნებიანი მკითხველი ბრძანდებით!**

## ორივემ ერთად დაიწყო

საქართველოს პრეზიდენტის, მიხეილ სააკაშვილის ვიზიტს ბაქოში ჩრდილი მიაყენა ტრაგიკულმა ინციდენტმა, რომელიც წინ უსწრებდა აზერბაიჯანელ კოლეგასთან მის შეხვედრას. საქართველოს პრეზიდენტის აზერბაიჯანში ჩასვლამდე ბაქოს აეროპორტში ჩამოვარდნილი „ილ-76“-ის ეკიპაჟის სამი წევრი დაიღუპა. მიუხედავად ამისა, საქმიანი ვიზიტი, რომელსაც სააკაშვილმა გაცნობის მიზნით შეხვედრა უწოდა, ნაყოფიერი გამოდგა და კოლეგის გარდა, საქართველოს პრეზიდენტი აზერბაიჯანის მილიმეჯლისის თავმჯდომარეს, მურთაზ ალესკეროვსაც შეხვდა. აშშ-ში დაწყებულ ტრადიციას, „ქუჩებში სამთავრობო გასეირნებას“ სააკაშვილმა ბაქოშიც არ უღალატა და ილჰამ ალიევთან ერთად გაისეირნა. ქართველ და აზერბაიჯანელ პრეზიდენტებს მიაჩნიათ, რომ მათ ბევრი რამ აქვთ საერთო: ორივემ ერთდროულად დაიწყო პოლიტიკური კარიერა; ორივე საკანონმდებლო ორგანოს წევრი იყო და ერთდროულად ხელმძღვანელობდნენ თავიანთი ქვეყნების დელეგაციას ევროსაბჭოში; თითქმის ერთი თაობის წარმომადგენლები არიან. სააკაშვილმა შეხვედრის შემდეგ სიამოვნებით განაცხადა — ამ კაცს შენობით ველაპარაკებიო.

პრეზიდენტების ინიციატივით, უახლოეს ხანებში, საქართველო-აზერბაიჯანის სასაზღვრო კონტროლი გამარტივდება. საქართველო-აზერბაიჯანის ეკონომიკური თანამშრომლობის პრიორიტეტი კვლავაც ენერგეტიკა, კონკრეტულად, ნავთობსადენის საერთაშორისო პროექტია. საზღვრების გახსნის შესახებ განცხადება კი უპირველესად სავაჭრო ურთიერთობების გაუმჯობესებას შეუწყობს ხელს. მიხეილ სააკაშვილი სომხეთში გამგზავრებასაც გეგმავს, სადაც, სავარაუდოდ, რეგიონის პოლიტიკის საერთო ტენდენციებს განიხილავენ. მანამდე კი პრეზიდენტი საფრანგეთს ეწვევა ორდღიანი ვიზიტით.

## ბუნტი თუ პროტესტი?

„ყველაფერს ვიღონებ იმისთვის, რომ ყველა პროფესიონალი თავის ადგილზე დარჩეს“, — განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა უშიშროების სამინისტროში სტუმრობისას უწყების ხელმძღვანელად ზურაბ ადეიშვილის დანიშვნის შემდეგ.

სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო განყოფილების უფროსის შეცვლამდე ამ სტრუქტურაში კადრების გადადგომა-დათხოვის ფაქტები არ გახმაურებულა. სამხარეო განყოფილების ყოფილი ხელმძღვანელი გოგი ნაჭყებია, მისი მოადგილე კობა მატახერია, თანამშრომლები თენგიზ თოდუა, მამუკა ყურაშვილი, ონისე ხუბულავა და ზურაბ ქალდანი ახალდანიშნულ ხელმძღვანელ თემურ გაბუნიას აუმხედრდნენ და მუშაობის საშუალება არ მისცესო, — გავრცელდა ოფიციალური ინფორმაცია უშიშროების სამინისტროს მიერ. ბუნტი აღკვეთეს, მეამბოხეებს კი სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტების ბრალდებით თავი იზოლატორში უკრეს და კიდევ სხვა დანაშაულებებში მხილებაც უწინასწარმეტყველეს.

დაკავებულები ბრალდებებს უარყოფენ და აცხადებენ, რომ მხოლოდ და მხოლოდ არაპროფესიონალის დანიშვნა გააპროტესტეს და ამიტომ დაწერეს ერთობლივად გადადგომის შესახებ განცხადება. „არავითარი ბუნტი არ ყოფილა. თუ სხვას შეუძლია გადაგვაყენოს, რატომ არ შეიძლება ნებით გადავდგეთ, თანაც საამისოდ მყარი არგუმენტებიც გვაქვს“, — აცხადებენ დაკავებულები.

## გამომძიებელი სტუდენტების ნაცვლად

პროკურატურაში კიდევ ერთი სკანდალური საქმე აღიძრა, რომელიც უამრავ კითხვას ბადებს. ვაკე-საბურთალოს რაიონის საგამოძიებო ნაწილის უფროსი ზაზა მესხი მისი ნებართვით აჭარაში დაბრუნებული ბათუმელი სტუდენტების ადგილზე იკავებს. საქმე აღიძრა მის მიერ ხელმოწერილი დოკუმენტების გამო, რომლის მიხედვით თბილისის დატოვების უფლება მიეცათ „აღორძინების“ მხარდამჭერებს, ლაშა ჩახვაძესა და მერაბ მიქელაძეს, რომლებიც დედაქალაქში იარაღის ტარების ბრალდებით დააკავეს. გათავისუფლების ნებართვა სასამართლომ ქალაქიდან მათი გაუსვლელობის შესახებ ხელწერილის დაწერის შემდეგ გასცა. თუმცა, ჩახვაძესა და მიქელაძეს ზაზა მესხის მიერ ხელმოწერილი დოკუმენტის წყალობით თბილისის დატოვების უფლება მაინც მიეცათ.

ზაზა მესხს ბრალად სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება ედება. თუმცა, გაურკვეველია, ვისი ბრძანებით გადაამეტა მან სამსახურებრივი უფლებამოსილება. აჭარის ლიდერის განცხადების შემდეგ საზოგადოებამ აბაშიძე-ეკლესიის მოლაპარაკება-გარიგების შესახებ შეიტყო, ამ საქმეში ასევე ჩართული იყვნენ კათოლიკოს-პატრიარქი ილია II და გერმანიის ელჩი. ყველაფერ ამის მიზანი კი სტუდენტების ბათუმში დაბრუნება იყო. საეჭვოა, ზაზა მესხს გადაწყვეტილება მხოლოდ საკუთარი ინიციატივით მიეღო. ზაზა მესხთან ერთად, დაპატიმრებულია ასევე ვაკე-საბურთალოს რაიონის საგამოძიებო ნაწილის ორი გამომძიებელი.

## მეტალურგიული ქარხნიდან ჯართი იყიდებოდა

„გავრცელებული ხმა იმის შესახებ, რომ რუსთავის მეტალურგიული ქარხნიდან ჯართი იყიდება, სიმართლეა“, — აცხადებენ ქვემო ქართლის სამხარეო პროკურატურის წარმომადგენლები. მათი განცხადებით, მოპოვებულია დოკუმენტაცია, რომლის მიხედვითაც ჯართის გაყიდვის შესახებ ხელშეკრულებას ხელს აწერს ქარხნის კომერციული დირექტორი თამაზ შაიორიშვილი. ხელშეკრულების მიხედვით, ფოთამდე ჯართის ტრანსპორტირების ხარჯსაც მეტალურგიული ქარხანა ფარავდა. ჯართს ერთ-ერთი შეერთებული კომპანია ყიდულობდა. თამაზ შაიორიშვილზე პროკურატურამ გასულ კვირაში ძებნა გამოაცხადა. მხოლოდ ოქტომბრის თვეში 3000 ტონა ჯართია გაყიდული.

## მოდით აღრიცხვაზე, მერე არჩევნებზე

იწურება ვადა, როცა ცენტრალური საარჩევნო კომისიიდან ამომრჩეველთა სიებს საუბნო კომისიებში უნდა მიიტანონ. სიების გადამოწმება საარჩევნო უბნებზე 8 მარტიდან დაიწყება და 21 მარტამდე გაგრძელდება. 10 მარტიდან 21 მარტამდე კი დამატებითი სიები შედგება მათთვის, ვისაც დღემდე არ გაუვლია რეგისტრაცია საარჩევნო კომისიებში.

საერთაშორისო ორგანიზაციებისა და ევროსაბჭოს საარჩევნო მონიტორინგის კომისიის წარმომადგენლები იმედოვნებენ, რომ საქართველოში 28 მარტის არჩევნების შემდეგ, მომავალში, ამომრჩეველთა დამატებითი სიები აღარ იქნება. მათი აზრით, ახალმა ხელისუფლებამ ყველაფერი უნდა გააკეთოს საიმისოდ, რომ მოსახლეობის არჩევნებზე მისასვლელად ხვეწნა არ დასჭირდეს. მოწოდება — „მოდით არჩევნებზე!“, უნდა დამთავრდეს. დემოკრატიული ქვეყნის მოქალაქეს ამის შეხსენება არ უნდა დასჭირდეს“, — გვახსენებენ უცხოელი დამკვირვებლები.

## სტიქიამ მთელ საქართველოს გადაუარა

სამცხე-ჯავახეთის რეგიონში ისედაც უმძიმეს მდგომარეობაში მყოფ საავტომობილო გზებს მეწყერი უღებს ბოლოს. სტიქიამ 7 მარტს ახალქალაქი-ასპინძის ცენტრალური მაგისტრალის 70 მ სიგრძის მონაკვეთი წაიღო. ამის მიზეზი ძლიერი წვიმა და ქარბუქი გახდა, რამაც ძალზე დააზარალა რაიონის სოფლები, დააზიანა საცხოვრებელი სახლები.

ფოთის ხელისუფლებამ კი კოკისპირული წვიმების შედეგად მდინარის ადიდების გამო ქალაქთან დამაკავშირებელი ერთადერთი ხიდის დაკეტვა გადაწყვიტა. ამან 7 მარტს ფოთელების პროტესტი გამოიწვია. მათი აზრით, დამნაშავე სტიქია კი არა, ქვეყნისა და ქალაქის ძველი ხელისუფლებაა, რომელმაც ხიდის გამაგრება არ ითავა. ხიდი 7 წელია, ავარიულ მდგომარეობაშია, მაგრამ მის შესაკეთებლად თანხის გამოყოფა დღემდე ვერ მოხერხდა. ხიდის ჩანგრევის შემთხვევაში ფოთი იზოლირებული აღმოჩნდება დანარჩენი რაიონებისგან.

სტიქიამ სვანეთიც არ დაინდო. მეწყერი ჩამოწვა სოფელ ჭუბერში, სადაც 20-მდე ოჯახი საფრთხის ქვეშ აღმოჩნდა. ადგილობრივი მოსახლეობა სტიქიის გამო გარესამყაროს მოწყდა. ძლიერმა ქარმა კი 7 მარტს, ღამით, თბილისში მრავალწლიანი ხეები წააქცია.

## „ვავალებ პირადად ასლან აბაშიძეს...“

აჭარაში გადაცემა „60 წუთის“ ჟურნალისტის, ვახტანგ კომახიძის ცემით აღშფოთებული საქართველოს პრეზიდენტი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მეთაურს ამ ფაქტის პირად კონტროლზე აყვანას სთხოვს და სამართლებრივი რეაგირებისათვის 10 დღის ვადას აძლევს.

„ვავალებ პირადად ასლან აბაშიძეს, რომ ეს ფაქტი უახლოეს 10 დღეში იქნეს გამოძიებული და დამნაშავეებმა კანონის წინაშე მთელი სიმკაცრით აგონ პასუხი. წინააღმდეგ შემთხვევაში, გენერალური პროკურორი იძულებული იქნება ყველა იმ პირის პასუხისმგებლობის საკითხი დააყენოს, ვისი უმოქმედობით თუ მოქმედებით ჩემს ბრძანებას შესაბამისი რეაგირება არ მოჰყვება“, — აცხადებს პრეზიდენტი და იმედოვნებს, რომ საქმე არ გართულდება და ასლან აბაშიძე მითითებას შეასრულებს.

სააკაშვილი ასევე კატეგორიულად მოითხოვს აჭარის უშიშროების სამინისტროს გაუქმებას: „აჭარის უშიშროება ეწევა ჯაშუშობას საქართველოს წინააღმდეგ და ჩვენ ამას ვერ დავუშვებთ, ქვეყანაში უნდა იყოს ერთი კონსტიტუცია, ერთი პრეზიდენტი და ერთი უშიშროების სამინისტრო“.

ასლან აბაშიძის აზრით კი მიხეილ სააკაშვილმა ძალიან თამამი განცხადება გააკეთა. თუმცა სურვილი ჯერ კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ იგი მის ასრულებას შეძლებს. „აჭარის უშიშროების სამინისტრო აჭარის კონსტიტუციით არის განსაზღვრული. აჭარის პარლამენტი ქმნის და აუქმებს იმ უწყებებს, რომელიც მას სჭირდება. იქნებ ხვალ სოფლის მეურნეობის სამინისტრო გააუქმონ, შემდეგ ჯანმრთელობის სამინისტრო და ა.შ.“, — აცხადებს აბაშიძე.

აჭარის ლიდერის გამონათქვამები რუსულმა მედიამ აიტაცა და გამოჩნდა სტატიები სათაურით „საქართველოს ხელისუფლება სამოქალაქო ომს იწყებს“.

## „ცისკარამ“ „დევებს“ შეუტია

კახეთის ხეტყისა და ჯართის გატანის მაკონტროლებელმა პუნქტმა მოულოდნელად შეამოწმა ხეტყის გადამამუშავებელი საწარმოები და მუხის მასალით დატვირთული ორი თურქული კონტეინერი აღმოაჩინა. საგადასახადო ინსპექციამ კონტეინერი დალუქა და მისი მფლობელის ვინაობის დადგენა დაიწყო. თუ ხეტყის უკანონო ბიზნესში ყოფილი ან მოქმედი ჩინოვნიკების მონაწილეობა დადასტურდა, პრეზიდენტის რწმუნებული კახეთის რეგიონში პეტრე ცისკარიშვილი მათი სამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხს დააყენებს. „შევისწავლით ყველაფერს, ჯარიმებს გადავახდევინებთ და იმ ხალხის პასუხისმგებლობის საკითხსაც დავაყენებთ, ვინც სატყეო მეურნეობებს ტყის გაჩეხის ნებას აძლევს და ქრთამს იღებს“, — აცხადებს ცისკარიშვილი.

ცისკარიშვილი ბრაკონიერებსა და სახელმწიფო ქონების დამტაცებლებთან ბრძოლის გარდა, დამნაშავეებისთვისაც მოიცლის. 6 მარტს, გამთენიისას, „ცისკარამ“ (ასე უწოდებენ მას კახეთში) ბრძოლა საგარეჯოს რაიონიდან დაიწყო დევიზით: „ახალი პროცესი იწყება: კახეთში ვერც ერთი კრიმინალი, „შავი“ და „ქურდი“ ველარ ითარეშებს“.

საგარეჯოს რაიონულმა პოლიციამ შსს-ს კახეთის მთავარი სამმართველოს სპეცდანიშნულების რაზმთან ერთად საგარეჯოში მცხოვრები ადრე ნასამართლევი კრიმინალური ავტორიტეტი გიორგი როსტიაშვილი დააკავა. მის სახლში ჩატარებული ჩხრეკის შედეგად აღმოჩენილია ნარკოტიკული ნივთიერება „მორფინი“, ფსიქოტროპული საშუალებები და საბრძოლო მასალა.

## გილაური ვიზიტით კმაყოფილია

„ვიზიტის ძირითადი მიზანი მიღწეულია და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი მზად არის გააგრძელოს „ენგურჰესის“ რეაბილიტაციის პროექტის დაფინანსება“, განაცხადა სათბობ-ენერგეტიკის მინისტრმა ნიკა გილაურმა მოსკოვიდან დაბრუნების შემდეგ გამართულ ბრიფინგზე.

გილაურის განცხადებით, სარეაბილიტაციო სამუშაოების განხორციელების მიზნით, „ენგურჰესი“ აპრილის თვის პირველ ნახევარში გაჩერდება, სარეაბილიტაციო სამუშაოები მხოლოდ 25 დღე გასტანს. ამ ხნის განმავლობაში საქართველო მე-9 ბლოკისა და რუსულ-სომხური ელექტროენერგიით მომარაგდება.

კულუარული ინფორმაციით, „ენგურჰესის“ წყალსაცავში წყლის მარაგის ნიშნული ზუსტად იმ დონეზეა, როგორც ეს 4 იანვრის არჩევნების წინ იყო. თებერვლის ბოლოს და მარტის პირველ რიცხვებში დათბობის შედეგად დამდნარმა თოვლმა საქართველო ნაწილობრივ იხსნა ჩაბნელებისაგან. თუმცა ეს არ ნიშნავს იმას, რომ „ენგურჰესის“ რეაბილიტაციის პროცესი უნდა შეჩერდეს.

## იქმნება ახალი სტრუქტურა

15 მარტიდან ეკონომიკურ დანაშაულთან ბრძოლის კიდევ ერთ ორგანიზებულ სტრუქტურას ჩაეყრება საფუძველი. ძალაში შევა კანონი „ფინანსური პოლიციის შესახებ“, რომელიც ახალი უწყების დანიშნულებას, საქმიანობის პრინციპებს, უფლებამოსილებასა და მიმართულებებს განსაზღვრავს.

ახალი კანონის მიხედვით, შინაგან საქმეთა და უშიშროების სამინისტროებს ეკონომიკურ დანაშაულთან ბრძოლისა და გამოძიების ფუნქციები ჩამოერთმევათ. ოპერატიული მოკვლევის ფუნქციას დაკარგავენ საბაჟო და საგადასახადო დეპარტამენტებიც. ფინანსთა სამინისტროში ცოტა ხნის წინ შექმნილი საგამოძიებო დეპარტამენტიც ფინანსური პოლიციის დაქვემდებარებაში გადავა. თავად პოლიცია ფინანსთა სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულების სტატუსით იმოქმედებს. პოლიციის უფროსს ფინანსთა მინისტრის წარდგინებით საქართველოს პრეზიდენტი დანიშნავს. ამ თანამდებობაზე ნაციონალური მოძრაობის ერთ-ერთი აქტივისტი დავით კეზერაშვილი მოიაზრება.

## ამნისტია

6 მარტს კინოთეატრ „ამირანში“ პრეზიდენტი სააკაშვილი მთავრობის წევრებთან ერთად ბიზნესმენებს შეხვდა. შეხვედრაზე საგადასახადო ამნისტიაზე, ბიზნესში შეღავათების დაწესებასა და ახალ საგადასახადო კოდექსზე იმსჯელეს.

როგორც ჟურნალისტებს ბიზნესმენმა ვანო ჩხარტიშვილმა განუცხადა, ხელისუფლების ინიციატივა დამალული ბიზნესის ლეგალიზებასთან დაკავშირებით მისაღებია.

„კოკა-კოლას“ პრეზიდენტ თემურ ჭყონიას თქმით, ის პრინციპები, რაც ბიზნესის განვითარებისთვის მთავრობამ მეწარმეებს შესთავაზა, მისაღებია, თუმცა როგორ განხორციელდება ჩანაფიქრი, ჯერჯერობით, უცნობია. „საქართველოს თამბაქოს“ ხელმძღვანელის, ავთანდილ წერეთლის განცხადებით, მთავრობის ინიციატივა მცირე და საშუალო მეწარმეებისთვის მისაღებია, ვინაიდან ძირითადად დამალული გადასახადები მათ აქვთ.

მთავრობამ ბიზნესმენებთან „დამალული საგადასახადო ვალდებულებების დეკლარირების შესახებ“ კანონპროექტის პრეზენტაცია გამართა. ამ ინიციატივის მიხედვით, მეწარმემ 1-ელ ივლისამდე ბოლო 6 წლის განმავლობაში დამალული გადასახადების დეკლარირება უნდა მოახდინოს. საგადასახადო ვალდებულება, რომელიც არ აღემატება 1 მლნ ლარს, ჩამოიწერება. მათ, ვისი დავალიანებაც 1 მლნ ლარს აღემატება, 1 მლნ ლარი ჩამოეწერებათ, დარჩენილის 10 პროცენტს კი ისინი წლის ბოლომდე გადაიხდიან. დანარჩენი თანხა კი 5-დან 15 წლამდე ვადაში იქნება რესტრუქტურიზებული. პრემიერ-მინისტრ ზურაბ ჟვანიას განცხადებით, პარალელურად დაიწყება მუშაობა საგადასახადო კოდექსის ლიბერალიზაციაზე (ვრცლად იხ. გვ. 6-7).

## ძალის დემონსტრირება

„საქართველოში რუსეთის საელჩოს კატეგორიული უარყოფის მიუხედავად, 5 მარტს დილის 6-დან 7 საათამდე აჭარის ტერიტორიაზე განლაგებული რუსეთის თავდაცვის სამინისტროს მე-12 სამხედრო ბაზის ტექნიკამ წინა დღის მარშრუტი გაიმეორა, ბათუმი-ხელვაჩაურისა და ბათუმი-სოფელ ახალშენის მაგისტრალებზე პოზიციები დაიკავა და შემდეგ დისლოკაციის ადგილზე დაბრუნდა“, — განაცხადა გაერთიანებული ოპოზიციური მოძრაობის „ჩვენი აჭარის“ კოორდინატორმა თამაზ დიასამიძემ.

მისი მონაცემებით, ბათუმი-ხელვაჩაურის მაგისტრალზე 12 ერთეული მძიმე ტექნიკა და საარტილერიო დანადგარები გადაადგილდა. იგივე განმეორდა ბათუმი-ახალშენის მაგისტრალზეც.

დიასამიძის განცხადებით, ბათუმის ქუჩებსა და შემოგარენში რუსული ტექნიკის გამოჩენით ასლან აბაშიძე მოსახლეობაში შიშის სინდრომის ჩამოყალიბებასა და ძალის დემონსტრირებას ცდილობს. აჭარაში აბაშიძის ნების გარეშე არაფერი ხდება. ძნელი მისახვედრი არ არის, რომ რუსული სამხედრო ტექნიკის დემონსტრირებით მას სურს დაარწმუნოს რეგიონის მოსახლეობა, რომ რუსეთის ხელისუფლება აჭარის ლიდერს უჭერს მხარს.

უცხოეთი

## წინასაარჩევნო კლიპმა პროტესტი გამოიწვია

აშშ-ის პრეზიდენტის, ჯორჯ ბუშის წინასაარჩევნო სარეკლამო ვიდეორგოლების ამერიკული ტელეარხებით ჩვენებამ 2001 წლის 11 სექტემბრის ტრაგედიის მსხვერპლთა ნათესავების პროტესტი გამოიწვია. ბუშის წინასაარჩევნო შტაბის მიერ 18 შტატის ტელეეკრანებზე გასულ 4-დან 2 სარეკლამო კლიპში ნაჩვენებია ნიუ-იორკის სავაჭრო ცენტრის ნანგრევები, რომლის თავზე ამერიკის დროშა ფრიალებს.

დაღუპულთა ბევრი ნათესავი აღშფოთებულია იმით, რომ რესპუბლიკელები 11 სექტემბრის ტრაგედიას პოლიტიკური მიზნებისთვის იყენებენ. ერთ-ერთი დაღუპულის ქვრივმა განაცხადა, რომ თეთრმა სახლმა „მისი ქმრის და 3 ათასი სხვა მსხვერპლის ხსოვნა შეურაცხყო“.

აშშ-ის მეხანძრეთა პროფკავშირების პრეზიდენტის, ჰაროლდ სეიტბერგერის თქმით, უზნეობაა ამერიკის ისტორიაში უდიდესი ტრაგედიის საარჩევნო კამპანიისთვის გამოყენება. ბუშის წინასაარჩევნო შტაბის წარმომადგენლები კი საკუთარი კლიპის დასაცავად გამოვიდნენ. „11 სექტემბერმა კარდინალურად შეცვალა ჩვენი საშინაო და საგარეო პოლიტიკა და ვფიქრობ, ძალიან მნიშვნელოვანია, რომ შემდეგმა პრეზიდენტმა, ვინც უნდა იყოს იგი, ამას ანგარიში გაუწიოს“, — განაცხადა ტელეკომპანია სი-ბი-ესისთვის მიცემულ ინტერვიუში ბუშის წინასაარჩევნო კამპანიის ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა კარენ ჰიუზმა.

ოთხი წინასაარჩევნო კლიპი პრეზიდენტის საარჩევნო შტაბს 7 მლნ დოლარი დაუჯდა. სულ ბუშმა და მისმა მომხრეებმა წინასაარჩევნო კამპანიისთვის 150 მლნ დოლარი მოაგროვეს, რაც ათჯერ აღემატება მისი მეტოქის, ჯონ კერის წინასაარჩევნო კამპანიის ბიუჯეტს.

## მოსკოვში ისევ აფეთქებებია

რუსეთში აფეთქებების სერია გრძელდება. ამჯერად ბუნებრივი აირის გაჟონვის შედეგად აფეთქება მოხდა. მოსკოვში, აფეთქების შემდეგ ჩერტანოვსკაიას ქუჩაზე ჰაერის ტალღამ და ცეცხლმა საცხოვრებელი კორპუსის ხუთი ბინა გაანადგურა. შენობის კედლებმა დარტყმას გაუძლო და არ ჩამოინგრა. მომხდარის შედეგად ორი კაცი დაშავდა. ოთხი მობინადრე კი შოკურ მდგომარეობაში საავადმყოფოში მოათავსეს. მომხდართან დაკავშირებით კომენტარი გააკეთა მოსკოვის მერმა იური ლუჟკოვმა. იგი დარწმუნებულია, რომ აფეთქება გაზის გაჟონვის შედეგად მოხდა, თუმცა, სამართალდამცველები რამდენიმე სხვა ვერსიასაც განიხილავენ.

# „თუ მესამედაც ხელი მოგვეცარა — ეს იქნება უმართავი ქაოსი“

## „ომში სამწუხაროდ ყველა წესის დაცვა ვერ ხერხდება“...



ვარდების რევოლუციიდან სამ თვეზე მეტი გავიდა და ქართულ საზოგადოებაში ჯერაც არ არის ჩამოყალიბებული ერთიანი დამოკიდებულება ამ მოვლენისა და მისი პერსპექტივებისადმი. მავანთა ირონია კიდევ უფრო გაიზარდა, მავანნი კი ახალი ხელისუფლების ახალ ნაბიჯებს მოწონებით ხვდებიან. ზოგნიც ხელისუფლებაში რევოლუციით მოსული ლიდერებისთვის არც კრიტიკას იშურებენ და არც ქებას — ასე ვთქვათ, მოვლენებს „სალად აფასებენ“. ერთი მხრივ, შეიძლება აზრთა ასეთი სხვადასხვაობა ძალიან კარგიცაა, რადგან უკვე დიდი ხნის წასული უნდა იყოს ის დრო, როდესაც მასებს ყველაფერი ან ერთნაირად მოსწონდათ, ან ერთნაირად გმობდნენ; მეორე მხრივ კი, როდესაც სახელმწიფოებრიობის მშენებლობაზე, ერის ჭაობიდან ამოსვლაზეა ლაპარაკი (ლამის ამ სიტყვების სრული მნიშვნელობით), არ შეიძლება საზოგადოებას სამშობლოს მომავლისადმი სხვადასხვაგვარი დამოკიდებულება ჰქონდეს. როგორც წესი, ახალი ფორმაციის, თვისებრივად ახალი წეს-წყობილების დამკვიდრებისას ახალი ხელისუფლება საზოგადოების მართვა-აყოლიებას ორი, ერთმანეთისგან რადიკალურად განსხვავებული მეთოდით ახერხებს ხოლმე — ერთი დიქტატურა და შიშის დათესვაა, როდესაც ნათელი მომავლის „აბებს“ ხალხს ძალად აყლაპებენ, ხოლო ვინც არ დალევს, საზოგადოების მტრად შერაცხავენ და მოუსავლეთის გზას გაუყენებენ (ამ მეთოდის ძალა საქართველოს გასული საუკუნიდან უნდა ახსოვდეს); მეორე გზა კი — სრული გამჭვირვალება და საკუთარ ხალხთან გულახდილობაა, რასაც საზოგადოების ნდობა და საერთო-ეროვნულ ფასეულობათა გაჩენა-განდიდება მოჰყვება. ორივე შემთხვევაში ხალხი საქვეყნო მიზნების მისაღწევად ნებისმიერ გაჭირვებას იტანს. განსხვავება კი ერთადერთ ცნებაში — ნებაყოფლობაში — მდგომარეობს. დღევანდელი საქართველო სწორედ ამ ორი შემთხვევის მიჯნაზე დგას — ძალიან დიდია ცდუნება პირველი, დიქტატურის გზით სახელმწიფოებრიობის აშენებისა. რაც, სხვათა შორის, მაინცდამაინც ბოროტი განზრახვით არ იქნება გამოწვეული. უბრალოდ, ახალფეხადგმული ქვეყნის მართვა ასე გაცილებით იოლია, იოლია დემაგოგიის ძალით ალაგმვა, რაც, ნებისმიერ შემთხვევაში, მოჰყვება წესრიგის დამყარების მცდელობას, კორუფციისა და ორგანიზებული დანაშაულის — სახელმწიფოებრიობის კიბოდ წოდებული ამ ორი მოვლენის წინააღმდეგ ბრძოლას. სწორედ ამ დროს ზოგჯერ სარეველას — ჯეჯილიც მიჰყვება ხოლმე. მაგრამ გაუძლებს კი ჩვენი ერთი მუჭა, სახელმწიფოსმაგვარი მრავალეროვნული წარმონაქმნი ამგვარ განსაცდელს? თუ, შესაძლოა, „ბავშვი ნაბან წყალს გადაჰყვეს“ და ძალადობით დამყარებული წესრიგის ნაცვლად ქაოსი და დაპირისპირება მივიღოთ? თუმცა, როგორც პრეზიდენტის მაქსიმალურად გულახდილი გამოსვლებიდან ჩანს, ის ამ საფრთხეს აცნობიერებს და ცდილობს, სახელმწიფოებრიობის მშენებლობა საკუთარ ხალხთან გულწრფელი ურთიერთობის გზით წარმართოს — ამის გამო სააკაშვილის ესა თუ ის ქმედება, ჟესტი თუ რეპლიკა ზოგჯერ მავანთა ირონიასაც იწვევს — ეს რა არაპრეზიდენტულად იქცევა და ლაპარაკობსო!

> მეეჭვება, ასლან აბაშიძემ თავის გადასარჩენად იმაზე მეტის გაკეთება შეძლოს, ან იმაზე მეტი დასაყრდენი ნახოს, ვიდრე დღეს ჰყავს. გნებავთ, აჭარაში და, გნებავთ, იმავე რუსეთში. რუსეთი სერიოზული, დიდი სახელმწიფოა და ერთ რეგიონთან ურთიერთობას — მთელ ქვეყანასთან ურთიერთობას და, მით უმეტეს, საერთაშორისო საზოგადოებრიობის განწყობას არავითარ შემთხვევაში არ ანაცვალებს. გაცილებით სერიოზულ პრობლემად მიმაჩნია აბაშიძის მხარდამჭერები შიგნით, აჭარაში.

საქართველოში მმართველ თანამდებობაზე დახვეწილი მანერებისა და გარეგნულად მშვიდი დეკლამაციის მქონე პირებიც რჩებიან, რომლებიც ასევე მშვიდად უსწორდებიან განსხვავებული აზრის მქონეთ საკუთარ საგამგებლო რეგიონში და ძალაუფლების შესანარჩუნებლად უკან არაფერზე დაიხევენ. იქნებ ამის გამოც, შესაძლოა, ზემოთ ნახსენები ზღვარი, ქაოსსა და წესრიგს შორის, აჭარაზე გადიოდეს. უკანასკნელ ხანს ბათუმში ვითარება უფრო და უფრო მწვავდება. დასავლეთის კეთილგანწყობის ფონზე ამას რუსეთის თავდაცვის მინისტრის „ტრადიციული განცხადებაც“ ემატება. პარალელურად კი, საქართველოში წესრიგის დამყარება ისეთი ფორმებით მიმდინარეობს, ზოგისთვის სამაგალითო დასჯა რომ არის და ზოგისთვის — შეურაცხმყოფელი ძალადობა.

იმის შესახებ, თუ როგორ განვითარდება მოვლენები ზემოთ ნახსენებ გარემოებათა გათვალისწინებით, ვესაუბრებით პოლიტოლოგ **დავით დარჩიაშვილს**:

**— აჭარაში მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით უკვე აბაშიძის ოპონენტებიც ორ ნაწილად გაიყვნენ — ერთნი ფიქრობენ, რომ მოვლენათა ხელოვნურმა დაჩქარებამ შესაძლოა, სავალალო შედეგი გამოიწვიოს, მეორენი კი მოცდას დროის დაკარგვად მიიჩნევენ — მათი აზრით, ამასობაში „აღორძინების“ ლიდერი რუსეთში მყოფ რეაქციულ ძალებში თანამოაზრეებს გამონახავს და გამოიყენებს.**

— რთული საკითხია, რადგანაც უკვე ძალიან გართულდა შექმნილი ვითარებიდან გამოსავლის პოვნის გზა. მეეჭვება, ასლან აბაშიძემ თავის გადასარჩენად იმაზე მეტის გაკეთება შეძლოს, ან იმაზე მეტი დასაყრდენი ნახოს, ვიდრე დღეს ჰყავს. გნებავთ, აჭარაში და, გნებავთ, იმავე რუსეთში. რუსეთი სერიოზული, დიდი სახელმწიფოა და ერთ რეგიონთან ურთიერთობას — მთელ ქვეყანასთან ურთიერთობას და, მით უმეტეს, საერთაშორისო საზოგადოებრიობის განწყობას არავითარ შემთხვევაში არ ანაცვალებს. გაცილებით სერიოზულ პრობლემად მიმაჩნია აბაშიძის მხარდამჭერები შიგნით, აჭარაში. ეს ისეთი რეგიონია, სადაც წლების მანძილზე ყველაზე მკვეთრი და ცუდი ფორმებით ყალიბდებოდა კლანური ურთიერთობა. აბაშიძის გარშემო თავმოყრილია რამდენიმე ათასი კაცი, რომელიც ყველაფერზე წავა, რათა არსებული ვითარება მათ საზიანოდ არ შეიცვალოს და პრივილეგიები არ დაკარგონ. ამავე დროს, არანაკლები ძალებია გაერთიანებული აბაშიძის მოწინააღმდეგე ბანაკშიც. ჩვენ ვხედავთ, რომ არც ისინი აპირებენ უკან დახევას, ერთმანეთს ლამის მოსისხლე მტრებად მიიჩნევენ. სწორედ ამიტომ საჭიროა მოლაპარაკება და მრავალი საკითხის გარკვევა, რაშიც თბილისმა, მთელმა საქართველომ — გადამწყვეტი, მედიატორის როლი უნდა ითამაშოს და არა — წამქეზებლის. ასლან აბაშიძის რეჟიმი ნამდვილად იზოლირების ღირსია. ის, სხვა რომ არაფერი ვთქვათ, უბრალოდ, დროს არის ჩამორჩენილი. მაგრამ აჭარაში ვითარება რომ დადებითად შეიცვალოს, ეს, უპირველესად, თავად აჭარის მოსახლეობამ უნდა გააცნობიეროს. ასეთებიც არიან, მაგრამ ასევე არის ის ხალხი, ვისაც აბაშიძის მმართველობა სხვაგვარად ესმის და მისი შეცვლა არაფრის დიდებით არ სურს. ამიტომაც ვთქვი, რომ ამ შემთხვევაში მედიამ, არასამთავრობო სექტორმა, მთელმა ქართულმა საზოგადოებამ, უპირველესად, ვითარების გარკვევა უნდა სცადოს. თუ აბაშიძეებისა და გოგიტიძეების კლანს ჰგონია, რომ მათი წასვლის შემთხვევაში ხელისუფლებას თავდგირიძეები თუ ხიმშიაშვილები ჩაიგდებენ ხელში, მთელი ძალისხმევა უნდა გამოვიყენოთ მათ დასარწმუნებლად, რომ ასე არ არის, რომ საქართველოში სამოქალაქო საზოგადოება და ხალხის კუთვნილი სახელმწიფო შენდება და გავლენის წასართმევად მათ არავინ ებრძვის. თუ ეს მოგვარდა, დანარჩენი — სისხლის სამართლის საქმეები, სრულიად უმტკივნეულოდ მოგვარდება.

**— წინა კვირაში, აჭარასთან და ბათუმთან დაკავშირებითაც, საკმაოდ ხშირად ახსენებდნენ რუსეთს და მის შესაძლო მონაწილეობას ვითარების ესკალაციაში. კვირის ბოლოს კი ყველაფერი ივანოვის განცხადებით დაგვირგვინდა — საქართველოს რუსეთი კვლავაც ჩეჩენი მებრძოლების პლაცდარმობას და ზურგის გამმაგრებლობას აბრალებს. ეს გაზაფხულის მოახლოებასთან ერთად გაკეთებული ტრადიციული განცხადება ამერიკის სამხედრო ბაზების საქართველოში სავარაუდო განთავსებას უკავშირდება თუ პრევენციული განცხადებაა — იმავე აჭარაში შესაძლო პროვოკაციის მოწყობის მიზნით?**

— შესაძლებელია, სააკაშვილის ოპონენტებს ბევრი მოსაზრება ჰქონდეთ მის მიერ გადადგმულ ამა თუ იმ ნაბიჯზე. ალბათ ბევრ რამეში მათ მეც დავეთანხმები, მაგრამ ნამდვილად ვერ ვიტყვი, რომ სააკაშვილმა, რუსეთში ვიზიტის დროს, კრემლის მიმართ ნაკლები ტაქტი ან თავაზიანობა გამოიჩინა. ნუ დაგვავიწყდება ისიც, რომ საქართველოს პრეზიდენტი ჯერ რუსეთში ჩავიდა ოფიციალური ვიზიტით და მხოლოდ ამის შემდეგ — ამერიკაში. თუნდაც ჩეჩნეთთან დაკავშირებით... ხომ ფაქტია, რომ მისმა ამ ნაბიჯმა ამერიკელები დააეჭვა, რომ საქართველო რუსეთთან მათ ხარჯზე ფარულ თანამშრომლობას თუ მოლაპარაკებას აწარმოებდა. აქედან გამომდინარე, არ მესმის, რა საფუძველი შეიძლება ჰქონდეს ივანოვის განცხადებას. თუ ეს იმას ემსახურება, რომ ქართულ მხარეს რაიმე ანტირუსული განცხადება გააკეთებინონ და ამით თავისი ძალადობა ან სხვა რამ ქმედება გაამართლონ, მაშინ ყველაფერს თავისი სახელი უნდა დავარქვათ და ჩეჩნეთი არაფერ შუაშია. ყოველ შემთხვევაში, საქართველომ თავისი ნება, ჩეჩნეთის საზღვრის დაცვის თაობაზე, უკვე არაერთხელ დააფიქსირა (სხვა საკითხია ეს რამდენად გამოსდის). აღარც პანკისის ხეობაა ისეთი უკონტროლო, როგორც რამდენიმე წლის წინ იყო. რაც შეეხება რუსეთის ბაზებს საქართველოში — როგორც იცით, ეს უკვე აღარ არის საქართველოსა და რუსეთის ურთიერთობის პრობლემა, რაც, უპირველესად, თავად რუსეთმა უნდა გააცნობიეროს. ამ საკითხზე თავისი პოზიცია საკმაოდ ნათლად დააფიქსირეს როგორც ამერიკის შეერთებულმა შტატებმა, ისე ევროსტრუქტურებმა. მათ არ სურთ საეჭვო მიზეზებითა და მიზნებით, ყოველგვარი საერთაშორისო ნორმების დარღვევით, ევროპა-აზიის გზაშესაყარზე რუსული სამხედრო ბაზების ყოფნა. ადრე თუ გვიან ეს საკითხი მოგვარდება. უნდა თუ არა ეს რუსულ გენერალიტეტს, ვიმეორებ, ეს საქართველოსი კი არა, რუსეთის პრობლემაა. მე მაინც ვფიქრობ, რომ არც ისე შორს არის ის დრო, როდესაც საქართველოს რუსეთთან ძალიან მჭიდრო და კეთილგანწყობილი ურთიერთობა ექნება, ოღონდ არავითარ შემთხვევაში სამხედრო ხაზით — ეს იქნება კულტურული, ეკონომიკური კავშირები, რაშიც რუსეთიც და საქართველოც თანაბარ დივიდენდებს მიიღებენ.

**— მიხეილ სააკაშვილის ვიზიტს ბაქოში, მოჰყვა მეტად საინტერესო განცხადება — საქართველო-აზერბაიჯანის საზღვრის გახსნასთან დაკავშირებით, რასაც სომხეთის საერთო კავკასიურ ეკონომიკურ ზონაში ინტეგრაციაც უნდა მოჰყვეს. რამდენად რეალურია მოსაზრება, რომ საქართველოს, აზერბაიჯანთან და სომხეთთან ერთად, გაცილებით გაუადვილდება ევროსტრუქტურებში მოხვედრა, ვიდრე მარტოს?**

— რასაკვირველია, საერთო-კავკასიური ეკონომიკური სივრცის შექმნის შემთხვევაში, ევროპული ინტეგრაციაც გაადვილდება, მაგრამ მეორე საკითხია, რამდენად იოლი იქნება ეს გაერთიანება სომხეთისა და აზერბაიჯანისათვის, რაც პირადად ჩემთვის, ცოტა არ იყოს, არარეალურია, საქართველოსა და აზერბაიჯანის ეკონომიკური ურთიერთობის გაიოლება-გაღრმავება ალბათ უფრო მოხერხდება. მეორე მხრივ, კავკასიური სამეულის შექმნას დიდად შეუწყობს ხელს დასავლეთი, რომლის სტრატეგიული ინტერესის საგანი დღეს მშვიდობიანი და განვითარებული კავკასიაა. ალბათ ამ საქმეში გადამწყვეტი როლი საქართველომ უნდა ითამაშოს, რადგან მას კარგი ურთიერთობა აქვს ორივე სახელმწიფოსთან. თუ საქართველო შიდაპრობლემებს დაძლევს, დაიწყება ეკონომიკური და დემოკრატიული აღორძინება, ბუნებრივია, ეს სტიმულს მისცემს კავკასიის დანარჩენ ქვეყნებს — მშვიდობიანი ურთიერთობა განავითარონ თავად საქართველოსთან და ერთმანეთთან. წინააღმდეგ შემთხვევაში, როდესაც ჩვენს შიდა, სახელმწიფო მართვის სტრუქტურებში, თუნდაც იმავე მეზობელ ქვეყნებთან, ეკონომიკური ურთიერთობის განვითარების თვალსაზრისით, უამრავი ხარვეზი გვაქვს — მებაჟეები, პოლიცია, საგადასახადო და ა.შ. — რაიმე ეკონომიკურ ურთიერთობაზე ლაპარაკი უხერხულად მეჩვენება. თუმცა, ისიც ფაქტია, რომ არა მხოლოდ ზოგადად, ამ სამეულმა, ადრე თუ გვიან საერთო ენა, ასე ვთქვათ, შეხების წერტილები კონფლიქტში მყოფ ყველა მხარესთან უნდა გამონახოს — იმავე აფხაზეთთან, ოსეთთან... ეს შეხების წერტილი კი, გამორიცხული არ არის, სწორედ ეკონომიკურ ინტერესებში მდგომარეობდეს. სხვანაირად, ყოველთვის გამოინახება გარეშე ძალები, რომლებიც, როგორც აზერბაიჯანისა და სომხეთის, ისე ჩვენს შემთხვევას — სათავისოდ გამოიყენებენ და არც ისე კეთილსინდისიერად.

**— თავისთავად ცხადია, ქვეყანაში ეკონომიკური ურთიერთობების გაუმჯობესებას წინ უნდა უძღოდეს წესრიგის დამყარება. თუმცა ქართული საზოგადოება ერთგვარი დილემის წინაშეც კი აღმოჩნდა — ერთი მხრივ, აუცილებელია წესრიგის დამყარება, კორუფციასთან და კრიმინალთან ბრძოლა, მეორე მხრივ კი, სახელმწიფოებრიობის შენების დასაწყისშივე აუცილებელია ადამიანის უფლებათა დაცვა, რადგან როდესაც სახელმწიფო აშენდება, ვეღარ დაიცავ — იმ დროისთვის უკვე ჩამოყალიბებული იქნება მენტალიტეტიც და სამართალდამცველი უწყებებისა და ხალხის ურთიერთობაც.**

— შესაძლებელია, ეს ფაქტორი ჩვენი საზოგადოების დღევანდელ დილემადაც ჩაითვალოს. მის გონივრულ გადაჭრაზეა დამოკიდებული ჩვენი ხვალინდელი დღე. გულწრფელად გეტყვით — მე, დავით დარჩიაშვილს, როგორც მოქალაქეს, ადამიანს — განვლილი ათი წლის მანძილზე არ მქონია იმედი, რომ არსებობდა ქართული სახელმწიფოებრიობა. დღეს ეს იმედი გამიჩნდა. თუმცა იმასაც ვიტყვი, რომ ამ ათი წლის მანძილზე ასეთი შანსი საქართველომ უკვე ორჯერ გაუშვა ხელიდან — მერწმუნეთ, მეოთხე და მეხუთე აღარ იქნება. საქართველომ ამჯერად სასწორზე ყველაფერი დადო და იმდენად მნიშვნელოვანი ის კი არ არის, რომ გამოცდას მთელ მსოფლიოს აბარებს, მნიშვნელოვანი და საბედისწერო ამ შემთხვევაში საკუთარ თავთან გამოცდის ჩაბარებაა. გაფიქრებაც არ მინდა, მაგრამ თუ მესამედაც ხელი მოგვეცარა, როგორც ერი, სახელმწიფოებრიობაზე, უბრალოდ, ხელს ჩავიქნევთ და ეს იქნება! ასეთ შემთხვევაში კი საქართველოს ორი, არც ისე სახარბიელო პერსპექტივა ელის — პირველი, რუსეთის კოლონიად გადაქცევა, რადგან რუსეთში დღემდე არსებობენ საკმაოდ გავლენიანი ძალები, რომელთაც მიაჩნიათ, რომ საქართველოს, როგორც დამოუკიდებელ ქვეყანას, არსებობის უფლება და მოტივაცია არ გააჩნია და ის რუსეთის პერიფერია უნდა იყოს. არის მეორე, გაცილებით უარესი პერსპექტივაც — თუ ამ ძალებმა საქართველოს რუსეთისთვის დაქვემდებარება სუბიექტური თუ ობიექტური მიზეზების გამო არ მოისურვეს — ეს არის უმართავი ქაოსი (ომი, სისხლის ღვრა, ქურდობა, ყაჩაღობა) და ბრძოლა არსებობისთვის. მაგრამ უამრავი შეცდომის მიუხედავად, ის, რაც დღეს ჩვენ გარშემო ხდება, ნამდვილად არ იძლევა ვითარების დრამატიზებისა და პესიმიზმის საფუძველს — რაც მთავარია, ახალმა ხელისუფლებამ გადამწყვეტი ბრძოლა გამოუცხადა კორუფციას და ორგანიზებულ დანაშაულს — სახელმწიფოებრიობისა და სამოქალაქო საზოგადოების ორ მთავარ მტერს. რასაკვირველია, ამ ბრძოლაში იქნება დიდი ცდუნება იმისა, რომ ვინმეს უფლებები დაირღვეს, მაგრამ ამ შემთხვევაში გადამწყვეტი როლი ისევ საზოგადოებამ უნდა ითამაშოს. ერთი მხრივ, ძალიან ძნელია ამ ზღვრის პოვნა და ამავე დროს, კანონის განუხრელი დაცვა, მაგრამ თუ პირადად მე, ვინმე არჩევანის წინაშე დამაყენებს — რა სჯობს, კანონიერების და ადამიანის უფლებათა ერთპიროვნული დაცვა თუ სახელმწიფო რანგში აყვანილი ქურდული მენტალიტეტისა და კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა — მეორეს ავირჩევ, მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ, რომ ეს მენტალიტეტი ჩვენში ნებისმიერ ფასად უნდა დაინგრეს.

> ერთი მხრივ, ძალიან ძნელია ამ ზღვრის პოვნა და ამავე დროს, კანონის განუხრელი დაცვა, მაგრამ თუ პირადად მე, ვინმე არჩევანის წინაშე დამაყენებს – რა სჯობს, კანონიერების და ადამიანის უფლებათა ერთპიროვნული დაცვა თუ სახელმწიფო რანგში აყვანილი ქურდული მენტალიტეტისა და კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა – მეორეს ავირჩევ, მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ, რომ ეს მენტალიტეტი ჩვენში ნებისმიერ ფასად უნდა დაინგრეს.

დღეს მიდის ბრძოლა, ომი საქართველოს გადარჩენისთვის და ომში სამწუხაროდ, ყველა წესის დაცვა ვერ ხერხდება...

***დაჩი გრძელიშვილი***

# ჩვენი ენა ქართული (რომელსაც „ტყავი გავაძვრეთ“)...

მართალია, ქართველები ჩვენს ისტორიულ დაჩაგრულობაზე ხშირად ვლაპარაკობთ, მაგრამ „ჩაგრულის სინდრომი“ ნამდვილად არ გვაწუხებს. პირიქით, საკმაოდ თავმოყვარე (ამბიციური თუ არა) ხალხი ვართ. გულში თუ ჩავიხედავთ, ქვეყ-



ნისა და ენის ფასი არსად არაფერი გვეგულება, მაგრამ რამდენადაც თავმოყვარეები ვართ, იმდენად პარადოქსულები „ვბრძანდებით“: „ტყავი გავაძვრეთ“ ამ ჩვენს საამაყო ენას: მის წინაშე ყველა ვცოდავთ, ცოტას — ჟურნალისტები, ცოტას — ბიზნესმენები, ცოტას — არასამთავრობო ორგანიზაციები და ბევრს — მთავრობა. იმიტომ რომ ენის მოვლის მექანიზმი არ შეუმუშავებია...

არადა სულ ახლო წარსულში ენობრივი ნორმების დამრღვევებს ბატონი ჯანსუღ ღვინჯილიასი „გავარდნილი თოფივით“ ეშინოდათ.

ახლა კი, ყოველდღიურ ზრუნვაში ჩაფლულები, ველარც ვამჩნევთ, როგორი „წარმატებით“ ჩაენაცვლა რუსულ ლექსიკას ინგლისური. არადა, კაცმა რომ თქვას, რა განსხვავებაა, „მგელი შეგჭამს თუ მგლისფერი ძაღლი“, ორივეს თვითონვე ვეჭ-

ბი. აქედან გაისმის ისეთი სიტყვები, რომელიც მთლიანად ცვლის ჩვენი ენის ფრაზეოლოგიას (ამ კონტექსტში საკმარისია ყბადაღებული „მადლობა მოუხადა“-ს მოხსენიება). ის, რომ მასმედია კერძო საკუთრებაა, არ ნიშნავს, რომ ერს დამახინჯებული მეტყველება მოახვიოს თავს. სხვათა შორის, თვით ინგლისურშიც არის ისეთი სიტყვები, რომელსაც „დაუბეჭდავ სიტყვებს“ უწოდებენ. მათ არც მეტყველებაში, არც ბეჭდვით საშუალებებში არ იყენებენ. რასაკვირველია, უცხოური ტერმინოლოგიის შეთვისება გარდაუვალი პროცესია, ოღონდ არა საკუთარი ენის ხარჯზე.

ასეთი გახლავთ ენათმეცნიერის აზრი. ახლა იმის შესახებ, თუ როგორ უყურებენ ენის დამახინჯებას ჩვეულებრივი ქართველები, რომლებიც ენის გადამრჩენლის მარადიულ ფუნქციას ასრულებენ — მეტყველებენ ქართულით და ქართულად ზრდიან შვილებს:

**მანანა ხუროძე:** — არ ვამბობ, საკუთარ ნაჭუჭში გამოვიკეტოთ და არავისი არაფერი მივიღოთ-მეთქი. უცხო ენის სწავლა საჭირო კი არა, აუცილებელია — მეც ვასწავლე შვილებს უცხო ენები, მაგრამ იმასაც ვასწავლიდი, უპირველესად, დედაენა გიყვარდეთ-მეთქი. არა მგონია, ჩვენი ენა რომელიმე სხვა ენაზე ნაკლები ღირსებისა იყოს. ბოლოს და ბოლოს, 20 საუკუნე ხომ მაინც არის, რაც არსებობს! არ




მევინებით. რასაკვირველია, როგორც ყველა სხვა ცოცხალი ორგანიზმი, ენაც ვითარდება და უცხო ენების გავლენასაც ვერ აიშორებს, მაგრამ განვითარება იმას არ ნიშნავს, ჩვენს მეტყველებას სხვა ენის ფრაზეოლოგია ჩაენაცვლოს...

ენათმეცნიერი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი **შუქია აფრიდონიძე** ამ მოვლენას ასე განსჯის:

— მეტყველებაში ახალი ლექსიკის შემოტანას პოლიტიკურ-ეკონომიკური მოვლენები განსაზღვრავს. არც ისე დიდი ხნის წინათ ქართული რუსული ლექსიკის განსაკუთრებულ გავლენას განიცდიდა. იმპერია დაინგრა, პოლიტიკურ-ეკონომიკური მიმართულება და ლექსიკაც ამის კვალობაზე შეიცვალა. საბაზრო ეკონომიკას, რომელიც ჩვენში ვითარდება, ჯერჯერობით სტიქიური კაპიტალიზმის სახე აქვს, სტიქიურია ლექსიკის მიღება-მიუღებლობის საკითხიც. უცხოური ლექსიკა მსესხებელ ენაში საჭიროებისამებრ იკიდებს ფეხს. უცხოურ სიტყვებს რომ თავი დავანებოთ, ქართული სახელებიც ზოგჯერ ერთობ უცნაურ (მეტი რომ არა ვთქვათ) შეუსაბამობებს ქმნის. მაგალითად, რამდენიმე ხნის წინ, ვაკის სასაფლაოს შესასვლელთან იყო ბენზინგასამართი, რომელსაც „ფორუმი“ ერქვა. სად ფორუმი და სად ბენზინი? საკმაოდ უხერხულად ჟღერს ასეთი გამოთქმებიც: „მაკაში“ ვისადილე, „მაიკოში“ ყავა დავლიე... მიმაჩნია, რომ მომსახურების ამგვარი ობიექტებისა თუ ფირმა-კომპანიების სახელწოდებების ლიცენზირების საკითხი მოსაგვარებელია. დაწესებულების სახელწოდებები და დაწესებულებების ფორმა და შინაარსი ერთმანეთს უნდა შეესაბამებოდეს, ეს მნიშვნელოვანი საკითხია, მაგრამ გაცილებით საშიშია შიდაენობრივი ნორმების დარღვევა. სახიფათოა ქართული მასმედიის სამეტყველო ენაში დამკვიდრებული სიმახინჯეე-

ვიცი, რა დაემართა ამ ხალხს. უცხოური სახელი თუ არ დაარქვეს მაღაზიას, რამე რომ დამჭირდება, საყიდლად არ შევალ? აბა, ლონდონში ხომ არ გავიქცევი სავაჭროდ? ასე რომ ვიქცევით, იმიტომაც გვიყურებენ უცხოელები, როგორც საექსპერიმენტო საგნებს.

**გიორგი დარჩია:** — მაღიზიანებს ეს უცხოური წარწერები, ტელეეკრანიდან გადმოფრქვეული გაუგებარი სიტყვები და, რა ვქნა? თუ ჩვენ გველაპარაკებიან, გასაგებად გველაპარაკონ... არც ერთ ქვეყანაში არ მინახავს უცხოური წარწერებით ასე გადაჭრელებული ქუჩები...

იმის შესახებ, თუ რატომ გვჭირს „უცხომანია“, საინტერესოა ფსიქოლოგის აზრი:

**რეზო ჯორბენაძე,** ფსიქოლოგი: — ჩვენთვის „უცხო“, „საუცხოო“ ყოველივე საუკეთესოსთან არის გაიგივებული, ანდამატური ძალა აქვს. თუ სხვა ხალხებში „უცხოს“ მიღება ზომიერად ხდება, ჩვენთან ეს მოჭარბებულია. ფსიქიკაში ეს მოვლენა ასე აისახება: თუ მაღაზიას „სუპერმარკეტს“ დაარქმევ, ესე იგი, იქ კარგი საქონელი იყიდება; თუ „შეტყობინებას“ „მესიჯად“ მოიხსენიებ, მაგიური მნიშვნელობა მიენიჭება; თუ უბადრუკ სასადილოს „რომს“ უწოდებ, კართან რიგი დადგება და ა.შ... ახალმა პოლიტიკურმა მიმდინარეობამ და სამეცნიერო პროგრესმა თავისთავად შემოიტანა ახალი სამეტყველო ლექსიკა სხვადასხვა სფეროში. მაგალითად, არასამთავრობო ორგანიზაციების ენა განსხვავდება სამთავრობო ორგანიზაციების ენისაგან, მასმედიის მეტყველება — ხალხის მეტყველებისაგან. ცხადია, ეს გამაღიზიანებელია. ენის ღირსება რომ არ შეილახოს, კანონია საჭირო. თუ მაინცდამაინც უცხოური სახელწოდებები მოგვწონს, მათ გვერდით აუცილებლად უნდა იყოს ქართული, თანაც ვიზუალურად უფრო გამოკვეთილი.

***ნანა ინასარიძე***

# ჩინელი „ჭინკა“ მოინათლა

გასულ კვირას ჩვენს გაზეთს მეტად „პატივსაცემი“ სტუმარი ჰყავდა — ჩინელი. მართალია, ჩვენი სტუმარი მხოლოდ 5 წლისაა და თანაც სასაცილო ბრძანდება, სიტყვა „პატივსაცემმა“ მაინც არ გაგაკვირვოთ. მან დაამტკიცა, რომ ძველი ცივილიზაციის ხალხები ბრწყინვალედ ითვისებენ ერთმანეთის კულტურას — დევიდმა ისე იცის ქართული ენა, როგორც მერცხალმა — ჭიკჭიკი. ამ ფაქტმა რომ გაგვახარა, გასაკვირი არ არის (თვით ჩინეთშიც გაუხარდებოდათ 5 წლის ქართველს მათ ენაზე რომ ელაპარაკა), მაგრამ უფრო სასიამოვნო სხვა რამეა: გავიგეთ, რომ 2 მარტს დევი ქრისტიანულად მოინათლა — მართლმადიდებელი ხალხის ენაზე მოლაპარაკე ჩინელი მართლმადიდებელი გახდა. ნათლობის საიდუმლო აღასრულა თბილისის წმინდა თამარის სახელობის ეკლესიის მოძღვარმა, მამა ილიამ და დევიდს სახელად დავითი უწოდა. ამიერიდან დევიდის მფარველი ზეციური წმინდანი დავითია და მას შეევედრება შველას... ჯერჯერობით კი, დევი-დავითი ისევ ჩინურ რესტორანში დარბის რევოლვერის ტკაცატკუცით.

— *დევი, გახსოვს, მამა ილიამ რა სახელი დაგარქვა?*

— დავითიო, — ასე თქვა.

— *მოგწონს ეს სახელი?*

— ჰო, მომეწონა. აჰა, სურათები. მალე ნახე. რა... აგე რეზო... წაიღე...

— *კი მაგრამ სად მატან?*

— დედამ თქვა, გაზეთშიო...

— *კარგი, მაშინ შენ და სააკაშვილი რომ ხართ ერთად, იმ სურათსაც წავიღებ.*

— წაიღე.

— *თქვენთან სტუმრად დადის სააკაშვილი?*

— ჰო.

— *ნათლიამ არ გითხრა, თუ ცუდად მოიქცევი, შენი ანგელოზი იტირებსო.*

— აბა, სად არის?

— *ვინა, შენი ანგელოზი? მხარზე გაზის, ვერ ხედავ?*

— არ მოვიქცევი ცუდად, — შემპირდა დევი.

დედამისმა კი, რომელსაც დევისაგან განსხვავებით ქართული მხოლოდ ესმის, იმედიანად გამიღიმა.

— *თქვენ რომელი რელიგიის აღმსარებელი ხართ?*

— ბუდისტი ვარ.

— *მეუღლე?*

— მუსლიმანია.

— *შვილის გაქრისტიანება რამ გადაგაწყვეტინათ. ლოგიკური არ იქნებოდა, ერთ-ერთი მშობლის რელიგია მიეღო?*

— არა, რაც ჩვენ გადავწყვიტეთ, სწორი ის არის. იცით, რატომ? ის სისხლით ჩინელია, მაგრამ სულით — ქართველი. ქართულად უკეთ ლაპარაკობს, ვიდრე ჩინურად. ყველაფერი სულიდან მოდის — ქცევაც. მაგალითად, არც ერთი ჩინელი პურს და ცხიმს ერთად არ შეჭამს, არც პელმენს — არაჟანთან ერთად, ჩემი შვილი კი მიირთმევს. ხანდახან ვფიქრობ, რომ აჯობებს, თუ საქართველოში იცხოვრებს...

— *თქვენც ჩვენს ქვეყანაში ცხოვრება გინდათ?*

— ეს თვით ცხოვრებაზეა დამოკიდებული. ჩვენ ძალიან გვიყვარს ეს ქვეყანა. ჩემი მეუღლე ქართველს ხასიათითაც დაემსგავსა.

— *ჰო, მითხრეს, ისე კარგად ამბობს სადღეგრძელოს, როგორც ქართველი თამადაო.*

— მართლაც, მან ბევრი თქვენი ჩვევა შეითვისა, ქართველი მეგობრებიც ჰყავს. დევიდის ნათლია რეზოც მისი მეგობარია... ოჯახებით დავახლოვდით. რეზო სულ გვეუბნებოდა, — ისე მიყვარხართ, მინდა თქვენი შვილი ბედნიერი იყოს, ამისთვის ქრისტემ უნდა დაიცვას და მოვნათლავო. დევიდი მან და მისმა ქალიშვილმა მონათლეს.



— *დევიდს და-ძმა არ ეყოლება?*

— ჩინელები ძალიან ბევრნი ვართ, ამიტომ სახელმწიფო მეორე შვილის გაჩენის ნებას არ გვაძლევს. განსაკუთრებით ეს ქალაქშია აკრძალული, სადაც ხალხი მჭიდროდ ცხოვრობს. სოფელში კიდევ შეიძლება მეორე შვილის გაჩენა, მაგრამ დიდი ბეგარაა გადასახდელი.

— *თქვენ ხომ აქ ცხოვრობთ და არა ჩინეთში?*

— მაგრამ ჩვენ ჩვენი სახელმწიფოს მოქალაქეები ვართ და არ გვინდა მისი კანონები დავარღვიოთ. ვერც მორალურ კანონებს დავარღვევთ. როცა დევიდის მონათვლა გადავწყვიტეთ, ჩემი მეუღლის მშობლებს დავურეკეთ და ნებართვა ვთხოვეთ. გვითხრეს, ეს თქვენი საქმეა, მაგ ქვეყანას კარგად იცნობთ და თქვენვე გადაწყვიტეთო.

*თბილისის წმინდა თამარის სახელობის ეკლესიის წინამძღვარი დეკანოზი* ***მამა ზაქარია:***

— დევის მშობლებს ვიცნობ. ეს ხალხი ბევრს ფიქრობს თავისი შვილის მომავალზე. მათთვის არც ისე ადვილი იყო, შვილი იმ სარწმუნოებისთვის მიენდოთ, რომელსაც არც კი იცნობდნენ. მაგრამ უფლის ნებით და ჩვენი ხალხის სიყვარულით მიიღეს ეს გადაწყვეტილება. დევის მშობლები დარწმუნდნენ, რომ შვილი მოწყალე უფალს ჩააბარეს. ეს გასაოცარი სიტყვებით გამოხატა ბავშვის მამამ: — ეს შემთხვევით არ გადამიწყვეტია. მე მუსლიმანი ვარ, ჩემი ცოლი — ბუდისტი. საკმაოდ გაგვიძნელდა ცხოვრება. აქ ცხოვრებამ თქვენი ღმერთის გულმოწყალება დამანახვა და ამიტომ ჩემს ერთადერთ ვაჟს თქვენს ეკლესიას, თქვენს რწმენას ვჩუქნი...

P.S. ამიერიდან უფალი იზრუნებს დავითისათვის, ხოლო ჩვენ პატარა დავითს უფლის გზით სიარულს ვუსურვებთ...

***ეთერ ერაძე***

# შენი საფლავი ჩემი გულია

როგორ ხართ გურჯისტანს? — იკითხავს ქართველი ფერეიდანიდან თავისი XVI საუკუნის ნასათუთები ქართულით, და დიდი რწმენით, რომ გურჯი გურჯისტანს კარგად უნდა იყოს... მაშინაც კი, როცა ძალიან ცუდად არის, როცა წინაპართაგან გვართან ერთად არ გადმოგეცემა სამშობლოდან ძალით გადასახლების ტკივილი, როცა იღბალი განიჭებს ბედნიერებას, საკუთარ სამშობლოში ცხოვრებისა, განა შეიძლება ცუდად იყო?



თავს ნუ მოვიტყუებთ, ჩვენი თანამემამულეების ბოლოდროინდელმა თავგადასავლებმა ევროპასა თუ აზიაში, ბევრს შეუცვალა რწმენა ქართველ კაცზე, მაგრამ ფერეიდნელი ქართველები ამ მძიმე შთაბეჭდილებასაც გააქარწყლებენ დიდი სიმტკიცითა და გურჯისტანის სიყვარულით...

ადრე იქ ქართველთა საფლავებს მხოლოდ სპარსული წარწერა ამშვენებდა, ახლა ქართულად აწერენ „სახელითა ღმერთისა მოწყალისა მწყალობლისაო“ და ამ ქართული ლოცვით კიდევ ერთხელ იწვდიან ხელს ოთხასი წლის წინ შორს დარჩენილი სამშობლოსაკენ.

„შენი საფლავი ჩემი გულია“, — აწერია საფლავებს და სპარსეთის მიწაში განსვენებულ ქართველს თითქოს გულზე მალამოდ ედება ეს სიტყვები, ჩვენ კი, გურჯისტანელ ქართველებს, მტკიცე ჯებირად გვიდგას, რომ უცხო მეტყველებისა თუ წეს-ჩვეულების ქარცეცხლში ჩვენი — ქართული არ დაგვეჩაგროს...

***ნოდარ კოჭლაშვილი***

## მკითხველის პრემია * მკითხველის პრემია

ეს თქვენი გაზეთია და რადგან ასეა, „კვირის პალიტრის“ ჟურნალისტებს თქვენ ანიჭებთ ყოველკვირეულ პრემიას. შეაფასეთ ამ ნომრის მასალები, აღნიშნეთ რეიტინგის ქვითარში თქვენი აზრით, ნომრის საუკეთესო ჟურნალისტური ნამუშევარი. იმ მასალის ავტორს, რომელიც ყველაზე მეტ ხმას მიიღებს თქვენგან, მკითხველის სახელით, რედაქცია პრემიას — 50 ლარს გადასცემს. გამარჯვებული ჟურნალისტის ვინაობას მომდევნო ნომერში შეიტყობთ. *რეიტინგის ქვითარი იხ. 35-ე გვერდზე.*

## წინა ნომრის მკითხველის პრემიის შედეგები ასეთია:

1. **ვაჟა გავაშელი** — „არ შეგარჩენთ, მიწაში რომ ჩაძვრეთ, იქაც გიპოვით...“ — 126 ხმა

2. **ეთერ ერაძე** — „ტყვია ყველაზე ნათელ თვალებს ეძებს და... პოულობს“ — 61

3. **ზვიად ჩაკვეტაძე** — „რომელმა „ქარმა წაიღო“ ცეკავშირის ქონება“ — 51

4. **ეთერ თარიმანი** — „დარდისას გეტყვი, დარდისას“ — 31

5-6. **ინგა ჯაყელი** — „ცოდვა“ — 24

5-6. **დაჩი გრძელიშვილი** — „მიხეილ სააკაშვილს ბრწყინვალედ გამოსდის „პიარკამპანიის“ წარმართვა იმ ქვეყანაში, სადაც ოფიციალური ვიზიტით იმყოფება“ — 24

7. **ირაკლი ალადაშვილი** — „სამხედრო თემაზე“ — 19

8-9. **ლელა ჯიყაშვილი** — „იავნანამ რა ჰქმნა“ გახსოვთ?“ — 14

8-9. **იზო რიკაძე** — „სააკაშვილი ძალებს სიბრტყეზე განალაგებს“ — 14

10. **გიგა ხირსელი** — „სპორტი“ — 9



მკითხველის სახელით პრემია გადაეცემა რუბრიკა „ვერსიის“ ავტორს **ვაჟა გავაშელს.**

***„მკითხველის პრემიის“ მფლობელი 407-მა რესპონდენტმა გამოავლინა***

CMYK

# მოხდარმა შეიძლება პროკურორების მუნდირი შეიწიროს

## „რა მნიშვნელობა აქვს, ვისი შვილია დამნაშავე“

თბილისის პროკურატურა 29 თებერვალს მომხდარი მკვლელობის საქმეს იძიებს. მოკლულია 31 წლის მშენებელი მუშა კახა სიხარულიძე. მკვლელობის საქმეში ჯაბა ლომიძისა და ირაკლი ჯიქიას სახელები ფიგურირებს... ვინ არიან ისინი?

ირაკლი ჯიქია გენერალური პროკურორის პირველი მოადგილის, გია ჯიქიას შვილია, ხოლო ჯაბა ლომიძე — ამავე პროკურატურის განყოფილების პროკურორის, არჯევან ლომიძის ვაჟი. წინასწარი მონაცემებით, თბილისის პროკურატურა ლომიძეს განზრახ მკვლელობას ედავება, ხოლო ირაკლი ჯიქიას — ხულიგნობას.

მკვლელობა გასულ კვირას, დაახლოებით 16 საათზე, გმირთა მოედანზე მოხდა. ოზურგეთელ კახა სიხარულიძეს, რომელიც სამების საკათედრო ტაძრის მშენებლობაზე ქვისმთლელად მუშაობდა, მაკაროვის სისტემის პისტოლეტიდან ესროლეს ერთადერთი ტყვია, რომელიც სიხარულიძეს ზურგის მარცხენა მხარეს მოხვდა და სასიკვდილო აღმოჩნდა. სიხარულიძე რამდენიმე წუთში გარდაიცვალა. მართალია, პროკურატურაში მკვლელობის მოტივებზე არ ლაპარაკობენ, მაგრამ არსებობს ვერსია, რომ მკვლელობა წინა ღამით, ალექსანდრეს ბაღთან მდებარე კაფე-ბარ „მირაჟში“ მომხდარ ჩხუბს მოჰყვა. არსებობენ მოწმეები, რომლებიც ამბობენ, რომ ჯიქია და ლომიძე ნასვამ მდგომარეობაში მივიდნენ „მირაჟში“. აქ მათ ხმამაღალი გინებისათვის ბარმენისა და დაცვის წევრებისგან საყვედური მიიღეს. ეს, ეტყობა, იუკადრისეს, რის გამოც ჩხუბი ატყდა. უფრო სწორად, ლომიძე და ჯიქია ყველაფერს ლეწავდნენ. კაფე-ბარის დაცვა მხოლოდ იმას ცდილობდა, როგორმე დაეშოშმინებინათ ისინი. იყო თუ არა ამ ბარში კახა სიხარულიძე, ამ კითხვაზე დადებით პასუხსაც სცემენ და უარყოფითსაც. ერთი ვერსიით, ჯიქია-ლომიძისა და სიხარულიძის შეტაკება პირველად სწორედ კაფე-ბარ „მირაჟში“ მოხდა. მეორე ვერსიით კი სიხარულიძე ბარში არ ყოფილა და იქ მომხდარი აურზაური დანაშაულის ერთ-ერთი ეპიზოდია, ხოლო კახა სიხარულიძის მკვლელობა — მეორე.

თავდაპირველად, მკვლელობის საქმეს ვაკე-საბურთალოს პროკურატურა იძიებდა, მაგრამ საქმე შემდეგ თბილისის პროკურატურას გადაეგზავნა. როგორც ამბობენ, ეს საქმე გენპროკურორს პირად კონტროლზე აქვს აყვანილი. როგორც ჩანს, ეს ის მომენტია, როცა თუკი დანაშაულში ეჭვმიტანილებს დანაშაული დაუმტკიცდება, მათ მამების ავტორიტეტი და პროკურორის მუნდირი ველარ იხსნის. მეტიც, მომხდარმა შეიძლება ეს მუნდირებიც შეიწიროს.

ამ გარემოებას „კვირის პალიტრასთან“ საუბრისას სულაც არ მალავენ ქალაქის პროკურატურაში. თბილისის პროკურორის, **ვალერი გრიგალაშვილის** თქმით: „ჩვენ ვიძიებთ მხოლოდ მკვლელობის საქმეს, რომელსაც აუცილებლად ბოლომდე მივიყვანთ. მოკლული კახა სიხარულიძე უპატრონოა — მისი პატრონი ჩვენ გარდა არავინ არის. ჩვენთვის არა აქვს მნიშვნელობა, ვისი შვილია დამნაშავე. ეს დრო წავიდა და აღარ დაბრუნდება. კანონის წინაშე ყველა თანასწორია და დამნაშავემ, წარმომავლობის მიუხედავად, უნდა აგოს პასუხი. ჩვენ თუ ვინმეს ინტერესებს დავიცავთ, ეს დაზარალებული კახა სიხარულიძის ოჯახის ინტერესებია...“

კონკრეტულ დეტალებს, რის საფუძველზეც ჯაბა ლომიძეს მკვლელობას ედავებიან, ხოლო ირაკლი ჯიქიას ბოროტ ხულიგნობას, ოპერატიული მოსაზრებიდან გამომდინარე, ვალერი გრიგალაშვილი არ აზუსტებს.

მანამდე კი ვრცელდება ხმები, რომ ლომიძემ მკვლელობა აუცილებელი მოგერიების მიზნით ჩაიდინა. თითქოს კახა სიხარულიძე აქეთ კლავდა ვილაცას და მისთვის ყელზე დანა ჰქონდა მიბჯენილი (მეორე ვერსიით, პისტოლეტს უმიზნებდა). სიხარულიძის მსხვერპლს ლომიძე გამოესარჩლა და სიხარულიძეს სროლა დაასწრო. თუკი ეჭვმიტანილის ადვოკატი ამ ვერსიას მარჯვედ გამოიყენებს, შეიძლება ლომიძეს ყველა ბრალდება მოეხსნას და ანტიგმირის ნაცვლად გმირად გადაიქცეს. თუმცა, როგორც პროკურატურაში ამბობენ, შეიძლება ყველაფერი პირიქითაც მოხდეს.

# სკანდალების სერია ჯერ კიდევ წინ არის

## ვინ შეუტანა ბურჭულაძეს თოკი?

გასული კვირა კრიმინალური ისტორიებით მდიდარი აღმოჩნდა. ანტიკრიმინალურ ოპერაციას ქუთაისში ხუთი კაცის სიცოცხლე შეეწირა. მსხვერპლის სიმრავლის გამო ამბობენ, რომ ოპერაცია ხარვეზებით ჩატარდა. ასეთი ხმების მიუხედავად, ოპერაციის შედეგიანობაზეც შეიძლება ლაპარაკი — ქუთაისში თერთმეტი კრიმინალური ავტორიტეტია დაკავებული. დაპატიმრებულია ცნობილი ბონდო შალიკიანიც. მის სახლში სამართალდამცველები ერთ-ერთი ეჭვმიტანილის ძებნის საბაბით შეცვივდნენ და იქიდან შალიკიანთან ერთად გამოვიდნენ. აყვანილთა სიმრავლის გამო, ოპერაციის ხარვეზებზე ყურადღებას თითქმის აღარავინ ამახვილებს. მათ შორის პოლიციელთა მიერ თბილისში დაშვებულ იმ შეცდომაზეც, რის შედეგად ფეხებში დაჭრილი „კანონიერი ქურდი“ საავადმყოფოდან გაექცათ. ამ ფაქტზე ქვემოთ დაწვრილებით გიამბობთ.





ვის დაასახელებს შალიკიანი?

იმერეთში ანტიტერორისტული ოპერაციის ჩატარების „ინიციატორები“ თვითონ დამნაშავეები აღმოჩნდნენ. ზესტაფონი-თერჯოლის ავტომაგისტრალზე გატაცებული მანქანის დევნა ქუთაისში, საფიჩხიის უბანში დასრულდა. იმერეთის სამხარეო პოლიცია თავდაპირველად საკუთარი ძალებით ცდილობდა მანქანების გამტაცებლების დაკავებას, მაგრამ, როცა ქუთაისში ორმხრივი სროლა გაჩაღდა პოლიციელთა და გამტაცებელთა შორის, თბილისიდან ქუთაისში სასწრაფოდ გადაისროლეს გულუას სახელობის სპეცნაწილისა და შინაგანი ჯარების ჯგუფები. დამხმარე ძალების მისვლამდე ქუთაისში მდგომარეობა შემდეგნაირად განვითარდა: სამმა გამტაცებელმა ავტომანქანა საფიჩხიაზე, ტყიბულის ქუჩაზე მიატოვა და ახლომდებარე ეზოებში მიიმალა. სროლის შედეგად მოკლულია სამი პოლიციელი. სამწუხაროდ, დაიღუპა უდანაშაულო ადამიანიც. სროლის დროს ბრმა ტყვია ქუჩაში გამვლელ თამაზ შალიკიანს მოხვდა. მსხვერპლია გამტაცებელთა შორისაც. მოკლულია გამტაცებელი გაგა ჭეიშვილი, რომელიც ქუთაისის პოლიციის უფროსის, თენგიზ მორჩაძის თქმით, 2001 წლიდან იძებნებოდა. დაჭრილია კიდევ ერთი გამტაცებელი, რომელმაც მიმალვა მოასწრო. სამართალდამცავების ინფორმაციით, დადგენილია მესამე გამტაცებლის ვინაობაც. იგი ცნობილი დამნაშავე ჩერქეზიაა, რომელსაც დამნაშავეთა სამყაროში „აფხაზას“ მეტსახელით იცნობდნენ. ტყიბულის მაჟორიტარი დეპუტატის ბინაში სამართალდამცველები სწორედ „აფხაზას“ დაკავების მოტივით შევიდნენ.

შს მინისტრი გია ბარამიძე აცხადებს, რომ დამნაშავეთა ასეთი საქციელი ნამდვილი გამოწვევა იყო მათი მხრიდან. მართალია, ქუთაისში ჩასულ სპეცჯგუფებს ქუჩური „პერესტრელკები“ უკვე დასრულებული დახვდათ, მაგრამ ოპერაცია, რომელსაც შიდა ქართლში ნათლობამიღებული გენპროკურორი ირაკლი ოქრუაშვილი ხელმძღვანელობდა, გაგრძელდა. ოთხი მარტის ღამეს, ოქრუაშვილის ხელმძღვანელობით, ქუთაისში, ცნობილი თერთმეტი დამნაშავე აიყვანეს. ყველა მათგანს სახლში სხვადასხვა ტიპის ცეცხლსასროლი იარაღი აღმოაჩნდა. დაკავებულთა სია ასე გამოიყურება: აკაკი კენჭაძე, გელა ქობულაძე, გია ლომიძე, ვასილ ლეკვეიშვილი, ბაჩია ოყროშიძე, გიორგი ბრეგაძე, გურამ დოჩიაშვილი, სანდრო ბასილაძე, გიორგი კუბლაშვილი, დავით კეკუა და ვიტალი ხურციძე. სამართალდამცველები იუწყებიან, რომ ქუთაისში ანტიკრიმინალური ოპერაცია მხოლოდ ამ დამნაშავეების აყვანით არ დასრულებულა და მათი რაოდენობა კიდევ გაიზრდება.

ქუთაისური ეპოპეა კიდევ ერთი სკანდალური დაპატიმრებით დასრულდა. სამართალდამცველები ტყიბულის მაჟორიტარი დეპუტატის, ცნობილი ბიზნესმენის ბონდო შალიკიანის სახლში „აფხაზას“ ძებნის მოტივით შევიდნენ, თუმცა „აფხაზა“ ვერ იპოვეს. შალიკიანის პირადმა დაცვამ სპეცოპერაციის მონაწილეებს წინააღმდეგობა ვერ გაუწია, მას ბრალი იარაღის უკანონო შენახვაში ედება. ირაკლი ოქრუაშვილის ინფორმაციით, ბონდო შალიკიანის სახლში აღმოჩენილია სხვადასხვა სახის ცეცხლსასროლი იარაღი. მათ შორის, ტანკსაწინააღმდეგო ნაღმები. თბილისში გადმოყვანილ შალიკიანს, რომელიც ამჟამად იუსტიციის სამინისტროს წინასწარდაკავების იზოლატორში იმყოფება, გასულ პარასკევს ცესკომ დეპუტატის იმუნიტეტი მოუხსნა.

რას ედავებიან ბონდო შალიკიანს?

წარმატებულ ბიზნესმენად წოდებული შალიკიანი ხშირად აცხადებდა თავმომწონედ, რომ მას კრიმინალურ წრეებში პატივს სცემენ და ბევრი მეგობარი ჰყავს. განსაკუთრებით ტარიელ ონიანთან სიახლოვითა და მეგობრობით ამაყობდა. იმერეთის ყოფილ გუბერნატორს არაერთხელ ულაპარაკია შალიკიანის კრიმინალური კავშირების შესახებ, მაგრამ ბარსელონიდან ტარიელ ონიანის მიერ გამოშვებულ სატელეფონო ზარს უფრო მეტი წონა ჰქონდა, ვიდრე ყოფილი გუბერნატორის სიტყვებს. როგორც გენპროკურატურის კულუარებში ამბობენ, იარაღის უკანონო შენახვის გარდა, შალიკიანს გამოძიება კიდევ ბევრ რამეში მიედავება. სპეცსამსახურების ექსპერტს კობა დვალიშვილს მიაჩნია, რომ ოქრუაშვილის უწყებაში შალიკიანს ტარიელ ონიანზეც ბევრ კითხვას დაუსვამენ. **კობა დვალიშვილი** „კვირის პალიტრას“ საინტერესო ვერსიას სთავაზობს:

— ვერ დავეთანხმები მოსაზრებას, რომ შალიკიანი კანონის დარღვევით აიყვანეს. შეიძლება მართლაც იყო მცირე ხარვეზები. უპირველესად, ალბათ სატელევიზიო გადაღება არ იყო საჭირო, მაგრამ მთლიანობაში ეს სწორი ნაბიჯი იყო. დროა, საქართველოში ერთხელ და სამუდამოდ გაწყდეს კრიმინალისა და პოლიტიკის ურთიერთკავშირი. ჟარგონით რომ ვთქვა, ეს კაცი ყოველთვის „ბლატაობდა“ ონიანთან მეგობრობით. არადა, თუ მართლა პოლიტიკოსობაზე დებს თავს, რა უნდა აკავშირებდეს დამნაშავეთა სამყაროსთან? შალიკიანს ონიანზე ბევრის თქმა მოუწევს.

— **მაინც, რა უნდა ილაპარაკოს შალიკიანმა ონიანზე?**

— ბოლო ათი წლის მანძილზე ტარიელ ონიანმა ქართულ პოლიტიკაში შეჭრა და პოლიტიკოსთა ერთი ნაწილის „დავერბოვკება“ მოახერხა. მათი ვინაობა ასე თუ ისე ცნობილია. შალიკიანს შეუძლია იმ სქემის ახსნაც, რომლის საშუალებითაც საქართველოდან მილიონები გაედინებოდა. გვაქვს ეჭვი, რომ საქართველოში თითქმის ყველა შემოსავლიანი ორგანიზაცია, მათ შორის, საფეხბურთო ბიზნესი და ავიახაზები, ტარიელ ონიანს ხარკს უხდიდნენ. ლაპარაკია მილიონებზე, რომელსაც საქართველო ველარასოდეს დაიბრუნებს და რომლის გატანასაც ონიანი აქაური პოლიტიკოსების ჩარევის გარეშე ვერ მოახერხებდა. ასე რომ, სკანდალების სერია ჯერ კიდევ წინ არის.

— **გინდათ თქვათ, რომ ქართული თემიდა შეიძლება ესპანეთში მყოფ ტარიელ ონიანსაც მისწვდეს?**

— გამორიცხული არაფერია. ეს იმაზეა დამოკიდებული, რა ჩვენებას მისცემენ შალიკიანი და ის პოლიტიკოსები, რომლებსაც იგი დაასახელებს...

ერთი სიტყვით, როგორც ჩანს, ქართველი ძალოვნები უფრო დიდი საქმეებისთვის ემზადებიან. როგორ განვითარდება მოვლენები, ეს მომავალში გაირკვევა. ქუთაისში ჩატარებული ოპერაციისთვის ბარამიძე-ოქრუაშვილის დუეტმა უკვე დაიმსახურა პრეზიდენტის ქება. სამაგიეროდ, ქუთაისში ასე თუ ისე წარმატებული ოპერაციის მიუხედავად, ძალოვნები გასულ კვირას თბილისში შერცხვნენ: ოთხშაბათს მე-8 საავადმყოფოდან ორივე ფეხში დაჭრილი კრიმინალური ავტორიტეტი პაატა ბურჭულაძე თვალსა და ხელს შუა გაექცათ.

დამნაშავეთა გაქცევა ქართული სინამდვილისთვის უცხო ხილი სულაც არ არის, მაგრამ ამ შემთხვევაში ალბათ საქმე გვაქვს ერთ-ერთ ყველაზე თავზეხელაღებულ გაქცევასთან, რომელიც ვინმეს ოდესმე ჩაუდენია. ფეხებში დაჭრილი ბურჭულაძე, რომელსაც ქარელის პოლიცია ყაჩაღობის ბრალდებით ეძებს, მე-8 საავადმყოფოს მე-7 სართულზე, ტრავმატოლოგიურ განყოფილებაში იმყოფებოდა. პალატაში მყოფ ბურჭულაძეს დერეფანში ბადრაგი დარაჯობდა. პალატაში იშვიათად შედიოდნენ, ეტყობა, ვერ წარმოედგინათ, რომ კანონიერი ქურდი მე-7 სართულიდან გადაძრომას გაბედავდა. საავადმყოფოს პერსონალი აცხადებს, რომ როცა პალატაში შევიდნენ, საწოლზე გამობმული თოკი დახვდათ, რომელიც მიწამდე ეშვებოდა. შეეძლო თუ არა ორივე ფეხში დაჭრილ პატიმარს მე-7 სართულიდან დაშვება, ამ კითხვით განყოფილების ექიმს მივმართეთ.

**ჯანგირ მჟავანაძე:** „ბურჭულაძეს ორივე ფეხზე ჰქონდა ცეცხლსასროლი იარაღით მიყენებული ჭრილობა. ერთ ფეხზე მცირე წვივის ძვალი ჰქონდა მოტეხილი. ამის მიუხედავად, თუკი მოინდომებდა, დიდი ტკივილების ფასად ფეხზე დადგომას მაინც შეძლებდა. გაჭირვებული კაცი უფრო მძიმე მოტეხილობითაც გაიქცევა...“

ექიმის ასეთი დასკვნის მიუხედავად, დღემდე უცნობია, მართლაც ფანჯრიდან გადაიპარა თუ პოლიციელებმა გააპარეს ბურჭულაძე. ვარაუდობენ, რომ პირველ შემთხვევაშიც ეს პოლიციელთა დახმარების გარეშე ვერ მოხდებოდა. დერეფანში მოსეირნე ავადმყოფები ამბობენ, რომ პოლიციის ბადრაგი ბურჭულაძის პალატასთან მიახლოებას ყველას უკრძალავდა. ასე რომ, თოკს პალატაში ისევ და ისევ პოლიციელთა მეშვეობით თუ შეიტანდნენ.

ასეთი იყო გასული კრიმინალური კვირა. იმედია, დამნაშავეთა ბატონობას ქვეყანაში დროზე მოევლება და ქუჩაში ავტომატების კაკანი წარსულის კუთვნილებად გადაიქცევა.

**დავით დევდარიანი**

**ბოლო ათი წლის მანძილზე ტარიელ ონიანმა ქართულ პოლიტიკაში შეჭრა და პოლიტიკოსთა ერთი ნაწილის „დავერბოვკება“ მოახერხა. მათი ვინაობა ასე თუ ისე ცნობილია. შალიკიანს შეუძლია იმ სქემის ახსნაც, რომლის საშუალებითაც საქართველოდან მილიონები გაედინებოდა.**

# ფულის აღების ახალი მექანიზმი საგზაო პოლიციაში

ოფიციალურ გამოკითხვებს თუ დავუჯერებთ, საგზაო პოლიცია ერთ-ერთ ყველაზე კორუმპირებულ უწყებად ითვლება. სიმართლე გითხრათ, მთელმა საზოგადოებამ კარგად იცის, რომ აქ დაუჯერებელიც არაფერია. კანონის გვერდის ავლით გაფორმებულ ათასობით მანქანაზე რომ აღარაფერი ვთქვათ, ასეთი იმიჯი საგზაო პოლიციას ორ-სამ ლარზე მონადირე ავტოინსპექტორებმაც შეუქმნეს. ქუჩაში გამოსული „გაიშნიკი“, გულგრილი გამომეტყველებით და განუყრელი სასტვენით, მზად არის თვალი დახუჭოს მძღოლის მიერ ჩადენილ ნებისმიერ დარღვევაზე, ცხადია, განსაზღვრული გასამრჯელოს ფასად — ასეთი იყო ჯერ კიდევ გუშინ ქართველი საგზაო პოლიციელის ზოგადი სახე. რა ხდება დღეს? ავტოინსპექტორები ამბობენ, რომ ამ მოკლე ხანში ბევრი რამე შეიცვალა. შეუცვლელი დარჩა მხოლოდ ხელფასები. რიგითი ავტოინსპექტორი 75 ლარს იღებს, ოფიცერი — 85-ს. ცოტა ხნის წინ კი ასეთ მცირე ხელფასზე არავინ წუწუნებდა. „მაშინ სხვა დრო იყო, ჯამაგირი სულ არ გვჭირდებოდა“, — მისტირიან წარსულს ავტოინსპექტორები. დაუჯერებელია, მაგრამ იმავე წარსულს მძღოლებიც მისტირიან — ადრე ორ-ორი ლარით რომ ამარაგებდნენ ინსპექტორებს...

რატომ არ ეთმობათ მძღოლებსა და ავტოინსპექტორებს წარსული? ამ საკითხზე „კვირის პალიტრას“ საგზაო პოლიციის ოფიცერი **გიორგი ბ-ძე** ესაუბრება: — მძღოლებს სატირლად აქვთ საქმე. აბა, რა იქნება, ბევრი მეუბნება, ნეტავ იმ დროს, რომ გაგვაჩერებდნენ, ორ ლარს მივცემდით და წავიდოდითო. იცით, ახლა როგორ არის? თუ დაარღვია, ოფიციალურად უნდა გაუფორმო ჯარიმა. ვთქვათ, თხუთმეტიდან ოც ლარამდე. „აკაჩავებ“, „აკაჩავებ“ და წაართმევ ფულს. „პრავის“ ჩამორთმევას მაინც ჯარიმის გადახდა ურჩევნიათ. ჰოდა, წარსული რომ არ ეთმობათ, რა გასაკვირია.

— **გასაგებია. ინსპექტორებს კი იმიტომ არ გეთმობათ წარსული, რომ ოფიციალურად გაფორმებული ჯარიმა ბიუჯეტში უნდა შეიტანოთ?**

— არც ასეა საქმე. ასეთ დროს მძღოლი უფროა დაზარალებული, ვიდრე ინსპექტორი. ქვითარი ორგვერდიანია. ერთი გვერდი მძღოლს მიაქვს, მეორეს ინსპექტორი იტოვებს. ვთქვათ, 25-ლარიანი ჯარიმაა გამოწერილი. შენს ქვითარზე ორიანს წაშლი (იყიდება ისეთი კალმები, საშლელიც რომ მოჰყვება და თავისსავე მელანს მშვენივრად შლის) და „სმენის“ დამთავრების შემდეგ ხუთლარიან ჯარიმას ჩააბარებ. ოცი ლარი ჯიბეში რჩება.

— **მძღოლის ქვითარს ხომ აწერია, რომ 25 ლარი გადაიხადა ჯარიმის სახით?**

— როგორც წესი, რამდენიმე ასეული მეტრის შემდეგ მძღოლები ქვითრებს ფანჯრიდან ისვრიან.

— **ქე იგი, ორლარიანი „სტავკები“ აღარ არსებობს?**

— იშვიათად. დღეს ხუთ ლარზე ნაკლებ თანხაზე ინსპექტორი თითქმის აღარ იწვდის ხელს.

— **ზემდგომებმა თუ იციან ქვითრებით მაქინაციების შესახებ?**

— იციან, რა თქმა უნდა, მაგრამ ფაქტზე უნდა დაგიჭირონ. გამოცდილი ინსპექტორი ამას ისე აკეთებს, რომ ვერავინ წაასწრებს.

— **ზემდგომები წილს ისევ ითხოვენ?**

— არა, წილს აღარავინ ითხოვს. ეს პირამიდა დაიშალა. უფროსები თავის ფულს აკეთებენ, ტრასაზე მდგომი ინსპექტორები — თავისას. მაგალითად, ადრე ფოთიდან ხორცი მიჰქონდათ რუსეთში. ათი, ზოგჯერ ოცდახუთი ტრაილერიც გროვდებოდა. მძღოლებმა წინასწარ იცოდნენ, სად რა „სტავკა“ იყო და ვისთვის რა უნდა მიეცათ...

(გაგრძელება იხ. გვ. 13)

# „არ შეიძლება ადამიანების ასე ქუჩაში გაყრა“



## „თუ ქვეყანას ააშენებს, რაღა გვექნება მასთან სადავო...“

**როგორ განდევნეს ამერიკელებმა თავიანთი ბაზრიდან იაპონელები**

*ახალ ხელისუფლებას ახალი ინტერესის საგანი აღმოაჩნდა — ბიზნესმენები და დამნაშავეები. ამიტომაც გასული კვირის მთავარი და ყველაზე ხმაურიანი ამბები ამ სფეროებს უკავშირდებოდა. ვესტერნის ჟანრის ბატალიებმა ქუთაისში და მთავრობის ეკონომიკური გუნდის მიერ ბიზნესმენებისთვის გაკეთებულმა რევერანსმა დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია. რა არის სინამდვილეში ფინანსური ამნისტია და მოსწონთ თუ არა ის ბიზნესმენთა ინტერესების დამცველ (ყოფილ ბიზნესმენ) პოლიტიკოსებს? ამის გარკვევა ბლოკ „მემარჯვენე ოპოზიციის“ („ახლებისა“ და „მრეწველების“ კოალიციის) ერთ-ერთ წევრთან,* **ზურაბ ტყემალაძესთან** *ვცადეთ.*

**— ბატონო ზურაბ, უპირველესად „მრეწველებისა“ და „ახლების“ გაერთიანების მიზეზზე მინდა გკითხოთ, შეხედულებები შეიცვალეთ თუ ახალი პოლიტიკური რეალობის გამო გადაწყვიტეთ ძველ ოპონენტებთან დამეგობრება?**

— შეიცვალა ის, რომ დღეს ერთმანეთის კონკურენტები აღარ ვართ. ვფიქრობ, თავიდანვე არასწორი იყო ცალ-ცალკე ყოფნა. ჯერ კიდევ 2002 წლის ადგილობრივ არჩევნებზე გაგვიჩნდა გაერთიანების სურვილი, იყო ამ თემაზე ლაპარაკი, მაგრამ სუბიექტური მიზეზების გამო ვერ გავერთიანდით და ამის გამო პასუხისმგებლობას „მრეწველები“ ვიღებთ.

გეთანხმებით, რომ გაერთიანებისკენ შექმნილმა პოლიტიკურმა ვითარებამაც გვიბიძგა. გარდა იმისა, რომ ხელისუფლება ყველანაირ ბერკეტს ფლობს, ქვეყნის პრეზიდენტი მაღალრეიტინგული პოლიტიკოსია. ასეთმა რეალობამ გვიკარნახა, რომ მემარჯვენე ძალები გაერთიანების გარეშე სასურველი შედეგის მიღწევას ვერ შევძლებდით. არჩევნების შემდეგ „მრეწველები“ და „ახლები“ ერთ პარტიად ჩამოვყალიბდებით. ამბიციები ამჯერად უკანა პლანზე გადავიდა, კვოტების გადანაწილების დროსაც არ გვქონია პრობლემა. მეტსაც გეტყვით, მომავალ პარლამენტშიც ერთ ფრაქციაში გავაგრძელებთ საქმიანობას.

**— თქვენი ბლოკის პირველ ათეულში „ახლები“ ჭარბობენ, ამის გამოც არ გქონიათ პარტიაში უკმაყოფილება?**

— სიის შედგენისას ერთი პრინციპით ვიხელმძღვანელეთ — რა სჯობდა საერთო საქმისთვის.

**— მაშინ, როდესაც სახელისუფლებო გუნდს მოსახლეობის დიდი ნაწილი უჭერს მხარს, ოპოზიციური პარტიები არცთუ სახარბიელო მდგომარეობაში აღმოჩნდით.**

— მიუხედავად ამისა, მაინც იმედიანად ვართ. ვფიქრობ, ყველა ოპოზიციური პარტია ერთად 50-60 ადგილს მაინც მოიპოვებს. ბუნებრივია, სამოცივე ადგილის დაკავებაზე არ გვაქვს პრეტენზია, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ „მემარჯვენე ოპოზიციას“ 8 მაჟორიტარი უკვე გვყავს, მომავალ პარლამენტში, საერთო ჯამში, 35 დეპუტატი მაინც გვეყოლება.

**— გასულ კვირას პრეზიდენტმა ბიზნესმენებს საქმიანობის ახალ პირობებში გაგრძელება შესთავაზა. როგორ შეაფასებთ ხელისუფლების ახალ ინიციატივას?**

— პრეზიდენტის პოზიცია ჩვენი შეხედულებების გამოძახილი იყო. ჩვენ, „მემარჯვენე ოპოზიცია“ ვითხოვდით, — არ შეიძლება ბიზნესის განადგურება და დაშინება. მისასალმებელია, რომ პრეზიდენტი ასეთ პოზიციაზეა. პრეზიდენტმა ისიც თქვა, — მაისამდე ახალ საგადასახადო კოდექსს მივიღებთო და ამასაც მხარს ვუჭერთ. პარლამენტში ჩვენ შეტანილი გვაქვს საგადასახადო ცვლილებების პროექტი, რომელიც პირველი მოსმენით მიიღო პარლამენტმა, თუ ხელისუფლება მხარს დაუჭერს ამ კანონპროექტის მიღებას, ეს ძალიან წაადგება როგორც ბიზნესის განვითარებას, ასევე საქვეყნო საქმეს. თუმცა პრეზიდენტის მიერ ინიცირებულ კანონპროექტში არის ერთი საკამათო საკითხი, — საგადასახადო ინსპექციას უნდა, რომ სასამართლოს გადაწყვეტილების გარეშე მიენიჭოს საწარმოს რიგგარეშე შემოწმების უფლება. ეს ფაქტობრივად იმას ნიშნავს, რომ საგადასახადო ინსპექციას შეეძლება ყოველ თვე შეამოწმოს მეწარმე. ამის დაშვება კი არ შეიძლება.

ჩვენ ხომ ვიხდით გადასახადს იმისთვის, რომ ნორმალური საქმიანობის პირობები გვქონდეს? ხელისუფლება რომ გვედავება, ბიუჯეტს თანხები დაუმალეთო... ჩვენგან რომ ითხოვენ გადასახადების კეთილსინდისიერად გადახდას, თვითონ სახელმწიფო რატომ არ ასრულებდა თავის მოვალეობას? არ შეიძლება ერთი კუთხიდან შევხედოთ ამ პრობლემას. არ გამოვა მეწარმეებთან ასეთი ლაპარაკი, — ფული გადამიხადე და შენი საქმე არ არის, ამ ფულს სად წავიღებო. ბიზნესმენი გადასახადს იმიტომ იხდის, რომ ქვეყანაში კონტრაბანდა არ შემოვიდეს, არ იყოს ფალსიფიცირებული პროდუქცია, რომელიც გადასახადების გადამხდელი ბიზნესმენის ნაწარმოებ პროდუქციაზე სამჯერ ნაკლები ღირს და ანადგურებს კეთილსინდისიერი ბიზნესმენის წარმოებას. კანონი უნდა კანონობდეს და მის წინაშე უმაღლესი ხელისუფალიც და რიგითი მოქალაქეც თანასწორი უნდა იყოს, მაგრამ არ შეიძლება კანონის სახელით ძალადობის დამკვიდრება. არ მგონია, ამ მეთოდმა გახადოს საზოგადოება უფრო კანონმორჩილი. კანონის დამრღვევი რომ უთუოდ დაისჯება, ამაში სხვა ფორმით უნდა დაარწმუნონ საზოგადოება.

**— თქვენ ბიზნესმენებისთვის ხელშეწყობაზე ლაპარაკობთ, ხელისუფლება კი აცხადებს, სწორედ ამ მიზნით ვაცხადებ ფინანსურ ამნისტიასო.**

— ამბობენ, თუკი ბიზნესმენი აღიარებს დამალულ გადასახადს, ის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლდებაო. მივესალმები ამას, მაგრამ ეს სანახევრო ღონისძიებაა. თუ მას არ მოჰყვა საგადასახადო სისტემის გამარტივება, მაკონტროლებელთა და გადასახადის შემცირება, არ აღიკვეთა ფალსიფიკაცია და კონტრაბანდა, მეწარმეს ისევ გაუჩნდება გადასახადის დამალვის სურვილი, წინააღმდეგ შემთხვევაში, გაკოტრდება. თუ ბიზნესმენს სამუშაო პირობები არ შეუქმნა სახელმწიფომ, არც იმის ილუზია უნდა ჰქონდეს, რომ გადასახადს კეთილსინდისიერად გადაიხდის.

**— ამბობენ, ბიზნესმენები დაფრთხნენ — დამალული გადასახადები რომ ვაღიაროთ, ამით ფაქტობრივად საკუთარ თავზე სამხილს მივცემთ ხელისუფლებას. სამართალდამცველებს როდესაც მოუნდებათ, ჩვენივე აღიარების (დეკლარაციის) საფუძველზე, მაშინ მოგვედავებიანო.**

— კომუნისტების დროს ყველა ციცქნიდა სახელმწიფო ქონებას. ეს ხელისუფლებამაც იცოდა, მაგრამ ნებაზე ჰყავდა მიშვებული ხალხი. სამაგიეროდ, საჭირო მომენტში მიდავების საფუძველი ჰქონდა. არ შეიძლება, ეს ყოვლად მიუღებელი მეთოდი დღესაც არსებობდეს. თუ ასე მიუდგნენ საქმეს, გადამხდელების 80% პასუხისგებაში უნდა მიეცეს. მაგრამ ხომ უნდა ვიკითხოთ, რატომ შესცოდა ბიზნესმენმა კანონთან? — იმიტომ, რომ სახელმწიფომ არ შეასრულა თავისი ვალდებულება, ნორმალური კანონი არ შექმნა. კანონდარღვევისა და ხელმრუდობისკენ თავად ხელისუფლებამ უბიძგა იმ ასიათასობით კაცს, რომელსაც 14-ლარიანი პენსია დაუნიშნეს. შეიძლება ადამიანი თვიდან თვემდე ელოდოს პენსიას (რომლის მოლოდინი ხშირად ნახევარ წლამდე გრძელდება) და ამ ფულით არსებობდეს? ყველა ხომ ვერ შეძლებს მიწაზე მუშაობას და რაიმე საქმის წამოწყებას?

ბოლო დროს კიდევ ერთი პრობლემა გაჩნდა. მოგეხსენებათ, ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი საზღვარგარეთ არის წასული და საქართველოში დარჩენილი ოჯახის წევრები მათი გამოგზავნილი ფულით არსებობენ. დოლარის კურსის მკვეთრმა დაცემამ ასეთი ოჯახები დააზარალა. როგორ გამყარდა ლარი, ეკონომიკა ავალორძინეთ ამ 2-3 თვეში თუ რა მოხდა? თუკი ეროვნული ვალუტა გამყარდა, რატომ არ გაიაფდა პროდუქტი? რას ნიშნავს, როდესაც ეროვნული ვალუტა დოლართან მიმართებით მყარდება? მე მინდა ლარი ინდაურთან, პურთან და ყოველგვარი მოხმარების პროდუქტთან მიმართებით გამყარდეს, ანუ გამყარებული ლარით მეტი პროდუქტი შევიძინო. საქმე ისაა, რომ ეროვნული ვალუტის გამყარება ხელოვნურად მოხდა. ბლეფია მთავრობის წევრთა არგუმენტი, — გადასახადები ამოვიღეთ და კურსი ამან ასწიაო. თუკი ლარის კურსი გამყარდა, მაშინ იმპორტი უნდა გაიაფებულიყო. უფრო იაფი გაზი და ელექტროენერგია უნდა მიგვეღო უცხოეთიდან, მაგრამ გააიაფა ვინმემ მათი ტარიფი? ერთ დროს ევროსთან მიმართებით დაეცა დოლარის კურსი და ევროპის შვიდეულმა მიმართა ამერიკას — დოლარის კურსის გამყარებაზე ეზრუნა. არ ქნეს ამერიკელებმა — ეს ვითარება ექსპორტის განვითარებისათვის გამოიყენეს, ქვეყანაში ნაწარმოები იაფი პროდუქტი გაიტანეს საზღვარგარეთ და იმპორტი შეაჩერეს. ამით განდევნეს მათ ამერიკული ბაზრიდან იაპონელები. რატომ ვკლავთ ასეთი ხელოვნური მანევრებით ექსპორტს?

*(გაგრძელება იხ. გვ. 7)*

# ფინანსური ამნისტია აღარ განმეორდება



## სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს ბიზნესის ხელშეუხებლობა

*ახალ მინისტრებზე ხშირად გაიგონებთ — ამ ბავშვებს განათლება აქვთ, მაგრამ გამოცდილება აკლიათ, სანამ ეგენი საქმის გაძღოლას ისწავლიან, ბევრი წყალი ჩაივლისო. ისევ მათი გამოცდილი მასწავლებლის იმედი გვაქვს, ალღოიანი პრემიერი ალბათ სავარძლის შესაფერისად დაალღვინებს მთავრობაში მოსულ გოგო-ბიჭებს, თორემ ნამდვილ მინისტრობამდე ჯერ რომ ბევრი უკლიათ, „შეუიარაღებელი“ თვალითაც ჩანს. მაგალითად, მრეწველობის, ეკონომიკისა და ვაჭრობის მინისტრმა ინტერვიუ თორმეტის ნახევარზე დაგვინიშნა, მაგრამ შეხვედრა სამის ნახევარზე ძლივს მოვახერხეთ. მოგვიანებით, საუბრის დროს დავრწმუნდით, რომ ახალგაზრდა მინისტრი ინტერვიუს მიცემის ხელოვნებასაც ვერ ფლობდა, თუმცა გულწრფელი კი ნამდვილად ჩანდა... რას ვიზამთ, ჩვენი პრეზიდენტის საყვარელ გამოთქმას თუ ვიხმართ — რაც არის, ეს არის... ამიტომ ოდნავ დაბნეული მინისტრი* ***ირაკლი რეხვიაშვილი*** *გავამხნევეთ და „კვირის პალიტრისთვის“ საინტერესო რამდენიმე საკითხზე ვთხოვეთ კომენტარი.*

**— ბატონო პრემიერ-მინისტრისაგან ხშირად გვესმის, — მთავრობაში ერთიანი გუნდი მოვიდა. ახალი მინისტრთა კაბინეტის წევრთა უმეტესობა ერთმანეთს არ იცნობდით და „გუნდური თამაში“ როგორ გამოგდით?**

— გულწრფელად გეტყვით, რომ პრემიერი არ აზვიადებს. კაბინეტის პირველივე სხდომაზე განცვიფრებული დავრჩი იმ ერთსულოვნებით, რაც იქ ვნახე. არ მეგონა, თუ ეს შესაძლებელი იქნებოდა საქართველოში. ჩვენთვის ხომ მავნე სენად იქცა ერთმანეთზე წაკიდებული მინისტრები, რომლებიც თანადგომის ნაცვლად ხელს უშლიან ერთმანეთს.

მინისტრთა კაბინეტის წევრები არც პოლიტიკურ პროცესებში ვყოფილვართ ჩართულნი და არც რომელიმე ბიზნესჯგუფთან გვქონია კავშირი... ჯერჯერობით, საწყის ეტაპზე, საკმაოდ ერთიანნი ვართ, შესაძლოა ჟურნალისტები ამას ვერ ხედავთ, მაგრამ მერწმუნეთ, შესაშური ერთობა გვაქვს.

**— ეკონომიკის მინისტრის თანამდებობაზე თქვენამდე გია მაისაშვილს მოიაზრებდნენ, მაგრამ ამბობენ, რომ ის რაღაც პირობებს არ დათანხმდა. რა იყო ის პირობა, რაც თქვენთვის მისაღები აღმოჩნდა?**

— იმდენად მოულოდნელად დავბრუნდი საქართველოში, რომ ვერ მოვასწარი იმ ვითარების შესწავლა, რაც მინისტრთა კაბინეტის შექმნას უძღოდა წინ. ჩვენი სამინისტროს ფუნქცია ეკონომიკური პოლიტიკის ჩამოყალიბება და მისი ანალიზი იქნება. დღეს ამით ვარ დაკავებული და არც მაინტერესებს, რა ხდება მის მიღმა და კულუარებში.

**— ბოლოს და ბოლოს, ვისი იდეა იყო თქვენი გამინისტრება?**

— ჩემს კანდიდატურას მხარი დაუჭირა პრეზიდენტმაც, პრემიერმაც და პარლამენტის თავმჯდომარემაც. სანამ ჩემს კანდიდატურას დაასახელებდნენ, სამივესთან მქონდა შეხვედრა და ეტყობა, მოვეწონე...

**— თქვენ იმდენი მომხრეები გყოლიათ, ალბათ, ჯორჯ სოროსიც არ გეტყოდათ უარს მხარდაჭერაზე...**

— მიგიხვდით რასაც მეკითხებით... ჯორჯ სოროსი აფინანსებდა იმ ინსტიტუტს (ბუდაპეშტში), რომელშიც ვმუშაობდი. ბატონი სოროსი ერთხელ მყავს ნანახი და როგორც აზვიადებენ, ისეთი მჭიდრო კავშირი მასთან ნამდვილად არ მქონია.

**— ბოლო დროს მეწარმეები ხშირად საყვედურობენ ხელისუფლებას, — ბიზნესს ანადგურებთო. როგორ შეაფასებდით ბოლოდროინდელ მოვლენებს და ხელისუფლების ინიციატივებს, რა განწყობაა მთავრობაში?**

— ჩემი აზრით, განვითარების ეტაპზე მყოფ ქვეყანაში სახელმწიფო რაც შეიძლება ნაკლებად უნდა ერეოდეს ბაზრის ცხოვრებაში (საბაზრო ოპერაციებში), მაგრამ დიდი მნიშვნელობა აქვს გადასახადის სწორად ამოღებას. ხელისუფლება იზიარებს იმ აზრს, რომ მაკონტროლებლების რაოდენობა უნდა შემცირდეს. მეწარმეებს უნდა მიეცეთ წარმოების გაფართოებისა და გამდიდრების საშუალება. ასევე შემცირდება სახელმწიფოს წილი კერძო ბაზარზე, ანუ შემცირდება სახელმწიფოს კუთვნილ საწარმოთა რაოდენობა. ბუნებრივია, მათ შორის არ ვგულისხმობ სტრატეგიულ საწარმოებს, მაგალითად, რკინიგზას სახელმწიფო უნდა განკარგავდეს. აქამდე საწარმოთა გაყიდვა დარღვევებით ხდებოდა. მაქსიმალურად ვეცდები, რომ ტენდერზე საწარმოთა გატანა გამჭვირვალედ მოხდეს და ყველას შეეძლოს მასში მონაწილეობა. საზოგადოებამ უნდა იცოდეს, რა და როგორ იყიდება. ლაპარაკია 10 წლის წინ განხორციელებული პრივატიზაციის გადახედვაზე, მაგრამ გადაიხედება მხოლოდ მაღალი თანამდებობის პირების მიერ მიტაცებული ქონება. სამწუხაროდ, თავის დროზე ძვირად ღირებული ქონება ჩალის ფასად ჩაიგდეს ხელში მაღალჩინოსნებმა და პრეზიდენტის ოჯახთან დაახლოებულმა პირებმა. მიტაცებული ქონება უნდა დაბრუნდეს, ოღონდ ეს განსაზღვრულ პერიოდში უნდა მოხდეს. ანტიკორუფციულ კანონში მითითებულია, რომ კერძო პირებისა და ბიზნესმენების ქონებას არავინ შეეხება. კერძო საკუთრების ხელშეუხებლობა არაერთხელ აღიარეს პრეზიდენტმაც და პრემიერმაც, აუცილებელია, ეს წერილობით, ანუ კანონის სახით იქნეს აღიარებული. სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს ბიზნესის ხელშეუხებლობა, მაგრამ თავის მხრივ ბიზნესმენმაც არ უნდა დამალოს შემოსავალი, გადაიხადოს გადასახადები და არ შემოიტანოს კონტრაბანდა. თუ სახელმწიფოსა

**ბიზნესმენებმა უნდა გააცნობიერონ, რომ აუცილებელია ვალების აღიარება, რადგან ფინანსური ამნისტია (ყოველ შემთხვევაში, ამ ხელისუფლების დროს) აღარ განმეორდება. კატეგორიულად ვაცხადებ, ამნისტია იქნება ერთჯერადი შეღავათი. ამნისტიის შემდეგ ყველა მეწარმე თანაბარი პირობებით იმუშავებს — ეს აუცილებელია კერძო ბაზრის განვითარებისთვის.**

და ბიზნესს შორის ასეთი ურთიერთობა დამყარდება, საქართველო ეკონომიკურად გაძლიერდება. მეწარმეებმა უნდა ირწმუნონ, რომ ჩვენი მიზანი კერძო საკუთრების დაცვაა და არა — წართმევა.

**— რას იტყვით ფინანსური ამნისტიის შესახებ?.**

— რაკი კერძო მესაკუთრეებს არასტაბილურობისა და დაუცველობის შეგრძნება ჰქონდათ, სავსებით დროული იყო პრეზიდენტის ინიციატივა ე.წ. ფინანსური ამნისტიის შესახებ. ეს რევოლუციური ნაბიჯი აუცილებლობით იყო ნაკარნახევი. ფინანსური ამნისტია მეწარმეებს ლეგალური მუშაობის საშუალებას მისცემს. ეს იმავდროულად შავი ბაზრის ლეგალიზებისკენ გადადგმული ნაბიჯიცაა. სახელმწიფოსა და ბიზნესმენის ურთიერთობა სიცრუეზე არ უნდა იყოს დაფუძნებული. ფინანსური ამნისტიის პირობებზე ეკონომიკის, ფინანსთა და იუსტიციის სამინისტროების მონაწილეობით, სპეციალური კომისია მუშაობს. თუ ბიზნესმენები ვალების ლეგალიზებას 1-ელ ივლისამდე მოახდენენ, ხელს შევუწყობთ რესტრუქტურიზაციაში, — დავალიანების თანდათან დაფარვაში. ბიზნესმენებმა უნდა გააცნობიერონ, რომ აუცილებელია ვალების აღიარება, რადგან ფინანსური ამნისტია (ყოველ შემთხვევაში, ამ ხელისუფლების დროს) აღარ განმეორდება. კატეგორიულად ვაცხადებ, ამნისტია იქნება ერთჯერადი შეღავათი. ამნისტიის შემდეგ ყველა მეწარმე თანაბარი პირობებით იმუშავებს — ეს აუცილებელია კერძო ბაზრის განვითარებისთვის. აღარ უნდა არსებობდნენ მთავრობასთან დაახლოებული ბიზნესჯგუფები. ფინანსური ამნისტია კანონის უზენაესობის დამყარებასა და მეწარმეთა დახმარებას ემსახურება. ეს არის სერიოზული შანსი მეწარმეებისათვის და მათ ეს უნდა გამოიყენონ.

**— ბატონო ირაკლი, ახლა შედარებით მსუბუქ კითხვებზე გადავიდეთ — ისევ „ნათხოვარი“ ტანსაცმელი გაცვიათ?**

— არა, ბარგი, რომელიც თბილისში ჩამოსვლისას დავკარგე, ვიპოვე და ახლა ჩემი ტანსაცმელი მაცვია.

**— თქვენზე რას ეტყვით ჩვენს მკითხველს?**

— ვარ 28 წლის, დიდხანს ვცხოვრობდი უცხოეთში. ჩემი დედ-მამა თბილისში ცხოვრობს, ძმა უნგრეთში სწავლობს. ცოლი არ მყავს, მაგრამ მყავს უამრავი მეგობარი.

**— გაგიმართლათ, რომ კომუნისტების დროს არ ცხოვრობთ, თორემ თქვენი ასაკისა და ოჯახური მდგომარეობის (უცოლო) კაცს მინისტრად არავინ დანიშნავდა.**

— მთავარია, კარგად ვიმუშაო, რა მნიშვნელობა აქვს ოჯახურ მდგომარეობას. მთავარია გვერდით დავუდგე ჩემს ქვეყანას გაჭირვების ჟამს...

***მარი ზანდუკელი***



# „გაყეყეჩების ძველი პერიოდი არ უნდა გაგრძელდეს“

## „არ მინდა უკვე ჩამცხრალი ძველი ვნებები ჩემი კომენტარით ხელახლა გავაღვივო“

კულუარებში ბევრს ლაპარაკობენ სახელისუფლებო ბანაკში არსებულ დაძაბულობაზე. იმაზე, რომ ნინო ბურჯანაძესა და ზურაბ ჟვანიას შორის ძველი სიამტკბილობა წარსულს ჩაჰბარდა. თქვეს, ძველი მეგობრები ძველებურად აღარ ენდობიან ერთმანეთს და მათ მოსარიგებლად საქართველოს პრეზიდენტს ხანგრძლივი „შერიგების პროცედურის“ ჩატარებაც კი დასჭირდაო.

როგორც ამბობენ, პარლამენტის თავმჯდომარეს ყველაზე მეტად პიროვნების დარღვევამ ატკინა გული — რაკი რევოლუციის ლიდერთაგან მომავალ დეპუტატთა სიაში ყველაზე ნაკლები ადგილი არგუნეს, იფიქრა — მომხრეები იმიტომ შემიმცირეს, ჩემი გასპიკერებაც აღარ უნდათო და საკანონმდებლო ორგანოს ყველაზე მაღალ სავარძელზე ლამის ნებაყოფლობით თქვა უარი. სწორედ ამ დროს გახმაურდა მისი სავარაუდო შემცვლელის ვინაობა. მომავალი სპიკერობის კანდიდატად ნინო ბურჯანაძის მეგობარი მაია ნადირაძე დაასახელეს.

გვინდოდა სახელისუფლებო გუნდში არსებულ სიტუაციაზე თავად პირველწყაროებს მოეთხროთ, მაგრამ ამ დღეებში პრემიერ-მინისტრი მეტისმეტად მოუცლელი, ბიზნესმენების ე.წ. ფინანსური ამნისტიით აღმოჩნდა დაკავებული, ნინო ბურჯანაძეზე კი გვითხრეს, — დასვენება გადაწყვიტაო. ამიტომაც კომენტარისთვის სახელისუფლებო სიის პირველ ნომერს, **მაია ნადირაძეს** მივმართეთ:

— **საზოგადოებაც თავად იყო მოწმე ზურაბ ჟვანიასა და დავით ბერძენიშვილის სიტყვიერი პაექრობისა, ასევე ნინო ბურჯანაძის განაწყენებისა... კულუარებში ამბობენ, რეალურად სახელისუფლებო პარტიაში გაცილებით სერიოზული დაპირისპირებაა, რომელსაც გულმოდგინედ მალავენო.**

— სინამდვილეში განსაკუთრებული არაფერი ხდება. ნებისმიერ დიდ ორგანიზმში არის ხოლმე განსხვავებული წარმონაქმნები, თავისებური შეხედულებების მქონე ჯგუფი, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ იმ ადამიანებს, რომლებიც თქვენ ჩამოთვალეთ, პრინციპული შეუთავსებლობა აქვთ. ასეთ მონოლითურ ორგანიზაციაში განსხვავებული აზრის არსებობა, მსჯელობა აუცილებელიც კია, რადგან მორჩილი და უაზრო ადამიანების გაერთიანება კარგს არაფერს მოიტანს. მეტსაც გეტყვით, მოგეხსენებათ, 100 კაცში ნაციონალურ მოძრაობას 60 ადგილი ჰქონდა. ამ სამოციდან არის რამდენიმე კაცი, რომელიც არ ასოცირდება ნაციონალურ მოძრაობასთან და ზოგიერთ საკითხზე ჩვენი პოზიციისაგან განსხვავებული, კრიტიკული აზრიც აქვს. მაგრამ ჩვენ განსხვავებული აზრის არ გვეშინია.

— **თუკი სახელისუფლებო გუნდი ერთიანია, რატომ იხმარა პარლამენტის თავმჯდომარემ ასეთი ფრაზა — „ჩემი ხალხი“ სიიდან ამოიღესო.**

— არ მინდა უკვე ჩამცხრალი ვნებები ჩემი კომენტარით ხელახლა გავაღვივო. შესაძლოა, ადამიანები, რომლებიც ქალბატონმა ნინომ მისიანებად არ ჩათვალა, უფრო მეტად აღმოჩნდნენ მისი მხარდამჭერები, ვიდრე ისინი, რომელთაც დღეს თავისიანებად მიიჩნევს. ხოლო ქალბატონი ნინოს ნათქვამი, პრეზიდენტი აქ რომ ყოფილიყო, პრობლემები არ შემექმნებოდაო, ნიშნავდა იმას, რომ მას პრეზიდენტი კონფლიქტის განმუხტვის იმედად ეგულება — ანუ ჩათვალა, რომ მისი სიტყვა იქნებოდა გადამწყვეტი.

— **რაკი სახელისუფლებო პარტიის სიაში პირველი ნომერი ხართ, კულუარებში პარლამენტის თავმჯდომარეობის ერთ-ერთ კანდიდატად მოიაზრებით. განიხილება ეს საკითხი?**

— მე არც ის ვიცოდი, რომ სიაში პირველი ნომერი ვიქნებოდი, ეს ამბავი ზურაბ ჟვანიასგან გავიგე... რაც შეეხება პარლამენტის თავმჯდომარის პოსტს, ნინოს სპიკერობა ეჭვქვეშ არ დამდგარა. კითხვის ნიშანი თავად ქალბატონმა ნინომ დასვა და არ მინდა იმის განსჯა, რამდენად სწორი ტაქტიკური ნაბიჯი იყო ეს... არ შეიძლება ყველა კეთილგანწყობილი იყოს ყველას მიმართ. ეტყობა, ვიღაცას უკმაყოფილების მარცვლის ჩაგდება უნდოდა ჩვენს გუნდში. ვიღაცამ როგორც ჩანს, იმაზეც იზრუნა, რომ ეს ამბავი პრესაში გახმაურებულიყო. მზაკვრული ჩანაფიქრი იყო, მაგრამ მერწმუნეთ, ამის გამო არ დაძაბულა ურთიერთობა ჩემსა და ქალბატონ ნინოს შორის. თუ შეთანხმება, რომელიც თავის დროზე დაიდო, დაირღვევა, ჩვენს გუნდში ბზარის გაჩენის მაუწყებელი იქნება — ჩვენ არ უნდა დავუშვათ ეს, თორემ მერე ვინ იქნება პარლამენტის თავმჯდომარე, მნიშვნელობა აღარ ექნება.

— **და მაინც, რომ დადგეს საკითხი თქვენს გასპიკერებაზე, რას იზამთ?**

— ამ საკითხზე არც მიფიქრია. დღევანდელი სიტუაციიდან გამომდინარე, ალბათ უარს ვიტყვი... იცით, ეს ისეთი საკითხია, რომელიც ბევრ რამეზეა დამოკიდებული...

— **გასულ კვირას პრეზიდენტმა ბიზნესმენებს მოუწოდა, დეკლარაციები შეევსოთ და დამალული შემოსავლები ელიარებინათ. მაგრამ გაჩნდა ეჭვი, — აღიარებულ „ცოდვებს“ ხელისუფლება ისევ ბიზნესმენების დასაშანტაჟებლად ხომ არ გამოიყენებსო.**

— ვინმეს რომ ამ ინიციატივით ბიზნესმენების გამოჭერა ნდომოდა, მას კანონის სახე არ ექნებოდა. ეს კანონპროექტი ახალმა პარლამენტმა უნდა მიიღოს და მასში წერია, რომ ბიზნესმენები, რომლებიც აღიარებენ შემოსავლებს, არ ექვემდებარებიან სისხლის სამართლის დევნას; ანუ ამ კანონითვეა აკრძალული ამ ბიზნესმენის დევნა. როდესაც საგადასახადო კოდექსის ცვლილებაზეა ლაპარაკი, ხელისუფლებამ ხომ უნდა იცოდეს, რეალურად რა საგადასახადო სივრცე გვაქვს, რას ვაწარმოებთ. კანონში ფინანსური დეკლარაციის შესახებ (ამას ამნისტია არ ჰქვია) აისახება, რას აწარმოებდა ბიზნესმენი და რას იხდიდა 1998 წლიდან დღემდე. ბიზნესმენებმა 1-ელ ივლისამდე უნდა წარადგინონ დეკლარაციები, მათ არ მოეთხოვებათ წყაროების, ანუ მათი დასახელება, ვისაც ფულს აძლევდნენ. ბიზნესმენებს ეპატიებათ 1 მილიონამდე დამალული თანხა, თანაც საურავების გარეშე. დანარჩენ დავალიანებას კი 15 წლის მანძილზე გადაიხდიან (გააჩნია, ვის რამდენი დავალიანება აქვს).

ვესწრებოდი ბიზნესმენებთან შეხვედრას, მათ თქვეს, — ლეგალური ბიზნესი გვინდა და თანახმა ვართ, ნაკლები შემოსავალი გვქონდეს, ოღონდ კონკურენტუნარიანი გარემო იყოს, „კრიშები“ არ გვჭირდებოდესო. დეკლარაციების შევსების შემდეგ ცალკეული მეწარმე, რომლის გულწრფელობაშიც ეჭვს შეიტანენ, შემოწმდება, რადგან ფინანსთა სამინისტრომ იცის, რა შემოსავალი შეიძლება ჰქონდეს ბიზნესმენს. თუ იგი საეჭვო ციფრს უჩვენებს, სამინისტროს მისი შემოწმების უფლება აქვს. ფინანსური პოლიციის გარდა, ბიზნესმენის შემოწმების უფლება აღარავის ექნება და შემოწმების პირობებიც კანონით არის განსაზღვრული. და კიდევ ერთი სიახლე — მეწარმის შემოწმებაზე გადაწყვეტილებას ფინანსთა სამინისტრო დამოუკიდებლად ვერ მიიღებს. მას უთუოდ მოუწევს ბიზნესმენთაგან შექმნილ კომისიასაც ჰკითხოს აზრი ამა თუ იმ მეწარმის დეკლარაციაში ასახული მონაცემების გადამოწმების შესახებ.

— **დღეს ბევრს ლაპარაკობენ ბოლოდროინდელი დაპატიმრებების ფორმასა და ხერხებზე. ზოგი ამას საზოგადოების დაშინების მცდელობადაც აღიქვამს.**

— თუ გვინდა სამართლებრივი სახელმწიფო გვქონდეს, სადაც დანაშაულის ჩამდენი უნდა დაისაჯოს, ბუნებრივია, უნდა გვქონდეს დანაშაულის ჩადენის შიშიც. თუ ჩვენ ე. წ. „გაგების“, ქურდული მენტალიტეტის საზოგადოებაში ვცხოვრობთ, მაშინ „კარგი ბიჭობა“ და „ქალაქელობა“ იქნება მთავარი და ვისაც რა ენდომება, იმას გააკეთებს. თუ ხელისუფლება ძალის დემონსტრირებას იმიტომ ახდენს, რომ მოსახლეობა უსაფრთხო და დაცული იყოს, ამაში ცუდს ვერაფერს ვხედავ.

გეთანხმებით, რომ ბევრს ლაპარაკობენ დაპატიმრების ფორმაზე, ცივილიზებულად უნდა ხდებოდეს ხალხის აყვანაო. მაგრამ თვითონ სიტუაცია გკარნახობს, როგორ მოიქცე. ამ ვითარებაში, როგორც ჩანს, ასეა საჭირო. ამას წინათ, ტელევიზიით ერთ-ერთი ამერიკული კორპორაციის პრეზიდენტის დაპატიმრება აჩვენეს — პირდაპირ უოლ-სტრიტზე ამოუტრიალეს ხელები. როდესაც „პარმალატის“ პრეზიდენტი დააპატიმრეს, იტალიაში არავინ გამოსულა მის დასაცავად და არ უთქვამს — ამ კაცს საქველმოქმედო ღონისძიებები აქვს ჩასატარებელი და რას გადაეკიდეთო. არავის მოსვლია აზრად, ქველმოქმედების გამო მისთვის დანაშაულის პატიება მოეთხოვა. თუმცა სავსებით სწორი იყო შენიშვნა იმის თაობაზე, რომ დაპატიმრებისას არ შეიძლება შიშველი ადამიანების ტელევიზიით ჩვენება. ვფიქრობ, სამართალდამცველებისთვის არც არაკორექტული ქცევის გამო შენიშვნის მიღება იქნება პრობლემა და არც მისი გამოსწორება.

გაყეყეჩების ძველი პერიოდი არ უნდა გაგრძელდეს — ადრე, ვისაც პრეზიდენტისთვის გამარჯობა ჰქონდა ნათქვამი, თავი ქუდში ჰქონდა. მიხეილ სააკაშვილი არ არის იმ ყაიდის კაცი, ნაცნობ-მეგობრობას გამოეკიდოს. ადამიანისთვის გამარჯობის თქმა და პროკურატურის გადაწყვეტილება სხვადასხვა რამ არის. ალბათ ზოგიერთს ისიც ჰგონია, ოქრუაშვილი ვინმეს დაჭერას რომ გადაწყვეტს, ტელეფონით ამცნობს მის გვარს სააკაშვილს. პიროვნული თვისებებიდან გამომდინარე, წარმოუდგენელია, ირაკლი ოქრუაშვილმა ასეთი რამ გააკეთოს. ალბათ არის საკითხები, რომელთა შესახებ პრეზიდენტმაც იცის, მაგრამ მერწმუნეთ, ოქრუაშვილი თავის ყველა ნაბიჯს (განსაკუთრებით დაპატიმრების შესახებ) მასთან არ ათანხმებს.

— **ამბობენ, რომ 28 მარტის შემდეგ პრეზიდენტი მინისტრთა კაბინეტის სერიოზულ გადახალისებას გეგმავს...**

— პრეზიდენტს სრულიად არა აქვს ანტაგონიზმი მინისტრთა კაბინეტის მიმართ და არც ვინმეზეა ჩასაფრებული. მთავრობა წარმოუდგენლად მძიმე პირობებში მუშაობს და არ უნდა ჰქონდეს იმის განცდა, ვიღაც კრიტიკულად გვაკვირდება და ნაკლს გვიძებნისო. თუმც ეს არ ნიშნავს იმას, რომ არც ერთი მინისტრი არ შეიცვლება. პრემიერს კანონით აქვს მინისტრთა კაბინეტის 1/3-ის შეცვლის უფლება, მაგრამ ამას ვინმეს დასასჯელად არ გამოიყენებს.

ხელისუფლების უპირველესი საზრუნავია აუსრულოს ხალხს ის, რასაც დაჰპირდა. როდესაც ქვეყანაში ხალხი შიმშილით კვდება და წამალს ვერ ყიდულობს, მხოლოდ იმაზე ლაპარაკი — ევროკავშირსა და ნატოში უნდა შევიდეთო, სასაცილო იქნება. ხელისუფლებამ უპირველესად იმ ხალხის გადარჩენაზე უნდა იფიქროს, რომელიც მას ენდო.

— **მინდა, თქვენს ძველ თანაპარტიელებზე, ტრადიციონალისტებზე გკითხოთ.**

— მათზე კომენტარს არ ვაკეთებ. განა იმიტომ, რომ სათქმელი არაფერი მაქვს, უბრალოდ, ეს ჩავლილი ამბავია. მათი მისამართით ერთი რეპლიკაც კი არ გამიკეთებია და ისევ მათთვის მიმინდვია ეს საშური საქმე...

# „არ შეიძლება ადამიანების ასე ქუჩაში გაყრა“

*(დასაწყისი იხ. გვ. 6)*

ექსპორტის მოკვლა ხომ ადგილობრივი, ეროვნული წარმოების განადგურებაა? ნებისმიერ ბიზნესმენს კაპიტალი უცხოურ ვალუტაში აქვს დაბანდებული, კურსის ასეთმა რყევამ კი ყველაფერი თავდაყირა დააყენა. მახსოვს, 1998 წელს, ჩვენი ცნობილი ექსპერტები ამბობდნენ, რუბლის კურსის დაცემა საქართველოზე არ იმოქმედებსო. იმოქმედა კი არა, დაგვანგრია რუბლის გაუფასურებამ. მას შემდეგ ჩვენი ეკონომიკა ფეხზე ველარ დადგა და როგორ შეიძლება ჩვენს მრეწველობაზე არ იმოქმედოს დოლარის ვარდნამ მაშინ, როდესაც საქართველოში ლარზე თითქმის სამჯერ მეტი დოლარი ბრუნავს. ასეთი ვითარების გამოსწორებას სწორი ეკონომიკური პოლიტიკა და სახელმწიფო ნება სჭირდება. ამისკენ უნდა იყოს მთავრობის მთელი ძალისხმევა მიმართული. ჩვენთან კი რა ხდება, მინისტრები თანამშრომლების სამსახურიდან გაშვებით არიან დაკავებულნი, — 40 წელზე ასაკის ზემოთ ხალხი არ გვინდაო. დავიჯეროთ, ყველა უვიცი და უუნაროა?! სად წავიდეს ეს ხალხი, კერძო სექტორი ხომ ვერ დაასაქმებს ყველას? როდის მოიზიდავს სახელმწიფო ინვესტიციებს, რომ საწარმოები აამუშაოს და იქ დაასაქმოს ეს ხალხი? არ შეიძლება ადამიანების ასე ქუჩაში გაყრა. ყველა უწყებამ და ორგანიზაციამ თავის თანამშრომელზე უნდა იზრუნოს. როდესაც ადამიანი წლობით კეთილსინდისიერად გემსახურება, მასზე უნდა იზრუნო მაშინაც კი, როდესაც დაითხოვ. ჩვენი ახალგაზრდა მინისტრები კი სხვანაირად ფიქრობენ. არ შეიძლება, ჩემო კარგებო, ამის გაკეთება, უსამართლობა იქნება.

— **როდესაც გოგი თოფაძე პრეზიდენტმა მოსკოვში ყოფნისას იახლა, ითქვა, — „მრეწველების“ პარლამენტში შეყვანაზე ხელისუფლება იზრუნებს, თოფაძის გუნდთან მთავრობას გარიგება აქვსო.**

— ხომ გახსოვთ, შევარდნაძის დროსაც ასევე ამბობდნენ და მერე აღმოჩნდა, რომ „მრეწველები“ დავრჩით პარლამენტის გარეთ. არავისთან არ ვართ გარიგებულები. ყველასთან სიამოვნებით ვითანამშრომლებთ, განსაკუთრებით კი ახალგაზრდა პრეზიდენტთან, რომელსაც ნამდვილად სურს ქვეყნის ფეხზე დაყენება. ვერავინ დამარწმუნებს, — სააკაშვილს საქართველოს აღორძინება არ უნდაო. არ არის იმ ასაკში, ქვეყანაში სტაგნაცია სურდეს და ფიქრობდეს, — ეს ხუთი წელი გადავაგორო და მერე წყალსაც წაუღია ყველაფერიო. პრეზიდენტი უნდა დაეყრდნოს პროფესიონალების აზრს, რომელ პოლიტიკურ ბანაკშიც არ უნდა იყვნენ ისინი.

თუ სააკაშვილი დანაპირებს გადაუხვევს და ქვეყანას არასწორი გზით წაიყვანს, მაშინ დავუპირისპირდებით, მაშინ გავუწევთ ოპონირებას, ხოლო თუ ჩვენც აზრს გვკითხავს, მოგვისმენს და ქვეყანას ააშენებს, რაღა გვექნება მასთან სადავო?!



# შოკის მომგვრელი სანახაობა...

## „პოლიცია მარტო აჭარაში არ სცოდავს“

აბაშიძის გულშემატკივრები პოლიტიკური ოპონენტების ანგარიშსწორებიდან ჟურნალისტების ცემა-ტყეპასა და თავპირის დასისხლიანებაზე გადავიდნენ. გასულ კვირას მათი მსხვერპლი „რუსთავი 2“-ის ჟურნალისტი ვახტანგ კომახიძე აღმოჩნდა. აჭარელი სამართალდამცველების განცხადებით, — კომახიძე აგენტურული საქმიანობის გამო დაისაჯა(?!) — მას ასლან აბაშიძისა და მისი სანათესავოს ქონების შესახებ ინფორმაციის შეგროვება აგენტობად ჩაუთვალეს... თუკი კობა დავითაშვილისა და დავით ბერძენიშვილის გამლახავები აბაშიძემ „ვერ იპოვა“, სამაგიეროდ, ცნობილია იმ პირის ვინაობა, რომელმაც კომახიძე სცემა. ბატონ ასლანს ალბათ მოუწევს დამნაშავისთვის პასუხის მოთხოვნა და ალბათ იმასაც ვერ იტყვის, ინციდენტის დროს ბათუმში არ ვიმყოფებოდი, თორემ ასეთი რამ არ მოხდებოდაო.

მომხდარის შესახებ კომენტარი თბილისში აჭარის წარმომადგენლობის ხელმძღვანელს, ბატონ **ჰამლეტ ჭიპაშვილის** ვთხოვეთ:

— ინციდენტზე შს მინისტრის განკარგულებით სისხლის სამართლის საქმეა აღძრული. დარწმუნებული ვარ, ამ შემთხვევაში მაინც გაირკვევა რამე. ეს ისედაც არასასიამოვნო ამბავი არც აჭარის ხელისუფლებისთვის არის სასარგებლო. ეს ინციდენტი ჩირქს სცხებს აჭარის ხელისუფლებას. აუცილებელია ამ საქმის სასწრაფოდ გამოძიება, რათა ბოლოს და ბოლოს, გაირკვეს, ვინ აკეთებს ასეთ რამეებს.

— **თქვენ გამორიცხავთ, რომ ამ საქმეში აჭარის ხელისუფლების წარმომადგენლები ერიონ?**

— თუ ლოგიკას მივყვებით, მიუღებელია არჩევნების წინ ხელისუფლებას საკუთარი ყელის გამოსაჭრელი დანა გაელესა. ვფიქრობ, ეს ჩაიდინა ძალამ, რომელსაც აჭარის ხელისუფლების დისკრედიტაცია აქვს განზრახული.

— **აქამდე ვიცოდით, რომ ასლან აბაშიძე აჭარაში ყველაფერს აკონტროლებდა (როგორც თავად ამბობს), რომ იქ დამნაშავეები ვერ პარპაშობდნენ, თუმც თქვენ საწინააღმდეგოს მეუბნებით, ისეთი ძალის არსებობას ადასტურებთ, რომელიც აბაშიძესაც ვერ მოუთოკავს.**

— ბათუმში სტუმრობისას ბატონი შვიმერი თავად შეიქნა მოწმე ადამიანთა ორი ჯგუფის, ორი ძალის დაპირისპირებისა. ბატონ ასლანთან საუბრისას მან თქვა, ასეთ ვითარებაში პოლიციამ უნდა იზრუნოს წესრიგსა და ხალხის დაწყნარებაზეო. აქამდე ბათუმში საპროტესტო გამოსვლები არ ყოფილა და არ გამოვრიცხავ, რომ შექმნილი ვითარების გამო აჭარის ხელისუფლება დაბნეული იყოს, შესაძლოა, პოლიციაც სცოდავდეს ან გულგრილი მაყურებლის როლში იყოს... პოლიცია მარტო აჭარაში არ სცოდავს. მთელმა საქართველომ ნახა ტელევიზიით, როგორ დაჟეჟეს პოლიციელებმა ქუთაისში მოსახლეობა. ცუდია, როდესაც პოლიცია ამას სჩადის, ასეთ საქციელს გამართლება არ აქვს. თუმცა აჭარაშიც ხშირია სამართალდამცველების პროვოცირება.

— **ვისი მხრიდან?**

— კონკრეტულად ვერ გეტყვით, მაგრამ ვიცი, რომ არსებობს ძალა, რომელიც დიდ თანხებს ხარჯავს აჭარის ხელისუფლების შესაცვლელად. არ გამოვრიცხავ, რომ თანხები უცხოეთიდანაც შემოდიოდეს. ეს გახლავთ კარგად დაგეგმილი, მიზანმიმართული ქმედებები, რომლებშიც ადგილობრივი მცხოვრებლები (გულისხმობს „კმარას“ აქტივისტებს) მონაწილეობენ განსაზღვრული ანაზღაურების ფასად. ამასთან, ბათუმსა და ქობულეთში „მოღვაწეობისთვის“ გაცილებით მეტ ფულს უხდიან, ვიდრე თბილისში პლაკატების გაკვრაში.

— **ვახტანგ კომახიძე ასახელებს მათ ვინაობას, ვინც სცემა, ერთ-ერთი მათგანი ბათუმის კრიმინალური პოლიციის უფროსის მოადგილე ვაჟა თაბაქიძეა.**

— ვერ ვიტყვი, ისეთ სისულელეს, რომ ჟურნალისტმა თვითონ გალახა საკუთარი თავი. რადგან თავდამსხმელების ვინაობა ცნობილია, იმედია, გამოძიებას ბოლომდე მიიყვანენ.

დარწმუნებული ვარ ბატონი ასლანი თავად დაინტერესდება დანაშაულის გახსნით. როგორ შეიძლება ვინმეს მოსწონდეს ჟურნალისტის ცემის ფაქტი, მიუხედავად იმისა, რაც უნდა ჩაიდინოს და რაც უნდა თქვას მან.

— **ითქვა, კომახიძე „განსაკუთრებულად“ იმიტომ დაისაჯა, რომ „აკრძალული ხილი“ — ასლან აბაშიძისა და მისი სანათესავოს ქონება აინტერესებდაო.**

— რა შუაშია ბატონი ასლანის ქონება, რა, საზოგადოებამ არ იცოდა ბატონი ასლანის ქონების შესახებ? ან ისეთი რა ინფორმაცია მოიძია ვახტანგ კომახიძემ, რომ საზოგადოება შოკში ჩავარდნილიყო. ჩემთვის გაცილებით შოკისმომგვრელი დასისხლიანებული ჟურნალისტის დანახვა იყო.

*გვერდი მოამზადა*
*იზო რუკაძემ*

# „ხომ გეუბნებოდი, გაფრინდებაო!“



3 თებერვალს საქართველოს მოსახლეობის დიდი ნაწილი დედის დღეს, სუფრასთან, ჭიქით ხელში ხვდებოდა, მის პრეზიდენტს კი საბრძოლო მოიერიშის სახელური ეჭირა ხელთ და ჰაერში ვირაჟებს ატრიალებდა.

ჩვენი ახალგაზრდა და ენერგიული პრეზიდენტი საბრძოლო თვითმფრინავის პილოტობაზე (ცოტა ხნით მაინც!) რომ ოცნებობდა, ვიცოდით, მაგრამ ეს რომ დაგვეწერა, ვიღაცას შეიძლება დიდი საიდუმლოს გამხელა დაებრალებინა.

საბედნიეროდ, პრეზიდენტმა საბრძოლო Су-თი წარმატებით იფრინა და ახლა შეიძლება ამაზე დაწვრილებით ლაპარაკი.

ეს ასე მოხდა: 20 თებერვალს პრეზიდენტმა თავისთან მიიწვია თავდაცვის სამინისტროს საჰაერო ძალების (სულ ცოტა ხნის წინ სამხედრო-საჰაერო ძალებს სახელი გაუმარტივეს და ახლა საჰაერო ძალებად იწოდება) სარდალი და ათამდე სამხედრო პილოტი.

საჰაერო ძალების წარმომადგენლებისთვის სასიამოვნო სიურპრიზი იყო პრეზიდენტ სააკაშვილის საუბრის დედააზრი — საჰაერო ძალები საქართველოს შეიარაღებული ძალების ელიტად უნდა იქცესო! მანამდე ხომ ავიაცია მიგდებული ჯარების სახეობად ითვლებოდა, რადგან პირგამურული „გოლოვორეზები“ ყოფილ თავდაცვის მინისტრზე უფრო დიდ შთაბეჭდილებას ახდენდნენ, ვიდრე მოიერიშეებისა თუ შვეულმფრენების კაბინებში მსხდომი პილოტები.

მიხეილ სააკაშვილმა ქართველ პილოტებს ბევრი რამ აღუთქვა, თუმცა დაპირებებში არც მისი წინამორბედი ძუნწობდა და პრეზიდენტის კაბინეტიდან გამოსულ მფრინავებს გულში ეჭვი მაინც დარჩათ.

თუმცა, ბევრისთვის მოულოდნელად, მეორე დღესვე, მარნეულის საავიაციო ბაზაზე მართლაც გაჩაღდა სარემონტო სამუშაოები — დაიწყო სამხედროთა ოჯახების ხუთსართულიანი საცხოვრებელი სახლის გადახურვა.

დაგეგმილია სასადილოს შეკეთება და აეროდრომის მახლობლად მდებარე მიწების სამხედროთათვის დარიგება. პრეზიდენტმა ქვემო ქართლის გუბერნატორს დაავალა ამ სამხედრო ბაზის შეფობა და ყველა საყოფაცხოვრებო, პირველ რიგში კი, უშუქობის პრობლემის მოგვარება.

***ჩვენი დოსიე:*** **საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საჰაერო ძალების დეპარტამენტში დღეს 1200-მდე კაცი მსახურობს. მის დაქვემდებარებაშია ცენტრალური საკომანდო პუნქტი; ორი საავიაციო ბაზა — მარნეულსა და ალექსეევკაში; ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის ბაზები თბილისა (მახათის მთაზე) და ფოთში (მალთაყვა); საავიაციო კომენდატურები — ვაზიანი, კოპიტნარი და თელავი; აგრეთვე საავიაციო-ტექნიკური ბაზა თბილისში და ვარციხის საბრძოლო მასალების ბაზა.**

**საჰაერო ძალების შეიარაღებაშია 7 ერთეული მოიერიშე Су-25; ჩეხოსლოვაკიის წარმოების 9 ცალი სასწავლო-საბრძოლო თვითმფრინავი L-29 „დელფინი“; 2 ერთეული საბჭოთა წარმოების სამხედრო-სატრანსპორტო Ми-8 და ამავე დანიშნულების ამერიკული წარმოების 7 ერთეული UH-1H შვეულმფრენი (3 საბრძოლო Ми-24, 2 ცალი ამფიბია Ми-14 და 2 ერთეული Ми-2 კვლავ უკრაინაშია სარემონტოდ, მაგრამ შეიძლება მათი დაბრუნების პროცესი დაიძრას); „მიწა-ჰაერი“ კლასის С-125 ტიპის სამი საზენიტო-სარაკეტო კომპლექსი და 11 რადიოლოკატორი.**

კარგია, რომ უმაღლესმა მთავარსარდალმა, უპირველესად, შეიარაღებული ძალების პირადი შემადგენლობის საოჯახო პრობლემებს მიაქცია ყურადღება, რადგან დღემდე, საბჭოთა არმიისა არ იყოს, ქართულ ჯარშიც მეთაურობა უწინარესად მხოლოდ საბრძოლო ტექნიკის გამართულობაზე ფიქრობდა (თუმცა ესეც საკითხავია) და თვეობით უხელფასოდ დარჩენილი ოფიცრებისა და ზემდეგების ოჯახები სოციალურად დაუცველნი რჩებოდნენ.

პრეზიდენტი სააკაშვილი საჰაერო ძალების სარდალს, ბრიგადის გენერალ ამირან სალუქვაძეს შეჰპირდა, რომ სამხედრო ავიაციას არ მოაკლდება საავიაციო საწვავი; მისი სიმცირის გამო ჩვენი Су-25-ების პილოტები წელიწადში 15-20 სთ-ს თუ დაფრინავენ, ისიც პრეზიდენტის თვითმფრინავის გაცილების ხარჯზე, არადა წელიწადში 150-200 სთ მაინც უნდა იფრინონ.

ამ, არც ისე მცირე შესავლის შემდეგ მოგახსენებთ პრეზიდენტ სააკაშვილის მიერ დედის დღეს განხორციელებულ ფრენაზე საბრძოლო მოიერიშით.



Эскадрилия „Летучих мышей“ ანუ „ეს რა იკადრა მფრინავმა მიშამ!“

3 თებერვლის დილას პრეზიდენტი, ყველასაგან მოულოდნელად, შვეულმფრენით (ოღონდ არა შევარდნაძისეულით!) გუდაურს ეწვია, იქიდან დაბრუნებული კი ალექსეევკის ბაზაზე დაჯდა, სადაც მას უკვე ელოდებოდა გასაფრენად გამზადებული ორადგილიანი, სასწავლო-საბრძოლო Су-25УБ მოიერიშე თვითმფრინავი. სააკაშვილს ადგილზევე ჩაუტარეს წინასაფრენოსნო სამედიცინო შემოწმება — გაუსინჯეს წნევა და პულსი. შეამოწმეს, ხომ არ ჰქონდა მიღებული ალკოჰოლი. შემდეგ მოიერიშის უკანა კაბინაში ჩასვეს, სადაც მას ნახევარი საათის განმავლობაში უხსნიდნენ, როგორ უნდა დაემყარებინა რადიოკავშირი და გამოეყენებინა კატაპულტი, თუ ამის აუცილებლობა წარმოიქმნებოდა. პრეზიდენტს პილოტის ალკაზმულობა ჩააცვეს და თავზე სპეციალური მუზარადი დაახურეს.

ჰაერში აფრენამდე საგანგებო ბრძანებით შეწყდა ყველა ფრენა თბილისის საჰაერო სივრცეში, ხოლო პრეზიდენტის აფრენილ Су-25УБ-ს, საბორტე ნომრით 21, კუდში გაჰყვა №16 საბრძოლო Су-25, რომელიც, საჭიროების შემთხვევაში, პრეზიდენტის თვითმფრინავს გადაეფარებოდა და შესაძლო გაშვებულ საზენიტო რაკეტას თავის თავზე მიიღებდა.

პრეზიდენტი სააკაშვილი რუსთავის, თბილისის ზღვის, გლდანის და მესამე მასივის თავზე 1000 მ-ის სიმაღლეზე 600-700 კმ/სთ სიჩქარით, 12 წუთი საჰაერო ძალების დეპარტამენტის შტაბის უფროსმა, პოლკოვნიკმა ედუარდ გოგიაშვილმა აფრინა, რომელსაც საგანგაშო სიტუაციაში თურმე აკრძალული ჰქონდა კატაპულტის გამოყენება მანამდე, სანამ პრეზიდენტი მშვიდობიანად არ დატოვებდა მოიერიშეს!

პრეზიდენტ სააკაშვილის ფრენა საბრძოლო თვითმფრინავით, რაღაცით წააგავდა 2000 წელს, ჩეჩნეთში, რუსეთის პრეზიდენტ პუტინის სასწავლო-საბრძოლო Су-27УБ-ით საჰაერო ვოიაჟს. წესით, ჰაერში არავითარი პრობლემა არ უნდა გაჩენილიყო, თუმცა ბევრს ეშინოდა საქართველოს ახალგაზრდა პრეზიდენტის რეაქციისა, რომ მას კაბინაში რაიმე ხელსაწყოსთვის ზედმეტად ხელი არ ეხლო.

პრეზიდენტის საჰაერო ნათლობა, საბედნიეროდ, უხიფათოდ დამთავრდა, ერთი ესაა, რომ საჰაერო ძალების სარდალს, ბრიგადის გენერალ სალუქვაძეს იმ 12 წუთში ჭაღარა მოემატა ნერვიულობისგან, მით უმეტეს, რომ ზურგს უკან გენპროკურორი ოქრუაშვილი ედგა.

თვითმფრინავის დაჯდომისთანავე პრეზიდენტს კვლავ ჩაუტარდა სამედიცინო შემოწმება, მისი ჯანმრთელობა წესრიგში აღმოჩნდა, თავად პრეზიდენტი კი აღტაცებას ვერ მალავდა.

პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს საფრენოსნო წიგნაკი გაუხსნეს. იგი, ეტყობა, კვლავ გააგრძელებს ფრენას საბრძოლო თვითმფრინავებითა და შვეულმფრენებით. პრეზიდენტზე ცოტა გამწყრალმა შს მინისტრმა გიორგი ბარამიძემ (რომლის გარეშეც სააკაშვილმა შინაგანი ჯარების ნაწილს განგაში მოუწყო) პრეზიდენტის ფრენის ამბის გაგებისთანავე ტელეკამერის წინ გახარებულმა წამოიძახა: „ხომ გეუბნებოდი, გაფრინდებაო!“ გაფრინდა კიდეც.



# ჩოლოქი დაპირისპირების ადგილად არ უნდა იქცეს!

## „შეტყუების პოლიტიკამ“ ოფიციალურ თბილისს საბედისწერო ნაბიჯი არ უნდა გადაადგმევინოს

ზუსტად 12 წლის წინ, აფხაზი სეპარატისტების ლიდერი და, ამავე დროს, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ვლადისლავ არძინბა აცხადებდა, რომ იგი აიძულებდა ქართველებს, ტანკებით შესულიყვნენ აფხაზეთში...

სამწუხაროდ, ეს გამართლდა, რაშიც სეპარატისტების ლიდერის სურვილს ხელი შეუწყო როგორც მოსკოვიდან დაგეგმილმა „გალიზიანების“ პოლიტიკამ, ასევე რუსეთის მიერ იმ პერიოდში, თითქოსდა საგანგებოდ, სასწრაფოდ გადმოცემულმა ტანკებმა და არტილერიამ და, რა თქმა უნდა, თბილისში, ხელისუფლებაში (ისევე, როგორც თავდაცვის სამინისტროში) მოკალათებულმა იმ მაღალჩინოსნებმა, რომლებიც, არძინბასთან ერთად, შეიძლება შეუგნებლად (სხვები კი შეგნებულად!) მოსკოვის თამაშს თამაშობდნენ.

რა მოხდება დღეს აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში? არძინბასი არ იყოს, ასლან აბაშიძეც თითქმის ყველანაირად უარყოფს „ვარდების რევოლუციის“ შედეგად მოსულ ახალ, ახალგაზრდა პრეზიდენტ სააკაშვილის ძალაუფლებას. ჟურნალისტების დარბევისა და ცემის შემდეგ ბათუმის ქუჩებში დემონსტრაციულად გამოჩნდა იქ მდგარი რუსული მე-12 სამხედრო ბაზის მძიმე საბრძოლო ტექნიკაც.

ამის პარალელურად, პრეზიდენტი სააკაშვილი გარკვეულ ვადას აძლევს აბაშიძეს და თან, შეიძლება საგანგებოდაც, აფიშირებას უწევს სამხედრო ნაწილებში თავის ვოიაჟებს...

ძნელია იმის დაჯერება, რომ აფხაზეთის ვარიანტი განმეორდება, თუმცა, ისიც ფაქტია, რომ ყოველდღე კი არა, ყოველ წუთს იძაბება ურთიერთობა ცენტრსა და ბათუმს შორის.

აჭარაში ძალით შესვლა იქნება ის უდიდესი შეცდომა, რაც ახალმა ხელისუფლებამ შეიძლება დაუშვას, რადგან იმავე წუთში მოვლენებში ჩაერევა აჭარაში მდგარი რუსული სამხედრო ბაზის საბრძოლო ტექნიკა და პირადი შემადგენლობა. გაჩნდება ახალი შეიარაღებული კონფლიქტი, რომელიც ძალაუნებურად დააპირისპირებს ქართველ ხალხს ჩოლოქის ორივე მხრიდან.

შესაბამისად, გაჩნდება ახალი შეიარაღებული დაპირისპირების კერა, რომელიც შთანთქავს ახალი, ნორმალური საქართველოს ასაშენებლად საჭირო ყველა რესურსს.

შედეგად — მე-12 რუსულ სამხედრო ბაზას გაუჩნდება უზარმაზარი „შანსი“, გახდეს იმ სამშვიდობო ძალების მთავარი ბირთვი, რომელიც, ვითომდა მებრძოლი მხარეების დასაშორებლად და მშვიდობის დასამყარებლად „ჩადგება ჩოლოქზე“(!).

ოფიციალურ თბილისს უნდა ეყოს მოთმინება და არ აჰყვეს აჭარის მეთაურის მიერ წარმოებულ „შეტყუების“ პოლიტიკას.

ექსკლუზივი

# „საუკუნის ქურდობა“ იაღლუჯაზე

## ამერიკელ სამხედროებს 150 ათასი დოლარი სეიფიანად მოჰპარეს



ვიღაცას ამერიკელებისთვის ხელფასი მოუპარავს, თუ დაიჭირეს, ბასტა!

შენს დასახმარებლად მოსულ ადამიანს რომ გაძარცვავ — ამაზე დიდი საშინელება რა უნდა იყოს.

სხვას ვერაფერს უწოდებ იმას, რაც 3 თებერვალს, გამთენიისას, მოხდა კრწანისის სასწავლო ცენტრის ამერიკულ დასახლებაში, სადაც ამერიკელი ინსტრუქტორები „წვრთნისა და აღჭურვის“ პროგრამის ფარგლებში ასობით ქართველ სამხედროს ასწავლიან. ამ სამარცხვინო ფაქტის აფიშირებისგან ქართველი სამართალდამცავები თავს იკავებდნენ.

მთავარი სამხედრო პროკურატურის ქვემო ქართლის „ვაზიანის“ რეგიონული სამხედრო პროკურატურის უფროსის, იუსტიციის პოლკოვნიკის, ავთანდილ (დავით) კალმახელიძის განცხადებით, საერთო ჯამში, მოპარულია 150 ათას დოლარამდე, თანხის ნაწილი ლარი გახლდათ.

ქურდებმა ძალაყინით გააღეს პლასტმასისგან დამზადებული კარფანჯარა, შევიდნენ ერთსართულიანი სახლის ოთახში, სადაც სეიფი (ზომით დაახლოებით 50X50 სმ, იწონის 80 კგ-ს) ინახებოდა და უხმაუროდ წაიღეს.

ამ ოთახს სიგნალიზაცია არ ჰქონდა, თუმცა ამერიკელების დასახლება შემოღობილი სამხედრო ნაწილის შუაგულშია და დამატებითი, მავთულხლართებიანი ღობეც აკრავს გარს. მას, ქართველი სამხედროების გარდა, საგანგებოდ დაქირავებული დაცვის სამსახურის თანამშრომლებიც იცავენ, დაყენებულია სათვალთვალო ვიდეოკამერებიც...

მაგრამ რად გინდათ. ამ, ერთი შეხედვით კარგად დაცული ობიექტიდან, უხმაუროდ და უკვალოდ გაქრა დოლარით გატენილი სეიფი!

აღსანიშნავია კიდევ ერთი გარემოებაც: აეროპორტში დაშვებისას თვითმფრინავის ილუმინატორიდან რომ გადმოხედოთ ზამთრის თბილისსა და მის ავბედითად ჩაბნელებულ შემოგარენს, ძალაუნებურად მიიპყრობს ყურადღებას ორი მკვეთრად განათებული ადგილი. ერთი ვაზიანის სამხედრო ბაზის ტერიტორიაა, სადაც ამერიკელ სამხედროებს თავისი საწყობების გარშემო დღედაღამ უნთიათ მძლავრი ლამპიონები, მეორე კი იაღლუჯაზე, კრწანისის სასწავლო ცენტრის ის ამერიკული დასახლებაა, საიდანაც ფულით სავსე სეიფი მოიპარეს 3 თებერვლის განთიადზე.

ასე რომ, ანდაზა, ქურდს რა უნდა და ბნელი ღამეო, ნამდვილად არ ყოფილა მართალი.

ამჟამად ქვემო ქართლის „ვაზიანის“ რეგიონული სამხედრო პროკურატურა აგრძელებს ინტენსიურ ძიებას — დაჰკითხავენ დაცვის თანამშრომლებს, იქ მომუშავე მძღოლებს და სხვა პერსონალს. შემთხვევის ადგილზე მიყვანილმა ძაღლმა გეში ბოლომდე ვერ აიღო, მაგრამ ექსპერტიზამ, ჩვენი ინფორმაციით, ხელჩასაჭიდს მაინც მიაგნო.

# მათ სხვა დროშა და სხვა ხელისუფლება დახვდათ

## ერაყიდან ქართული სამშვიდობო კონტინგენტი უდანაკარგოდ დაბრუნდა



14-მა ქართველმა მენაღმემ და სამ ათეულამდე მათმა ამერიკელმა კოლეგამ ნახევარ წელიწადში 28 მლნ-ზე(!) მეტი ჭურვი, რაკეტა და ნაღმი გაანადგურეს ერაყში

2003 წლის 3 აგვისტოს ერაყში ჩასული 70 ქართველი სამხედრო სამშობლოში 2004 წლის 2 მარტს დაბრუნდა, საბედნიეროდ, მსხვერპლის გარეშე. სწორედ ეს გახლავთ ქართველი სამხედროების ყველაზე დიდი მიღწევა, რადგან პოლონეთისა და უკრაინის სამშვიდობო კონტინგენტების პირადმა შემადგენლობებმა იქ გარკვეული დანაკლისი განიცადეს, რომ აღარაფერი ვთქვათ თავად ამერიკელ სამხედროებზე.

შინ დაბრუნებულ ქართველ სამხედროებს თავდაცვის სამინისტროს ახალი ხელმძღვანელობა, გენშტაბის ახალი უფროსი, ახალი დროშა და ახალი ხელისუფლება დახვდათ და, რაც მთავარია, შვიდი თვის მონატრებული ოჯახის წევრები შეეგებნენ, რომელთა შეხვედრა ძალზე ემოციური გახლდათ.

შარშან, 21 აგვისტოს ქართველ სამხედროებს ერაყში დიდი ინციდენტი შეემთხვათ, რომელიც მართლაც შეიძლებოდა მსხვერპლით დამთავრებულიყო. დღეს ცნობილი ხდება ამ შემთხვევის ყველა დეტალი: ქართველი მენაღმეები აგროვებდნენ ჭურვებს, რათა შემდგომ გაენადგურებინათ. ერთ-ერთმა ტომრიდან გადმოყარა დენთის კოჭები, რომლებიც მოულოდნელად აალდა და ოთხმა მენაღმემ მე-2-3 ხარისხის დამწვრობები მიიღეს. საბედნიეროდ, კოჭები არ აფეთქებულა, თუმცა იქვე თავმოყრილი რაკეტების ძრავები ამუშავდა და რაკეტები აქეთ-იქით გაფრინდნენ.

ოთხივე მენაღმეს აშშ-ში უმკურნალეს (ამის შესახებ „კვირის პალიტრა“ წერდა). სამი ისევ ერაყში დაბრუნდა, ერთი კი სამშობლოში.

მეორედ, ქართველი მენაღმეები ნამდვილად განგებამ დაიფარა. წლეულს, 7 იანვარს, მათ ქრისტეშობის წმინდა დღესასწაული აღნიშნეს და ამიტომ სამუშაოზე არ გასულან. მათი კოლეგები — აშშ-ის მე-4 მექანიზებული დივიზიის 299-ე საინჟინრო ბატალიონის ასეულის (მათთან ერთად ქართველმა მენაღმეებმა სულ 28 მლნ 800 ათასი სხვადასხვა ტიპის ჭურვი, ნაღმი, რაკეტა და ასაფეთქებელი მოწყობილობა გაანადგურეს) მენაღმეები მოვალეობის შესრულებას შეუდგნენ. ერთ-ერთი მათგანის მიერ შორიახლოს მოსროლილი ჭურვის ამფეთქი აფეთქდა და 8 კაცი მძიმედ დაიჭრა.

ყველაზე დიდი პრობლემა, რაც ქართველ სამხედროებს ერაყში შეექმნათ, აუტანელი სიცხე გახლდათ. ერაყში ჩაფრენისთანავე, სხვადასხვა ბიუროკრატიული მიზეზით, ქართველები (კოჯრის სპეცდანიშნულების ოცეული და მენაღმეები) ერთ დიდ ბუნკერში მოათავსეს, სადაც აუტანლად ცხელოდა. ამერიკელების ნაჩუქარი მაცივარი კი უშუქობის გამო, ცხადია, არ მუშაობდა. დღეში რამდენიმე ლიტრ წყალს სვამდნენ, რომელსაც ძალზე ორიგინალური მეთოდით აცივებდნენ — წყლით სავსე რუსული წარმოების ლითონის მათარებს სველ წინდაში დებდნენ და ჰაერში ატრიალებდნენ. ამერიკელები თავიდან გაკვირვებულნი უყურებდნენ ქართველებს, რომლებიც სხვადასხვა ფერის წინდებს გამუდმებით აფრიალებდნენ და მერე წინდის „ყელიდან“ რაღაცას სვამდნენ.

შემდგომში ქართველი სამხედროების საყოფაცხოვრებო პირობები შესამჩნევად გამოკეთდა და აღარც კვებას უჩიოდნენ და არც დასვენებას.

თუმცა ალკოჰოლურ სასმელს ყველა ერიდებოდა, რადგან იმ აუტანელ სიცხეში დალევის სურვილი თავისთავად ქრებოდა. მაღაზიებსა და ბაზარში იშვიათად შეივლიდნენ, მაგრამ არანაკლებ სამი კაცისა, თანაც დატენილი და ჩახმახზე შემდგარი პისტოლეტებით — როდესაც ერთი რაიმეს ყიდულობდა, მეორე, იარაღით ხელში, მას ზურგს უფარავდა...

მუზარადებსა და ჯავშანჟილეტებში გამოწყობილ მენაღმეებს მუშაობა ღია ცის ქვეშ უწევდათ დილის 7 სთ-დან საღამოს 5 სთ-მდე — იქაურობა მოწითალო მორიელებით იყო სავსე, მათთან „შეხვედრა“ კი კარგს არაფერს უქადდათ. ქართველმა მენაღმეებმა, ისევე როგორც კოჯრის სპეცდანიშნულების ოცეულმა და სამედიცინო ჯგუფმა (ამ ჯგუფის წევრი რამდენიმე ექთანი კინაღამ ამერიკელ სამხედროებს მისთხოვდა), ერაყში შვიდთვიანი მივლინების შედეგად საკმაოდ კარგი გამოცდილება მიიღეს, რომელსაც, იმედია, საქართველოს საკეთილდღეოდ გამოიყენებენ.

# ფრანგული წარმოშობის ბერძნების კატარღა ქართული ფლოტისთვის

## იგი ქართული სამხედრო ფლოტის ფლაგმანი უნდა გახდეს

საბერძნეთის თავდაცვის სამინისტრო რომ საქართველოს საზღვაო თავდაცვის ძალებისთვის სარაკეტო კატარღის ჩუქებას აპირებდა, „კვირის პალიტრამ“ ადრეც იცოდა, მაგრამ რადგან არაოფიციალური მოლაპარაკებები ჯერ არ დამთავრებულა, მოვლენებს არ გავუსწარით.

მაგრამ რახან სააგენტოების საიტებზე მწირი ცნობები უკვე გამოჩნდა, ამიტომ უფრო ამომწურავ ინფორმაციას მივაწოდებთ მკითხველს.

ლაპარაკია 1971 წელს დამზადებულ, ფრანგული წარმოების La Combatante-ს ტიპის სარაკეტო კატარღაზე, რომელიც საბერძნეთის სამხედრო ფლოტმა საფრანგეთისგან იყიდა. საერთოდ, 33 წელი ძალიან დამაფიქრებელი ასაკია, მაგრამ 20-30 წლის სტაჟი სამხედრო გემებისთვის მაინცდამაინც კრიტიკულად არ ითვლება. გვაიმედებს ის გარემოება, რომ 1971 წელს ფრანგულ ტერიტორიულ წყლებში ჩაშვებულ კატარღას 2001 წელს ბერძნულ გემთსარემონტო ვერფზე კაპიტალური რემონტი ჩაუტარდა.

***ჩვენი დოსიე:*** **La Combatante-ს საბერძნეთის ფლოტში „იპოპლიარჰოს ბაცისი“ დაარქვეს და P17 ტაქტიკური ნომერიც მიანიჭეს. მისი წყალწყვა 255 ტ-ს აღწევს. კატარღის სიგრძე 47 მ-ია, სიგანე — 7,1 მ, ხოლო წყალქვეშა ნაწილის სიმაღლეა — 2,5 მ. კატარღაზე 40-კაციანი ეკიპაჟია, მათ შორის 4 — ოფიცერი. კატარღას აქვს თითო, 3.800 ცხ.ძ-ის სიმძლავრის 4 დიზელის ძრავა, რომლებიც მას საშუალებას აძლევს განავითაროს ცურვის მაქსიმალური სიჩქარე — 36,5 კვანძი (დაახლოებით 65,7 კმ/სთ).**

„იპოპლიარჰოს ბაცისად“ გადანათლული ყოფილი La Combatante არა მარტო სწრაფად ცურავს, რაც საერთოდ დამახასიათებელია სარაკეტო კატარღებისთვის, არამედ მეტ-ნაკლებად თანამედროვე სანავიგაციო და საცეცხლე სისტემებიც აქვს.



ბერძნების ნაჩუქარი ფრანგული სარაკეტო კატარღა ქართული სამხედრო ფლოტის ფლაგმანი შეიძლება გახდეს. დღემდე საბერძნეთს ორი საარტილერიო კატარღა აქვს ნაჩუქარი საქართველოსთვის.

მაგრამ P17-ის მთავარი კოზირი მისი შეიარაღებაა. 2 ერთეული 533 მმ კალიბრიანი ტორპედოს გამშვები აპარატის გარდა, მასზე დამონტაჟებულია ორი კოშკურა (გემბანის თავსა და ბოლოში), თითოეული ორ-ორი 35 მმ კალიბრიანი „ერლიკონის“ სისტემის ავტომატური ქვემეხით და, რაც მთავარია, „ხომალდი-ხომალდი“ კლასის MM38 Exocet-ის ტიპის რაკეტების 4 გასაშვები მოწყობილობა.

სწორედ ამ სარაკეტო შეიარაღების გამო ითვლება P17 ერთ-ერთ ყველაზე მრისხანე კატარღად, რომელსაც ფრეგატის ჩაძირვაც შეუძლია და კრეისერის სერიოზულად დაზიანებაც.

თუ ორმხრივმა მოლაპარაკებებმა შედეგიანად ჩაიარა და ყოფილმა ფრანგულმა კატარღამ ბინა ფოთის სამხედრო პორტში დაიდო, მას „ექსოსეტის“ მრისხანე რაკეტებს მაინც არ გამოაყოლებენ ისევე, როგორც ეს ქართული სამხედრო ფლოტის 206MP პროექტის სარაკეტო კატარღა „თბილისის“ შემთხვევაში მოხდა. იგი მერამდენე წელია, ცარიელი სარაკეტო შახტებით დაცურავს (თუმცა საზღვაო გადასვლებისას ამ მოზრდილი მოცულობის ორივე კონტეინერს ეკიპაჟი დამატებითი ტვირთის გადასატანად იყენებს).

თუ „იპოპლიარჰოს ბაცისი“ ათენმა მართლაც გვაჩუქა, მაშინ იგი „თბილისს“ ალბათ ფლაგმანის ფუნქციას ჩამოართმევს, თუმცა, სამწუხაროდ, „თბილისის“ „პრობლემები“ მარტო ამით არ დამთავრდება — გამჟღავნდა ფაქტები, რომ თავის დროზე, „თბილისის“ შესაძენად უკრაინაში გადახდილი იქნა ბევრად მეტი თანხა, ვიდრე ის ღირდა.

***რუბრიკა მოამზადა ირაკლი ალადაშვილმა***

***ყველაფერს ჩვენს არეულ დროს ნუ დავაბრალებთ. ზოგ რამეს ისტორია და მისი კანონზომიერება განაპირობებს, ზოგს გენეტიკა ან უბრალოდ, ახლო წარსული. ადამიანის ცნობიერება იმ გარემოში ყალიბდება, რომელშიც იზრდება და ცხოვრობს. იგი თავისი ბუნებით წამბაძველია — ზოგს პეტრე მოსწონს, ზოგს პავლე. დიდი ძალა აქვს პირად მაგალითსაც. მით უმეტეს, თუ ამას მშობელი იძლევა.***

***ამ ამბის გმირი მამა-შვილია და ტრაგედიაც აქედან იღებს სათავეს. არადა, თითქოს პირიქით უნდა იყოს, მაგრამ ამ შემთხვევაში ცუდ მაგალითზე მოგახსენებთ, რომლის შედეგი იმდენად გამაოგნებელია, რომ იშვიათად მოეძებნება ანალოგი.***

# ვერ მოვისვენებ, ვიდრე ცოცხალი დადის...



## ფესვები

მეორე მსოფლიო ომისდროინდელი ბიჭბუჭების უმეტესობა, რბილად რომ ვთქვათ, არცთუ მტკიცე ოჯახებში იზრდებოდნენ, ან ე.წ. „განაბოზის“ იდეით იყვნენ შეპყრობილები. ეს კი ყოჩობას, ხულიგნობასა და წვრილმან ქურდობას ნიშნავდა. მერე და მერე მათმა დიდმა ნაწილმა ხელი აიღო ამ სისულელეზე და შემდგომში შესანიშნავ პიროვნებებად — მეცნიერებად, სახელმწიფო მოღვაწეებად, ნორმალურ ადამიანებად ჩამოყალიბდნენ. თუმცა, ნაწილი ყმაწვილკაცური ცდუნების ტყვეობაში დარჩა და მარტო თავის თავს როდი ავნო ამით. შთამომავლობასაც ისე გადასდო ეს მძიმე სენი, ერთი წუთითაც არ უფიქრია, რომ ამის გამო პირადად უნდა ეგო პასუხი. ასე ცხოვრობდა ჩვენი გმირი გაბო სინაურიძე (გვარ-სახელები აქ და ქვემოთ შეცვლილია) მთელი ექვსი ათეული წელი. კაცი დაბერდა. შვილიშვილებიც წამოეზარდნენ, მაგრამ თავისას მაინც არ იშლიდა. თავის დროზე, ახალგაზრდობაში, დედმამა ჰყავდა გამწარებული. საბრალოები ისე დაასაფლავეს, შვილის სიგლახის გამო თავაწეულებს მეზობლებისთვისაც კი არ შეუხედავთ. ხან სად იჭერდნენ და ხან სად გაბოს, უმეტესად კი მატარებელში. ეს იყო მისი ხელობა. მაშინ ხომ ერთადერთი ტრანსპორტი მატარებელი იყო. ხალხიც ბუზებივით ეხვეოდა ჩაშავებულ, ჭუჭყიან ვაგონებს. ჰოდა, ამ ჭყლეტა-ჯგლეთით სარგებლობდნენ გაბო და მისი ძმაკაცები. ვინ ჯიბეებში დაძვრებოდა, ვინ ჩემოდანს ან ჩანთას იპარავდა. მერე თუ ვინმე რაიმე საშიშროების ნიშანს მისცემდა, ასევე ხროვად გადაეშვებოდნენ მატარებლიდან. ეს ერთადერთი სპორტული ილეთი ნამდვილად კარგად ჰქონდათ დამუშავებული. ისიც იყო — ერთხელ ერთმა გლეხმა გაბოს ძმაკაცი ჯიბეზე ჩალიჩის დროს რომ დაიჭირა და აღარ უშვებდა, გაბომ ამ კაცის გვერდით გაგორებულ ვეებერთელა ტიკს ყველასგან შეუმჩნევლად დანა ატაკა და წითელმა საფერავმა შადრევანივით რომ ამოასხა, საბრალო გლეხმა იმწამსვე უშვა ხელი გალეულ ჯიბის ქურდს და ტიკს დააცხრა გადასარჩენად. ხუმრობა ხომ არ იყო, ოჯახის თავკაცს ღვინო სამეგრელოში მიჰქონდა... სიმინდზე გადასაცვლელად. ასე გაჰქონდა თავი იმ შიმშილობის წლებში ხალხს.

ამჯერად კი გადარჩა, მაგრამ მოგვიანებით რკინიგზის სადგურში დებოშისთვის დაიჭირეს და ხულიგნობის მუხლით გაასამართლეს. ციხიდან ცოტა მოტეხილი გამოვიდა. მისიანებმა იფიქრეს — გვეშველა, დაჭკვიანებულაო და სასწრაფოდ ცოლი შერთეს, მაგრამ ის იყო, ტყუპი ბიჭი გაუჩნდა, რომ მეორედ ამოყო თავი ციხეში. ამჯერად იმდენად ხანგრძლივად, რომ ციხიდან გამოსულს ბიჭები უკვე წამოზრდილები დახვდნენ. გურამი ალიკვალი მამა იყო — გარეგნულადაც და ხასიათითაც. ცოტა ასაკი რომ მოემატა, მამასავით ისიც სასმელს მიეძალა და სიმთვრალეში ისეთივე ახირებული ხასიათი ჰქონდა, როგორც გაბოს.

— ამათზე იტყვიან, კვიცი გვარზე ხტისო, — ხუმრობდნენ სოფელში, თუმცა ხედავდნენ, საქმე სახუმაროდ აღარ იყო. სინაურიძეების ოჯახის თავზე საავდრო ღრუბელი გროვდებოდა.

ცნობილია, რომ არც ერთ გადაგვარებულ მშობელს არ უნდა, შვილი მას დაემსგავსოს. გაბოც არ იყო გამონაკლისი. მართალია, ასაკმა თავისი ქნა, ნაგვის მანქანაზე დაიწყო მუშაობა და ხელმრუდობას შეეშვა, მაგრამ ყოჩი მაინც ძველებურად ცხოვრობდა მასში. ერთ ჭერქვეშ მეორეც ასეთივე მეტისმეტად ბევრი იყო. არადა, გურამი უკვე იმ ასაკში იყო, როცა ახალგაზრდას განსაზღვრული მაინც უნდა ჰქონდეს სამომავლო ორიენტირი, მაგრამ ის დროს ტარების გარდა არაფერზე ფიქრობდა და კაცმა არ იცოდა, რას აკეთებდა სახლს გარეთ. სახლში კი ან ფული უნდა მოეპარა, ან რაიმე ნივთი, რომელსაც მერე ყიდდა. დათვრებოდა და რაც ხელთ მოხვდებოდა, ლეწავდა. ცოლი შერთეს. მასაც ორი ბიჭი შეეძინა, მაგრამ უფროსი ორი წლისაც არ იყო, ცოლ-შვილი რომ მიატოვა (მე კი მგონია, რომ ცოლმა ვერ იგუა უგვანი ქმარი).

## განაჩენი

ამავე დროს, მისი ტყუპისცალი ბადრი ისე განსხვავდებოდა გურამისაგან, როგორც ცა დედამიწისგან. დღედაღამ შრომობდა. დროდადრო მამასაც ცვლიდა სამსახურში. ერთორჯერ თითქოს გურამმაც მოსინჯა. მეც შეგეფარებითო და მამის მანქანით რამდენიმე რეისი გააკეთა ნაგავსაყრელზე. იქვე გაიგო, რომ ნაგავს მისეული ათასობით სული ღორიდან რამდენიმე მამამისისა ყოფილა. გაბოს თავის დროზე გამოუცხადებია — ეს ნაგავი აქ მე მომაქვს, ვიღაცები კი ღორებს ასუქებენ ჩემი ნაშრომითო. თუ თხუთმეტი სული ღორი ჩემს სახელზე არ გაიზრდება, თითო-ოროლას ყოველ ამოსვლაზე დავხოცავ და წავიღებ, იმასაც ვნახავ, ვინ მიჩივლებსო. ნაგავსაყრელების ღორების მაფიას ხმაური სულაც არ აძლევდა ხელს, თანაც სულ რაღაც თხუთმეტი ღორისთვის. ასე გაჩნდა ნაგავსაყრელზე გაბოს პატარა კოლტი.

— სამი დღე ვიმუშავე შენი მანქანით, ოცი ლარი მერგება და მომეცი. ქალაქში მივდივარ, დამჭირდება!.. — გამოუცხადა ერთ დილით გურამმა გაბოს.

— რამდენი ოცი ლარი გაქვს არმად შეჭმული, იმას აღარ ანგარიშობ? ოცდაათი წელია, მუქთად გინახავთ შენც და შენს შვილებს. სამი დღე იმუშავა და უკვე წილს ითხოვს ვაჟბატონი. ენა როგორ გიბრუნდება ფულის სათხოვნელად? — მიუგო გაბომ და იმის ნიშნად, შენთან ლაპარაკს აღარ ვაპირებო, კარი მიუჯახუნა.

**გამთენიისას მთვრალი დაბრუნდა გურამი შინ. გაბო უკვე სამსახურში იყო წასული. ჯერ გინებით აიკლო იქაურობა, მერე მიდგა და ყველაფერი დალეწა. არც ერთი ფანჯარა აღარ შეარჩინა სახლს. გამოფხიზლებული ნაგავსაყრელზე წავიდა, მამამისის თხუთმეტი ღორი დაკლა და დეზერტირის ბაზარში ნაცნობ მეხორცეს ჩააბარა გასაყიდად.**

გამთენიისას მთვრალი დაბრუნდა გურამი შინ. გაბო უკვე სამსახურში იყო წასული. ჯერ გინებით აიკლო იქაურობა, მერე მიდგა და ყველაფერი დალეწა. არც ერთი ფანჯარა აღარ შეარჩინა სახლს. გამოფხიზლებული ნაგავსაყრელზე წავიდა, მამამისის თხუთმეტი ღორი დაკლა და დეზერტირის ბაზარში ნაცნობ მეხორცეს ჩააბარა გასაყიდად.

საღამოჟამს დაბრუნებულ გაბოს ისეთი იავარქმნილი დახვდა სახლ-კარი, რომ კინაღამ გული შეუღონდა. არც არაფერი უკითხავს, ვახშამიც არ უჭამია. იქვე, აივანზე მიწვა გაუხდელად, მაგრამ არ იქნა და არ დაეძინა. ახსოვდა, როგორ არ ახსოვდა თავისი ბედოვლათობა, მანაც ბევრჯერ გაამწარა მშობლები, მაგრამ ამდენი არ გაუბედავს. მართალია, ერთი პირობა თავს უსაყვედურა — იქნებ ის ოცი ლარი რომ მიმეცა, ეს არ ჩაედინაო, მაგრამ ეს ვარაუდი იქვე უარყო. დღეს არა, მაგრამ სულერთია, ხვალ-ზეგ მაინც ამას იზამდაო — დაასკვნა თავისთვის და გადაწყვეტილებაც მიიღო.

— გურამი უნდა მოკლას, — ამ წუთიდან მისდა შეუცნობლად, ის მამა კი არა, გურამის მტერი იყო. შეურაცხყოფილი იყო იმით, რომ თავზე გადაალეწეს სახლ-კარი, მერედა ვინ, მერამდენედ ეკითხებოდა საკუთარ თავს. გაბო სინაურიძეს ავიწყდებოდა, ადრე თვითონ რომ აწყობდა ამგვარ „პოგრომებს“. სხვას, რა თქმა უნდა, აპატიებდა, სხვასთან შებმას ვერც გაბედავდა. არ ჰქონდა ამდენის თავი. მაგრამ გურამს რომ აპატიოს, რას იტყვის უბანი, სოფელი, ნაცნობები. გადაწყვეტილია, გურამი უნდა მოკვდეს და გაბოც ხმამაღლა ამბობს, რომ საამისოდ თოფი სჭირდება. თოფს კი უფულოდ არავინ მისცემს და არც იმას მალავს, რომ ახლა ნაგავსაყრელზე წავა, ერთ ღორს გაყიდის და იყიდის თოფს, რომლითაც... შვილი უნდა მოკლას.

## სამზადისი

იმ დილის შემდეგ, როცა სახლ-კარი დალეწილი დახვდა, რამდენიმე დღის განმავლობაში ნაგავსაყრელზე აღარ გასულა. მეორე ბიჭი, ბადრი მუშაობდა მის მანქანაზე. გაბომ ჯერ არ იცოდა, რომ ღორები გურამმა გაყიდა. მართალია, იმ ამბის შემდეგ ბიჭი შინ არ დაბრუნებულა, მაგრამ გაბო არც ელოდა, მიაჩნდა, რომ ეს ასეც უნდა ყოფილიყო. მას შემდეგ, რაც ჩაიდინა, მისი ადგილი აქ აღარ იყო. თუმცა, შვილიშვილები, გურამის ბიჭები, მაინც ახსენებდნენ, რომ მას ოდესღაც ჰყავდა შვილი, რომელსაც გურამი ერქვა. ბავშვები ბაბუისგან შორს, დედასა და იქაურ ბებიასთან ცხოვრობდნენ და იქვე დადიოდნენ სკოლაში. ნუკრი მეოთხე კლასში, ხვიჩა — მესამეში, მაგრამ ახლა არდადეგები დაიწყო და ორივენი აქაურ ბებია-ბაბუას ეწვივნენ. თუმცა გაბოსათვის ისინი შვილიშვილები კი არა, უბრალო ბავშვები იყვნენ. ბავშვები კი არც უყვარდა და არც სძულდა. მათ უბრალოდ სათვალავში არ აგდებდა გაბო.

## „ბიჭს თოფი ვესროლე, თუ კაცი ხარ, მიხედე“

როცა ნაგავსაყრელზე მისულს უთხრეს, ღორები შენმა ბიჭმა გურამმა წაასხაო, სულ გადაირია — რას ჰქვია, ჩემი ღორები გურამს გაატანეთო.

— შე კაი კაცო, ჩვენ რას გვიყვირი. შენ მანქანას ანდობ შვილს და ჩვენ ღორები არ გაგვეტანებინა? — უსაყვედურა ერთმა მეღორემ და გაბო მიხვდა — ეს ხალხი მართალი იყო. მწყემსებს რას ერჩოდა? მას ერთადერთი კაცი — გურამი უმღვრევდა წყალს და ის უნდა მოეშორებინა თავიდან. ჰოდა, ის მოკვდება, მე მოვკლავ!

არ ვიცი, დაიჯერეს თუ ტრაბახად მიიღეს გაბოს ქადილი, მაგრამ მწყემსებმა თოფის ფული ასესხეს გაბოს და ისიც საღამოს ორლულიანი თოფით დაბრუნდა შინ.

— რად გინდა, კაცო, ეგ თოფი. ვერ ხედავ, ბავშვები გვყავს სახლში. არაფერი მოიწიონ, — საყვედური შეჰბედა მეუღლემ.

— მალე ერთით ნაკლები შვილი გეყოლება. ის გარეწარი უნდა მოვკლა. მანამ ვერ მოვისვენებ, ვიდრე ცოცხალი დადის მიწაზე. კაცობა შემიგინა, მეზობლებში თავი აღარ გამომეყოფა, მაგას დავზოგავ?

— ვითომ პირველი იყო. ახლა გაიგე, რო ეგეთი გყავს?

— მე არაფერიც აღარა მყავს. ახლა ის ჩემი მტერია და მტერს ტყვიით უნდა დავუხვდე. დათვლილია მაგისი დღეები...

ხვიჩა და ნუკრი თოფის დანახვაზე სიხარულით რომ აღარ იყვნენ, ახლა იმდენს კი მიხვდნენ, რომ ბაბუა მამას მოკვლით ემუქრებოდა, მაგრამ პატარებს მალევე გადაავიწყდათ ოჯახის უფროსის ეს გაავება. არც ლიანას, გაბოს ცოლსა და გურამის დედას გამოუდვია მაინცდამაინც

**შეურაცხყოფილი იყო იმით, რომ თავზე გადაალეწეს სახლ-კარი, მერედა ვინ, მერამდენედ ეკითხებოდა საკუთარ თავს. გაბო სინაურიძეს ავიწყდებოდა, ადრე თვითონ რომ აწყობდა ამგვარ „პოგრომებს“. სხვას, რა თქმა უნდა, აპატიებდა, სხვასთან შებმას ვერც გაბედავდა. არ ჰქონდა ამდენის თავი. მაგრამ გურამს რომ აპატიოს, რას იტყვის უბანი, სოფელი, ნაცნობები. გადაწყვეტილია, გურამი უნდა მოკვდეს...**

თავი. ეტყობა, ქადილად ჩათვალა მეუღლის სიტყვები. თუმცა ვის ვის და მას კი უნდა ეგრძნო მოსალოდნელი საფრთხე.

მეორე დღეს მთელმა სოფელმა იცოდა — გაბოს ორლულიანი თოფი უყიდია გურამის მოსაკლავადო. საოცარი ის იყო, თვითონ გაბო ავრცელებდა ხმას. მინდა ვიფიქრო, რომ ამას იმ მიზნით აკეთებდა, როგორმე ხალხის ყურადღება მიეპყრო. ეგებ ხმა ამოეღო სოფელს, ეგებ დაფიქრებულიყო ვინმე. ბოლოს და ბოლოს, პოლიციაში განეცხადებინათ და უნებართვოდ შეძენილი თოფი წაერთმიათ მისთვის. მერე იქნებ ამ ხმას გურამამდეც მიეღწია და მასაც ჭკუისთვის მოეხმო. მსგავსი არაფერი მომხდარა — სოფელიც, უბანიც, თვითონ გურამის დედაც კი თითქოს სეირის მოლოდინში გარინდებულიყვნენ. გაბო ისე შეეპყრო შვილის მოკვლაზე ფიქრს, მეზობლებს გამარჯობაზე პასუხობდა, ამ დღეებში გურამს მოვკლავო.

## განაჩენი აღსრულდა

მას შემდეგ არ გამოჩენილა გურამი. ორი კვირა ეძებდა მას გაავებული გაბო. იმ დღეს კი გამოჩნდა — ბავშვები მომენატრა, თორემ აქ როგორ მოვიდოდიო, — თავხედურად თქვა და აივანზე, ტახტზე წამოწვა. ნუკრიმ და ხვიჩამ ძლივსღა იცნეს მშობელი. თუმცა ბავშვი მაინც ბავშვია და აქამდე უმამობით ფრთამოტეხილები, ახლა სიამოვნებით გაიფხორნენ მეზობლის ბიჭებთან: მათი ეს ჟესტი მხოლოდ ერთმნიშვნელოვნად შეიძლებოდა გაეგოთ: — აბა, რა, მართლა უპატრონოები კი არ ვართ, ჩვენც გვყავს მამაო.

გაბომ რომ ეზოში შემოაბიჯა, გურამი ამ დროს მისი მანქანის კაბინაში იქექებოდა. მამის დანახვაზე მანქანიდან სასწრაფოდ ჩამოხტა და ღობეს გადაევლო. გაბოს მოეჩვენა, რომ მას ხელში საბუთისმაგვარი რაღაც ეჭირა. მეორე შვილს, ბადრის გასძახა — მგონი, იმ გარეწარმა მანქანიდან რაღაც საბუთი ამოიღო. ნახე, ხომ არ მეშლებაო და შინ შევიდა... თოფის გამოსატანად.

— ჩემი მართვის მოწმობა წაუღია, მამა. ვიცოდე მაინც რაში სჭირდება? მერეღა დაფიქრდა — გაახსენდა, რომ ტყუპისცალი გაჭრილი ვაშლივით ჰგავდა და სხვა დროსაც გამოუყენებია ბადრის მართვის მოწმობა.

— კარგი. მოვძებნი და მართვის მოწმობიანად მოვასვენებ... — და ბრაზისგან აკანკალებული გაბო სოფლის შარას გაუყვა.

— ნუკრი! ხვიჩა! გაიქეცით და მამათქვენი მოძებნეთ. უთხარით, ბაბუას მოერიდოს. თოფით წამოვიდა შენს საძებნელად-თქო... — ვალი მოიხადა ლიანამ. ბინდდებოდა, პატარებმა ლამის ფარანი აიღეს და მამის საძებნელად გაცვივდნენ. ბევრი არ უძებნიათ. სოფლის ბირჟაზე, კლუბთან მიაგნეს გურამს. ასფალტზე ჩაცუცქულიყო და თანასოფლელებს ელაზღანდარებოდა.

ის იყო, ბავშვებმა ბებიის დანაბარები გადასცეს, რომ მოსახვევიდან გაბოც გამოჩნდა. გულდინჯად მიიწევდა გურამისკენ, რომელსაც ამ დროს ორივე ბავშვი ჩახვეოდა. როგორც ჩანს, ბიჭებმა იგრძნეს, რომ ახლა მამასთან გატარებული ბოლო წუთი დამდგარიყო და თითქოს მის გახანგრძლივებას ცდილობდნენ. გაბო სულ ახლოს მივიდა მათთან.

— მანქანიდან „პრავა“ რატომ აიღე, ძაღლიშვილო?

— არ ამიღია, თუ გინდა, გამჩხრიკე — უთხრა გურამმა ისე, რომ არც წამომდგარა.

— კი არ გაგჩხრეკ, მოგკლავ, შენი!

— მერე რაღას უდგახარ, მესროლე!

გაბომ უცნაურად ამოიგმინა, თოფი მოიმარჯვა და ახლა უკვე მშვიდი ხმით მიმართა შვილიშვილებს: — გვერდზე გადექით... — ბავშვებმა თოფის შიშით უკან დაიხიეს, მაგრამ მამას მხოლოდ ერთი ნაბიჯით დაშორდნენ და ახლა შეთქმულებივით ორივემ ერთდროულად შესთხოვა გაბოს: — არა, ბაბუ, მამა არ მოგვიკლა, ბაბუ! გაბომ ყური არ ათხოვა შვილიშვილების მუდარას. თოფმა იქუხა და გურამი ასფალტზე გაიშხლართა.

სოფლის ბირჟაზე შეკრებილი რამდენიმე კაცი, აქამდე რომ ერთი სული ჰქონდათ გაეგოთ, რით დამთავრდებოდა მამა-შვილის დავა, ახლაღა გამოერკვა. გურამს მისცვივდნენ, მაგრამ გვიან იყო.

— რატომ მომკლა, რატომ? მიშველეთ, ხალხო, არ მინდა სიკვდილი... — ერთი და იმავეს იმეორებდა დაჭრილი. სროლის ხმაზე ლიანაც მოვარდა. ახლა კი შეიცხადა დედამ, მაგრამ მას უკვე აღარაფრის შეცვლა აღარ შეეძლო.

გაბომ ერთხანს უყურა მომაკვდავ შვილს. მერე თოფი მხარზე გაიდო და სოფლის შარას გაუყვა. გზად ერთ ახლო მეზობელს შესძახა: — ბიჭს თოფი ვესროლე და თუ კაცი ხარ, მიხედე. მე მაგის თავი აღარა მაქვსო.

გურამი საავადმყოფოში მიყვანისთანავე გარდაიცვალა. გაბო მეთხუთმეტე დღეს დააკავა პოლიციამ მეზობელ რაიონში. ერთ შორეულ ნათესავთან იმალებოდა. გურამის ბიჭები დედასთან დაბრუნდნენ და მამისეული სახლკარის გახსენებაც აღარ უნდოდათ. ყველა შემხვედრთან ერთი და იმავეს იმეორებდნენ: როგორ შესთხოვეს ბაბუას, ამას ნუ იზამო. მან კი ბავშვების თვალწინ მოკლა მათი მამა. ყოველღამ ეს შემზარავი სურათი გვესიზმრება და ველარ ვიძინებთო (დარწმუნებული ვარ, დღესაც ასეა. მას შემდეგ ხომ ორი წელიც არაა გასული).

P.S. ვცდილობდი, სინანულის პატარა მარცვალი მაინც მეპოვა გაბოს საქციელში. მინდოდა საამისო არგუმენტად მეზობელთან დანაბარები გამომეყენებინა — გურამს თოფი ვესროლე და მიხედეო. აღმოჩნდა, რომ ესეც მხოლოდ მოვალეობის მოხდის მიზნით გაუკეთებია.

ამას წინათ სასამართლო განხილვის საქმეში გაბოს ორი განცხადება აღმოვაჩინე — შვილის მკვლელობაში დამნაშავე არ ვარ, სასჯელი შემიმსუბუქეთო.

საკასაციო პალატამ ორჯერვე უარი უთხრა.

***ვაჟა გავაშელი***

# რა ბედი ეწევა დო-ლარს?!

## ექსპერტების ანალიზი



*ქაღალდი, რომელზეც ამერიკულ დოლარს ბეჭდავენ, თურმე ქსოვილის ბოჭკოებსაც შეიცავს და ტანსაცმელთან ერთად შემთხვევით სარეცხ მანქანაში რომ გარეცხოთ, მდგრადობას შეინარჩუნებს. თუმცა, ეს კურსის მდგრადობის შენარჩუნებაში „მწვანე ოქროს“ ვერ ეხმარება. ბოლო დროს ჩვენს ქვეყანაში განვითარებულმა მოვლენებმა მისი პოზიციები საქართველოში განსაკუთრებულად შეარყია. დოლარის კურსი ლართან მიმართებაში ყოველდღიურად ეცემა, ჩვენი ეროვნული ვალუტა კი „ღირსეულად“ ინარჩუნებს თავის პოზიციებს. ერთი შეხედვით, ეს პროცესი თითქოს მისაღები უნდა იყოს ჩვენთვის, რომ არა დოლარის გაუფასურების ნეგატიური ზეგავლენა ჩვენი ქვეყნის ეკონომიკაზე.*

*შექმნილი სიტუაციის მიზეზებისა და შესაძლო შედეგების შესახებ სახელმწიფო საბანკო სექტორისა და დამოუკიდებელი ექსპერტების კომენტარიდან შეიტყობთ.*

*საქართველოს ეროვნული ბანკის მაკროეკონომიკურ გამოკვლევათა და მონეტარული პოლიტიკის სამმართველოს უფროსი* ***გიორგი ლალიაშვილი:***

— ლარის გამყარების ერთ-ერთ უმთავრეს მიზეზად, ჩრდილოვანი ეკონომიკის მასშტაბების შეზღუდვა და შესაბამისად, ეკონომიკის ლეგალიზების პროცესები სახელდება. ეს პროცესები თავისთავად აისახება სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლებზე. ამას კი თან სდევს დოლარის მასის ნაწილის (რომელიც აქამდე ჩრდილოვან ეკონომიკას ემსახურებოდა) გადახურდავება ლარზე, რაც სავალუტო ბაზარზე განსაზღვრულ კორექციას ახდენს. ლარის დეფიციტის ერთ-ერთი მიზეზი გახლავთ ისიც, რომ ჯერ არ არის დამტკიცებული 2004 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი და ხაზინიდან უკან, მიმოქცევაში, თანხები სრულად ვერ ბრუნდება. გარდა ამისა, უკანასკნელ დღეებში ლარის კურსის გამყარებას ხელი შეუწყო ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენთან დაკავშირებული ინვესტიციების (რა თქმა უნდა, ვალუტით) ნაკადის შემოდინებამ.

— **როგორ იმოქმედებს ლარის გამყარების პროცესი ჩვენი ქვეყნის ეკონომიკაზე?**

— თუ ეს პროცესი გაგრძელდება, უთუოდ უარყოფითად იმოქმედებს ქვეყნის ექსპორტსა და მთლიანად ეკონომიკაზე, ვინაიდან საქართველოში წარმოებული პროდუქციის თვითღირებულება გაიზრდება და შესაბამისად, გარე ბაზარზე მისი კონკურენტუნარიანობა დაეცემა.

— **ფიქრობთ, რომ დოლარის ვარდნის ტენდენცია შესაძლოა გაგრძელდეს?**

— მიგვაჩნია, რომ არც დოლარის ვარდნა და არც ლარის კურსის გამყარებაა გრძელვადიანი პერსპექტივა. შესაძლებელია, განსაზღვრული დროის მანძილზე ლარის კურსი არსებული თანაფარდობის ფარგლებში შენარჩუნდეს, ცოტა მოგვიანებით კი, განხორციელდება ლარის უკუქცევა, ოღონდ პროგნოზირებად ჩარჩოებში.

— **იქნებ კონკრეტული ვადები დაასახელოთ, როდის დაუბრუნდება დოლარის კურსი ჩვეულ პოზიციას?**

— ამჟამად კონკრეტული ვადების დასახელება არასწორი იქნებოდა. ლარის დროებითი დეფიციტი, სავარაუდოდ, ბაზარზე მაშინ დაბალანსდება, როდესაც ბიუჯეტიდან დაიწყება მობილიზებული თანხების ხარჯვა.

— **თქვენი აზრით, რა გავლენა შეიძლება იქონიოს დოლარის გაუფასურებამ თითოეული მოქალაქის საოჯახო ბიუჯეტზე?**

— მოსახლეობის იმ ნაწილს, ვინც ანაზღაურებას ეროვნული ვალუტით იღებს, ეს პროცესი ნაკლებად აწუხებს. მეტიც, არის ალბათობა იმისა, რომ იმპორტირებულ საქონელზე გარკვეულ დონემდე შემცირდეს ფასები (სამწუხაროდ, ასეთი ტენდენცია ჯერჯერობით არ შეინიშნება. — ე. ტ.). ხოლო იმ ადამიანების რა მოგახსენოთ, ვინც ხელფასს, ძირითადად, დოლარებით იღებს.

— **თქვენ ფულის დეფიციტი ახსენეთ. ახლო მომავალში ხომ არ დასჭირდება სახელმწიფოს ემისიის განხორციელება?**

— გამომდინარე იქიდან, რომ ჩვენი გათვლებით, ეს მხოლოდ დროებითი პროცესია, ფულად-საკრედიტო პოლიტიკაში რაიმე სახის მკვეთრი ცვლილებების განხორციელება მიზანშეწონილი არ იქნება. ზოგადად, ფულის ნაკლებობას სახელმწიფო ამ ეტაპზე არ განიცდის, ვინაიდან ეს თანხები დროებითაა აკუმულირებული ბიუჯეტის ანგარიშზე და უახლოეს მომავალში აუცილებლად მოხდება ამ თანხების გახარჯვა და გადინება ეკონომიკაში.

*ბანკთაშორის სავალუტო ბირჟის გენერალური დირექტორის მოადგილე* ***ვახტანგ ხომიზურაშვილი:***

— წესისამებრ, ყოველი თვის ბოლოს იზრდება მოთხოვნა ლარზე და ეს გარკვეულწილად, საბიუჯეტო გადარიცხვებსაც უკავშირდება. მაგრამ დღეისათვის ადგილი აქვს უპრეცედენტო შემთხვევას — მკვეთრად გაიზარდა მოთხოვნა ლარზე. ამის მიზეზად კი სახელდება ეკონომიკის ლეგალიზება და მისი ჩრდილოვანი ნაწილიდან გამჭვირვალე სპექტრზე გადასვლა, კონტრაბანდული საქონლის შემოტანის შემცირება და, აქედან გამომდინარე, მოთხოვნა ვალუტაზე, რომელიც ასეთი საქონლის შემოსატანად სჭირდებოდათ, ახლა გაცილებით ნაკლებია. იმ შემთხვევაში, თუ დოლარის კურსის დაცემისა და ლარის გამყარების პროცესი ხანგრძლივ ხასიათს მიიღებს, ეს უარყოფით გავლენას მოახდენს ქვეყნის ექსპორტზე, შედარებით მომგებიან პირობებში აღმოჩნდება იმპორტი.

— **უცხოური ინვესტიციების შემოდინებაც ხომ არ გაზრდის მოთხოვნას ლარზე?**

— მანამ, ვიდრე უცხოურ ინვესტიციებზე ვიტყოდეთ რაიმეს, უნდა ვაღიაროთ, რომ საქართველოში ნამდვილად არ არსებობს შესაბამისი საინვესტიციო გარემო. ბევრი ხარვეზი გვაქვს კანონმდებლობაში. ბევრ განვითარებად ქვეყანაში შეინიშნება ე. წ. „ცხელი ფულის“ შედინება, რაც საკმაოდ სახიფათო გახლავთ იმ თვალსაზრისით, რომ მოკლევადიანია და შემდგომში ამ ფულის ინტენსიური გადინება მოხდება ქვეყნიდან. სწორედ ამგვარ ვითარებაში რომ არ აღმოვჩნდეთ, საჭიროა შევქმნათ სტიმულირებადი საინვესტიციო გარემო. ის, რომ გამოყოფილია განსაზღვრული თანხები ტრანშების, დახმარებების სახით, სულაც არ ნიშნავს უცხოურ ინვესტიციებს. კიდევ ერთი ძალზე მნიშვნელოვანი საკითხი, რომელიც უშუალოდ ეხება ჩვენი ქვეყნის ეკონომიკას. განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკა სპეციფიკურია. ამიტომ, როდესაც რთული მდგომარეობიდან გამოსვლის მიზნით, აქცენტი უცხოელ სპეციალისტებსა თუ საზღვარგარეთ განათლებამიღებულ ადამიანებზე კეთდება, ამგვარი მიდგომა გაუმართლებლად მიმაჩნია. მაგალითისთვის მოგიყვანთ მექსიკას. ეს ქვეყანა ამერიკის შეერთებული შტატების ერთ-ერთ საუკეთესო მოსწავლედ ითვლებოდა. ეკონომიკური კრიზისის დასაძლევად მექსიკაში უამრავი უცხოელი სპეციალისტი მუშაობდა და არავინ იზიარებდა ადგილობრივი ექსპერტების აზრს, რისი შედეგიც გახდა ის, რომ საერთაშორისო სავალუტო ფონდს ამ ქვეყნის კრიზისიდან გამოყვანა 42 მილიარდი დოლარი დაუჯდა. იგივე განმეორდა არგენტინაში, ასეთივე ტენდენციები იკვეთება იქ, სადაც ადგილობრივი ექსპერტების იგნორირება ხდება.

— **თქვენ ალბათ საქართველოს გულისხმობთ?**

— ძალიან არ მინდა, რომ ჩვენს ქვეყანასაც დაემუქროს ანალოგიური კრიზისი. ვეთანხმები იმ აზრს, რომ უცხოეთში მიღებული განათლება კარგ შედეგებს იძლევა, მაგრამ საქართველოშიც არიან ადამიანები, ვინც წლების მანძილზე მუშაობს ეკონომიკის სექტორში, იცნობს ქვეყნის ეკონომიკის დამახასიათებელ პრობლემებს და ამასთან ერთად, კარგად აქვს შესწავლილი უცხო ქვეყნების გამოცდილება. და თუ არ მოხდება ამ გამოცდილების გაზიარება, ძალიან ბევრს დავკარგავთ.

— **ისევ საუბრის ძირითად თემას დავუბრუნდეთ. როგორ აისახა დოლარის ვარდნის პროცესი ბანკთაშორის სავალუტო ბირჟაზე?**

— მოგეხსენებათ, რომ ჩვენ ვმართავთ ელექტრონულ ვაჭრობებს, სადაც ყველა ბანკი ინტერნეტის საშუალებით ვაჭრობს თავისი ოფისიდან. ბოლო ხანს, ფულადი მოცულობები საგრძნობლად გაიზარდა. სულ ერთი თვის წინ ყოველდღიური მოცულობა ნახევარ მილიონ დოლარს შეადგენდა, ამ ეტაპზე კი მილიონ ორასი ათასსაც გადააჭარბა. დოლარის ძირითადი მყიდველი კი, ამ შემთხვევაში საქართველოს ეროვნული ბანკია.

*ვალუტის გადამცვლელი პუნქტის თანამშრომელი* ***ბონდო ქართველიშვილი:***

— უკვე ორ კვირაზე მეტია, რაც დოლარის კურსი კატასტროფული სისწრაფით ეცემა. თავიდან დოლარის ვარდნის ამგვარმა ტენდენციამ ცოტა დაგვაბნია და ვცდილობდით, ამ პროცესის პირველ დღეებში, მინიმალური კურსით დოლარის მაქსიმალური ოდენობა შეგვეძინა. ჩვენი გათვლებით, დოლარის კურსის დაცემის პროცესი უახლოეს დღეებშიც გაგრძელდება.

— **მოსახლეობა როგორ რეაგირებს ამაზე?**

— ისინი, ვისაც დანაზოგი დოლარებში აქვთ და ლარზე უნდათ გადაცვლა, უკმაყოფილებას გამოთქვამენ. ამას ემატება ისიც, რომ დოლარის გაუფასურების მიუხედავად, უცხოურ საქონელზე ფასები არ იკლებს.

— **იქნებ დოლარის კურსთან დაკავშირებული თქვენი სამომავლო პროგნოზი გაგვანდოთ?**

— ალბათ ერთი დოლარის ღირებულება 1,80 თეთრსაც კი გაუტოლდება. შემდეგ ეტაპობრივად მოხდება დოლარის გამყარება, ხოლო მოახლოებული საპარლამენტო არჩევნების შემდეგ, დოლარის კურსი კვლავ აიწევს.

***ბონდო ზარნაძე,*** *ეკონომიკის დამოუკიდებელი ექსპერტი:*

— ფულის მიმოქცევის ბაზარზე დარღვეულია დოლარსა და ლარს შორის მოთხოვნა-მიწოდების პროპორციები. დღეს ლარზე მოთხოვნა გაიზარდა იმ არასწორი ფულად-საკრედიტო პოლიტიკის გამო, რასაც საქართველოს ეროვნული ბანკი ახორციელებს. დოლარის კურსი კატასტროფულად დაეცა და ეს პროცესი გაგრძელდება, თუ ეროვნული ბანკი სასწრაფოდ არ ჩართავს განგაშის სიგნალს და ეტაპობრივად არ მოხდება ფულადი ემისიების გაშვება. უდიდესი ეკონომისტი კეისი ამბობდა, თუ გინდა დაანგრიო სახელმწიფო, ჯარის შეყვანა საჭირო სულაც არ არის, საკმარისია დაანგრიო და მოშალო მისი ფულად-საკრედიტო სისტემა. დღეს ჩვენ ყველაფერი გათვლილი გვაქვს იმ პროპორციებზე, იმ პარამეტრებზე დოლარსა და ლარს შორის, რომელიც ჩვენთან წლების მანძილზე არსებობდა. წარმოიდგინეთ, რომ ერთი დოლარი ერთ ლარს გაუტოლდეს... მაშინ ადამიანს, რომელსაც ხელფასი 100 ლარი აქვს, 100 დოლარის ეკვივალენტური თანხა უნდა გადაუხადო, ეს კი ბიუჯეტს კატასტროფულ შედეგებამდე მიიყვანს.

— **გამოსავალს რაში ხედავთ?**

— ამ ეტაპზე აუცილებელია, მიმოქცევაში ლარის დამატებითი ოდენობა გავიდეს. მაგალითისთვის, პირველ ეტაპზე რომ მოსახლეობას ხელფასები და პენსიები მოემატოს და ამ სახით მიმოქცევაში გავიდეს 60 მილიონი ლარი, პოზიტიური ძვრები ყველა მიმართულებით შესამჩნევი გახდება. დიდი შეცდომაა, როდესაც ჰგონიათ, რომ ხელფასებისა და პენსიების გაზრდით, ქვეყანაში ინფლაციური პროცესები დაიწყება. ამ თანხების საარსებო მინიმუმამდე მიყვანა ეტაპობრივად (ერთი წლის ვადაში) უნდა განხორციელდეს, ამ შემთხვევაში კი არც ინფლაცია გვემუქრება და არც პროდუქტებზე ფასების ზრდა. არ მესმის, როგორ შეიძლება ადამიანს საარსებო მინიმუმს უზღუდავდე, ე.ი. არ აძლევდე არსებობის საშუალებას და ამით სიცოცხლის უფლებას ართმევდე.

*ჩვენთან საუბრისას საქართველოში მოქმედი ერთ-ერთი კომერციული ბანკის ხელმძღვანელმა განაცხადა (გარკვეული მოსაზრებებით მან ვინაობის აფიშირება არ ისურვა):*

— თუ რა შინაარსობრივ დატვირთვას შეიძლება ატარებდეს სახაზინო ანგარიშზე 70 მილიონი ლარის გაყინვა, ჩემთვის ახლაც უპასუხო კითხვად რჩება. ეკონომიკის მასტიმულირებელი გახლავთ ფულადი მასა. როდესაც ამ მასის მიმოქცევას აფერხებ, ფაქტობრივად, კლავ შენი ქვეყნის ეკონომიკას. პარამეტრი, რომელიც 2003 წელს იქნა დადგენილი, 2,15 ლარს შეადგენდა. დღეისთვის კი ე.წ. შავ ბაზარზე დოლარის კურსი 1,8 ლარია. შესაბამისად, პროცენტულმა სხვაობამ 18% შეადგინა, რაც ექსპორტიორს 18%-ით უძვირებს პროდუქციას. კურსთა ეს სხვაობა ბიუჯეტის შემოსავლებზეც უარყოფითად აისახება, ვინაიდან იმპორტირებული საქონლის განბაჟებისას ხდება ვალუტაში ფიქსირებული ფასიდან დაბეგვრა ლარებში. შესაბამისად, თუ 1000$-იანი იმპორტიდან ბიუჯეტი მიიღებდა 750 ლარს, ახლანდელი კურსის პირობებში მიიღებს დაახლოებით 650 ლარს. ჩვენი ინფორმაციით, ქვეყანაში საგრძნობლად შემცირდა როგორც კონტრაბანდული, ასევე ლეგალური იმპორტის ნაკადიც, რაც ე. წ. „ბიზნესის შეშინებით“ აიხსნება. ვალუტის კურსის დაცემას, ინერციით თითქოს თან უნდა სდევდეს ფასების ინდექსის ვარდნა იმპორტირებულ საქონელზე, მაგრამ ფასებზე არანაირი ცვლილება არ შეინიშნება.

— **შეიძლება ითქვას, რომ მთელი ეს პროცესი ხელოვნურად არის შექმნილი?**

— ხელოვნურად შექმნილია ის, რომ 70 მილიონი ლარი ხაზინას არა აქვს გამოშვებული ბრუნვაში. ხარჯვითი ნაწილი აუცილებლად უნდა განახორციელოს ფინანსთა სამინისტრომ ან ეროვნულმა ბანკმა. მაგრამ მანამდე, სანამ არ არის დამტკიცებული 2004 წლის პარამეტრები, ხაზინას უფლება აქვს, მხოლოდ წინა წლის ბიუჯეტის 1/12 დახარჯოს, ხოლო ეროვნულ ბანკს კი ემისიის განხორციელება არ სურს, რადგან მის მიერ შეძენილი ერთი ზედმეტი დოლარიც კი, საგარეო ვალების დაფარვას მოხმარდება.

***ემა ტუხაშვილი***





# უნიკალური ვიტამინები ბავშვებისთვის

ბავშვებმა არ იციან, რა არგებთ, მაგრამ მათ იციან, რა მოსწონთ — ნატურალური და გემრიელი ვიტამინები კომპანია **„შიფ“**-ისგან.

**ორი ერთში**
- **მოსწონთ ბავშვებს**
- **სასარგებლოა ბავშვებისთვის წელიწადის ნებისმიერ დროს**

მიეცით თქვენს შვილს **„ჩილდრენზ ჩივეიბლ“** და შეგიძლიათ დარწმუნებული იყოთ, რომ იგი ყველა აუცილებელ ვიტამინსა და მინერალს მიიღებს, რასაც სრულფასოვანი კვებაც კი ვერ უზრუნველყოფს!




**„შიფ“-ის ვიტამინების ხარისხი დამოწმებულია GMP-ის საერთაშორისო სტანდარტების სერტიფიკატით.**

თქვენ დარწმუნებულნი უნდა იყოთ მათში, ვისაც თქვენი ბავშვის ჯანმრთელობას ანდობთ!

ამერიკული კომპანია „შიფ“-ის ოფიციალური დისტრიბუტორი საქართველოში კომპანია „ჯეოვიტი“

ჯეოვიტი
GEOVIT

მის: ილია ჭავჭავაძის 41 (ვაკის პარკის პირდაპირ), ☎29-20-91; 899 10-99-20; 899 14-35-56
www.schiffvitamins.com


CMYK

# ვინ „მოკლა" მე-10 ენერგობლოკი?

## „მე და თქვენ ღილაკებით რომ გვეთამაშა, ავარია მაინც არ უნდა მომხდარიყო"


ასე გამოიყურება დღეს მე-10 ბლოკი

„თელასის" ახალ მეპატრონეს „რაო ეეს როსიას" დიდი თავსატეხი აქვს გაჩენილი, რაც შეიძლება ქართულ ენერგეტიკაში სერიოზული სკანდალის მიზეზი გახდეს. ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით, რუსი ენერგობიზნესმენები 2001 წლის 22 დეკემბერს აფეთქებული მე-10 ენერგობლოკის ავარიის მიზეზებს სწავლობენ და შემდგომ სასამართლოში სარჩელის აღძვრას აპირებენ. შესაძლოა, ბრალდებულის როლში მე-10 ენერგობლოკის ყოფილი მეპატრონე „ეი-ი-ესი" აღმოჩნდეს. იგი დამოუკიდებლად იძიებდა მე-10 ენერგობლოკის ქვაბდანადგარის აფეთქების (რამაც კარგა ხნით ჩააბნელა საქართველო) ტექნიკურ მიზეზებს და კატასტროფაში ადანაშაულებდა კომპანია „სიმენსს", რომელმაც მე-9-10 ენერგობლოკებზე საკუთარი ტექნიკა დაამონტაჟა. თავის დროზე, მომხდართან დაკავშირებით შეიქმნა სხვა კომისიებიც, მათ სათანადო ექსპერტიზის ჩატარების საფუძველზე უკვე გააკეთეს დასკვნები და ავარიის მიზეზად არა „სიმენსის" მართვის ფარის ტექნიკური ხარვეზი, არამედ ბლოკის მომსახურე პერსონალის სამსახურებრივი გულგრილობა და არაკვალიფიციურობა დაასახელეს. შესაბამისად, სასამართლო ამ ორი „ეჭვმიტანილიდან" დაადგენს დამნაშავის ვინაობას. მას კი მოუწევს იმ ზარალის ანაზღაურება, რომელიც არა მარტო ენერგობლოკის კერძო მფლობელს, არამედ საქართველოს მიადგა. ბლოკის აფეთქების შედეგად ქვეყნის ენერგოსისტემამ დაკარგა 200 მგვტ ელექტროენერგიის გამომამუშავებელი საბაზისო ენერგოობიექტი. ცნობისათვის: საქართველოს ბაზარს 500 მგვტ ენერგია სჭირდება მუდმივად. მე-9-10 ენერგობლოკები ერთობლივად 400 მგვტ-ს გამოიმუშავებდნენ. დღეს ორივე რომ გამართულად მუშაობდეს, ენგურის ჰიდროელექტროსადგურს მხოლოდ პიკური დატვირთვის დროს ჩართავდნენ და წყალსაცავში ჰიდრორესურსები უყაირათოდ აღარ დაიხარჯებოდა. სპეციალისტთა განცხადებით, მე-10 ენერგობლოკის აღდგენას, ანუ ახალი ქვაბის დამონტაჟებას, 40 მლნ დოლარი დასჭირდება. ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით, საქართველოს ყოფილი ხელისუფლება ამაოდ ცდილობდა ენერგობლოკის აღსადგენად „ეი-ი-ესის" დაყოლიებას. მე-10 ენერგობლოკის აფეთქების შემდეგ ამერიკელები არათუ „მკვდრის გაცოცხლებაზე" არ იყვნენ თანახმა, ავარიის გამომწვევი მიზეზების შესასწავლად საგანგებო კომისიებს ენერგობლოკზე ექსპერტიზის ჩასატარებლადაც კი არ უშვებდნენ.

თუმცა ჩვენ ხელთ ჩაგვივარდა 2002 წლის 10 იანვრით დათარიღებული საიდუმლო წერილი (რომელსაც მაშინდელი ენერგეტიკის მინისტრი დავით მირცხულავა სწერს სახელმწიფო მინისტრ ავთანდილ ჯორბენაძეს, მე-10 ენერგობლოკზე მომხდარი ავარიის მიზეზებთან დაკავშირებით), რომლის მიხედვით, შეიძლება ითქვას, რომ ხელისუფლებამ მაინც შეძლო ავარიის მიზეზების დადგენა.

წერილში, კერძოდ, ნათქვამია, რომ ენერგობლოკის გაშვების მოსამზადებელი ოპერაციების დროს ქვაბში შეიქმნა ავარიული სიტუაცია. ამ შემთხვევაში ავტომატური მართვის სისტემას, ან ტექნოლოგიურ დაცვას, ან მორიგე პერსონალს უნდა შეეწყვიტა ბუნებრივი გაზის მიწოდება, რაც არ იქნა შესრულებული და ბუნებრივი აირის დაგროვების შემდეგ სანთურის სანთებელას დანთებამ გამოიწვია ქვაბში დაგროვებული მგრგვინავი ნარევის აფეთქება, რასაც მოჰყვა №10 ენერგობლოკის ქვაბის სრული დანგრევა.

ამ საკითხებთან დაკავშირებით ბევრისმცოდნე დავით მირცხულავასთან გასაუბრება არ მოხერხდა (იგი ციხეში იმყოფება). ამიტომ მე-10 ენერგობლოკთან დაკავშირებით სათბობ-ენერგეტიკის მინისტრის მოადგილის მოვალეობის შემსრულებელს, **ნუგზარ უფლისაშვილს** ვთხოვეთ კომენტარი:

— როგორც კი აფეთქება მოხდა, დავით მირცხულავა დაუყოვნებლივ გაემგზავრა გარდაბანში. რომ დაბრუნდა, გაოგნებული იყო ნანახით, რადგან ავარიამდე ცოტა ხნით ადრე ქვეყნის ხელმძღვანელობასთან ერთად დავათვალიერეთ მე-10 ენერგობლოკი — გამართულად მუშაობდა და უეცრად ყოველდღიურად 200 მეგავატი სიმძლავრე დაკარგა ქვეყნის ენერგოსისტემამ. მაშინვე შევქმენით კვალიფიციურ ექსპერტთა ჯგუფი ექსპერტიზის ჩასატარებლად. თუმცა მხოლოდ რამდენიმე შეუშვეს ამერიკელებმა ობიექტზე. როგორც გაირკვა, „სიმენსის" კომისიასაც არ მისცეს ავარიის ადგილზე კვლევა-ძიების ჩატარების უფლება.

**— ბოლოს და ბოლოს, თქვენმა კომისიამ რა დაასკვნა?**

— ერთადერთი მოსაზრება გამოითქვა — ბლოკზე მომუშავე პერსონალმა დაუშვა შეცდომა და არაფერ შუაში იყო „სიმენსის" მიერ დამონტაჟებული მართვის ფარი. ანუ პასუხისმგებლობა მომხდარზე უნდა ეკისრა „ეი-ი-ესს". მას შეეძლო ავარიის თავიდან აცილება.

**— ამერიკელების ჩატარებული კვლევები კი საპირისპიროს ამტკიცებს. ისინი ბრალს „სიმენსს" სდებდნენ.**

— როცა ავტომანქანას ან თუნდაც ტელევიზორს ყიდულობთ, მას საგარანტიო ვადა ხომ აქვს? ვადის გასვლის შემდეგ თუ ნივთი გაფუჭდა, შეიძლება მისი მწარმოებლის დადანაშაულება? წესისამებრ, ექსპლუატაციაში ბლოკის ყოველი გაშვების დროს ხდება მისი შემოწმება-ტესტირება. როცა 300 მლნ დოლარის ღირებულების ენერგოობიექტის ამუშავებაა დაგეგმილი, ნაწილობრივ შემოწმებას არც ერთი ჭკუათმყოფელი არ ჩაატარებს. როცა „ეი-ი-ესმა" ბლოკი შეისყიდა, მას აუცილებლად უნდა ჩაეტარებინა ტესტირება და თუ გაუმართაობას აღმოაჩენდა, მაშინვე უნდა განეცხადებინა ამის შესახებ. ხომ არ შეიძლება კატა ტომრით იყიდო — უნდა ნახო რა ფერისაა, ან არის თუ არა ტომარაში კატა. „ეი-ი-ესს" საქართველოში ძალზე არაკვალიფიცირებული მენეჯმენტი ჰქონდა და წარუმატებლობაც ამან გამოიწვია. ერთი სიტყვით, ფაქტია, რომ დაზარალდა არა რომელიმე კერძო კომპანია, არამედ საქართველოს ენერგოსისტემა და ჩვენი ხალხის ინტერესები...

როგორც გაირკვა, ამერიკული კომპანია „ეი-ი-ესი" „სიმენსის" კომისიას თურმე ავარიის მიზეზების შესასწავლად ობიექტზე არ უშვებდა. ამ ფაქტს გერმანელების (და არა მარტო მათი) აღშფოთება გამოუწვევია და პრობლემის მოგვარება სამთავრობო დონეზე გადაუწყვეტიათ. მთელ ამ პერიპეტიებში უშუალოდ მონაწილეობდა იმ დროისათვის სახელმწიფო მინისტრის მოადგილე მამუკა ნიკოლაიშვილი. მისი განცხადებით: — არა მარტო „სიმენსი", გერმანიის ხელისუფლების ჩინოსნებიც და ცნობილი გერმანული ბანკებიც (რომელთა დახმარებით კომპანია „სიმენსმა" უამრავი რამ გააკეთა საქართველოში) აღშფოთებულნი იყვნენ იმ ფაქტით, რომ მსოფლიოში ცნობილ გერმანულ კომპანიას მის მიერვე დამონტაჟებული მე-10 ენერგობლოკის მართვის ფარზე ექსპერტიზის ჩატარების უფლებას არ აძლევდნენ. „ეი-ი-ესი" ავარიის მიზეზად სწორედ მართვის ფარის გაუმართაობას ასახელებდა. „სიმენსი" კი კატეგორიულად მოითხოვდა საკუთარი უდანაშაულობის დამტკიცებას. ამერიკული კომპანია ქართული კომისიების მუშაობასაც აფერხებდა. მაგრამ, როგორც იქნა, უშიშროებისა და ენერგეტიკის სამინისტროს ერთობლივმა კომისიამ ადგილზე შეისწავლა ავარიის მიზეზები და ერთობლივი დასკვნაც გააკეთდა. მხოლოდ ამის შემდეგ მოხერხდა „სიმენსის" მე-10 ენერგობლოკში შესვლაზე ნებართვის გაცემა. ამ დროისთვის კი „ეი-ე-სის" ადგილი, ფაქტობრივად, „რაო ეეს როსიას" ეკავა. ამასთან, ავარიის ადგილას ბლოკის ქვაბი უკვე დემონტაჟებული იყო და ავარიის მიზეზების შესწავლა, პრაქტიკულად, შეუძლებელი იყო.

**— რით შეიძლება აიხსნას „ეი-ი-ესის" ამგვარი ქმედება?**

— კონტრაქტის მიხედვით, ისინი იყვნენ ობიექტის მეპატრონეები და თავიანთ ხელთ არსებულ იურიდიულ მექანიზმებს იშველიებდნენ. ამასთან, დროსაც აჭიანურებდნენ (იმთავითვე ცხადი იყო, რომ მათ საქართველოდან წასვლა ჰქონდათ დაგეგმილი), თუმცა, ამას ვერაფრით დავასაბუთებთ.

**— ხომ არ იყო ეს აფეთქების ნამდვილი მიზეზის მიჩქმალვის მცდელობა?**

— ასეთი ეჭვი არსებობდა — კანცელარიაში, „ეი-ი-ესთან" ერთ-ერთი სერიოზული თათბირის დროს განვაცხადე კიდეც, რომ მათი ქმედება ქართული მხარის ეჭვს იწვევდა და კიდევ უფრო აღრმავებდა ჩვენს სურვილს, სერიოზულად განგვეხილა ეს საკითხი. ამასობაში დროც დაიკარგა.

**— სულ რამდენი კომისია მუშაობდა?**

— ძირითადად, ერთი. ეს იყო ქართველი ენერგეტიკოსებისა და უშიშროების სამინისტროს ერთობლივი კომისია. ვფიქრობ, ეს ყველაზე ლეგიტიმური და სამთავრობო უფლებებით აღჭურვილი კომისია იყო...

**— როგორც ამბობენ, ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც გაიყიდა მე-9-10 ბლოკები, კაბალური ქართული მხარისთვის. ეთანხმებით ამ აზრს?**

— სადავო საკითხია. ასეთი ხელშეკრულება საქართველოში პირველად დაიდო. მოვიძიეთ ბანკი „მერი ლინჩი", რომელიც მთელ მსოფლიოში ცნობილია როგორც სტრატეგიული მრჩეველი. ხელშეკრულების გაფორმებაში მონაწილეობდა თანამეგობრობის ქვეყნების ბევრი მნიშვნელოვანი წარმომადგენელი. შესაძლოა, შეცდომები იქნა დაშვებული, მაგრამ ამაზე ლაპარაკი ძნელია, რადგან ეს უფრო იურიდიული საკითხია, ვიდრე პოლიტიკური. თუმცა ზოგიერთი იურიდიული ფაქტორი არ გაუთვალისწინებიათ, მაინც მიმაჩნია, რომ წარმატებული ხელშეკრულება იყო. თუ ქვეყნისთვის მომგებიანი და წამგებიანი ყველა პირობა ვერ გაითვალისწინეს, ამის მიზეზად გარემოებათა დამთხვევასა და გამოუცდელობას ვთვლი.

**— ხელშეკრულების მიხედვით, ვალდებული იყო თუ არა „ეი-ი-ესი" აღედგინა აფეთქებული ბლოკი?**

— საქმეც ის არის, რომ დანგრევასა და აფეთქებას არავინ ელოდა და ასეთი ნიუანსები არ იყო ნახსენები ხელშეკრულებაში(?!). ერთი მხრივ, ხელშეკრულებაში ნათქვამია, რომ ბლოკები გამართულად უნდა მუშაობდეს და ა.შ. მაგრამ მეორე მხრივ, ფორსმაჟორულ (თუმცა კომისიის დასკვნის მიხედვით სიტუაცია ფორსმაჟორული არ იყო) სიტუაციაში აფეთქების შემთხვევაში ბლოკი რომ უნდა აღდგეს, ამაზე არაფერია ნათქვამი. ასე რომ, ერთი მხრივ ხელშეკრულებაში ჩადებულია პირობა, მაგრამ მისი შესრულების მექანიზმი არ არის დაცული იურიდიულად.

რადგან ამერიკულმა კომპანია „ეი-ი-ესმა" კარგა ხნის წინ დატოვა საქართველო, მე-10 ენერგობლოკის მომავლის გასარკვევად მისი „მემკვიდრის", „რაოს" კუთვნილ შპს „მტკვარს" ვესტუმრეთ და მის ხელმძღვანელს, **დევი კანდელაკს** გავესაუბრეთ:

— „რაოს" აინტერესებს ერთადერთი რამ — მას ჰქონდა რაღაც და დღეს არ აქვს, რატომ, ვისი მიზეზით? რამდენად შესაძლებელია, რომ სასამართლოს გზით აინაზღაუროს ზარალი?

**— თუ ზარალს ვერ აინაზღაურებს, მე-10 ბლოკს რას უპირებთ?**

— აინაზღაურებს ზარალს. მე-10 ენერგობლოკსაც გამართავს, მაგრამ სხვა პრობლემა გაჩნდება — აამუშავებს თუ არა „მტკვარი", ანუ ჩვენ, ამ ბლოკს.

(გაგრძელება იხ. გვ. 13)



ჟურნალი იყიდება გაზეთის ჯიხურებსა და ეკლესიებში

## რას გვეტყვი, მამაო?

**— რამდენად სწორია, როცა ადამიანი საუბრისას წამდაუწუმ იწერს პირჯვარს. ხანდახან მეც იგივე სურვილი მიჩნდება...**

— ღვთისადმი სიყვარულის გამოვლინებას თავისი წესი აქვს. როცა ეს წესი ხელოვნურად გადამეტებით ფორმას იღებს, გარეგნული ეფექტებით გადაჭარბებულად ვლინდება, სწორი არ არის. სიყვარული მოკრძალებითა და რიდით უნდა გამოიხატებოდეს. ადამიანის შინაგანი მდგომარეობის ხაზგასმული გამომზეურება იმ გარემოში, რომელიც შინაგან ფაქიზ მდგომარეობას არ შეესაბამება, საჭირო არ გახლავთ. ასე მაგალითად, ყოველმა გონიერმა ადამიანმა იცის, რომ მეტანია, რომელსაც ღვთისადმი უდიდესი მოკრძალების და თაყვანისცემის ნიშნად ვასრულებთ ტაძარში, ქუჩაში არ უნდა გავიმეოროთ. თვით ღვთისმსახურსაც არ შეეფერება უფლის მიმართ თავისი დამოკიდებულება წირვა-ლოცვის დროს, არაზომიერად გამოავლინოს მრევლის განწყობის შესაქმნელად... უფალი ყოველივეს ხედავს, გვერწმუნეთ, მას არც თქვენი შინაგანი, უსიტყვო რწმენა და მოკრძალებით გამოხატული თაყვანისცემა დარჩება შეუმჩნეველი.

**— გთხოვთ განგვიმარტოთ, როგორი სახის ორგანიზაციაა „ხსნის არმია" და შეიძლება თუ არა რაიმე სახით მის საქმიანობაში მონაწილეობა**

— „ხსნის არმია" რელიგიურ-სექტანტური ორგანიზაციაა. იგი უცხოეთში შეიქმნა და თავისი შინაარსით მართლმადიდებლობას ეწინააღმდეგება, თუმცაღა ბიბლიისეული კაცთმოყვარეობით ნიღბავს თავის საქმიანობას. ამ ორგანიზაციას დიდი მატერიალური სიმდიდრე გააჩნია. დახმარებასთან ერთად ქადაგებენ, რომ ისინი „იხსნიან" ადამიანებს და ეკლესიაში სიარული აუცილებელი არ არის. საბოლოოდ, მართლმადიდებელი ნელ-ნელა შორდება ტაძარს და ბევრი ცდუნება მისთვის მისაღები ხდება. გარდა ამისა, ეკლესიასთან მოწყვეტით, ეროვნულ ფესვებსაც ვწყდებით. „ხსნის არმიის" სახელწოდება მიუთითებს იმაზე, რომ ეს ორგანიზაცია მრავალრიცხოვანია და მან არა მარტო ჩვენი, არამედ მთელი მსოფლიოს „ხსნა" დაისახა მიზნად. აქედან გამომდინარე, არ გირჩევთ ამ ორგანიზაციის საქმიანობაში რაიმე სახით მოღვაწეობას. თუ თქვენ მატერიალურად ან სულიერად გიჭირთ, მიმართეთ თქვენგან არჩეულ მოძღვარს. მართალია, ჩვენს ეკლესიას დიდი სახსრები არ გააჩნია, მაგრამ გარწმუნებთ, ის გვერდით დაგიდგებათ.

**— რამდენადაც ვიცი, დაუშვებელია მამაკაცმა აღსარება ჩააბაროს მოძღვარს, თუკი ეს უკანასკნელი მისი სიმამრია, რატომ?**

— აღსარება უფლის უდიდესი საიდუმლოა და პირველ რიგში, გულისხმობს ნებაყოფლობას — ანუ ადამიანს თვითონ უნდა გააჩნდეს სურვილი აღსარების თქმისა. ასევე ნებაყოფლობითია იმის არჩევაც, თუ ვის ჩააბარებთ აღსარებას. თუ მართლმადიდებელს სურს აღსარება ჩააბაროს მის სიმამრს, რომელიც მღვდელია — ეს მისი ნებაა, ამას ეკლესია არ კრძალავს, მაგრამ რახან ჩვენ, ყველანი, თვით მოძღვარიც, ადამიანები ვართ და ადამიანური შეგრძნებებიც უფალმა გვიბოძა, შესაძლოა ასეთი აღსარებისას უხერხულმა შეგრძნებებმა იმძლავროს. გაჭირდეს ცოდვაზე საუბარი. მთავარი უფალთან მოძღვრის საშუალებით კავშირია და არა თვითონ მოძღვრის ვინაობა. ამიტომაც სასურველია, სიძე შეეცადოს აღსარება ისეთ მღვდელთან წარმოთქვას, რომელიც მისი ოჯახის წევრი არ არის.

*თქვენთვის საინტერესო კითხვები მოგვაწოდეთ „კვირის პალიტრის" ყუთების საშუალებით. მათი განლაგების შესახებ იხ. გვ. 36.*

*მკითხველთა შეკითხვებზე უპასუხებენ მართლმადიდებელი მამები.*

# ვინ „მოკლა“ მე-10 ენერგობლოკი?

(დასაწყისი იხ. გვ. 12)

**— რა შეგიშლით ხელს?**

— ის, რომ თვის განმავლობაში მე-9 ბლოკიდან 6 მლნ ლარის ღირებულების პროდუქციას ვაწარმოებ და მის ღირებულებას მომხმარებელი ვერ მინაზღაურებს. ამიტომ ვერ შევძლებ მე-10 ენერგობლოკის ამუშავებას. ვინ გადაიხდის მის ასამუშავებლად საჭირო ბუნებრივი აირის ღირებულებას? თქვენ დაწერთ ათ სტატიას, მხოლოდ ერთის ფული რომ გადაგიხადონ? ცხადია, არა. მაშ, ჩვენ რატომ უნდა გავისარჯოთ, თუ დანახარჯს ათი პროცენტით ავინაზღაურებთ მხოლოდ? ამას ჯობს, სულ გავაჩეროთ ან მინიმუმზე ვიმუშაოთ, რომ რაც შეიძლება, ნაკლებად ვიზარალოთ.

**— მაინც რა იყო აფეთქების მიზეზი? ამ საქმეზე სხვადასხვა კომისია მუშაობდა და რამდენადაც ვიცი, არც ერთი დასკვნა ერთგვაროვანი არ არის.**

— ჩემთვის ცნობილია მხოლოდ ერთი ტექნიკური ექსპერტის დასკვნა. მსოფლიოში ცნობილმა ინგლისურმა საექსპერტო კომპანია „ფიულერმა“ ზედმიწევნით შეისწავლა ბლოკზე ავარიის მიზეზები. ჩვენ მისი დასკვნა გვაქვს. დანარჩენებს კი ან არ ვიცნობთ, ან არ ვაღიარებთ. „ფიულერის“ დასკვნას კი ჯერჯერობით არ ვახმაურებთ.

**— თუმცა, „ეი-ი-ესის“ მმართველობის დროს არავინ უარყოფდა, რომ „სიმენსს“ სდებდა ამერიკული კომპანია ბრალს.**

— ბრალი რა შუაშია? ეს იყო ტექნიკური მიზეზებით გამოწვეული ავარია და არა პერსონალის არასწორი მოქმედების შედეგი. ასეც რომ ყოფილიყო, ამ ბლოკის მართვის ფარი „სიმენსს“ ისე ჰქონდა დამონტაჟებული, მე და თქვენ ღილაკებით რომ გვეთამაშა, ავარია მაინც არ უნდა მომხდარიყო. ბლოკი ავტომატურად უნდა გამორთულიყო.

**— ეი. თქვენც „სიმენსს“ ადანაშაულებთ?**

— არავის არ ვადანაშაულებ. ამას სასამართლო გადაწყვეტს და ის გაარკვევს, რომელი კომპანიაა დამნაშავე...

თუ ქართულ მხარესა და „ეი-ი-ესს“ შორის დადებული კაბალური ხელშეკრულების შესახებ ხმამაღლა ლაპარაკს უკვე არავინ ერიდება, სახელისუფლებო წრეებში არაფერს ამბობენ მეორე საიდუმლო ხელშეკრულების შესახებ, რომელიც კულუარული ინფორმაციით, „ეი-ი-ესსა“ და „რაო ეესს“ შორის დაიდო მაშინ, როცა ქართულმა მხარემ თითქმის არაფერი იცოდა ამერიკული კომპანიის განზრახვაზე. ენერგოექსპერტების განცხადებით, ქართულ-ამერიკულ ხელშეკრულებაში არის პუნქტი, რომლის თანახმად, „ეი-ი-ესს“ არც „თელასი“ და არც სხვა ქართული ენერგოობიექტები ჩვენი რომელიმე მეზობელი ქვეყნისთვის არ უნდა მიეყიდა. „ეი-ი-ესმა“ კი ეს პუნქტიც დაარღვია. არსებობს ვარაუდი, რომ მან მე-9-10 ენერგობლოკის „რაოსთვის“ გადაცემის დროს გარიგება დადო, რომ რუსები არასდროს აღძრავდნენ მის წინააღმდეგ სარჩელს აფეთქებული ბლოკის გამო. სამაგიეროდ, თუ აუცილებლობა მოითხოვდა, ისინი ერთად დაუპირისპირდებოდნენ გერმანულ კომპანია „სიმენსს“, რომელსაც, მათი გათვლით, უდანაშაულობის დამტკიცება გაუჭირდება.

„სიმენსის“ წარმომადგენლები კი სხვაგვარად ფიქრობენ, თუმცა საქართველოსთვის რა მნიშვნელობა აქვს, რომელი კომპანია რას ფიქრობს.

ახლა მთავარია, სახელმწიფოს პოლიტიკური სტრატეგია ქვეყნის ენერგოუსაფრთხოებისკენ იქნეს მიმართული. მაქსიმალურად უნდა გამოვიყენოთ საკუთარი ენერგორესურსები და კიდევ — განსაკუთრებული სიფრთხილით უნდა მოვეკიდოთ ენერგეტიკის სფეროში საერთაშორისო ხელშეკრულებების დადებას. ვიმედოვნებთ, სათბობ-ენერგეტიკის ახალი მინისტრი ახლებურად გაიაზრებს წინამორბედების გამოცდილებას და ქვეყანას არა მარტო კაბალურ ვალდებულებებს აარიდებს, წარსულში დაშვებული შეცდომების გამოსწორებასაც უმთავრეს მიზნად დაისახავს. მე-10 ენერგობლოკი კი, რომელსაც 200 მგვტ ელექტროენერგიის გამომუშავება შეუძლია, წარსულის კუთვნილება არ გახდება და საქართველო ოდესმე „წყვდიადიდან“ გამოვა.

*ეკა ლომიძე*
*რატი ახალაძე*

# ფულის აღების ახალი მექანიზმი საგზაო პოლიციაში



როდის იყო, პრეზიდენტი რეკავდა სხვა ქვეყნის საგზაო პოლიციაში და მანქანების გაშვებას ითხოვდა?!..

(დასაწყისი იხ. გვ. 5)

მინიმალური გადასახადი 5 ლარი იყო. დუშეთის პოსტზე 10 ლარს ტოვებდნენ. მლეთაში რომ ავიდოდნენ, 20 ლარი უნდა დაეტოვებინათ. იმიტომ, რომ უღელტეხილზე მლეთა გამშვები პუნქტია და ზამთარში შეიძლება არც გაეშვათ მანქანები... ჰოდა, დაიბარეს მძღოლები და კატეგორიულად გააფრთხილეს: არ დაგინახოთ, პოსტებზე ვინმეს ფული მისცეთო. ჩვენც აგვიკრძალეს პოსტებზე ფულის აკრეფა.

**— გამოდის, თქვენი უფროსები კარგ საქმეს აკეთებენ — ამ მანკიერ ჩვევას ებრძვიან.**

— რა ბრძოლა, რის ბრძოლა, ფულს თვითონ იღებენ. რომ ჩაგვიარა მანქანამ და ფული არ დატოვა, თავდაპირველად გაგვიკვირდა. მძღოლმა გვითხრა: რა ვქნა, ძმაო, თქვენმა უფროსებმა გაგვაფრთხილეს, ფული წინასწარ აგვეკრიფა და მათთვის გადაგვეცაო. ამას წინათ, ნატახტართან სომხეთიდან მომავალი მანქანები იყო გაჩერებული. ჯვრის უღელტეხილით უნდოდათ გადასვლა. ზამთარში ამ გზაზე რომ გაუშვა მანქანა, 100 დოლარი უნდა გადაიხადოს(?!). ისე გაატარეს სომხების ტრაილერები, არავინ არაფერი გვითხრა. ფული აიღეს და თქვეს, ქოჩარიანმა დარეკა სომხეთიდან და მანქანების გაშვება გვთხოვაო. როდის იყო, პრეზიდენტი რეკავდა სხვა ქვეყნის საგზაო პოლიციაში და მანქანების სახიფათო გზაზე გაშვებას ითხოვდა?!.. კაი ფული კეთდებოდა, ძონძებს რომ ეძახიან — მეორადი მოხმარების ტანსაცმელზეც. „კამაზებს“ ტვირთი ფოთიდან რომ მოჰქონდათ, მისი პატრონი მთელ ტრასაზე ტოვებდა ფულს. ამას წინათ, ერთმა შემომტანმა მითხრა: რა ვქნა, ამიკრძალეს თქვენთვის ფულის მოცემა, თორემ ჩემთვის სულერთია, ვის მივცემდი...

ნატახტართან სომხეთიდან მომავალი მანქანები იყო გაჩერებული. ჯვრის უღელტეხილით უნდოდათ გადასვლა. ზამთარში ამ გზაზე რომ გაუშვა მანქანა, 100 დოლარი უნდა გადაიხადოს(?!). ისე გაატარეს სომხების ტრაილერები, არავინ არაფერი გვითხრა. ფული აიღეს და თქვეს, ქოჩარიანმა დარეკა სომხეთიდან და მანქანების გაშვება გვთხოვაო. როდის იყო, პრეზიდენტი რეკავდა სხვა ქვეყნის საგზაო პოლიციაში და მანქანების სახიფათო გზაზე გაშვებას ითხოვდა?!..

**— საგზაო პოლიცია ერგნეთიდან მომავალი კონტრაბანდითაც გვარიანად ხეირობდა.**

— ადრე კეთდებოდა კარგი ფული, ვერ დავმალავ. სიგარეტი თუ მოჰქონდათ, მოვიდოდა პატრონი და მეტყოდა, ჩემი მანქანა მოდის და ნუ დამიკავებთო. ახლა აღარ არის ასე — კონტრაბანდის საქმეს ხელს ველარ ვკიდებთ, თვითონაც ფრთხილობენ და ცდილობენ, გააპარონ. არადა, დაიჭერ და ჩააბარებ ლეგიონის ხალხს.

**— ფულს რატომ აღარ იღებთ?**

— აღარ გვილირს. „კამაზმა“ შეიძლება მოგცეს ათი ლარი. ამაზე რომ დაგიჭირონ, შეიძლება ციხეში გაგიშვან. „ასობი ატდელი“ კონტრაბანდას კი არა, „ტეხასმოტრებსაც“ დასდევს. თუ „უტეხასმოტრო“ მანქანა გაგეპარა, მოხსნილი ხარ სამსახურიდან. ერთი სიტყვით, ყველანაირად გვზღუდავენ. ეს კი მთლიან სისტემაზე აისახება. მაგალითად, ადრე ჯვრის უღელტეხილზე თოვლი რომ მოვიდოდა, ჩვენ თვითონ ვკრეფდით ფულს, ტექნიკას ვქირაობდით და გზას ვასუფთავებდით. მძღოლებიც ხეირობდნენ და ჩვენც. ამას წინათ, ხომ ნახეთ, 2 კვირა იყო ჩაკეტილი უღელტეხილი. სადღაა გზის გასაწმენდად შესაგროვებელი ფული. რასაც ვიშოვი, მირჩევნია, ოჯახში მივიტანო. ეგ კი არა, მანქანები ველარ შეგვიკეთებია. დილის „რაზვოდის“ შემდეგ, „კანარეიკა“ ბუქსირით მიგვყავს ტრასაზე და ისე ვდგებით. ვიქნებით სამი-ოთხი საათი. მერე ისევ გამოვაბამთ ამ ჩვენს მანქანას თოკს და სხვა ადგილზე გადავათრევთ.

ცოტა ხნის წინ ერთ მანქანას სტარტერი გაუფუჭდა. მიუყვანეს ხელოსანს. 150 ლარი მოითხოვა... დღემდე სახელოსნოში დგას ის მანქანა და ალბათ კაი ხანს ვერც გამოიყვანენ. თან წესია ასეთი — შენს მონაკვეთზე 5-6 წრე მაინც უნდა გააკეთო მანქანით. მანქანა ხომ არ გივარგა, თან ბენზინიც არ გაქვს. ოთხი ბრიგადა გადის ყოველ დილით პოსტზე. თითოს 20 ლიტრი ბენზინი მაინც სჭირდება. 80 ლიტრ ბენზინს ყოველ დილით ვინ ჩაგისხამს? იტყვი, ბენზინის ფული არ მაქვს და ვერ ვიმუშავებო და ეგრევე გაგდებული ხარ სამსახურიდან, სამსახურებრივი გულგრილობის ბრალდებით. ასეთ პირობებში გვიწევს მუშაობა. არადა, ისეთი მოთხოვნები აქვთ და იმდენ გამოცდას გვიწყობენ, ნორმალური ადამიანი რომ ვერ გაუძლებს.

**— რა გამოცდებს გულისხმობთ?**

— ოგბაიძეც და „ასობიც“ ცალ-ცალკე გვიტარებდნენ გამოცდებს. რაციით გადმოგვცემენ, რომ გაიტაცეს მანქანა და უნდა დავაკავოთ. მართლა ჩამოგივლის ეს ვითომ მოპარული მანქანა და თუ ვერ დააფიქსირე, სამსახურს დატოვებ. ვალდებულები ვართ, ეს მანქანები დავაკავოთ.

**— როგორ უნდა დააკავოთ, როცა მანქანას სტარტერი აქვს გაფუჭებული, არც ბენზინი გაქვთ და მანქანაც თოკზეა გამობმული?**

— ყველაზე კარგი თავდაცვა ასეთ დროს რა არის, იცით? გადასცემ შენს მომდევნოს, რომ მოპარული მანქანა მიდის და უნდა გააჩეროს(?!).

**— ისინიც თქვენს დღეში არ არიან?**

— ისინი თავის მომდევნოს გადასცემენ და ბოლოს და ბოლოს, პოსტზე გზას გადაკეტავენ და გააჩერებენ იმ მანქანას. მაგრამ ასე იშვიათად ხდება. მომპარავს ნომრებიც გამოცვლილი აქვს, კარგი გოგოც უზის და ნელაც მოდის. ეჭვს ვერაფერში შეიტან. რომც შეიტანო და გააჩერო, შეიძლება „ასობი“ მოჰყვებოდეს უკან და აქეთ შემოგედავოს: არაფერი დაურღვევია და ტყუილუბრალოდ რატომ აჩერებო.

**— ინსპექტორები „მარშრუტკებსა“ და ავტობუსებზეც გვარიან ფულს აკეთებდნენ.**

— „მარშრუტკები“ და ავტობუსები ლარიანს ტოვებდნენ ხოლმე „ტეკზე“. ეს დაუწერელი კანონი იყო. საბაბიც ჰქონდათ, რომ გადაეხადათ. უმეტესობას გადაკეთებული აქვს სავარძლები — თერთმეტკაციან მანქანაში თხუთმეტ კაცს ტენიან. როცა გინდოდა, მაშინ გაუფორმებდი დარღვევას. იმანაც იცოდა და დაუყვედრებლად იხდიდა. დღეს 30 პროცენტი თუ ლა იხდის. ჩვენც ოფიციალურად ვექცევით უკვე და ადრე თუ 100 ოქმი იწერებოდა თვეში, ახლა 1000 იწერება... სამაგიეროდ, ფული აღარ შემოდის და კიდევ გიკვირთ, რატომ მისტირიან ინსპექტორები ძველ დროს?

**— გულზე ხელი დაიდეთ და მითხარით, კონკრეტულად, რა თანხას შოულობდით?**

— თუ კარგი მოძრაობა იყო, კარგი ფულიც რჩებოდა.

**— მაინც?**

— „სმენაში“ 100 ლარამდე გვრჩებოდა თითოეულს. მაშინ ერგნეთის ბაზრობა კარგად მუშაობდა. ღამეში 100-200 მანქანა მოდიოდა. ყველა იღებდა თავის წილს. ფულიც გროვდებოდა. მანქანებსაც ვარემონტებდით, ბენზინის ფულიც გვქონდა და სახლშიც კაცურად მივდიოდით. ყოფილა, სამი „სმენა“ გადაგვიბამს ერთმანეთზე. სამ დღეში სამას ლარს რომ შეიტან ოჯახში, მეტი რაღა უნდა გინდოდეს?

*P.S. ასეთია საგზაო პოლიციელის მიერ დანახული გუშინდელი და დღევანდელი საგზაო პოლიცია. რა იქნება ხვალ? ცხადია, ამ უწყებაში არსებული მანკიერი წრე ერთხელ და სამუდამოდ უნდა დაიშალოს. ამისთვის ალბათ ავტოინსპექტორებისთვის ხელფასების გაზრდა იქნება საჭირო. ასეთ შემთხვევაში, მათ მძღოლებთან ჩალიჩის საფუძველიც აღარ ექნებათ. თავის მხრივ, მძღოლებიც გაფრთხილდებიან და ეცოდინებათ, რომ საგზაო მოძრაობის წესების დარღვევისთვის მკაცრად აგებენ პასუხს. ქვეყანასაც საკადრისი საგზაო პოლიცია ეყოლება...*

*დავით დევიძე*






ერთი კაფსულა ჯანმრთელი და წარმატებული დღისთვის

ვიტამინომინერალური კომპლექსი „სინგლ დეი“ განკუთვნილია საქმიანი ადამიანებისთვის, რომელთა ცხოვრებაც დაკავშირებულია მომატებულ გონებრივ, ფიზიკურ და ემოციურ დატვირთვასთან, აგრეთვე მათთვის, ვისაც ნებისმიერ სიტუაციაში სურს იყოს ენერგიული, ჯანმრთელი და ლამაზი.




პრეპარატის საშუალებით შეგიძლიათ ხანმოკლე პერიოდში აღიდგინოთ შრომისუნარიანობა, იმუნიტეტი, მშვიდი ძილი და კუჭ-ნაწლავის სისტემის ნორმალური ფუნქციონირება, გაიუმჯობესოთ ორგანიზმის ზოგადი მდგომარეობა.

ხარისხის გარანტია — GMP-ის საერთაშორისო სტანდარტის სერტიფიკატი

ამერიკული კომპანია „შიფ“-ის ოფიციალური დისტრიბუტორი საქართველოში კომპანია „ჯეოვიტი“

ჯეოვიტი
GEOVIT

მის: ილია ჭავჭავაძის 41 (ვაკის პარკის პირდაპირ), ☎29-20-91; 899 10-99-20; 899 14-35-56
www.schiffvitamins.com

# კეთილი მეზობლები ალბათ დამეგობრდებიან

საქართველოს პრეზიდენტის პირველი ოფიციალური ვიზიტი აზერბაიჯანში სენსაციით დაიწყო — ქართულ დელეგაციას დახვდა პრემიერ-მინისტრი არტურ რასიზადე და არა პრეზიდენტი ილჰამ ალიევი. ასეთი რამ არ მომხდარა „განუყრელი მეგობრებისა და თანამებრძოლების“ — ჰეიდარ ალიევისა და ედუარდ შევარდნაძის პრეზიდენტობის ხანაში. ადრინდებურად ბაქოს პროსპექტებსა და მოედნებზე არ იყო გამოფენილი სახელმწიფო დროშები და ლიდერთა პორტრეტები. საქართველოს კორტეჟის სავალ გზაზე არსად ჩანდნენ „აღტაცებული ბაქოელებიც“, მაღალი სტუმრის პატივსაცემად არც საზეიმო კონცერტი გამართულა. ძველი დროების პომპეზურობიდან მხოლოდ „გიულისტანის“ სასახლეში მიღებაღა დარჩენილიყო...



მიხეილ სააკაშვილმა აეროპორტში გამართულ ბრიფინგზე განაცხადა, — მოსკოვისა და ვაშინგტონის შემდეგ ოფიციალური ვიზიტით ბაქოში ჩემი ჩამოსვლა ცხადყოფს, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია საქართველოსთვის აზერბაიჯანთან მეგობრობაო. შემდეგ საქართველოს პრეზიდენტმა ყვავილებით შეამკო ჰეიდარ ალიევის საფლავი.

ვიზიტის პროგრამის ოფიციალური ნაწილი ასეთი იყო: ილჰამ ალიევთან პირისპირ მოლაპარაკებები, ორი ქვეყნის დელეგაციათა შეხვედრა, ინფორმაციისა და განათლების სფეროებში თანამშრომლობის ხელშეკრულებების დადება.

ერთობლივ პრესკონფერენციაზე ილჰამ ალიევმა ჟურნალისტებს შეატყობინა, რომ პრეზიდენტებმა ორი ქვეყნის ურთიერთობის „ყოველმხრივი ანალიზი“ ჩაატარეს, განიხილეს რეგიონული ხასიათის საკითხები. ალიევმა ხაზი გაუსვა იმას, რომ „აზერბაიჯანი და საქართველო — სტრატეგიული პარტნიორები, კეთილი მეზობლები და ძმური ქვეყნები არიან.“ მოლაპარაკებების პროცესში აღმოჩნდა შეხედულებათა თანხვედრა ინტეგრაციის, ერთობლივი სატარიფო პოლიტიკის რეალიზების, საგადასახადო სისტემის სინქრონიზაციის, სასაზღვრო ბარიერების გაუქმებისა და სხვა საკითხებში. სააკაშვილმა თქვა, რომ ორ სახელმწიფოს შეუძლია შექმნას საერთო ბაზარი, რომელიც თანდათან მთელი სამხრეთ კავკასიის საერთო ბაზრად გადაიქცევა. მისი აზრით, მხარეთა პოზიციები ემთხვევა საგარეო პოლიტკის საკითხებშიც. ერთობლივ ენერგოპროექტებთან დაკავშირებით მან განაცხადა, რომ საქართველო ყველაფერს იღონებს ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენისა და ბაქო-თბილისი-არზრუმის გაზსადენის გასაყვანად. მაგრამ, მიუხედავად ყველაფრისა, ადგილობრივ მიმომხილველთა აზრით, ის მეგობრობა, რომელიც ორი ქვეყნის ძველ პრეზიდენტებს აკავშირებდათ, ახლებში ჯერ არ შეინიშნება.

თბილისში ალბათ არ დავიწყებიათ არც აზერბაიჯანის პრეზიდენტის ილჰამ ალიევის უარი მიხეილ სააკაშვილის ინაუგურაციაში მონაწილეობის მიღებაზე და — არც ის ყურადღება, რასაც აზერბაიჯანის მეთაური ედუარდ შევარდნაძისადმი იჩენდა. ასე რომ, ორი ქვეყნის ლიდერთა ტრადიციულ მეგობრობამდე ჯერ შორია...

***ბაქო-ნჲ.რუ***

# საქართველოს აზერბაიჯანელები საპროტესტო აქციისთვის ემზადებიან

საქართველოში მცხოვრები აზერბაიჯანელები აღშფოთებული არიან იმით, რომ საპარლამენტო არჩევნების კანდიდატთა სიაში მმართველი პარტიიდან მხოლოდ ერთი აზერბაიჯანელია შეყვანილი. ამ დღეებში ბაქოში ჩასულმა ერთ-ერთი საზოგადოებრივი ორგანიზაციის „საქართველო — ჩვენი სამშობლოს“ თავმჯდომარემ ალი ბაბაევმა განაცხადა, რომ საქართველოს ახალმა ხელისუფლებამ მიივიწყა დაპირებები იმის შესახებ, რომ მმართველობის პროცესში ადგილობრივ აზერბაიჯანელთა კვალიფიციურ კადრებს მოიზიდავდა, პრაქტიკულად კი ისეთსავე საკადრო პოლიტიკას ეწევა, როგორსაც ედუარდ შევარდნაძე. „ჩვენთან საუბარი არავის სურს, ქართულის მცოდნე, საკანონმდებლო და სამეურნეო მოღვაწეობის გამოცდილების მქონე, სამშობლოს მოყვარული აზერბაიჯანელები არავის სჭირდება.“ ამასთან, ბაბაევი ყურადღებას ამახვილებს იმაზე, რომ საარჩევნო სიაში ხუთი სომეხია. „და თუ ამათ რიცხვს იმ სომეხთა სიას დავურთავთ, რომელთაც გვარები ქართულად აქვთ გადაკეთებული, უნებურად ვასკვნით, რომ საქართველოს ახალი ხელისუფლება შეგნებულად მიდის ქვეყანაში ეროვნებათა შორის ურთიერთობის გართულებაზე... თუ საქართველოში მცხოვრები 500 ათასი აზერბაიჯანელისადმი დამოკიდებულება არ შეიცვლება, ისინი იძულებულნი გახდებიან, საპროტესტო აქციებს მიმართონ.“

ბაბაევს დიდი იმედი აქვს, რომ სააკაშვილის ბაქოში ვიზიტის შემდეგ აზერბაიჯანელთა მდგომარეობა საქართველოში საგრძნობლად გაუმჯობესდება.

***„ეხო“-ბაქო***

**პარიზი.** რფ-ის თავდაცვის მინისტრის მოვალეობის შემსრულებელმა სერგეი ივანოვმა საქართველო დაადანაშაულა, რომ მისი ტერიტორია ტერორისტების თავშესაფარია. ივანოვის თქმით, საქართველოს არმია და პოლიცია არაფერს აკეთებს იმისთვის, რომ ხელი შეუშალოს „ბოევიკების“ მათთან შესვლას. მისი განცხადებით, ათეულობით დაკავებულ ტერორისტს, მათ შორის თურქეთის მოქალაქეებს, პასპორტში ქართული ვიზა აღმოაჩნდა.

***ფიგარო***

# თბილისი და ბათუმი ბრძოლისწინა მოთელვას გადიან

აჭარის ლიდერის სამდღიანი, ვითომდა უწყინარი ვოიაჟი მოსკოვში, ბათუმსა და თბილისს შორის ურთიერთობის გარკვევის მორიგ რაუნდად იქცა.



მოსკოვში, აჭარის წარმომადგენელს, ლეონარდო დევდარიანს, თავის მართლებაც დასჭირდა — ასლან აბაშიძეს საიდუმლო პოლიტიკური გარიგებები მოსკოვთან ფიქრადაც არ მოსვლია. ის მხოლოდ ეკონომიკური ურთიერთობის გაფართოების შესაძლებლობებზე აწარმოებს მოლაპარაკებებს, თანაც მოსკოვის მერის გარდა არავისთვის მიუკითხავსო. მიუხედავად ამ განცხადებისა, ლუჟკოვთან შეხვედრის მეორე დღეს აბაშიძე რფ-ის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილეს ვალერი ლოშჩინინს შეხვდა; მაგრამ სარწმუნო წყაროს ცნობით, მთავარი შეხვედრები ასლან აბაშიძეს რუსეთის ძალოვან მინისტრებთან ჰქონდა. „აჭარის ლომი“ მათგან მხარდაჭერას ითხოვდა იმ შემთხვევაში, თუ თბილისი სადავო საკითხების გადაწყვეტას ძალის გამოყენებით შეეცდება. თუმცა რუსმა ძალოვნებმა კონკრეტული დაპირებებისგან თავი შეიკავეს.

კონფლიქტების მოგვარების საკითხების დარგში სახელმწიფო მინისტრმა გიორგი ხაინდრავამ, რომელიც იმ დროს მოსკოვში იმყოფებოდა, შემრიგებლური პოზიცია დაიკავა და განაცხადა, რომ თბილისსა და ბათუმს შორის არაფერია გასარკვევი, აჭარაში ადგილობრივი მნიშვნელობის პრობლემებიაო. მიუხედავად იმისა, რომ რეგიონებთან მიმართებაში საქართველოს ახალ მთავრობას ჯერ არ გააჩნია კონკრეტული პოლიტიკა, მინისტრმა მაინც ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ თბილისის აზრით, აჭარაში რეგიონის მართვის არსებულმა მეთოდმა დრო მოჭამა. ხაინდრავა ვარაუდობს, რომ ყველა კითხვას პასუხს 28 მარტის საპარლამენტო არჩევნები გასცემს. ამასთან დაკავშირებით, აბაშიძემ განაცხადა, რომ აჭარა მონაწილეობას მიიღებს არჩევნებში, მაგრამ მისი პარტია, „აღორძინება“ — არა. ამრიგად, თბილისისა და ბათუმის ურთიერთუკმაყოფილება კვლავ სტატუს-კვოს დაუბრუნდა, რომელსაც შეიძლება ეწოდოს „არც ომი და არც მშვიდობა“.

***რეგნუმ რუ***

# „მშრომელთა მოთხოვნით“ შეიძლება შევარდნაძე ჩასვან...



ექსპრეზიდენტის სიძეს არ შეეხება ბიზნესმენებისთვის მომზადებული ფინანსური ამნისტია.

დღეს თბილისში უკვე ლაპარაკობენ იმაზე, რომ ახალი ხელისუფლება, ბოლოს და ბოლოს, ედუარდ შევარდნაძესაც „მიადგება“. კერძოდ, პოპულარულ და ხელისუფლებასთან დაახლოებულ გაზეთ „24 საათში“ 70-იან წლებში თვითმფრინავის გატაცების მცდელობისთვის დახვრეტილი გეგა კობახიძის დედის, ნათელა მაჭავარიანის მანანა შევარდნაძისადმი მიმართული ღია წერილია გამოქვეყნებული. ხელმოცარულ გამტაცებლებს სასჯელის უმაღლესი ზომა მაშინდელი კომპარტიის ცკ-ის პირველი მდივნის, ედუარდ შევარდნაძის დაჟინებული მოთხოვნით მიუსაჯეს. „მეუღლის დაჭერის შემდეგ თქვენ უკანონობასა და ხელისუფლების ზეწოლაზე ალაპარაკდით. იქნებ ამ განცხადებების ნაცვლად დაფიქრდეთ — ხომ არ დადგა მონანიების დრო თქვენი ოჯახისთვის? ან იქნებ ახალმა ხელისუფლებამ თავი დაანებოს ყველა ბიზნესმენს, მათ შორის თქვენს მეუღლესაც და პასუხი მხოლოდ ერთ კაცს მოსთხოვოს — ედუარდ შევარდნაძეს — ჩვენი ქვეყნის ყველა უბედურების მოთავეს და მთავარ დამნაშავეს?“

რასაკვირველია, აქ მხოლოდ აზრია გამოთქმული. მაგრამ სიტყვა ითქვა და საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის თავზე შეიძლება ღრუბელიც შეიყაროს, ამჯერად კი, როგორც იმ „დაუვიწყარ“ დროში იცოდნენ თქმა, „მშრომელთა მოთხოვნით...“

მიუხედავად ედუარდ შევარდნაძის ოჯახის დიდი ძალისხმევისა, თბილისის საოლქო სასამართლომ ძალაში დატოვა მთაწმინდა-კრწანისის სასამართლოს გადაწყვეტილება, სახელმწიფოს ყოფილი მეთაურის სიძის, გიორგი ჯოხთაბერიძისთვის სამთვიანი პატიმრობის შეფარდების შესახებ. საქართველოს ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი და აქამდე „ხელშეუხებელი“ ბიზნესმენი გადასახადის დამალვაშია დადანაშაულებული.

შევარდნაძის ოჯახი სასამართლოს გადაწყვეტილებას ნეგატიურად უყურებს. „მთელი ეს ფარსი პოლიტიკური დაკვეთაა“, — განუცხადა კორესპონდენტს ექსპრეზიდენტის ვაჟმა პაატა შევარდნაძემ. მამამისზე კი თქვა, რომ „ის ცდილობს, არ უყუროს საინფორმაციო გადაცემებს, სადაც სიძის გარშემო ატეხილი სკანდალი შუქდება და კვლავაც არ აპირებს საქართველოს დატოვებას“. მისი ქალიშვილი კი ფარხმალს არ ყრის და ცნობილი უცხოელი ადვოკატები მოიწვია ქმრისთვის. რამდენად მარჯვედ წაიყვანენ ისინი საქმეს, ამას მომავალი აჩვენებს, მაგრამ ჯერჯერობით ნათელია, რომ

***ნეზავისიმაია გაზეტა №36***

# საქართველოს პირველი ლედი: ჩემი ჰობი — მიუსაფართა დახმარებაა



***საქართველოს პირველი ლედი, ჰოლანდიელი სანდრა რულოვსი-სააკაშვილი განათლებით ლინგვისტია, ბიზნესის სკოლაში ასწავლის, ეწევა ქველმოქმედებას. მას 8 მარტის დღესასწაულის წინ კორესპონდენტმა ინტერვიუ სთხოვა:***

— *გილოცავთ დღესასწაულს, წინა კვირაში დედის დღე აღნიშნეთ. თქვენს სამშობლოში, ჰოლანდიაში, თუ არის მსგავსი დღესასწაული?*

— არის, ოღონდ მაისში. ამ დღეს ბავშვები თავის ნახატებს, ლექსებს ჩუქნიან დედებს, ისინიც ცდილობენ შვილებს ასიამოვნონ. მეც, ჩემს ვაჟთან ერთად, დავდივარ კინოში, ზოოპარკში. ედვარდი ნამდვილი ქართველი ბიჭია, ძალიან უყვარს თავისი სამშობლო, რითაც ვამაყობ, თუმცა ჰოლანდიაში ყოფნაც უყვარს, თავის ბებია-ბაბუასთან, მეგობრებთან.

— *ოდესმე თუ გიფიქრიათ, რომ პირველი ლედი გახდებოდით?*

— ბოლო წლებში ყველა იმას მეუბნებოდა, მიშა პრეზიდენტი უნდა გახდეს, მას შეუძლია ქვეყნის ფეხზე დაყენებაო და მეც ნელ-ნელა შევეჩვიე ამ აზრს. მჯერა მიშასი და მისი შესაძლებლობებისა.

— *ეხმარებით ქმარს? ყურად იღებს თქვენს რჩევებს?*

— პოლიტიკურ საკითხებში — არა. ეს ძალიან რთულია. არის პრობლემები, რომელშიც გარკვევას მხოლოდ ან ძალიან კომპეტენტური ადამიანი შეძლებს, ან ის, ვინც ამ ქვეყანაში დაიბადა და ცხოვრობს. მე ხშირად მიწევს მივლინებებით საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ჩასვლა. მერე მიშა მეკითხება შთაბეჭდილებებს და მეც ვუყვები იმ ხალხზე, ვისაც შევხვდი, მათ პრობლემებზე. ის უყურადღებოდ არასოდეს ტოვებს ამ ცნობებს.

— *საერთოდ, პირველი ქალბატონები ქველმოქმედებას ეწევიან. თქვენ რას აკეთებთ საქართველოში?*

— მე გამონაკლისი არა ვარ. თითქმის ექვსი წელია საქველმოქმედო ფონდში ვმუშაობ, ამჯერად მოღვაწეობა რეგიონებში გავშალეთ. რამდენიმე პროექტის განხორციელებაში ჰოლანდიის, ბელგიის, გერმანიის მთავრობები გვეხმარებიან. მიხარია, რომ მარტოხელა და მიუსაფარ ადამიანებს ვეხმარები და ამას გულწრფელად ვაკეთებ. ეს ჩემი უპირველესი ჰობია... ახლახან ქუთაისიდან დავბრუნდი. მერე თელავში გავემგზავრებით. ჭიათურაში ახალ პროექტს ვიწყებთ, ტოტალურ უმუშევრობასთან ერთად, ცუდი ეკოლოგიური სიტუაცია შეიქმნა. უწინ მანგანუმის საბადოებზე მუშაობდნენ კაცები და ამან რამდენიმე თაობის ჯანმრთელობაზე იმოქმედა. ჭიათურაში ჩვენი ოფისის ფილიალის გახსნას ვაპირებთ. განვახორციელებთ ინვალიდების, მარტოხელა მოხუცებისა და ბავშვების დასახმარებელ რამდენიმე პროექტს.

— *თქვენი სპეციალობა ლინგვისტიკაა, აღარ მოღვაწეობთ ამ სფეროში?*

— როგორ არა. ბიზნესის სკოლაში ვასწავლი ფრანგულს. ჩემს სტუდენტებს ეგონათ, რომ რადგან პირველი ლედი გავხდი, მათი დოცენტი აღარ ვიქნებოდი და წუხდნენ, მაგრამ ახლა დამშვიდდნენ...

— *ლეგენდები დადის თქვენი ენების ცოდნის გამო. ამბობენ, მეგრული და სვანურიც იცით...*

— ეს გაზვიადებულია. მეგრული მეშვიდე ენა იქნება, რომელსაც მე ახლა ვეუფლები, სვანური — არ ვიცი, მაგრამ ვაპირებ შევისწავლო.

— *შეგიძლიათ თქვათ, რომ სრულიად „შეიგრძენით“ საქართველო?*

— დიახ, რასაკვირველია. მაგრამ ჯერ მაინც ბევრ რამეს ვსწავლობ. მე პატივს ვცემ ხალხის ტრადიციებს და მადლიერი ვარ, როცა რამეს მასწავლიან.

— *თქვენი მეუღლის რა თვისებებს აფასებთ ყველაზე მეტად?*

— ძალიან კეთილი, გულღია, სამართლიანი ადამიანია. მას მიზანი აქვს ცხოვრებაში და ამ მიზნის განხორციელებას შეუდგა. სურს, მის ქვეყანაში ყველა ბედნიერი იყოს. როგორც პოლიტიკოსი, მგონია, რომ მარტო ნაციონალური გმირი კი არ არის, საერთაშორისო სარბიელზეც მაღალ საფეხურზეც დგას და მე ვამაყობ ამით. ეს მისი დედის, ჩემი დედამთილის დამსახურებაა, რომელმაც ყველაფერი გააკეთა, რომ მიშას ასეთი განათლება მიეღო, დამოუკიდებელი გამხდარიყო. არ ვიცი, შევძლებ თუ არა ამდენის გაკეთებას ჩემი შვილისთვის, ძალიან კი მინდა...

— *სხვა პირველი ქალბატონებისგან განსხვავებით უფრო დემოკრატიული ხართ — ქცევით, ჩაცმის მანერით, ვარცხნილობითაც კი. რაც ბევრს მოსწონს. ეს თქვენი იმიჯია, ამაზე მუშაობთ?*

— რასაკვირველია, არა. იმიჯმეიკერი ჯერ არ მჭირდება.

— *ალბათ კიდევ გინდათ შვილები?*

— მინდა, მაგრამ ეს ღვთის ნებაა...

— *რაზე ოცნებობთ?*

— ვიყო ჯანმრთელი, რათა ვიმუშაო, ყოველთვის გვერდით ვედგე ქმარ-შვილს, აღვზარდო ჩემი ვაჟი ისეთივე მადლიერების გრძნობით, როგორიც ჩვენ გვაქვს ჩვენი მშობლების მიმართ.

***ბი-ბი-სი***

***იბეჭდება შემოკლებით***

***გვერდი მოამზადა თინათინ მარგველაშვილმა***

CMYK



ძვირფასო მშობლებო და ჩვენო პატარებო!

კვლავ მივიღეთ თქვენი წერილები. გმადლობთ, რომ ასე აქტიურად გვეხმიანებით და მოგწონთ თქვენი გვერდი. თითოეულ ბარათს ვინახავთ და შევეცდებით, მათ შორის საუკეთესოები მომდევნო ნომრებში შემოგთავაზოთ.



## პატარები ბრძენობენ

4 წლის გვანცა კრაწაშვილმა გაბერა ბუშტი, დააკავებინა მამამისს და სთხოვა:

— მამიკო, არ გაუშვა ხელი, არ დაიღუპოს, რა...

***

პატარა ზურა ბერელიძე ბებიას უზის კალთაში. ამ დროს მოდის ახალგაზრდა კაცი, რომელსაც არც ერთი ღერი თმა არ აქვს თავზე:

— ბებო, ბებო, იმ კაცს თავი იდეებით აქვს გამოტენილი და თმა იმიტომ გასცვივდა? — ხმამაღლა იკითხა ზურამ.

— ჩუმად, ზურა, არ გაიგონოს, — ჩასჩურჩულა ბებომ.

— რატომ, იდეები დაეფანტება?

***

3 წლის სალომეს უთხრეს — პირში წებო არ ჩაიდო, თორემ დაგეწებება ტუჩები და ველარ ილაპარაკებო. ამ დროს ტელეფონი რეკავს. სალომემ ყურმილი აიღო, ხმას არავინ არ იღებს.

სალომე:

— წებო ჭამე? რა ცოდო ხარ?!

შეიტანე კროსვორდის ბადის ცარიელ უჯრებში ნახატის შემადგენელი გამოსახულებების სახელწოდებები ვერტიკალურად და ყვითელ ჰორიზონტალურ რიგში მიიღებ გაზაფხულის ერთ-ერთი თვის სახელს.




### I ანა, გამიცანი

**1) ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელია ქალის სასიმღერო ხმა?**

ა) ტენორი; ბ) ბანი; გ) სოპრანო; დ) ბარიტონი.

**2) რომელ დღეს აცვეს ჯვარს იესო ქრისტე?**

ა) პარასკევს; ბ) ოთხშაბათს; გ) კვირას; დ) ხუთშაბათს.

**3) ამათგან რომელ ქვას მოიპოვებენ ზღვაში?**

ა) მარგალიტს; ბ) ალმასს; გ) საფირონს; დ) ფირუზს.

**4) ჩამოთვლილთაგან რომელი ცხოველის ხორცს არ ჭამენ მუსლიმანები?**

ა) ღორის; ბ) ძროხის; გ) ცხვრის; დ) თხის.

**5) ამ ცეკვებიდან რომელია აჭარული?**

ა) სამაია; ბ) განდაგანა; გ) ხორუმი; დ) მხედრული.

**6) რომელი პროდუქტი არ უნდა მიირთვას მომარხულემ?**

ა) არაყანი; ბ) ლობიო; გ) კარტოფილი; დ) მაკარონი.

**7) რისი შემფასებელია გურმანი?**

ა) ცოდნის; ბ) სილამაზის; გ) საჭმელების; დ) ანტიკვარების.

**8) რომელ ინსტრუმენტს ამზადებდა სტრადივარიუსი?**

ა) ვიოლინოს; ბ) ფლეიტას; გ) გიტარას; დ) დოლს.

**9) რომელ ოკეანეში მდებარეობს ბერმუდის სამკუთხედი?**

ა) ინდოთის; ბ) ატლანტიკის; გ) წყნარი; დ) ჩრდილოეთის ყინულოვანი.

მიიყვანეთ თაგვი ყველთან



რომელი ნივთები სჭირდება მეხანძრეს?



იპოვე 10 განსხვავება





პასუხები იხილეთ 31-ე გვერდზე

გვერდი მოამზადა მამუკა ხუციშვილმა

## ქადაგება მთაზე

ბიბლიური მოთხრობა

იესომ ხალხი რომ იხილა, მთაზე ავიდა. მას მოწაფეები მიუახლოვდნენ, რომლებსაც ასწავლიდა იგი: „ნეტარ არიან გლახაკნი სულითა, ვინაიდან მათია ცათა სასუფეველი.

თქვენ ხართ მარილი მიწისა და თუ მარილი გამტკნარდა, რითღა დაამარილებ? აღარად ვარგა, თუ არა გადასაყრელად და კაცთა მიერ ფეხით სათელად. თქვენა ხართ ნათელი ქვეყნისა. ვერ დაიმალება ქალაქი, მთის მწვერვალზე გაშენებული. არავინ ანათებს სანთელს და დგამს მას საწყაოს ქვეშ, არამედ სასანთლეზე და უნათებს ყველა შინ მყოფს. დაე, ასევე ნათობდეს თქვენი ნათელი კაცთა წინაშე, რათა ისინი ხედავდნენ თქვენს კეთილ საქმეებს და ადიდებდნენ მამას თქვენსას ზეციერს.

თქვენ გსმენიათ წინაპართა მიმართ თქმული: „არა კაც-ჰკლა, ხოლო ვინც მოჰკლავს, სამართალში უნდა მიეცეს“. მე კი გეუბნებით თქვენ: ვინც უმიზეზოდ ურისხდება თავის ძმას, სამართალში უნდა მიეცეს; ვინც ეტყვის თავის ძმას: შლეგო, — ცეცხლის გეენაში უნდა ჩავარდეს. ხოლო თუ შენ მიგაქვს შესაწირავი საკურთხეველთან და იქ გაიხსენებ, რომ შენი ძმა ძვირს იზრახვის შენთვის, დაუტოვე შენი შესაწირავი საკურთხევლის წინ, წადი, ჯერ შემოირიგე შენი ძმა, შემდეგ მოდი და შესწირე შესაწირავი. დაუზავდი საჩქაროდ შენს მომჩივანს, სანამ ერთად ადგახართ გზას, რათა მომჩივანმა არ მიგცეს მსაჯულს, ხოლო მსაჯულმა — მსახურს, და ჩავარდე საპყრობილეში.

თქვენ გსმენიათ, რომ თქმულა: „თვალი თვალსა წილ და კბილი კბილსა წილ“. ხოლო მე გეუბნებით თქვენ: ნუ აღუდგებით წინ ბოროტს; არამედ ვინც შემოგკრავს მარჯვენა ყვრიმალში, მიუშვირე მას მეორეც. და თუ ვინმეს სურს გიჩივლოს და წაგართვას შენი პერანგი, მიეცი მას მოსასხამიც. ანდა თუ ვინმე გაიძულებს ერთი მილის მანძილზე გამომყევიო, ორზე გაჰყევი მას. მთხოვნელს მიეცი და სესხების მსურველს ზურგს ნუ შეაქცევ“.


საუკეთესო ზღაპრები

+4 გასართობი გვერდი

გამოსულია 50-მდე ქართული და უცხოური ზღაპარი



ერთი წიგნი-ზღაპარი + გასართობი გვერდები

1 ლარი და 20 თეთრი ღირს

ზღაპრების შეძენა შეგიძლიათ „კვირის პალიტრის“ საგაზეთო ჯიხურებში, აგრეთვე პრესის სხვა გამავრცელებლებთან და წიგნის მაღაზიებში

ყურადღება!

პატარა მკითხველების თხოვნით, ზღაპარი „ნაცარქექია“ ხელახლა დაისტამბა


CMYK

# „რუსთავის“ კონცერტს იაპონელები ყინვაშიც კიმონოებით ესწრებიან

ანზორ ერქომაიშვილის ნახვა, მით უმეტეს მასთან საუბარი, გაძნელდა. იმდენად მოუცლელია, რომ დრო თითქმის არა აქვს. ამის გამო თავადაც წუხდა: „რა ვქნა, „რუსთავის“ რეპეტიცია, შემდეგ „მართვესთან“ რეპეტიცია, ხალხური სიმღერების საერთაშორისო ცენტრში... საქმე, მუზეუმებში, არქივებში სირბილი...“ ვერავის დაიხმართ-მეთქი? ვკითხე მორიდებით. არა, რაც მე მჭირდება, თავად უნდა გავაკეთოო. მივხვდი, რომ მისი საქმიანობა გაცილებით უფრო მეტი იყო, ვიდრე უბრალოდ მუშაობა. ეს არის მისი ცხოვრების წესი, ქართული ხალხური სიმღერის მადლით ცხებული... რა გასაკვირია, ხალხური სიმღერა **ანზორ ერქომაიშვილს** მემკვიდრეობით მოსდგამს:

— ჩვენს გვარს 300 წლის მუსიკალური ტრადიცია აქვს. წინაპრები გამოჩენილი მომღერლები მყოლია. მაშინ არ ტარდებოდა კონცერტები, მაგრამ მათი სიმღერის ამბავი ყველამ იცოდა და დღესასწაულზე მღეროდნენ.

**— სად ცხოვრობდნენ თქვენი წინაპრები?**

— ასკანაში. ბაბუაჩემის ბაბუა, ივანე ერქომაიშვილი, პატარა იყო, როცა დის ქორწილში უმღერია. სიძეს ძალიან მოსწონებია და სიმამრისათვის სიტყვა გადაუკრავს, — ამ ბალანას რომ მაჩუქებდეო... უჩუქებიათ კიდეც. სიძე სოფელ აკეთიდან იყო და იქ წაუყვანია ბავშვი. იშვილეს მგელაძეებმა და აღზარდეს. სიმღერაშიც დაოსტატებულა და კარგი ოჯახიც შეუქმნია, მაგრამ, საუბედუროდ, სახადით დახოცილან, მხოლოდ ერთი შვილი — გიგო — გადარჩენილა. ობოლი ისევ მგელაძეებს შეუფარებიათ. შემდეგ მგელაძის ქალს, რომელიც აკეთელ იორაშვილს ჰყავდა ცოლად, აღუზრდია. ამას იმიტომ გიამბობთ, რომ მგელაძეებმა და იორაშვილებმა გადაგვირჩინეს მოდგმა. გიგო რომ წამოიზარდა, ახალგაზრდა მომღერალს, გიორგი ბაბილოძეს დაუმეგობრდა, მათ შეუერთდა გიორგი იობიშვილი და ასე შეიქმნა ტრიო... ეს მოხდა 1850-იან წლებში. მალე მთელ საქართველოში ძალიან პოპულარულები გამხდარან...



ანზორ ერქომაიშვილის ბაბუის ოჯახი

გიგომ გიორგი ბაბილოძის და შეირთო ცოლად. ათი შვილი შეეძინათ. მათი კერა აინთო. ყველა მღეროდა. სამი მათგანი: არტემი, ვლადიმერი და ანანია ცნობილი ლოტბარები, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწეები გახდნენ მოგვიანებით.

**— გიგო ერქომაიშვილის გუნდის სიმღერების ჩანაწერი შემორჩენილია?**

— 1902 წელს საქართველოში გრამოფონის ფირმა შემოვიდა. დაიწყეს ქართული სიმღერების ჩაწერა, რომ ქართველი მომღერლების „ხათრით“ გრამოფონები კარგად გაყიდულიყო. დიდი საქმე გაკეთდა მაშინ. ჩაიწერეს გიგო ერქომაიშვილის გუნდის სიმღერაც და სხვა გამოჩენილი მომღერლებისაც: დედას ლევანას, სანდრო კავსაძის, მიხეილ კავსაძის გუნდები. ახლა რომ ვეძებ ჩანაწერებს, ვპოულობ და მიკვირს, რომ სამეგრელოს, რაჭის, სვანეთის ცნობილი მომღერლები არ ჩაუწერიათ. უფრო გურიის, კახეთის, თბილისური ანსამბლების სიმღერები და ქალაქური მუსიკა ჩაიწერეს. გიგო ერქომაიშვილის ანსამბლმა 50 უნიკალური სიმღერა ჩაწერა. გავიდა დრო და მე, მისმა შთამომავალმა, ეს ჩანაწერები ლონდონის, მოსკოვის და სხვა ქალაქების არქივებში მოვიპოვე.



**— თქვენს ოჯახში არ შემონახულა ეს ფირფიტები?**

— ყველა ვერ შემოინახებოდა, რადგან მაშინ ნახშირის ფირფიტებზე წერდნენ, გრამოფონი ლითონის ნემსით უკრავდა და ფირფიტა ცვდებოდა. ჩვენს ოჯახში სტუმარი რომ მოვიდოდა, ასმენინებდნენ ხოლმე. საინტერესოა, რომ გიგო ერქომაიშვილს გრამოფონი აჩუქეს სიმღერების ჩაწერის შემდეგ. ეს საუკუნის გრამოფონი დღეს ჩემთან ინახება. სხვათა შორის, გიგოს ძალიან დახმარებია მეწარმე ვასიკო სალუქვაძე, რომელმაც ჩამოიყვანა და უპატრონა, უცხოელებსაც ის მოელაპარაკა, რომ ბაბუას სიმღერები ჩაეწერათ.

**— როგორი კაცი იყო არტემ ერქომაიშვილი?**

— არაჩვეულებრივი ბუნების კაცი იყო. იგი უკანასკნელი წარმომადგენელი გახლდათ სამგალობლო სკოლისა. 2000 საგალობელი იცოდა და ასწავლიდა კიდეც სენაკში. სამწუხაროდ, რევოლუციამ მოუსწრო, ეს საქმიანობა აუკრძალეს და ოზურგეთში დაბრუნდა. მალე ბათუმში მიიწვიეს გუნდის ჩამოსაყალიბებლად. ამ გუნდმა 1927 წელს და მერე, 1947 წლის ოლიმპიადებზე, პირველი ადგილი აიღო. ლენინგრადსა და მოსკოვშიც მიიწვიეს... იქ მისი სიმღერები ჩაიწერეს ფონოგრამით, რომლებიც დღესაც ინახება რუსული ლიტერატურის მუზეუმში, პუშკინის სახლში. მათ პატრონი აღარ გამოუჩნდა, მე სახსრები არ მეყო... არადა ფუჭდება ცვილის ფურცლებზე ჩანაწერი. იქ მარტო ბაბუაჩემის ჩანაწერები კი არ არის, ასლანიშვილის, მეგრელიძის, ჩხიკვაძის სიმღერებიცაა. ამათ სასწრაფოდ სჭირდება ჩამოტანა, აღდგენა. გაუკეთებელი არაფერია, ოღონდ ბიზნესმენებმა უნდა გაიკრან ჯიბეზე ხელი, დაგვეხმარონ. 1949 წლიდან სოფელ მაკვანეთში გადავედით. იქიდან მახსოვს გურია, მაშინდელი მომღერლები — ვარლამ სვიმონიშვილი, დიმიტრი პატარავა... განსაცვიფრებელი ხალხი იყო. ყველაფრით გამორჩეულები იყვნენ, უპირველესად საქციელით. ბაბუა იტყოდა, მგალობელ მომღერალს ზომიერად უნდა ეჭამა, მისი დათრობაც არ შეიძლებოდაო. მომღერლებს ყველა ცნობდა, საჩინო ადგილას სვამდნენ ლხინში და საერთოდ, საზოგადო მოღვაწეებად მიიჩნევდნენ, დიდ პატივს სცემდნენ. ისინიც გრძნობდნენ ამას და შესაბამისად იქცეოდნენ — თავდაჭერილები და სამაგალითოები იყვნენ... ჩოხით დადიოდნენ... გიგო ერქომაიშვილი 107 წლისა გარდაიცვალა. „თეთრ ბაბუს“ ვეძახდით — გრძელი თეთრი წვერი ჰქონდა და იმიტომ. სიმღერას მასწავლიდა, წერა-კითხვაც მან მასწავლა... სკოლაში რომ შემიყვანეს და წერა ვიცოდი, მასწავლებელს გაუკვირდა — ვინ გასწავლაო? თეთრმა ბაბუმ-მეთქი... წუხდა, საგალობლებს რომ ვერ ამბობდა, მაშინ აკრძალული იყო გალობა. მახსოვს, გიგო ბაბუას დაკრძალვაზე უამრავი ხალხი მოვიდა. გამოასვენეს ეზოში, დიდი ცაცხვის ქვეშ დაასვენეს, მღვდელი მოიყვანეს, გალობდნენ. ბავშვებს გაგვიკვირდა: კაცი მოკვდა და ეგენი მღერიანო?! მეორე დღეს სკოლაშიც მითხრეს ბავშვებმა — რა ემღერებოდათო... რომ არა ბაბუას ავტორიტეტი, მღვდლის მოყვანის და გალობის ნებას ვინ მოგვცემდა!.. მალე ერთიმეორის მიყოლებით გარდაიცვალნენ ვარლამ სვიმონიშვილი, დიმიტრი პატარავა... არტემ ბაბუა დარჩა მარტო... ხშირად მინახავს საგალობლის ტექსტებით ხელში, ჩუმად იმეორებდა ხოლმე...

**— ასეთ ოჯახში აღზრდილს, რა თქმა უნდა, პროფესიის არჩევანზე საფიქრალიც არა გქონდათ რა...**

— სხვათა შორის, ჟურნალისტობა მინდოდა. სკოლის კედლის გაზეთში ვწერდი და მეგონა, ჟურნალისტად ვიყავი დაბადებული. მერე ბაბუამ მირჩია, კონსერვატორიაში შედიო. ჩვენი გვარის მომღერლების მეშვიდე თაობა ხარ და პროფესიონალი მუსიკოსი არ გვყავს, შენ უნდა ჩაიბარო ჩვენი ხალხური სიმღერების ბედიო.

**— მართლაც სისხლის გუმანი ჰქონია ბაბუათქვენს. ჩაიბარეთ და მერე როგორ ჩაიბარეთ ქართული ხალხური სიმღერების ბედი!.. პირველად რომელი ანსამბლი ჩამოაყალიბეთ?**

— პირველად ანსამბლი „გორდელა“ ჩამოვაყალიბე. ახლა მისი წევრები ცნობილი მუსიკოსები არიან... მერე „რუსთავი“, რომელსაც დღემდე მოვყვები, ჩამოვაყალიბე „მართვე“ — ბიჭუნათა ანსამბლი. „რუსთავი“ უკვე 35 წლისაა, მოიარა 60-ზე მეტი ქვეყანა. ჩავიწერეთ სიმღერების 600-მდე ვარიანტი. აღვადგინეთ ძველი სიმღერები, საგალობლები, მოვაგროვეთ გაფანტული ჩანაწერები. ჩემი პედაგოგები — შალვა ასლანიშვილი და გივი ლირთქიფანიძე — ამომიდგნენ მხარში. მითხრეს: არ შეიძლება ჩანაწერები არ იყოს სადმეო. წავედი მოსკოვში, იქ დიდძალი მასალა მოვიპოვე, ძიებამ რიგა, ვარშავა, ლონდონიც მომატარა. ეს ჩანაწერებია ჩემი უმნიშვნელოვანესი „შენაძენი“.

**— როგორც თავის დროზე რეზო თაბუკაშვილი მიჰყვა ქართველი ემიგრანტების გზას, სწორედ ისე მისდევდით თითოეული ქართული სიმღერის ჩანაწერის კვალს ევროპაში, არ უკვირდათ უცხოეთში თქვენი ასეთი დიდი ინტერესი?**

— რუსეთში განცვიფრებულები იყვნენ — ახალგაზრდა კაცი მუდამ არქივსა და მუზეუმში ვმუშაობდი. დედას ლევანას მრავალჟამიერი რომ აღმოვაჩინე და მოსკოვის საარქივო სტუდიაში აღვადგინეთ, გვერდით სააპარატუროდან შემოცვივდა ხალხი. იკითხეს, ვინ არისო? იქ მუშაობდა კლაუდი ტიხონრავოვი, რომელსაც ანდობდნენ ლენინის ჩანაწერების გასუფთავებას, იმ დროისათვის დიდი პროფესიონალი იყო. რომ მოუსმინა დედას ლევანას, გაოგნდა: ეს კაცი ჩაწერის დროს სხვა მომღერლებზე ერთი მეტრით უკან დაუყენებიათ. იმდენად ძლიერი ხმა აქვს, სხვებს გადაფარავდაო. იგივე მითხრეს ლონდონში, როცა დედას ლევანას და გიორგი ბაბილოძის ხმები მოისმინეს. ასეთი „გამყინავი“ (ასე ჰქვია ხმას) არასოდეს გაეგონათ. მივაკვლიე ვანო სარაჯიშვილის ჩანაწერებსაც; ბოლოს, პარიზიდან ჩამოვიტანეთ ცნობილი საოპერო ჩანაწერები: ტომაშევიჩის, ფილიმონ ქორიძისა, რომლის ხმაც ჩაწერილი არც გვეგონა... ნატო გაბუნიას ნამღერიც... ამ ჩანაწერების პოპულარიზებას, სიმღერების აღდგენას ხალხური შემოქმედების ცენტრი ეწევა, რომელიც ჩვენ ჩამოვაყალიბეთ.

**— ჩვენი კულტურა დღეს ერთადერთია, რითიც მსოფლიოს წინაშე შეგვიძლია თავის წარდგენა...**

— 2001 წელს იუნესკომ ქართული ხალხური სიმღერა სულიერ საგანძურად მიიჩნია. ეს დიდი აღიარება გახლავთ. მე, რამდენიმე წელია, იუნესკოს ჟიურის წევრი ვარ და ჩემი თვალით ვნახე ეს დიდი წარმატება. ძალიან დაგვეხმარა ნიკო ლეკიშვილი ფოლკლორის ცენტრის დაარსებაში. იუნესკომ გამოგვიწოდა ხელი და უკვე 7 რეგიონში გავხსენით ლოტბართა სკოლები. უცხოეთში ძალიან მოსწონთ ჩვენი ფოლკლორი. „ჩაკრულო“ კოსმოსშიც გაუშვეს. ამ დროს ჩვენ უგულებელვყოფთ ხალხურ სიმღერას და მდარე ხარისხის სიმღერებზე გვაქვს აქცენტი. სირცხვილია. ზემოთ ლოტბართა სკოლები ვახსენე... გული გაგინათდება 80 წელს გადაცილებული ლოტბარის შემყურეს, როგორი სიყვარულით ასწავლის ათ ახალგაზრდას ამ ხელოვნებას. ასწავლის საოცარი მონდომებით, აღარ ახსოვს სახლი, სხვა პრობლემები. 81 წლის არის სანდრო სიმაშვილი სოფელ ართანიდან... სიხარულით დადის სკოლაში და ასწავლის ბავშვებს... ასეა 80 წლის პოლიკარპე ხუბულავა სამეგრელოში. 2005 წლისათვის საქართველოში 70-80 კვალიფიციური მომღერალი და მგალობელი იქნება. კათოლიკოს-პატრიარქის ლოცვა-კურთხევით, ცოტა ხანში ეკლესიაში ტრადიციული, კანონიკური საგალობლების შემსრულებლები გვეყოლება.

**— საქართველოში რომ მსოფლიო პოლიფონიის ცენტრი დაარსდა, ეს ფაქტი თავისთავად მეტყველებს ყველაფერზე. საერთოდ, შარშან ბევრი კარგი საქმე გაკეთდა, არა?**

— შარშან მანანა დოიჯაშვილის თაოსნობით სიმპოზიუმი ჩაატარა იუნესკომ ჩვენს კონსერვატორიაში და დააარსა მსოფლიო პოლიფონიის ცენტრი. ეს უდიდესი მიღწევაა. ამას წინათ ვუსმენდი მიხეილ კილასონიძის მიერ ჩაწერილ სიმღერებს... რამხელა ღვაწლი მიუძღვის მას... უკვე ცალ-ცალი ხმები ჩავიწერეთ, გადავიღეთ კიდეც... გამოვუშვით მეგრული სიმღერების ცალ-ცალი ხმები. გადაწყვეტილი გვაქვს, გამოვუშვათ ყველა კუთხის სასწავლო ფირფიტები, დავუგზავნოთ სკოლებს და ასე ავამღეროთ მთელი საქართველო.

განზრახული გვაქვს საუკუნის ანთოლოგიის მომზადება — გავუშვათ ჩანაწერები 1901 წლიდან 2001 წლამდე. გამოვეცით ცნობილ მომღერლებზე მონოგრაფია, მოვიარეთ ოჯახები, მოვიძიეთ მასალები. ჩვენი მიზანია გადავარჩინოთ ქართული სიმღერა. ეს არის საძირკველი, რომელზედაც უნდა აშენდეს ხალხური მუსიკის მეცნიერება. ეს რომ არ გაკეთდეს, შთამომავლობა გაგვლანძღავს... არ შემიძლია არ აღვნიშნო ვახტანგ როდონაიას ღვაწლი — ის უკეთებს რედაქტირებას ჩვენს ტექსტებს.

**— როგორ ფიქრობთ, ცოცხლობს თუ არა ქართული ხალხური სიმღერა ანსამბლების გარეთ, ქართულ სოფლებში?**

— რაიონებში ხშირად დავდივარ. თავისი კუთხის სიმღერების მცოდნე თითქმის აღარავინ დარჩა. ანსამბლები ბევრია, მაგრამ სოფელი აღარ მღერის... სოფელი უსმენს ცენტრს, აქედან საინფორმაციო საშუალებებით გასული სიმღერები — მდარე მუსიკალური მასალა — შეითვისა სოფელმა, თავისი კი ავიწყდება. ეს დიდი პრობლემაა. ეროვნული თუ დაიკარგება, საქართველო მსოფლიოში ადგილს დაკარგავს. ბავშვებს ჯერ მშობლიური მელოდიები უნდა ვასწავლოთ, მერე უცხოური. რამდენჯერმე მომიხდა სოფლად ქორწილში წასვლა. შევწუხდი, ცუდად გავხდი. დედაჩემმა — 80 წელს გადაცილებულია — ველარ გაუძლო, მიატოვა სუფრა. ყურთასმენა აღარ იყო. ეს იყო ცუდი გემოვნებით გადმოტანილი უცხოური მუსიკა. იყო ჭყვიტინი, ჩხუბი... ეს უბედურებაა: იკარგება ხალხური სიმღერაც, ტრადიციაც... სიმღერა მარტო სიმღერა ხომ არ არის, პოეზია და ზღაპარიცაა. ის განაწყობს ბავშვს სამშობლოსთვის საფიქრელად... ეს გვაკლია. უნდა შევეცადოთ ტრადიციის შენარჩუნებას. უცხოეთში არის ბევრი რამ კარგი, მაგრამ ბევრია ძალიან ცუდიც. ჩვენ მხოლოდ კარგი უნდა გადმოვიტანოთ და არა ცუდი.

გახსოვთ ლამაზი ქართული ესტრადა? ლაღიძის, კერესელიძის, კვერნაძის, კახიძის, ბობოხიძის, ყანჩელის სიმღერები დღეს სანატრელი გაგვიხდა... ყველა კომპოზიტორი გახდა... ბიძინა კვერნაძე აღშფოთებული იყო. რა არის, რას მღერიანო...

**— დაბოლოს, გვიამბეთ თქვენი გასტროლების შესახებ იაპონიაში, როგორ მიგიღეს იაპონელებმა?**

— „რუსთავმა“ დაამთავრა გასტროლები ლონდონში. ბიჭები გავუშვი დასასვენებლად, რომ საახალწლოდ მომზადებულიყვნენ და უცებ იაპო-



100 წლის წინანდელი გრამოფონი

ნიიდან მოვიდა მოწვევა... თურმე ტოკიოს ცენტრში, სადაც ამერიკელებს სამხედრო ბაზები ჰქონდათ II მსოფლიო ომის შემდეგ, იაპონელებს აუშენებიათ საოცარი ცენტრი ულტრათანამედროვე საცხოვრებელი სახლებით, მაღაზიებით, ტექნიკით, სპორტკომპლექსებით, ამისი ოფიციალური გადაცემა იაპონელი ხალხისთვის ზეიმად იქცა. იაპონელებმა გადაწყვიტეს ეს საჩუქარი ხალხისთვის ქართული ხალხური სიმღერით გადაეცათ. წარმოიდგინეთ ოკეანის გადაღმა ეს „გადამთიელი“ ხალხი თავის ერს საჩუქარს ქართული სიმღერით უძღვნის. ეს პროექტი „ქალაქში ქალაქი“ სხვაგანაც უნდა დაინერგოს. არასოდეს დამავიწყდება 25 დეკემბრის ღამე, როცა ჩვენს კონცერტზე კიმონოში გამოწყობილი იაპონელები სიცივეში, ასე შილიფად, ნაციონალური ტანსაცმლით მოვიდნენ ჩვენი კულტურის თაყვანისცემის ნიშნად. ამას დაემატა ის, რომ „იამასიო გუმი“ — ანსამბლი, რომელიც ქართულად მღერის, შუა კონცერტზე აფრიალებდა ქართულ დროშას. კონცერტს „ჩაკრულოთი“ ვამთავრებდით. მაყურებელი ფეხზე წამოდგა. არ მახსოვს, როცა ამ სიმღერას ვმღერით, ფეხზე არ წამოგვიდგნენ და ასე არ იდგნენ ბოლომდე, ოვაციებით... ქართული სიმღერა ასეთ დონეზეა მსოფლიოში. ჩვენ თვითონ უნდა დავაფასოთ ქართული კულტურა და ამაში უცხოელებმა არ გვაჯობონ. ეს იქნება ნამდვილი მამულიშვილობა.

***ლელა ჯიყაშვილი***


ღია კარის დღე ამერიკულ აკადემიაში

17 მარტს, 17 საათზე ამერიკულ აკადემიაში ჩატარდება ღია კარის დღე 2004-2005 სასწავლო წელს მე-9 კლასში სწავლის გაგრძელების მსურველებისა და მათი მშობლებისათვის.

მისამართი: ჭავჭავაძის გამზ. 37ა (ახალი ეკლესიის უკან). დამატებითი ინფორმაციისათვის მოგვმართეთ ტელ: 22 74 41; 22 78 89


CMYK

# „მბრძანებელმა“ „ტიტანიკის“ და „ბენ ჰურის“ რეკორდი მოხსნა



29 თებერვალს ლოს-ანჯელესში ჩატარდა „ოსკარის“ გადაცემის ცერემონიალი. როგორც მოსალოდნელი იყო, 11 „ოსკარი“ მიიღო პიტერ ჯექსონის ფილმმა **„ბეჭდების მბრძანებელი: ხელმწიფის დაბრუნება“.**

*ქალის მთავარი როლის* განსახიერებისთვის ფილმში „მონსტრი“, უმაღლესი ჯილდო ერგო მსახიობ **შარლიზ ტერონს**, ხოლო *საუკეთესო მსახიობ მამაკაცად* აღიარეს **შონ პენი** („იდუმალი მდინარე“).

*საუკეთესო სცენარისთვის* დააჯილდოეს **სოფია კოპოლა** („თარგმანში დაკარგული“); *მეორეხარისხოვანი როლის* საუკეთესოდ შესრულებისათვის „ოსკარები“ გადაეცათ **რენე ზელვეგერს** („ცივი მთა“) და **ტიმ რობინსს** („იდუმალი მდინარე“).

ჯერ კიდევ ცერემონიალის დაწყებამდე იყო ცნობილი, რომ წლის საუკეთესო ფილმად „მბრძანებელს“ აღიარებდნენ; ისიც ცხადი გახლდათ, რომ საუკეთესო მსახიობის სახელს შარლიზ ტერონს მიანიჭებდნენ — ის ამას ნამდვილად იმსახურებდა: ამ მზეთუნახავმა „მონსტრში“ სათამაშოდ ხომ თავი დაიმახინჯა! არც შონ პენის საუკეთესო მსახიობად აღიარება გაჰკვირვებია ვინმეს. მომხიბლავი რენე ზელვეგერი მართლაც შესანიშნავი იყო „ჩიკაგოში“, მაგრამ ოსკარი არ მიუღია, ხოლო „ცივ მთაში“ ულიმღამოდ ნათამაშები როლისთვის — მიიღო! ამერიკის კინოაკადემიის აკადემიკოსებს ჭეშმარიტება არ აინტერესებთ, ისინი აჯილდოებენ არა ნამდვილ კინონოვატორებს, არამედ ხალხის საყვარელ მსახიობებს.

ყველა ეს ადამიანი ცერემონიალზე შეიკრიბა. ერთნი იყვნენ „გადამცემები“: კეტრინ ზეტა-ჯონსი, სიუზენ სარანდონი, ნიკოლ კიდმანი... მეორენი კი — „მიმღებნი“. და რადგანაც გამარჯვებულების სახელები დარბაზისთვის წინასწარ იყო ცნობილი, ერთფეროვნებისთვის თავის არიდებას სცენაზე ასულები იმპროვიზაციებით ცდილობდნენ: „შონ! შონ!“ — ყვიროდა კიდმანი. „სოფია! სოფია!“ — მხარს უბამდა მას სარანდონი. სოფიას და შონს „ოსკარის“ სტატუეტებთან ერთად სერტიფიკატის აღება დაავიწყდათ, ხოლო შარლიზ ტერონმა დედით დაწყებული — იურისტით დამთავრებული — ყველას მადლობა მოახსენა, მერე კი აწუწუნდა — ვიღაც მაინც დამავიწყდაო. მეორე მხრივ, ეს იყო სიცოცხლის დღესასწაული — ბავშვებივით ერთობოდნენ და გასაკვირი აღარ იყო, რომ ამ საზოგადოებამ უპირატესობა ზღაპარს მიანიჭა.

ცერემონიალის კონსერვატიული პოლიტიკური განწყობილება ოდნავ დაარღვია დოკუმენტური ფილმების ნომინაციამ. გაიმარჯვა „ომის ნისლმა“. ეს არის კენედის ადმინისტრაციის თავდაცვის მინისტრის, „ვიეტნამის ომის არქიტექტორის“, რობერტ მაკნამარას ფილმი-დაკითხვა. ჯილდოს მიღებისას რეჟისორმა ეროლ მორისმა განაცხადა, — აშშ-ის დღევანდელი საგარეო პოლიტიკის წყალობით, შეიძლება ქვეყანა იმავე ორმოში აღმოჩნდეს, რომელშიც 40 წლის წინ, მაკნამარას დროსო. ამ შენიშვნამ საზოგადოება ააღელვა, მაგრამ ცოტა ხნით.

საუკეთესო საზღვარგარეთული ფილმისთვის „ოსკარი“ მიიღო კანადელი რეჟისორის დენი არკანის ფილმმა „ბარბაროსთა შემოსევა“.

ცერემონიალმა მშვიდობიანად ჩაიარა, აკადემიკოსებმა მსოფლიოს აგრძნობინეს, — ჰოლივუდი თავისი მაძღარი, უზრუნველი ცხოვრებით ცხოვრობს და დანარჩენი მსოფლიოს სატკივარი არ აინტერესებსო.

ნომინაციაში, „საუკეთესო მოკლემეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი“, ოსკარით დაჯილდოვდა ამერიკელ მარიანა დელეოს 39-წუთიანი სურათი „ჩერნობილის გული“. ის ბელორუსიაში არის გადაღებული და მოგვითხრობს, 18 წლის წინ მომხდარი კატასტროფის შედეგები როგორ უარყოფით ზემოქმედებას ახდენს იქაურთა ჯანმრთელობაზე...

## პიტერ ჯექსონი: თერთმეტი ოსკარი ხუმრობა არ არის!

„გამოგიტყდებით, ასეთი წარმატება ჩემთვის მოულოდნელობა იყო. მეგონა, რაღაც პატარა ჯილდოს დავიმსახურებდით. თერთმეტი ოსკარი ხუმრობა არ არის! საწყენია, როცა უპრიზოდ რჩები. მაგრამ ის, რაც მოხდა, — დიდი გამარჯვებაა. როცა პრიზების ასაღებად ჩემი გადამღები ჯგუფის წევრები გადიოდნენ, სიხარული მეუფლებოდა. მაგრამ, ამავე დროს, ვიტანჯებოდი — ჯილდოს საუკეთესო რეჟისორისა და საუკეთესო ფილმისთვის ხომ სულ ბოლოს გადასცემენ. ვიდრე ყველაფერი გაირკვეოდა, ლოდინი დიდხანს მომიხდა.“

## „ოსკარი — 2004“: შლეიფები და ბრილიანტები



„ოსკარის“ გადაცემის ცერემონიალი მოდელიერებისთვის ყველაზე ძვირად ღირებული და ეფექტიანი რეკლამაა — ამ დროს მოდელები ხომ მსოფლიოს უცნობილესი მსახიობები არიან. წლევანდელი ზეიმის სტილი ფუფუნება და ბრწყინვალება იყო. მსახიობების ყელზე მართლაც რომ ვარსკვლავებივით ელვარებდნენ ძვირფასი თვლებით მოოჭვილი კოლიეები, ხოლო ტანთ მილიონებად ღირებული სამოსი ემოსათ.

**შარლიზ ტერონი** სცენაზე გამოვიდა ვერცხლისფერკილიტებიანი, ღრმადეკოლტეიანი კაბით (დიზაინერი ტომ ფორდი), თვალს იტაცებდა მისი მშვენიერი მკერდი, რომელზეც ანდამატურად დაცურავდა უძვირფასესი ყელსაბამი.

**რენე ზელვეგერს** Caroline Herrera-ს უბრეტელო, შლეიფიანი კაბა ეცვა. ყელსა და მაჯაზე კარტიეს მილიონად ღირებული სამკაულები უციმციმებდა.

**სკარლეტ იოჰანსონი** ძველმოდური სტილის Alberta Ferrett-ის ატლასის კაბითა და პლატინისფერი თმით გამოვიდა სცენაზე და მაყურებელი მოხიბლა.

შეუდარებელ **ნიკოლ კიდმანს** თავისი თვალებისფერი, შანელის რუხი კაბა ეცვა. კაბის მკერდისა და ქობის ოქრომკედით დამშვენებას მქარგავებმა 400 საათი მოანდომეს. თვალს ჭრიდა მისი მწვანე ბრილიანტებით მოოჭვილი, 195-კარატიანი ყელსაბამი.

საოცრად უხდებოდა Vintage-ს ალისფერი კაბა **კეტრინ ზეტა-ჯონსს,** რომელიც ცერემონიალზე ქმართან, მაიკლ დუგლასთან ერთად გამოცხადდა.

ვერსაჩეს ხამანწკისფერი კაბით დამშვენებული **ნაომი გოტსი** მეტად ეფექტურად გამოიყურებოდა. არანაკლებ მომხიბლავი იყო **ჯულია რობერტსი** არმანის ოქროსფერ კაბაში, ქერად შეღებილი თმით. **ანი ლენოქსს** ეცვა ცისფერი ატლასის კაბა, რომელიც საგანგებოდ ამ დღისთვის შეუკერა ბრიტანელმა მოდელიერმა სტელა მაკარტნიმ.

## „მონსტრმა“ თავისი აიღო



შარლიზ ტერონის ცნობა ფილმში, რომელმაც „დათვის“ შემდეგ „ოსკარი“ მოუტანა მსახიობს, ძალიან ძნელია. „მონსტრში“ მან ყველაფერი გააკეთა იმისთვის, რომ თავის პერსონაჟს — სერიულ მკვლელ ეილინ უორნოსს დამსგავსებოდა: წონაში 12 კგ მოიმატა, პროთეზით ლაპარაკი ისწავლა, შეიცვალა სახე, ხელები, ყელი, სიარულის მანერა. მაგრამ გარეგნობის შეცვლა შედეგს ვერ გამოიღებდა, რომ შარლიზს როლი ცუდად ეთამაშა და არ მომხდარიყო მისი არა მარტო გარეგნული, არამედ შინაგანი გარდასახვაც. გმირი ქუჩის მეძავია, რომელიც თავის კლიენტებს ხოცავს.

**— არ შეგეშინდათ მკვლელის შინაგანი ბუნების გათავისება და გარეგნობის ასე შეცვლა?**

— მარტო გარეგნობის შეცვლაში ოსკარს არავინ მოგცემს. ფიზიკური ტრანსფორმაცია მხოლოდ ერთ-ერთი ასპექტია. გადაღებებამდე ერთი კვირით ადრე შიში დამეუფლა მაგრამ მერე თავს მოვერიე, იმიტომ, რომ ეს თამაშია, ეს ჩემი პროფესიაა და მეტი არაფერი. დრო არ მქონდა ჩემი პერსონაჟის სულიერ სამყაროში ჩაღრმავებისა. უბრალოდ, ამ პერსონაჟის ცხოვრებით ვცხოვრობდი. გადაღებისთვის 29 დღე გვქონდა და ფინანსურადაც შეზღუდული ვიყავით. ამიტომ ზუსტად უნდა გვცოდნოდა, რა გვინდოდა. ეილინზე რომ ვფიქრობდი, მაშინ მივხვდი, რომ ჩვენ, ყველას, შეგვიძლია საშინელება ჩავიდინოთ, თუკი ჩიხში აღმოვჩნდებით. რაღა თქმა უნდა, ეილინის გამართლება შეუძლებელია, მაგრამ იგი გარემოებათა მსხვერპლია. ისე, ცხოვრებაში ყველაფერი ჩვენს ნებაზე არ არის დამოკიდებული.

**— ეილინის მსხვერპლთა ნათესავები რას ფიქრობენ თქვენი ფილმის შესახებ, ხომ არ იცით?**

— ისინი, რაღა თქმა უნდა, ჩემს გმირს ვერ თანაუგრძნობენ, არც მე და არც პატი ჯენკინსს არ შეგვხმიანებიან. ჩვენ ვცდილობდით, რომ ფილმში მკვლელობის დეტალები რეალურობისგან განსხვავებული ყოფილიყო. მსხვერპლის ახლობლები დავინდეთ, რათა არ გასჩენოდათ შეგრძნება, თითქოს ეკრანზე ქმრის ან მამის მკვლელობას ხედავდნენ.

**— თქვენ ეილინს არ შეხვედრიხართ, მხოლოდ მისი წერილები წაიკითხეთ. არ სცადეთ მის მეგობარ გოგონასთან შეხვედრა?**

— მან შეხვედრაზე უარი გვითხრა. მისი მესმის, ეილინთან გატარებული წლების დავიწყება და ახალი ცხოვრების დაწყება უნდა. არადა ეილინს და სელბის კიდევაც რომ შევხვედროდი, ისინი თავიანთ ცხოვრებაზე არაფერს მეტყოდნენ. მეტად მნიშვნელოვანია ეილინის წერილები. ის ხომ ვერასოდეს იფიქრებდა, რომ ამ ბარათებს მისი მეგობარი გოგონას გარდა სხვა ვინმეც თუ წაიკითხავდა. სცენარი ამ წერილების მიხედვით შეიქმნა.

**— არატრადიციული სიყვარულის ამბავმა არ შეგაშფოთათ?**

— აქ მხოლოდ სიყვარულზეა ლაპარაკი. როცა ადამიანი სიყვარულს ეძებს, მისთვის სულერთია, ვინ მისცემს... ჩვენი ფილმი ლესბოსურ სიყვარულზე არ არის....

## შონ პენი. „იდუმალი მდინარე“



შონ პენი თავის თანატოლთა შორის ყველაზე ნიჭიერი მსახიობია. ბოლო ხანს მან რეჟისორობაც დაიწყო (და მშვენიერი ფილმებიც გადაიღო!) და მწერლობასაც მიჰყო ხელი.

მისი უხიაკი ხასიათის გამო ეშინია არა მარტო მთელ ჰოლივუდს, არამედ მთელ კინოაკადემიას.

წელს პენი მეოთხედ იყო წარდგენილი „ოსკარზე“ და როგორც იქნა, მიიღო ნანატრი ქანდაკება.

„იდუმალ მდინარეში“ შონ პენი განასახიერებს ყოფილ დამნაშავეს, ჯიმი მარკუნასს, რომელსაც ეჭვი აქვს, რომ უახლოესმა მეგობარმა ქალიშვილი მოუკლა...

ოსკარის გადაცემის ცერემონიალზე შონ პენს მთელი ოჯახი ახლდა: დედა — ელეინ რაიანი, საყვარელი ძმა — კრის პენი, მეუღლე — მსახიობი რობინ რაიტ-პენი.

## ერთი უბრალო სოფლელი გოგონა ვარ...



რენე ზელვეგერს აღიარება ფილმმა „ჩიკაგომ“ მოუტანა, ხოლო ფილმში „ცივი მთა“ მეორე რიგის ქალის როლის განსახიერებისთვის „ოსკარი“ მიიღო. გამხდარი, მოქნილი, კეკლუცი რენე, როგორც ფილმ „ჩიკაგოდან“ გვახსოვს, „ცივ მთაში“ ნამდვილი ჯან-ღონით სავსე სოფლის გოგოა, რომელსაც წარბშეუხრელად შეუძლია მამალს თავი წააცალოს.

### მამალი არ მომიკლავს...

**— ნუთუ მართლა შეგიძლიათ ასე მხეცურად წააგლიჯოთ თავი უდანაშაულო ფრინველს?**

— რას ამბობთ! ჭიანჭველასაც კი ვერ დავადგამ ფეხს! „ცივ მთაში“ თუ ეს სცენა რეალისტურად აღიქმება, მხოლოდ ოპერატორის და რეჟისორ ენტონი მინგელას დამსახურებაა. რაღა თქმა უნდა, მოჩვენებითია ის სცენა, სადაც თითქოს ქათამს კისერს ვუგრეხ, სინამდვილეში მას ნემსი გაუკეთეს და ჩემს ხელში მშვიდად დაიძინა.

**— თქვენ ფილმში ისე მარჯვედ აპობთ შეშას, წველით ძროხას, დაათრევთ სავსე ტომრებს, რომ ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, ამ ყველაფერს პირველად არ აკეთებთ.**

— რაღა თქმა უნდა, არა. მე ხომ წარმოშობით ტეხასის შტატის პატარა ქალაქ კეიტიდან ვარ. კეიტს ქალაქი ჰქვია, თორემ სინამდვილეში სოფელია. იქ, ქუჩებში, ქათმები დარბიან და იქაურებს ფერმები აქვთ. ასე რომ, სოფლის ცხოვრებას კარგად ვიცნობ.

**— თქვენს პატივმოყვარეობაზე ხომ არ იმოქმედა ფილმში მეორე რიგის როლი რომ შემოგთავაზეს?**

— არა. ჩარლზ ფრეზერის რომანი, რომელიც ამ ფილმს საფუძვლად დაედო, ჯერ კიდევ ხელნაწერში წავიკითხე. მე მინდოდა ამ ქალის განსახიერება, ვყოფილიყავი იმ ფილმის მონაწილე, რომელიც ამერიკის ისტორიის ამ პერიოდს ეხებოდა. ის კი არა, რეჟისორს ეპიზოდური, უსიტყვო როლიც რომ შემოეთავაზებინა, აუცილებლად დავთანხმდებოდი.

**გვერდი მოამზადა დოდო თოფურიამ**

CMYK

# გოდერძი ჩოხელის სულით ჩამოტანილ გუდამაყრელ იებს მოგართმევთ საგაზაფხულოდ...

**რაც უფრო შორს ხარ დედაბუნებისაგან, მით უფრო ცოდო ხარ, — თქვა გოდერძი ჩოხელმა და გამახსენდა, წლების წინ როგორ მხვდებოდა ხოლმე გზის განაპირას, მთების სანახავად გამოსული. ქალაქის რუხი შენობებისგან ზურგშექცეული კავკასიონისაკენ იყურებოდა, თუმცა გუდამაყრის მთებს ვერ ხედავდა, არადა როგორ უნდოდა!..**

**გოდერძიმ იცის, ჩოხში როდის მოდის გაზაფხული, რომელ ქარაფზე როდის აყვავდება ყვავილი... რაც უფრო კარგად იცის, მით უფრო მეტად სტკივა გული.**

**„პირიმზის ტყეში ხე გამხმარა. ვეღარც კი შეამჩნევთ, რა ხეა. ყველაფერი ნიშანდობლივი წაუღია დროთა სვლას, მისი ტანიდან ნატოტარებზე გამოზრდილი სოკოები ქუდებივით ახურავს. ხის ქვემოთ პირიმზის სალოცავი დგას. კოდალებსა და ჭიალუებს ხის გულმკერდი გამოუხრავთ და პირიმზის მოედანზე მცხოვრები ხალხი დღე დღეზე ელოდება მის გადმოქცევას“...**

**მაგრამ პირიმზის ტყეში იებიც ხომ ყვავიან გაზაფხულობით, პატარა, მაგრამ ყველასაგან განსხვავებული გუდამაყრელი იები...**

**ჰოდა, ამჯერად ამ იებს მოგართმევთ საგაზაფხულოდ, გოდერძი ჩოხელის სულით ჩამოტანილ იებს:**



გოდერძის დედის — ბაბუნაურების ნასახლარზე

## პატარძალა

მაღლა მთაში იასამნისფერი ყვავილები აყვავდებოდნენ ხოლმე გაზაფხულზე. პატარძალას ვეძახდით, პატარძლის კაბასავით გაშლილი ყვავილები ჰქონდა და იმიტომ. ერთ ღერზე მტევანივით დახუნძლული იყო ყვავილები, მოვწყვეტდით, მერე ღელეში სათითაო ყვავილს დავსვამდით, წყალი რომ მოძრაობდა, ეს ყვავილები — პატარძლები — ცეკვავდნენ, არც იძირებოდნენ, არც იქცეოდნენ...

გაზაფხულზე ავებღატებოდით კლდეზე პატარძალას ჩამოსატანად.

ზეპირად ვიცოდით, რომელ კლდეზე სად რომელი ყვავილი ყვაოდა. თან ყოველთვის კი არ ვწყვეტდით ყვავილებს, სანახავად ავდიოდით, ვნახავდით და ჩამოვიდოდით უკან. იშვიათად ვწყვეტდით ხოლმე. ივანე წიკლაური რომ ამბობს: „კლდის ფხაზე თეთრო ყვავილო, სანთელო ქარაფებისაო“, — ის ყვავილი თუ ნახე, როგორ ამოდის კლდეზე, მიხვდები, რომ მართლა ქარაფების სანთელია. ქარაფი ხომ მოღუშულია, ის თეთრი ყვავილი კი სანთელივით ანათებს ირგვლივ ყველაფერს.

ჩვენთვის კლდეზე ასვლა ძნელი არ იყო, ჩვეულებრივი ამბავი იყო. რომ ვფიქრობ, სად გავდიოდით ხოლმე, ახლა უფრო მეშინია. ასვლა ადვილია, ჩამოსვლა უფრო ძნელი... შემშინებია კიდეც. სიმაღლიდან რომ იყურები, უფსკრული უფრო დიდი გეჩვენება, ვიდრე არის. ვაჟაც ხომ ამბობს: „მაღლიდან დაბლა ჩამოსვლა, ვამე, რა დიდი ძნელიაო“. ასეა, მწვერვალზე გაჩერება შეუძლებელია, ჩამოსვლა — ძნელი. მთამსვლელებიც ხომ ვერ ჩერდებიან მწვერვალზე, ან ჭექა-ქუხილის ეშინიათ, ან ჟანგბადი არ ჰყოფნით. ეს ყველაფერი შემოქმედის ბედს მახსენებს.

დავუბრუნდე ყვავილებს...

დიყი ხომ გაგიგიათ? იმას ისეთი ტოტები ჰქონდა, ძალიან ჰგავდა ცხენს. გავუკეთებდით ჯოხებისაგან ფეხებს, კუდს და ვითომ ცხენები გვყავდა, დავქროდით დიყის ცხენებით. ეგენი იყვნენ ჩვენი სათამაშოები. ხურჯინსაც კი გავაკეთებდით ფოთლებისაგან და გადავკიდებით. ამ „ცხენებით“ დავდიოდით დოლში, ქორწილში, ზოგი ვითომ ხატში მიგვყავდა...

ის გუდამაყრელი ბიჭები მიმოიფანტნენ, დაიზარდნენ: ზოგი თბილისშია, ზოგი საზღვარგარეთ, ზოგიც, აცხონოს ღმერთმა, აღარ არის ცოცხალი...



გოდერძის დედა

დიყი კი ისევ აყვავდება გაზაფხულზე გუდამაყარში.

## ძაღლისა და ღელობისა

ძაღლი მყოლია ხშირად. უფრო — თეთრი ლეკვი მომყავდა ხოლმე. ნიკუშას გამოჰყვა პატარაობიდან ჩემნაირი სიყვარული ლეკვისა და ისე გაიზარდა, ეგ ოცნება ვერ შევუსრულე. მეხვეწებოდა, გუდამაყრიდან ჩამომიყვანე ლეკვიო... მე კიდევ, შემეცოდა მთის ძაღლი თბილისში ჩამოსაყვანად, არ ჩამოვიყვანე.

ერთხელ წავიყვანე ნიკა გუდამაყარში. მეცხვარე მოდიოდა და ცხენები გაექცა, მდინარეზე გადავიდნენ. მეცხვარეც შევიდა წყალში. უკან პატარა ლეკვი მისდევდა, რამდენიმე თვისა იქნებოდა. რომ დაინახა, პატრონი არაგვში შევიდა, თვითონაც შეჰყვა და წყალმა წაიღო. ნიკუშამ მაგრად განიცადა. ტიროდა. ლეკვი წაიღო არაგვმა, მამაო! — იძახდა. იმ პატარა ლეკვმა კი იმდენი ქნა, გამოვიდა მდინარიდან, მიჰყვა პატრონს...

...მთაში ხომ ვცხოვრობდით, მაგრამ მთიდან კიდევ მთაში მივდიოდით... იქ, საძოვრებზე, საქონელი შემოდგომამდე გვყავდა ხოლმე. გადასასვლელი ქვენა მთა იყო, იმაზე სხვადასხვა რაიონიდან ჩამოსული მეცხვარეები გადაატარებდნენ ცხვარს. შემოდგომა ისე არ წავიდოდა, რომ ერთი ძაღლი მაინც არ ჩამორჩენოდა ფარას, უფრო ხშირად იმიტომ, რომ ძაღლი მაკედ იყო და ლეკვები უნდა დაეყარა.

ერთხელაც ასეთმა ძაღლმა მთაში, ჩვენს სახლთან, პატარა გამოქვაბულში დაყარა ლეკვები. იმისი ფარა კი წავიდა. დაიწყო თოვა. მე და დედაჩემმა გუდამაყრისაკენ წამოვასხით საქონელი. უცებ დედამ დაიძახა, — ვაიმეო! უკვე ჩოხში ვიყავით, შვიდი კილომეტრი გვქონდა გამოვლილი მთიდან. რა იყო-მეთქი და — ამაღამ დიდი თოვლი რომ მოვიდეს, ის ძაღლი და ლეკვები შიმშილით დაიხოცებიანო, ვეღარსად წავლენო. შებრუნდა და წავიდა ლეკვების ჩამოსაყვანად...

ჩამოიყვანა დედა ძაღლთან ერთად.

დედაჩემი ბუნებით პოეტი იყო, ლექსებს კი არ წერდა, მაგრამ რაღაცნაირი იყო... ალბათ იტანჯებოდა, იმიტომ, რომ სულ ბალახსა და ყვავილს ელაპარაკებოდა და რომ ელაპარაკებოდა, ფეხის დადგმაც ხომ უჭირდა მერე?

## კალმახობა

კალმახს როგორ ვიჭერდით, იცი? ზვავი რომ ჩამოვიდოდა, ჩვენ კისრისტეხით გავრბოდით მთაზე, რომ თევზისათვის მიგვესწრო. ზვავი არაგვს გადაკეტავდა ხოლმე. ხერგილის ქვემოთ, მშრალზე, კალმახი რჩებოდა, ჩვენ კი ვაგროვებდით.

ეს იყო ჩვენი თევზაობა...

ან მდინარე რომ ადიდდებოდა, კალაპოტს შეიცვლიდა. კალმახები კი დახტოდნენ უწყლოდ დარჩენილები.

ძია იაშა (ცნობილი მსახიობი იაკობ ტრიპოლსკი. — ლ.ჯ.) ამოდიოდა ხოლმე სათევზაოდ. ერთხელ ამოსული იყო გუდამაყარში, შავ არაგვზე სათევზაოდ. იმ ღამეს დიდი წვიმა მოვიდა, დელგმა იყო. მდინარე ადიდდა. კალაპოტი შეიცვალა, გუდამაყრელებმაც თავისებურად მოკრიფეს თევზები და ვედროებით მიუტანეს ძია იაშას. დღემდე მახსოვს, როგორ ხტოდნენ ვედროებში ეს ოქროსფერწინწკლებიანი თევზები.

ამდენი კალმახი ერთად ძია იაშას არ ენახა.

კალმახიც ლამაზია, ყვავილიც... სამზეოც ლამაზია, მაგრამ ყველაზე ლამაზი მაინც ადამიანია. ცოდო ის არის, რომ კალმახსა და ადამიანს აღარა აქვთ კავშირი... ადამიანი ნელ-ნელა ყვავილებსაც დაშორდა... მე ეგრე მგონია, რომ ადამიანი ცოდოა... ბუნებასთან თანხმობაში როცა ხარ, დედაბუნება გიფარავს და გასწავლის, ცხოვრებასაც გკარნახობს, სად როგორ უნდა მოიქცე.

## მაცივარი

ჟიპიტაური თითქმის ყოველდღე იხდებოდა საგაზაფხულოდ. აღდგომიდან დაწყებული — ბევრი დღესასწაული მოდიოდა, აბა, ჟიპიტაურის მეტი სასმელი მთაში არაფერი იყო! ხორბალს გავაღვივებდით — დაფორებას ვეძახდით ამას, მერე გავახმობდით მზეზე, მერე დავფქვავდით, წყალს დავასხამდით და მოვზელდით, გამოვაცხობდით პურებს. პურებს დიდ კასრში ჩაჭყლეტდნენ, იქ ადუღდებოდა. რომ დადუღდებოდა, იმას ერქვა ბაზალუყი. ჩაასხამდნენ საარყე ქვაბში, დაახურავდნენ ზარფუშს, დაუდგამდნენ გეჯას — ეს არის მილი, საიდანაც ორთქლი უნდა გამოვიდეს. გეჯას აუცილებლად უნდა ესხმებოდეს ცივი წყალი, რომ გაცივდეს და ორთქლი ჟიპიტაურად გადაიქცეს.

თუ წყარო დაკავებული იყო (თუ სხვა ხდიდა ჟიპიტაურს), გეჯას თოვლის გუნდებს შემოვუწყობდით.

თოვლი ხევებიდან მოგვქონდა — იქ ჩავარდნილი ზვავი დიდხანს ძლებდა... გავრბოდით ტომრებით და მოგვქონდა თოვლი.

ხატში ლუდი იხდებოდა. ლუდი წმინდა სასმელად ითვლებოდა, იმით ადღეგრძელებდნენ, ილოცებოდნენ. ლუდს მერე ზვავში ვინახავდით. ზვავი ჩვენებური მაცივარი იყო, ამოვთხრიდით ზვავის თოვლს, იქ ჩავდებდით ხორცსაც, ლუდსაც... როცა გინდოდა, გადახვიდოდი, ამოთხრიდი და მოიტანდი.

ერთ ზაფხულს ზვავი დადნა და მზემ გამომიჩინა ორი ბოთლი ლუდი, რომელიც დავიწყებული მქონდა. წამოვიღე გახარებულმა. სათიბში რომ გავდიოდი, ერთი ბოთლი დავლიე. საკმაოდ პატარა ვიყავი, სკოლის მოსწავლე. ამ ერთმა ბოთლმა ისე დამათრო, რომ სათიბში ჩამეძინა. გამეღვიძა — შუაღამე იყო. ცა ვარსკვლავებს მოეჭედა. სათიბი გასუსული იყო... შემეშინდა. სოფლამდე ვერ მივიდოდი, მგლებისა მეშინოდა. მოვსინჯე ხელით და ბალახში მეორე ბოთლიც ვნახე. ისიც დავლიე. ისევ დამეძინა. მერე დილით, მზის ამოსვლისას გავიღვიძე...

აი, ასე იყო ჩემი მაცივრისა და ლუდის ამბავი.

## ტკბილი, ძალიან ტკბილი...

ყანები მახსოვს. შევიპარებოდით. იქ მოდიოდა ბარდალა, სარეველასავით ბალახი, ლობიოს მსგავსი პარკები აქვს, მის მარცვლებს მოტკბო გემო აქვს. ტკბილი სარეველა იყო ფხოლაც... ამათ ძებნაში ყანებს ვთელავდით. სულ დაგვდევდნენ: აი, ბალღები ყანაში არ შეიპარნენო! ჩვენ მაინც შევიპარებოდით ხოლმე...

ველური მარწყვი გვიყვარდა. არის ეგეთი ბალახი — მარსლი, მასაც მარწყვივით თავი აქვს, ოღონდ მაგარი. მარსლზე ვაცმევდით მარწყვს მძივებივით და ერთმანეთს ვეჯიბრებოდით, ვინ რამდენ მარსლ მარწყვს ჩამოიტანდა...

მოცხარი და ჟოლი, შილშავი — ეს იყო ჩვენი ნუგბარი, ტკბილი, ძალიან ტკბილი... ბავშვობასავით ტკბილი.

## ამბავი დათვისა და კაცთა მოდგმისა

ლუკა პატარა იყო, გუდამაყარში ვიყავით. სოფელში დათვი შემოვარდა. გამოეკიდნენ დიდი ძახილით... ლუკამ გაიღვიძა... ისეთი ხმაური იდგა, რა დააძინებდა! ყველა დათვს დასდევდა, ჯღუნაც, ბერიც... გატრუნული იწვა. ხმა რომ მიწყნარდა, ნინოს ჰკითხა: დათვი წავიდაო?

წავიდაო, — დავამშვიდეთ...

მაშინ დავიძინებო, — გამოაცხადა გულმშვიდად.

ჩემი სკოლის დირექტორს თეთრი ჟიგული ჰყავდა, ხის ფარდულში გარაჟი ჰქონდა მოწყობილი. ჟიგულს აჩერებდა და ცხვრებსაც იქ შეჰყრიდა ხოლმე. დათვს მიუგნია. მისულა ღამით, გარაჟის კარი მიულეწია, ცხვრები ცხვრებად შეუჭამია და ის ჟიგულიც სულ დაუზელია, აღარ ვარგოდა არაფრად.

დედა მიამბობდა, — ერთხელ საცოცხე ხეზე ავედი, რომ ჩამოვიხედე, მერელა დავინახე, დათვს სძინებია იმ ხის ქვეშ. დათვმაც მერელა გაიგო, მე რომ ხეზე ავედი. მიყურა, მიყურა და გაიქცაო.

ერთხელ, დათვმა კინაღამ მოკლა დედაჩემი. დედა ტყიდან მოდიოდა, შეშისთვის ყოფილა წასული. ბელებიანი დათვი შეხვდა. წინა წელს ქალებმა იმ დათვს ბელები წაართვეს. რომ დაინახა ქალი, იფიქრა, ისევ ბელებს წამართმევსო და გაექანა დედაჩემისკენ. დედამ გადააგდო შეშის გუდურა, ხელში ცული ეჭირა და ცულით იგერიებდა ერთი საათი. ბელებს დაუწყიათ ჩხავილი. მერელა მოშვებია დათვი, ბელებისაკენ წასულა. დედაჩემი გამოიქცა სოფლისკენ. ეგონა, ისევ მოსდევდა დათვი. მისი ხმაც მესმოდაო, — ამბობდა.

სოფლის თავზე რომ დაინახეს კივილით მომავალი დედაჩემი, ქალებს დაუჭერიათ. ამას კი უფიქრია, დათვი დამეწიაო და გულიც წაუვიდა თურმე.

...მერე ის დათვი მოკლეს მონადირეებმა. დედამ ძალიან იდარდა და იტირა. დაენანა... იმაზე უფრო გაგიჟდა, რომ ეს დათვი ბელებით მიდიოდა მთაზე, გადასასვლელზე უნდა გადაესწრო მონადირეებისათვის. ესროლეს. დედა რომ დაიჭრა, ბელებს ტორები მოხვია, მიიყვანა, გაჭირვებით მიიყვანა და კლდიდან გადაყარა, რომ მონადირეებს არ ჩასცვივნოდათ ხელთ. ასე ააშორა მონადირეებს ბელები.

საერთოდ, გუდამაყრელები და დათვები ძმაკაცურად იყვნენ ერთმანეთთან.

## ჭრელი ფარდაგი

ჩემი სოფლის პირდაპირ, მთაზე, დიდი ტყე იყო. საკიდობნიაის ტყეს ვეძახდით. იქ დიდი ხეები იდგა. იმათგან ფიცრებსა და კიდობნებს თლიდნენ, ირგვლივ სულ მგლები დაძრწოდნენ. ზამთარში თითქოს ყურის ძირში გვიყმუოდნენ. დაიწყებდა ერთი, მერე მეორე გამოეხმაურებოდა.

ცხვარს რომ ვდექით, ზოგჯერ წამოგვეპარებოდა მგელი, შევარდებოდა ცხვარში, მიათრევდა ცხვარს. ჩვენ შევშინდებოდით, დავიწყებდით ყვირილს.

ბატკნებთან ერთად ვიზრდებოდით... შეგვიყვარდებოდა ბატკანი, მერე დაგვიკლავდნენ... ამის გამო განცდაც ბევრი გვქონია.

ცხენზე ჯდომა გრუზინამ მასწავლა. შემსვამდა და დამატარებდა. ერთხელ ცხენმა წაიბორძა და ჩამომაგდო. გაწყრა გრუზინა, დასაჯა ცხენი, აღვირითა სცემა. მე მგონია, ცხენი პატრონის ფიქრსაც გრძნობს.

მეც მყავდა ჩალისფერი ცხენი, თაქლა ერქვა... მეგობრები ვიყავით.

ბავშვობაში უფრო ვირებს ვემტერებოდით. დავიჭერდით საძოვარზე გაშვებულ სახედარს და დავაჭენებდით მთელი დღე. ესეც ჩვენი სათამაშო იყო.

ყველაფერი თან გაიყოლეს, თითქოს, ბერმა და ჯღუნამ... იქაურებმა. აღარა არის რა დარჩენილი. აღარც ხალხია ბევრი მთაში...

გული მტკივა...

გუდამაყარი დამრჩა, როგორც ჭრელი ფარდაგი, სხვადასხვა ყვავილით მოხატული. გუდამაყრის ფერდობზე სულ ნაირ-ნაირი ყვავილები ამოდიოდა... ბავშვობაც ეგრე მახსოვს, თითქოს ჩემი სოფელიც მიხატული იყო ფარდაგზე, მეც მიხატული ვიყავი ზედ. ბესიკ ხარანაული ამბობს: „მე ვარ მამალი, შენ რომ მიმხატე ჭრელ ფარდაგზე, მომწყინდა და ძირს ჩამოვფრინდიო“... მე კი არ ჩამოვფრინდი, ჩამოვვარდი, უკან მინდა ასვლა და ველარ ავდივარ... ყვავილები ყვავიან, მაგრამ სოფელი რომ აღარ არის, ბერი და ჯღუნა აღარ არიან!.. ის ყოფა აღარ არის, რაც იყო. ფიქრით კი ვბრუნდები, მაგრამ ფიქრი რა... მე რეალურად მინდა დაბრუნება...

**მოამზადა ლელა ჯიყაშვილმა**



# სკანვორდი ფრაგმენტებით





1 ზაზა ფაჩულიას გუნდი „... მეჯიქსი“
2 ბენზინის სახელწოდება აშშ-ში
3 სიმბას შეყვარებული მ/ფილმი „მეფე-ლომი“
4 ჟვუნ ლის პერსონაჟი ფილმში „ქარწაღებულნი“
5 იგივეა, რაც ზღვის მელა ან კატა
6 დროის დიდი პერიოდი
7 ჯუჯა კამეჩი
8 ბერძნულად საყოველთაო მთავარს ნიშნავს
9 ძვირფას-მერქნიანი დიდი ხე
10 ფშაველთა მთავარი სალოცავი
11 ცილისწამება
12 ლათ.-ამერიკ. კარმიდამო
13 სამანიშვილი
14 რომის იმპერატორი
15 საქართ. მორაგბეთა ნაკრ. ყოფ. მწვრთნელი
16 ... ლომოური
17 პლასტიკური ქირურგი ... კუზანოვი
18 გზის საჩვენებლად ჩარჭობილი პალო
19 მზის ამოსვლა
20 ლათინურ-ამერიკელი მომღერალი ... მარტინი
21 ლითონის სამაგრი რკალი
22 ელექტრო იზოლატორი
23 $10^3$
24 ბერძნული ასო
25 იტალიელი კომპ. ნინო...
26 ძვირფასი ლითონი
27 ალბანეთის დედაქალაქი
28 გერმანული ავტომობილი
29 თუთიყუში
30 მოუსვენარი, ცელქი
31 ცქიტიშვილის პარტნიორი „ღინვერში“ – ილარიო
32 ინდოეთის წმინდა მდინარე
33 ესკიმო ან პლომბირი
34 რკინა ჩლიქზე
35 სწრაფი თავდასხმა
36 სითხის საცავი დიდი რეზერვუარი
37 იაპონური მინიატურა, საყოფაცხოვრებო ქანდაკება
38 შვილი, ძე
39 ოპერა „მანონის“ კომპოზიტ.
40 9 მუსიკოსი ერთად
41 ქართველი წმინდანი
42 ჰეილის რომანი
43 ქართველთა გამანათლებელი
44 ანუკ ემეს პარტნიორი ფილმში „ქალი და მამაკაცი“
45 ჭუპრი ბერძნულად
46 „ქინ ძა ...“
47 თბილისის სახელმწ. უნივერსიტეტი (აბრევიატურა)
48 მეტყველების უმცირესი ერთეული
49 ყოვლისშემძლე (საბა)
50 რემარკის რომანი „შავი ...“
51 „ეზოში ავი ძაღლია“ (სოფიკოს პერსონაჟი)
52 ვნება, ზარალი
53 ფრანგ ფერმწერთა ოჯახი
54 ანტიკური ლექსთა წყობა
55 სამხედრო აეროდრომი თბილისთან
56 იონა მეგრელიძის ფსევდონიმი
57 მილიარდერი მწერალი
58 ლატვიის დედაქალაქი
59 ნიკოტინის შემცველი მცენარე
60 მაგარი ქანის ნატეხი
61 წყნარი, უშფოთველი ცხოვრება
62 ხორცის ნახარში
63 ... ელიავა
64 აზერბაიჯანის მთ. ქალაქი







**წინა სკანვორდის პასუხები:** 1. ორბი; 2. სოლანა; 3. მაო; 4. ვენერა; 5. ლანა; 6. ევროპა; 7. ტარა; 8. ტლუ; 9. სი; 10. რიკული; 11. პიო; 12. ნუში; 13. უნია; 14. თოვლი; 15. წაბლა; 16. აბი; 17. ფა; 18. ილურიძე; 19. გაშეკი; 20. პო; 21. რონე; 22. ლულა; 23. თხა; 24. ბე; 25. გობი; 26. ობი; 27. „ბოტასი“; 28. მიკრობი; 29. კარმა; 30. ინდაური; 31. კოლბა; 32. ბენ; 33. იულია; 34. ბაასი; 35. ბუ; 36. ელენთა; 37. რუმბა; 38. არყა; 39. აკადემია; 40. კიი; 41. „კია“; 42. უმი; 43. „რობ“; 44. ლანდი; 45. „რა“; 46. ავა; 47. „ტუ“; 48. ტორტი; 49. ვარუმი; 50. ილუზია; 51. დაფნა; 52. ხოტორა; 53. ოტავა; 54. „რერო“; 55. ტიბეტი; 56. ლი; 57. ტიფი; 58. სოლო; 59. ბეტა; 60. ბელმონდო; 61. აზრი; 62. მაორი; 63. ლე; 64. საარი; 65. ნადიმი; 66. ვიზა; 67. რიზოტო; 68. აარე; 69. ლეო; 70. „ილი“; 71. მონადირე.
1. ამერიკული ფეხბურთი; 2. სტარტის წინ; 3. მეგობარს ჩახედე თვალებში; 4. რარიტეტები; 5. ღორი ტაბაკად.

პასუხები მოცემულია სკანვორდში მითითებული ნომერაციის მიხედვით, ქვედა ხაზზე მოცემულია ფოტოების პასუხები

შეადგინა რამაზ ალანიამ

# ავტოსალონი

# ჟენევა ავტოდედაქალაქად იქცა

**2 მარტს, ჟენევაში ევროპის უდიდესი ავტოსალონი გაიხსნა. მისი სიდიდისა და მნიშვნელობის გამო, მსოფლიოს წამყვანი ავტომწარმოებლები ცდილობენ, სწორედ შვეიცარიაში გამოფინონ ის ახალი მოდელები, რომლებიც კომპანიების ფლაგმანებად მოიაზრებიან და მეტწილად განაპირობებენ ამა თუ იმ მარკის შემდგომ წარმატებას. წლევანდელი ავტოშოუც არ ყოფილა გამონაკლისი და ავტოგიგანტებმა დამთვალიერებლებს ნამდვილი მოტორიზებული ზღაპარი მოუწყვეს. ძნელია ერთ გვერდზე დავტიოთ ყველა ის სიახლე, რაც ჟენევამ წელს მსოფლიოს წარუდგინა, თუმცა ვფიქრობთ, შევძლებთ უმთავრესი მოვლენების გაშუქებას.**


Mercedes CLS

ავტოსალონისთვის ყველა ერთნაირი მონდომებითა და დიდი პასუხისმგებლობით ემზადება, მაგრამ წლევანდელი შოუს ერთ-ერთი ყველაზე კაშკაშა ვარსკვლავი „მერსედესის“ ე.წ. სტენდი გახდა. ავტოგიგანტმა დამთვალიერებლებს ოთხკარიანი(!) კუპე — CLS-ი წარუდგინა. ის E კლასის ბაზაზეა შექმნილი, თუმცა პრინციპულად განსხვავებული ძარა აქვს. მისი მახასიათებელი ნიშნები დამრეცი სახურავი და მოკლე საბარგულია. სტენდზე კუპეს გვერდს ახალი როდსტერი SLK და მოდერნიზებული C-კლასი უმშვენებდა.


Volkswagen Concept C

„მერსედესს“ სიახლეებით არც „ფოლკსვაგენი“ ჩამორჩა, გასული საუკუნის 30-იან წლებში ფერდინანდ პორშეს მიერ დაარსებულმა კომპანიამ წელს საუცხოო როდსტერი Concept C წარმოადგინა. ეს მოდელი „ფოლკსვაგენის“ ბრენდით გამოვა, მაგრამ არ არის გამორიცხული, რომ მოგვიანებით, ძარაზე AUDI-ს ოთხი რგოლიც დაიკრას („აუდი“ „ფოლკსვაგენის“ კონსორციუმის შემადგენლობაშია). ეს ავტო 25-30 ათასი ევრო ღირება და 150 ცხ.ძ-იანი ძრავა ექნება. რახან „აუდის“ შევეხეთ, ახალი A6-იც უნდა ვახსენოთ, ეს მოდელი სიგრძე-სიგანეში გაიზარდა და ბევრად უფრო კომფორტული გახდა. ეს ცვლილებები A6-ს ე.წ. F კლასის მანქანებს (BMW მე-7 სერია, Mercedes S კლასი) აახლოებს და ვინაიდან მისი ფასი მათთან შედარებით საგრძნობლად დაბალი იქნება, მომხმარებელიც უნდა მიიტყუოს.


AUDI A6


Peugeot 407

ავტოსალონისთვის ფრანგი ავტომწარმოებლებიც სერიოზულად მოემზადნენ. „სიტროენმა“ ახალი C4, ხოლო „რენომ“ განახლებული Twingo და უცნაური (სამადგილიანი) როდსტერი Wind-ი წარმოადგინეს. მესამე „ფრანგმა“ — „პეჟომ“ კი ძალიან თამამი დიზაინის მქონე, უზარმაზარფარებიანი Peugeot 407 გამოიყვანა.

იტალიურმა FIAT-მაც კი, რომელიც დღესდღეობით მძიმე ფინანსურ კრიზისშია, სპეციალურად ჟენევისთვის, რამდენიმე ახალი მოდელი შემოინახა. ერთ-ერთია პაწაწინა ავტომობილი Trepuno, რომელიც კუზიან „ზაპოროჟეცს“ წააგავს, მეორე კი საოჯახო მინივენი — Multipla.


Stola

ახალი მოდელები წარმოადგინეს „ოპელმა“ (Tigra და Astra), „შკოდამ“ (Octavia) და „სეატმა“ (Altea). ორი უკანასკნელი მარკა „ფოლკსვაგენს“ ეკუთვნის და აქედან გამომდინარე, ერთმანეთის კონკურენტებად არ მოიაზრებიან, მაგრამ „უცხო“ კომპანიებისთვის ყელში გაჩხერილი ფხებივით არიან.

ლიმუზინებსა და მათთან მიახლოებულ მანქანებზე მოთხოვნილების გაზრდაზე ადეკვატური რეაქცია გამოამჟღავნეს იტალიური კომპანია Stola-ს მესვეურებმა. მათ Lancia Thesis-ის ბაზაზე „მერსედეს“ MAYBACH-ის კონკურენტი შექმნეს. თუ გავითვალისწინებთ, რომ „იტალიელს“ საუცხოო ძრავა ექნება (300 ცხ.ძ-მდე) და სიჩქარესაც სოლიდურს (230 კმ/სთ) განავითარებს, თანაც ფუფუნების საგნებით გაძეძგილი მანქანის დიზაინი საქვეყნოდ განთქმულმა იტალიურმა სტუდიამ გაუკეთა — Stola ადვილად დაიმკვიდრებს ადგილს „თანაკლასელთა“ შორის.

ვინაიდან საქართველოში რუსული ავტომობილების საკმაოდ ბევრი მოყვარული ცხოვრობს, გვინდა ამ ქვეყნის ავტოწარმოების სიახლეებიც გაცნობოთ. ჟენევაში მხოლოდ „ავტოვაზი“ ჩავიდა, მისი სტენდი საკმაოდ მოსაწყენი იყო. დაგვეთანხმებით, „ვაზ 2110“-ისნაირი მანქანით, ბოლო 20-25 წელიწადია, ვერავის გააკვირვებ. სტენდის ერთადერთი ნათელი წერტილი LADA REVOLUTION-ი იყო. ამ კონცეპტუალურ როდსტერზე „კვირის პალიტრა“ უკვე წერდა (2003 წ. №52). რაც შეეხება რუსების ახალ პროექტს — „ვაზ 3116“-ს, რომელიც ჯერჯერობით მასობრივი წარმოებიდან საკმაოდ შორსაა, შეიძლება ითქვას, რომ გარეგნულად „ფორდ ფოკუსის“ გადამღერებაა. თუმცა რუსები მას მაინც საკუთარ მოდელად მიიჩნევენ და „ოპელ ვექტრას“, „ფოლკსვაგენ პასატისა“ და „ფორდ მონდეოს“ კონკურენტად მოიაზრებენ. „ჟიგულების“ ისტორიის მანძილზე პირველად სწორედ მას ექნება ABS-ი, უსაფრთხოების ბალიშები, საჭის ჰიდროგამაძლიერებელი და სრული ელექტროპაკეტი.


ВАЗ 3116

## იტალიური 6-ბორბლიანი სუპერავტომობილი



იტალიურმა კომპანია Covini-მ ავტოსალონზე უნიკალური 6-ბორბლიანი მონსტრის, Covini C6W პრეზენტაცია გამართა. იტალიელებმა მართლაც საოცარი რამ შექმნეს. მანქანის უკანა ნაწილი ჩვეულებრივ 20-დუიმიან საბურავებზე დგას. წინა კი — ოთხ 15-დუიმიანზე. კომპანიის წარმომადგენლები ამტკიცებენ, რომ ამით მათი ავტომობილი გზას უკეთ „დაიჭერს“ და მოცურების რისკი მინიმალური იქნება, რაც მძღოლისა და მგზავრის უსაფრთხოებას განაპირობებს. Covini C6W-ს 4.2-ლიტრიანი, 380-ცხენისძალიანი ძრავი ექნება, რომელიც უკანაამძრავიან მანქანას 300 კმ/სთ სიჩქარის განვითარებას შეაძლებინებს. საინტერესოა ის ფაქტი, რომ ეს მონსტრი კონკურენტებთან შედარებით იაფი, 165.000 დოლარი ეღირება.

## საკულტო ყველგანმავალი იცვლება



შემოდგომით კომპანია Land Rover-ი ცნობილი მოდელის, Discovery-ს პრინციპულად ახალი ვარიანტის გაყიდვას იწყებს. ძველი „აღმოჩენა“ უკვე 15 წელიწადია, საგრძნობი ცვლილებების გარეშე გამოდის და ტექნიკური ღირსებების მიუხედავად, საკმაოდ მოაბეზრა თავი მომხმარებელს. 2004 წლის მოდელი შეინარჩუნებს წინამორბედის „საფეხურიან“ სახურავს, გაფართოვდება და სიგრძეშიც გაიზრდება. მას ოთხივე საბურავზე დამოუკიდებელი პნევმატური საკიდარი, ძრავების საკმაოდ დიდი გამა და ახალი თაობის ტრანსმისია ექნება. ავტომობილის ელექტრონული ტვინი მომენტალურად მიიღებს გადაწყვეტილებებს კონკრეტული საგზაო შემთხვევისთვის, თუმცა Land Rover-ის ინჟინრებმა თავნება მძღოლების მომენტიც გაითვალისწინეს და მექანიზმების მექანიკური გადართვის საშუალებაც დატოვეს.

## ზაფხულში ახალი 7-იანი გამოჩნდება



BMW ზაფხულისთვის მე-7 სერიის რესტაილინგური ვარიანტის გამოშვებას აპირებს. წინასწარი მონაცემებით, მოდელს წინამორბედზე უფრო კონსერვატიული დიზაინი, მოდერნიზებული ძრავების გამა და ელექტრონიკის მართვის შეცვლილი სისტემა ექნება. როგორც ირკვევა, ახლანდელი მე-7 სერიის BMW-ს დიზაინი საყოველთაო მოწონებით არ სარგებლობს. „მანქანა წარმომადგენლობითი კლასისაა და თავნებობა დიზაინში ყოვლად დაუშვებელია“ — ეს აზრი ბევრმა პოტენციურმა მყიდველმა გამოთქვა. სწორედ ამით აიხსნება ახალი „შვიდიანის“ იერსახის დადინჯება. ხოლო რაც შეეხება ძრავებს, BMW აქ არავის აზრს არ ითვალისწინებს და ტრადიციულად უძლიერეს და საიმედო აგრეგატებს (333, 400 და 445 ცხ.ძ) ამზადებს.

## Mini — ლეგენდა გრძელდება

BMW დიდ ყურადღებას უთმობს Mini-ს სამოდელო რიგს და მომხმარებელს ახალ „სათამაშოებს“ სთავაზობს. ჟენევაში დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია „მინიკაბრიომ“, რომელიც რეტრო სტილით გამოირჩევა. მისი ნაჭრის სახურავი 15 წამში იკეცება და მასში ელექტროლუკიც კია დამონტაჟებული. ეს კაბრიოლეტი სამ ვარიანტად იწარმოება. 1.6-ლიტრიანი — 90 ცხ.ძ; 115 ცხ.ძ და 160 ცხ.ძ-იანი ძრავებით. მანქანაში ელექტროსისტემების გარდა ABS-ი და EBD-ი (ექსტრემალური დამუხრუჭების სისტემა) იქნება.

არანაკლები ყურადღება მიიპყრო „წაგრძელებულმა“ მინიმაც. რომელსაც დიზაინი იტალიურმა Carrozzeria Castagna-მ გაუკეთა. ეს მოდელი ხისგან (!) დამზადებული უკანა ნაწილით გამოირჩევა.

CMYK

# სულ ერთია, მაინც დამარცხდები...

არ ვიცი, გახსოვთ თუ არა — შარშანდელი „კვირის პალიტრის“ ივნისის ნომერში დაიბეჭდა ერთი ამბავი, სათაურით — „ორიგინალური ურთიერთობა, ანუ „მესიჯური“ სიყვარული“.

რაც ეს საოცარი ფიჭური ტელეფონი გაჩნდა ამქვეყნად, საქმიანმა ადამიანებმა საქმიანად, ხოლო რომანტიკოსებმა — რომანტიკულად „მოარგეს“ თავისი განწყობა ტექნიკის ამ უახლეს „მეტყველ“ აპარატს.

ღმერთმა უწყის, რამდენი მშვენიერი და სასიყვარულო სიტყვა დაფიქსირდა მობილურ აპარატებზე, რამდენი რომანი გაღრმავდა და რამდენი ადამიანი გაბედნიერდა...

თუმცა, ზოგიერთმა გრძნობა ვერც გულში დაიტია, ვერც მობილურს დაუტოვა საჩუქრად (ტექნიკა მაინც ტექნიკაა!) და ჩვენი გაზეთის ფურცლებს გაანდო...

მესიჯური ურთიერთობების ეს ლამაზი ამბავი თავად მკითხველმა მომიტანა — თქვენი წერილის გმირი წყვილი გაბედნიერდა და ეგებ ჩვენი ამბავიც კარგად დასრულდესო.



გადავხედე ფურცელზე გადმოტანილ სტრიქონებს და მივხვდი შეყვარებულთა მიზანს: ისინი გულშემატკივართა რჩევას ელიან — ასაკობრივი ბარიერი აბრკოლებთ...

გოგონას ანის დავარქმევ, ვაჟს — გიორგის. ანი 17 წლისაა, გიორგი — 35-ისა გახლავთ.

მათ შემთხვევით გაიცნეს ერთმანეთი ავტობუსში: ერთმა ქურდბაცაცამ გოგონას ჩანთიდან ოსტატურად ამოაცალა მობილური ტელეფონი. ამას ანი ვერც გაიგებდა, გიორგის რომ არ დაენახა და არ წაერთმია. ქურდი მაშინვე ჩავიდა ტრანსპორტიდან, გოგონა კი მადლობად დაიღვარა. უცნობს გაეცნო — ანი მქვიაო და თავისი მობილურის ნომერიც მისცა...

ერთი თვის მერე, წინასაახალწლოდ, გიორგიმ დაურეკა ანის, მიულოცა დამდეგი წელი, შინაურულად მოიკითხა — იმედია, მობილური ჯერ კიდევ არ წაურთმევიათ შენთვისო. გოგონას გაუხარდა მშველელის ხმის გაგონება და გააბეს საუბარი. ერთ ზარს მეორე მოჰყვა, მერე მესიჯებმაც დაიწყო დენა და ნელ-ნელა გაღრმავდა ურთიერთობა. რამდენიმე შეხვედრის შემდეგ ორივე მიხვდა, უერთმანეთობა აღარ შეეძლოთ.

ეს ამბავი ახლობლებმა რომ გაიგეს, როგორც ასეთ დროს ხდება ხოლმე, გამოიკითხეს სასიძო-საპატარძლოს „წარმომავლობა“. ანის ოჯახმა შეიცხადა — 17 წლის ბავშვი როგორ უნდა გაჰყვეს ცოლად 35 წლის კაცსო. არაფრის გაგონება არ უნდოდა ანის...

მერე და მერე გიორგიმ შეატყო, რომ გულს ებრძოდა გოგონა. შეხვედრების დროს ადრინდებურად ხალისიანი აღარ იყო. შეფიქრიანდა: მართალია, შესახედავად მეტს მისცემ, მაგრამ მაინც ბავშვია. ძალიან მიყვარს და მისი გულუბრყვილობით ხომ ვერ ვისარგებლებ? სტუდენტობა წინ აქვს. იქნებ გამოუჩნდეს ასაკით შესაფერისი თაყვანისმცემელი, რომელსაც შეიყვარებს. მერე რაღა ვქნა, მერე უკვე ძალიან გვიანი იქნება და სჯობს მშვიდად ავუხსნა ყველაფერი, მით უფრო, რომ მისიანებიც წინააღმდეგნი არიან ჩვენი ურთიერთობისო. გიორგის არ შეეძლო ანისთვის პირდაპირ ეთქვა ეს, ამიტომაც ვრცელი მესიჯი გაუგზავნა:

„21.01.04; 10:25: „შენს თავს ვფიცავ, ძალიან მიჭირს იმის თქმა, რასაც ახლა მოგწერ... მაპატიე, თუ იმედებს გაგიცრუებ.

გუშინ უნდა მომეწერა ეს ყველაფერი, მაგრამ არ მინდოდა, მეგობრის დაბადების დღე ჩამეშხამებინა... გუშინ დილით მოგწერე, შენი თავი ღმერთმა მაჩუქა-მეთქი. ეს მართლაც ასეა, მაგრამ მაქვს კი უფლება, ეს საოცარი საჩუქარი მივიღო? ამ ფიქრმა თავგზა ამირია. არადა რა ბედნიერები ვიყავით ერთად. უფრო გაგაბედნიერებდი, თუ ჩემი ცხოვრების თანამგზავრი გახდებოდი, მაგრამ ეს ალბათ არ მოხდება. შენ ძალიან კარგი გოგონა ხარ, ყველაფერი წინ გაქვს და უთუოდ იპოვი ისეთ ადამიანს, ვინც შენი სიყვარულის ღირსი იქნება. მე კი, დღეს სინდისი არ მაძლევს უფლებას, ეს ადამიანი ვიყო. ამის მიზეზი ჩემი ასაკია. ჩემს თავს ვერასოდეს ვაპატიებ, რომ გულის ხმას ავყევი, თავი შეგაყვარო და თავგზა აგირიო. მერე, რაღა ვქნათ, შენ თუ გვიან გააცნობიერე, რომ ჩემდამი სიყვარული მხოლოდ და მხოლოდ გატაცება იყო და მეტი არაფერი? ამიტომაც გემშვიდობები...

გულით მინდა განათლება მიიღო და შენი ადგილი დაიმკვიდრო ცხოვრებაში“.

ანი, 21.01.04; 23:43: „მე უშენობას ვერ ავიტან... ძალიან ცუდად ვარ“.

ანი, 22.01.04; 14:50: „სიგიჟემდე მენატრები, ასე რატომ მექცევი? გემუდარები, დამირეკე“.

ანი, 22.01.04; 18:40: „არ გენატრები? მე ველარ ვძლებ უკვე. ძალიან მენატრები და ვგიჟდები შენზე. ნუ ჯიუტობ, შემეხმიანე“.

გიორგიმ ვერ შეძლო დიდხანს დუმილი. მასაც ხომ უსაზღვროდ უყვარდა ანი. არავის აუფორიაქებია მისი გული ისე, როგორც ეს ამ პატარა გოგონამ მოახერხა...

კვლავ შეხვდნენ ერთმანეთს. რომანტიკული დღეები ისევ გაგრძელდა და როცა გიორგიმ საბოლოოდ ირწმუნა, რომ ანი მისი გახდებოდა, სწორედ მაშინ შეაჩერა გოგონამ ხელში ბარათი:

„დიდი ხნის ფიქრის მერე გადავწყვიტე, წერილი მომეწერა შენთვის. გეფიცები ყველაზე ძვირფასს, რომ მართლა ძალიან მიყვარხარ, მაგრამ ალბათ ეს გრძნობა მთლად წრფელი არაა, რადგან ღრმად ვარ დარწმუნებული, სადაც დიდი სიყვარულია, იქ ყველაფერზე ხუჭავენ თვალს, მე კი ეს ვერ შევძელი. შეხვედრამდე ერთი საათის წინ საძილე წამლის დიდი დოზა მინდოდა დამელია. თავის მოკვლას არ ვაპირებდი, მაგრამ მინდოდა, ისეთი რამ მომსვლოდა, რაც ხელს შემიშლიდა დღევანდელ შეხვედრაში. ბოლოს, მაინც გადავწყვიტე, მენახე. მესიჯებითაც შემეძლო მეთქვა, მაგრამ მაშინ ხომ ვერ დავინახავდი სიყვარულითა და სითბოთი სავსე შენს თვალებს?! ასე მგონია, აღარასოდეს ვიქნები ბედნიერი.

ჩემთვის, იცი, რა იყო ბედნიერება? ის დღეები, როცა შენთან ვიყავი, როცა ათას რამეზე ვსაუბრობდით, მომავალს ვგეგმავდით. ვერ ვივიწყებ იმ საშინელ ციფრს — „18“-ს. ყველა მეუბნება, ასეთი ასაკობრივი სხვაობა მიუღებელია ცოლ-ქმარს შორისო. რომ გნახონ, შეიძლება გაჩუმდნენ კიდეც, რადგან ვერავინ იტყვის, რომ 35-ის ხარ... ძალიან დაბნეული ვარ. მართლა არ მინდა წლების მერე ვინანო, რატომ გავყევი ამხელა კაცს-მეთქი. შენც ხომ იგივე მითხარი მესიჯში? ვერც კი წარმოიდგენ, რას ვგრძნობ ამ სიტყვების დაწერისას, მაგრამ ვიცი, რომ ძლიერი პიროვნება ხარ და რამენაირად გაუმკლავდები ამას. მინდა ბედნიერი იყო. ჩემთვის ძნელია უშენოდ ცხოვრება. ერთი წუთითაც რომ წარმოვიდგენ, გავა დღე და შენს ხმას ვერ გავიგონებ, ან შენს მესიჯს ვერ წავიკითხავ, სიკვდილი მინდება, მაგრამ დიდი დარდის მიუხედავად, ნელ-ნელა მაინც შევეგუები.

ერთ რამეს გთხოვ მხოლოდ და უარი არ მითხრა: ხანდახან, იშვიათად, დაგირეკავ და მოგიკითხავ. გთხოვ, ამის უფლება მომცე.

წერილის წაკითხვის მერე გემუდარები, არაფერი მითხრა. ჩემთვის ისედაც დიდი სასჯელია, ამას რომ გწერ. შენი ტანჯვის ყურებაც არ შემიძლია... მშვიდობით სამუდამოდ“.

გიორგიმ შეასრულა ანის თხოვნა. ჩუმად მიაცილა შინამდე და გამოტრიალდა.

მთელი ღამე ტიროდა გოგონა...

გიორგიმ შინ მისვლას — მეგობართან ყოფნა არჩია. მისთვის მართლაც აუტანელი იყო ანისთან დაშორება და ასეთ წუთებში მეგობრის თანადგომა სჭირდებოდა... იმის გაცნობიერებამ, რომ ანი დაკარგა, სიცოცხლის ხალისი დაუკარგა, აღარაფერი უნდოდა ამ ქვეყანაზე...

როცა გრძნობა წრფელია და ძლიერი, არ შეიძლება მას შეებრძოლო. სულ ერთია, მაინც დამარცხდები. ჰოდა, ანიც დამარცხდა. ვერ გაძლო გიორგის გარეშე და... მეორე დღესვე დაურეკა. მეგობრის მეუღლემ რომ უპასუხა, — ცუდად არის და მოგვიანებით დარეკეთო, მოსვენება დაკარგა. საყვარელი ადამიანის ასეთ დღეში ყოფნა ვერ აიტანა. ხან თვითონ რეკავდა და კითხულობდა გიორგის მდგომარეობას, ხან მეგობარს არეკინებდა. ერთმა ნიუანსმა საბოლოოდ დაარწმუნა ანი, რომ მიუხედავად ამ ყბადაღებული ასაკობრივი სხვაობისა, გიორგი ძალიან უყვარდა და უმისობა არ შეეძლო...

შეყვარებულები შერიგდნენ, თუმცა ჯერ კიდევ არ იციან, რა იქნება ხვალ. არც ის იციან, რას იტყვიან გოგონას ახლობლები და, საერთოდ, რას უმზადებს ბედი... სამაგიეროდ, უკვე ნამდვილად იციან მთავარი — ერთმანეთი ძალიან, ძალიან უყვართ და აღარ ეშინიათ დაბრკოლებებისა.

ღმერთმა ბედნიერი ამყოფოთ!!!

***მარინა ბაბუნაშვილი***

# გამოხმაურება: მინდა, ჩემს სიცოცხლეშივე ვაპოვნინო შვილს ნამდვილი დედა...

„...ამ წერილმა მოსვენება დამიკარგა... 50 წლის ქალი ვარ. ადრე გავთხოვდი, მაგრამ მე და ჩემი ქმარი რამდენიმე თვეში გავშორდით ერთმანეთს... მერე გავიცანი მამაკაცი, რომელიც ძალიან მიყვარდა. მასაც ვუყვარდი. ცოლ-შვილიანი იყო, მაგრამ ვერ მელეოდა. ჩვენი ურთიერთობა თითქმის თხუთმეტი წელი გაგრძელდა. ისე ახერხებდა ჩემთან ურთიერთობას, რომ მის მეუღლეს დღემდე არაფერი გაუგია. არაჩვეულებრივი პიროვნება იყო. მეოთხე წელიწადია, რაც გარდაიცვალა და მისი სიკვდილის შემდეგ ერთბაშად ვიგრძენი მარტოსულობა.

...ისე მიყვარდა, რომ მისთვის სულსაც არ დავიშურებდი, მაგრამ ეტყობა, მას, როგორც ოჯახის პატრონს, არ შეეძლო ბევრ „რამეზე“ წასვლა... როცა გაიგო, ორსულად ვიყავი, დელიკატურად მთხოვა, არ გვინდა ბავშვი, ისედაც სამი შვილი მამა ვარ, შენთან მოსული ბევრი პრობლემისგან ვთავისუფლდები და ბედნიერად ვგრძნობ თავსო. არც დავფიქრებულვარ, ისე წავედი ექიმთან... სამაგიეროდ, მერე იმოქმედა საშინლად და კარგა ხანს მისი დანახვაც არ მინდოდა. ეტყობა, თვითონაც განიცადა, დიდხანს მიბოდიშებდა და გულწრფელად მეუბნებოდა, — თუკი კვლავ დაორსულდები, გააჩინე ბავშვი და ერთად ვიცხოვროთო, მაგრამ, სამწუხაროდ, ბავშვი ველარ გავუჩინე საყვარელ მამაკაცს...

ამ ბოლო ხანს ამოვიჩემე, უნდა ვიშვილო ობოლი და მიუსაფარი, აუცილებლად ბიჭი, მის სახელს დავარქმევ და გავზრდი-მეთქი. ახლობლებსაც გავანდე გულისნადები. ყველა წინააღმდეგი წავიდა: გიჟი ხომ არა ხარ, ზოგს საკუთარი არ გამოადგება და რა იცი, რა სისხლი და ჯიში აქვს, მიტოვებული ბავშვები გულბოროტები გამოდიანო.

განა იმ ქალის შვილობილი, ზვიადი, გულბოროტია? ქალბატონი ვიოლეტა ხომ ამბობს, თბილი და კეთილი ბიჭი გაიზარდაო? ვერ დავიჯერებ, ნაშვილები ბავშვების, რომლებსაც თავს ევლებიან, გაბოროტებასა და უმადურობას. რა თქმა უნდა, არის გამონაკლისიც, მაგრამ სიკეთე ხომ ის ძალაა, რომლის წინაშეც ყველა უკეთურება მარცხდება?

საბოლოოდ გადავწყვიტე, რომ ახლობლებს ყური აღარ ვუგდო და პატარა ბიჭი ვიშვილო. ამას აღდგომამდე გავაკეთებ, მით უფრო, რომ ერთი კარგი ნაცნობი დამპირდა, დაგეხმარებიო. მართლაც, როგორც ამას ვიოლეტა ამბობს, რა უნდა იყოს იმაზე დიდი მადლი, რომ მიტოვებულს, ზრუნვასა და სითბოს დანატრებულს, სიყვარულსა და ალერსს არ მოაკლებ?

დიდი მადლობა „კვირის პალიტრას“, ჩემი ორჭოფობა საბოლოოდ სიკეთისკენ გადასწონა. მე აუცილებლად შეგეხმიანებით, რედაქციაშიც გესტუმრებით, როგორც კი ნატვრას ავისრულებ.

***პატივისცემით, ნანა“.***

# კინოთეატრი პაემნისთვის მაგარი ადგილია

**არ გაგიკვირდეთ და, სიამოვნებით დავდივარ კინოთეატრში მარტოდმარტო. მე და ჩემი მეგობრები ერთსა და იმავე დროს იშვიათად ვართ თავისუფალნი. ამიტომაც ახალი ფილმის ნახვას მოწადინებული, დროს გამოვნახავ თუ არა, კინოთეატრში გავრბივარ. თუმცა, პრემიერებს ყოველთვის ვერიდები. როცა ბევრი ხალხია დარბაზში, „პოპკორნის“ ხრაშუნის ხმა ისე ისმის, რომ ყურთასმენა მიაქვს და თავი სასადილოში მგონია. აგერ, ახლახან, „უკანასკნელი სამურაი“ სწორედ სავსე დარბაზში ვნახე და ხრაშუნი გამაგიჟებდა, სწრაფად გამოსავალი რომ არ მომეძებნა. გამახსენდა ჩანთაში ყურსაცვამები მქონდა, რომელსაც მუშაობის დროს ვიყენებ ხოლმე. მოვირგე და ხრაშუნიც შეწყდა, ფილმის ხმა კი სასიამოვნოდ ჩამესმოდა. „უკანასკნელი სამურაის“ გამო დიდად კმაყოფილი დავრჩი, მაგრამ მოსვენებას არ მაძლევდა „პოპკორნიჭამია“ მაყურებელზე ფიქრი, — ნეტავ რისთვის დადიან კინოთეატრში, ნუთუ საჭმელად? ეტყობა, „კვირის პალიტრას“ არ კითხულობენ, თორემ ეცოდინებოდათ, რა მავნებელია ორგანიზმისთვის ეკრანის წინ ჭამა. მოგვიანებით აღმოვაჩინე, რომ ჩემსავით ბევრს აწუხებს კითხვა — ნეტავ რატომ დადის ზოგიერთი კინოში?**

**ლოლა (68 წლის):** — თუ მთელი ოჯახი ტელევიზორში ერთად ვუყურებთ ფილმს, უხერხულობა მეუფლება ეროტიკული სცენების გამო. მაგრამ ამას წინათ კინოთეატრში უარეს დღეში ჩავვარდი. მე და ჩემმა მეუღლემ ბერტოლუჩის „მეოცნებეების“ ნახვა განვიზრახეთ. შვილიშვილმა — ეგ სათქვენო ფილმი არ არის, სჯობს მულტფილმებს უყუროთო. შე მამაძაღლო, ვის დასცინი-მეთქი, გავუბრაზდი და ნაწყენები წავედით მე და ჟორა კინოთეატრში. ეკრანზე უხვად იყო „იმნაირი“ სცენები, მაგრამ ფილმს ვინ ჩივის, დარბაზმა გადამრია. აქეთ გავიხედე — გოგო და ბიჭი ნეტარებით კოცნაობდნენ, იქით გავიხედე — წყვილი ერთმანეთს უხერხულ ადგილებში ელაციცებოდა... მოკლედ, ყველგან ერთი და იგივე ხდებოდა. ჟორას ეცინებოდა — ლოლა, დაეტიე შენს ადგილზე, კინოს უყურე, თვალებს ნუ აცეცებო. უცებ ხელი მომკიდა ხელზე და ფეთიანივით წამოვიყვირე, — არ გადამრიო, ახლა შენც ამათ არ აჰყვე-მეთქი.

საპაემნო ადგილია კინოთეატრი...

**ნანა (38 წლის):** — ჩემს სიყმაწვილეში ინდურ კინოს რომ მაყურებელი ჰყავდა, იშვიათად თუ დაიკვეხნიდა ევროპული ან საბჭოთა კინო. 18-19 წლის სტუდენტები კინოში მართლა გასართობად დავდიოდით. ინდური ფილმების გმირების გულშემატკივრებს ვაბრაზებდით. ერთხელ კინწისკვრით გამოგვყარეს კინოთეატრიდან: არც მახსოვს, რა ფილმი იყო. დრამატული სცენა მიდიოდა ეკრანზე. მაყურებელი ისე გასუსულიყო, ბუზის გაფრენის ხმას გაიგონებდით. ერთი კოკა გვყავდა, უკუღმართი, ენაკვიმატი. დაიწყო ანეკდოტების მოყოლა. ჯერ მოგუდულად ვიცინოდით, მერე ველარ შევიკავეთ თავი და ავხარხარდით. სწორედ ამ დროს ვილაც კეთილი ადამიანი მოკლეს ფილმში, ღაპალუპით სდიოდათ ქალებს ცრემლი. ვერ აგიწერთ, რაც იქ დატრიალდა. გადარეულმა „მგლოვიარე“ მაყურებელმა დედაკაცებმა დაუნდობლად დაგვიშინეს ჩანთები. ისეთი ამბავი შეიქნა, ძლივს გამოგვიყვანა მილიციამ გარეთ ტანსაცმელშემოხეული და დალილავებულ-დაჟეჟილები. თუმცა, ჩვენი ფიზიკური შეურაცხყოფისათვის არავის უგია პასუხი. პირიქით, აქეთ შემოგვედავნენ — ფილმის აღქმაში ხელი შეგვიშალესო! დარწმუნებული ვარ, მაშინდელი ინდური ფილმების მაყურებელი ახლა ტელესერიალებს უყურებს.



**გურამი (52 წლის):** — ზოგჯერ მობილური ტელეფონის გამომგონებლის დაჭერის სურვილი მეუფლება. მინდა ვნახო და ვაიძულო, რაღაც მოიფიქროს მობილურომანთა განსაკურნებლად. ცივილიზაციის ეს მონაპოვარი განსაკუთრებით მიშლის ხელს კინოში. საბედნიეროდ, თეატრში აფრთხილებენ და აიძულებენ მაყურებელს, ტელეფონი გამორთოს. კინოში ასე არ ხდება. ამას წინათ კინაღამ გავგიჟდი.

ჩემ გვერდით იჯდა ვილაც არანორმალური, მთელი ფილმის განმავლობაში არ გაჩერებულა, სულ ტელეფონზე ლაპარაკობდა. რაღაც საქმეებს აგვარებდა. ბოლოს, მოთმინების ფიალა ამევსო და ვუყვირე, — კაცო, შენ გიჟი ხომ არა ხარ, თუ საქმე გქონდა, კინოში რაღას მოდიოდი-მეთქი... მოკლედ, კინოთეატრში სიამოვნებისთვის შესული, გაცოფებული გამოვედი. თანაც რა მაგიჟებდა კიდევ იცით? ამ ოხერი „პოპკორნის“ ხრაშუნით რომ ტვინი წაიღო, ბორჯომი თუ კოკა-კოლაც გადამასხა შარვალზე და მზესუმზირით დატენილი ჯიბეებიც იქ დაცალა ტელეფონით ლაქლაქის დროს. ასეთი რამდენი დადის კინოში! უკულტურო ხალხია, მაგათ აღზრდას, მე მგონი, ველარავინ მოახერხებს.

**ლაშა (26 წლის):** — ჩემი მეგობარი კინოთეატრში დასაძინებლად დადის. შევა დარბაზში, ჩართავს „ვოქმენს“. გაიკეთებს ყურსაცვამებს და საყვარელი მუსიკის მელოდიებში იძინებს. რა ქნას. შინ ჩვილი ბავშვის ტირილი არ აძინებს. სამსახურში კიდევ ცხვირით არის შესული კომპიუტერში და მოსვენებას არ აძლევენ. ამიტომ კინოში დადის გამოსაძინებლად.

**მაკო (21 წლის):** — კინოში საჭორაოდ დავდივართ ხოლმე მე და ჩემი დაქალები. იქ ისეთ ვილაცებს „გავაძრობთ“ ხოლმე წყვილების სახით, რომ მერე ერთი კვირა გვყოფნის საჭორაოდ. ერთი ჩვენი ახლობელი სატრფოს ვინაობას „გვიმალავდა“. სად დაძვრებოდა, ვერაფრით გავიგეთ. მერე ჩიტმა ამბავი მიგვიტანა — კინოში მაგარ „ნაშასთან“ ერთად დადის და „ზასაობენო“. ის გოგო „ნაშა“ არა, მაგრამ მაგარი ვინმეა, იმ ჩვენმა ახლობელმა როგორ „შეაბა“ თუ შეაყვარა თავი, გვიკვირს. ისე, პაემნისთვის კინო მაგარი ადგილია.

***ეკა ლომიძე***

# ახლა ჩემთვის აღარც კინო და აღარც თეატრია...



## როგორღაც მოვახერხე და ბორკილიანი ხელით მედროგეს ყელში ვწვდი...

იასონას („წუთისოფელი“) ასაკს მიტანებულ ბატონ **გრიშა წიტაიშვილს**, კინოსტუდიის ეზოში შევხვდი, სკამზე იჯდა მოგონებებში ჩაძირული.

ერთი ჩვეულებრივი ბიჭი ბედმა თუ ნიჭმა, არაჩვეულებრივ შემოქმედებით გზას და მაყურებლის დიდ სიყვარულს აზიარა.

მანამდე კი:

...ამ ალალმართალ ბათუმელ ბიჭს ზღვა მაინცდამაინც არ იზიდავდა... სამაგიეროდ, აჭარის ნაკრების წამყვანი ფეხბურთელი იყო. ბათუმური წვიმების გადამკიდე, ხშირად თავს თეატრსა და კინოს აფარებდა, რაც თანდათანობით მოთხოვნილებად ექცა. მაგრამ თეატრალურ ინსტიტუტში რომ ჩააბარა, მაინც ყველა გააკვირვა.

„ის გოგო-ბიჭები, რომელთაც ეკრანიდან ვიცნობდი, ჩემთან ერთად აბარებდნენ. ამათ გვერდით მე ვილა მიმიღებს-მეთქი, ვეჭვობდი. მაგრამ მოხდა სასწაული, მიმიღეს!.. არაჩვეულებრივ ჯგუფში მოვხვდი. ბელა მირიანაშვილი, იმედა კახიანი, მალხაზ გორგილაძე, ნოდარ ფირანიშვილი... პირველი კურსიდანვე კინოვარსკვლავები იყვნენ, მე კიდევ, ისე დავამთავრე ინსტიტუტი, კინოსკენ არც გამიხედავს... ერთხელ, რუსთაველის თეატრში მოვიდა რეჟისორ გუგული მგელაძის ასისტენტი ჰამლეტ მაჩაიძე — „ცისკრის ზარებს“ იღებენ და სინჯებზე გიბარებენო, მითხრა... მივედი და... ასე შემოვიდა კინო ჩემს შემოქმედებაში. მერე კინომ თეატრს ჩამომაშორა... ახლა ჩემთვის აღარც კინოა და აღარც თეატრი (იცინის)...“

ცხოვრება მართლაც წუთისოფელია — ზოგჯერ დაუნდობელიც, მაგრამ მსახიობისთვის კინოხელოვნება „უკვდავების თეთრი ვარდია“. ბატონ გრიშა წიტაიშვილისთვის დებიუტი კინოში ფეხბედნიერი აღმოჩნდა. პირველ ფილმს მოჰყვა „ღამის ვიზიტით“, „როცა ქალაქს სძინავს“... ორმოცდაათამდე ფილმში ითამაშა. დიდი შემოქმედებითი გზა გაიარა, პოპულარობა და მაყურებლის სიყვარული მოიპოვა...

„მოსკოვში მე და გუგული მგელაძე „გოსკინოში“ ჩვენი ფილმის „სინათლე ჩვენს ფანჯრებში“ ჩვენებისას ერთად ვიყავით. სხვათა შორის, ფილმი პირველად სრულყოფილად იქ ვნახე... დასრულდა თუ არა, კომისიამ გარეთ გამოგვისტუმრა, რომ ეთათბირათ და ფილმისთვის კატეგორიაც განესაზღვრათ... საკუთარი ნამუშევარი არ მომეწონა. გუგულიმ შემომხედა და — აბა, რას იტყვი, მოგეწონაო? არა-მეთქი. არადა, მე მხოლოდ საკუთარ როლს ვგულისხმობდი... გუგული ისეთ დღეში ჩავარდა, თუ არ მოკვდებოდა, არ მეგონა. კიდევ კარგი, ცოტა ხანში დაუძახეს.. ფილმს კატეგორიაც მიანიჭეს და გვარიანი ბანკეტიც გადავიხადეთ...“

რისკთან იყო დაკავშირებული „დათა თუთაშხიაში“ გრიშა წიტაიშვილისა და მისი რევოლუციონერი გმირის — როგაჩოვის ეპიზოდის გადაღება: „ქუთაისის ციხეში რომ უნდა გადამიყვანონ და თუთაშხია მათავისუფლებს, იმ ეპიზოდს ბზიფის ხეობაში ვიღებდით. ხელებზე ბორკილები მედო, რომელიც სროლის ატეხისთანავე მედროგისთვის უკნიდან ყელში უნდა ამომედო და გამეგუდა, დროგიდან გადავმხტარიყავი და გავქცეულიყავი.

ცხენოსნები გადაღების შემდეგ აღარ მოგვყვებოდნენ და ღამით, იქვე, მდინარეზე რჩებოდნენ. საშინლად ციოდა, არაყთან ისედაც არ იყვნენ მწყრალად და მით უფრო, ასეთ სუსხში. ჰოდა, ეს ჩვენი მედროგე ერთიანად არყით იყო გაჟღენთილი.

გადაღება დაიწყო. დათამ ატეხა თუ არა სროლა, ცხენები დაფრთხნენ და გავარდნენ. როგორღაც მოვახერხე და მედროგეს ზურგიდან ყელში ვწვდი, მაგრამ რად გინდა, ნაცვლად იმისა, წინააღმდეგობა გამიწიოს, გადმოვარდა და თოჯინასავით წამომყვა. მეც თავი ველარ შევიმაგრე, გადავეშვი და ქვაზე მოწყვეტით დავეცი. ბორკილიანი ხელები საკუთარ ყელთან მიმებჯინა. მედროგე კი მოწყვეტით დამასკდა ზემოდან... როგორც ჩანს, ფილტვები შემეკუმშა და სუნთქვა გადამეკეტა. ამ დროს მესმის ოპერატორის (ლევან ნამგალაშვილის) ხმა: — „ხარაშო, გრიშა, პრადალჟაი, პრადალჟაი!“ ვინ იცის, რის ფასად წამოვდექი და თუთაშხიასკენ გავიქეცი. იქიდან ისევ მომძახის ოპერატორი „პრადალჟაი, პრადალჟაი!“ გადაღება გათავდა და ლამის მეც გავთავდი. კიდევ კარგი, სასწრაფოდ ექიმთან გამაქანეს. მაგრამ რად გინდა, იმოდენა გზაზე სამედიცინო პუნქტიც არ შეგვხვედრია. გაგრამდე ჩავაღწიეთ, კვირადღე იყო და საავადმყოფოში მხოლოდ მორიგე ექთანი დაგვხვდა... ნეკნები აღმომაჩნდა დაბზარული. მოვმჯობინდი თუ არა, ისევ გადაღებას დავუბრუნდი“.

ნანა მჭედლიძის „პლაჟის ავაზაკის“ გადაღებისას მთავარი როლის „შემსრულებელთან“ (ძაღლი ყურბანა) ასეთი რამ შეემთხვა: „სცენარის მიხედვით, ძაღლი აეროპორტში ფეხმოუცვლელად დგას და პატრონს ელოდება, გულაჩუყებული ხალხი ნაირ-ნაირი საკვებით უმასპინძლდება, მაგრამ ყურბანა პირსაც არ აკარებს. გამონაკლისი მხოლოდ ჩემი გმირი ბიკენტია, რომელსაც ეს ძაღლი მიჰყავს კიდეც. თავის მხრივ, ყურბანას იშვიათი უნარი (პლაჟზე მდიდარ კომბინატორებს და შავი სამყაროს წარმომადგენლებს ფულს აცლის და შინ მიაცუნცულებს) აღმოაჩნდება და ბიკენტიც მდიდრდება. ესაა მოკლე ფაბულა...

იმ ეპიზოდის გადაღება — ყურბანა სამკვდრო-სასიცოცხლოდ რომ გადამეკიდება, თითქმის შეუძლებელი შეიქნა... მოვკვდი, ამდენმა სირბილმა და მწვრთნელის ახალ-ახალმა დაპირებებმა — შენ გაიქეცი და ძაღლიც გამოგეკიდებაო — სიქა, მოთმინება, ნერვები და ენერგია სრულიად გამომაცალა. არადა, ძაღლიც ისეთი იყო, გამოკიდება კი არა, მისი ყეფაც არავის გაუგია. თანაც, ჩემგან პატივნაცემიც გახლდათ... მთელი კვირა იძახიან „მოტორ!“, მეც თავქუდმოგლეჯილი გავრბივარ. ამ დროს, თურმე, ძაღლი ადგილიდანაც არ იძვრის. არადა, ის მწვრთნელი რა გასამრჯელოს იღებდა, იცით? ბოლოს, გამოსავალი ისევ მე ვიპოვე: ჯიბეში ხორცის ნაჭერი ჩავიდე, თავიც გამოვაყოფინე, შარვლის ტოტის ერთი მხარე კი საერთოდ გავიქონე, მთელი დღის ნაშიმშილები ყურბანა ხორცის სუნზე ისე გამოვარდა, მართლა ძლივს გავასწარი...“



„მოსკოვში მე და გუგული მგელაძე „გოსკინოში“ ჩვენი ფილმის „სინათლე ჩვენს ფანჯრებში“ ჩვენებისას ერთად ვიყავით. საკუთარი ნამუშევარი არ მომეწონა. გუგულიმ შემომხედა და — აბა, რას იტყვი, მოგეწონათ? არა-მეთქი. საკუთარ როლს ვგულისხმობდი... გუგული ისეთ დღეში ჩავარდა, თუ არ მოკვდებოდა, არ მეგონა. კიდევ კარგი, ცოტა ხანში დაუძახეს.. ფილმს კატეგორიაც მიანიჭეს და გვარიანი ბანკეტიც გადავიხადეთ...“

გრიშა წიტაიშვილის იასონა, ნოდარ მანაგაძის „წუთისოფელში“ უდიდესი აქტიორული ნამუშევარიცაა. ეს სახე გადაღებისას ფილმში იმდენად წამოვიდა წინა პლანზე, სულიკო ჟღენტიც გაიძახოდა, — მე სცენარი „დედის ფიქრები“ დედაზე დავწერე და არა მამაზე, სიდონია კი ლამის დაიჩრდილაო. შესაბამისად, ფილმში იასონას როლი „შეიკვეცა“...

— ადრეც და მერეც, გაცილებით მეტი შემეძლო მეკეთებინა, — ამბობს ბატონი გრიშა, — რომელიც გულს მაინც არ იტეხს, კვლავ ახალი როლის მოლოდინშია, რადგანაც თვლის, რომ მსახიობისთვის თამაში არასოდეს არ არის გვიან...

***ნათია ჩუბინიძე***

# „მომბეზრდა პოლიტიკა“

*„დაიჭირეთ მზე!“ — ეს ლოზუნგი ეკა ბერიძემ ტელეკომპანია „მზის“ საეთერო სივრცეში ერთთვიანი მოღვაწეობის შემდეგ მალე დაივიწყა. ჯერ შვილის აღზრდით იყო დაკავებული, მერე ამას სხვა მიზეზებიც დაემატა, რაზეც უკვე მრავალჯერ ითქვა და ბოლოს, ეკამ სამსახური სულ მიატოვა. ამ დღეებში გავრცელდა ხმები, რომ ინგა გრიგოლიას გარდა, საქტელერადიომაუწყებლობაში მალე კიდევ ერთი ცნობილი სახე —* ***ეკა ბერიძე*** *დაუბრუნდება პირველ არხსო. თუმცა ეკა ჯერჯერობით თავს იკავებს, მაგრამ მაყურებელთან ძველ ამპლუაში შეხვედრასაც არ გამორიცხავს.*



— მართალია, ჩვენ ამის შესახებ ჯერ არ გვისაუბრია, მაგრამ ვიცი, რომ ზაზა შენგელიას ნამდვილად სურს ჩემი „პირველ არხზე“ დაბრუნება. მე სხვა გეგმები მაქვს და თუ მათ განხორციელებას ვერ შევძლებ, შეიძლება მართლა დავბრუნდე პირველ არხზე.

**— თქვენი გეგმები თუ უკავშირდება ტელევიზიას?**

— რა თქმა უნდა. თუმცა აღარ მაქვს სურვილი, პოლიტიკური გადაცემები წავიყვანო. უკვე ნაკლებად მაინტერესებს პოლიტიკა.

**— რა მოხდა, შეხედულებები, მსოფლმხედველობა შეიცვალეთ თუ ღირებულებები გადააფასეთ?**

— მსოფლმხედველობა და შეხედულებები რადიკალურად ნამდვილად არ შემიცვლია, მაგრამ მომბეზრდა პოლიტიკა. თუმცა არ გამოვრიცხავ, რომ კიდევ მომიწიოს პოლიტიკური თემების გაშუქება. თუ ეს ჩემს სურვილზე იქნება დამოკიდებული, აუცილებლად უარს ვიტყვი და ვირჩევ, ჩემი გადაცემის შინაარსი სხვა თემებს მოიცავდეს. ჩვენს ცხოვრებაში ღრმად შემოიჭრა პოლიტიკა და მოდიდან აღარ გადის. მინდა ჟურნალისტიკა არ იყოს პოლიტიკაზე დაფუძნებული და ჟურნალისტად არ იწოდებოდეს მხოლოდ ის, ვინც ამ თემებზე მუშაობს. ცხოვრება მრავალფეროვანია და სხვა სფეროშიც შეიძლება გაცილებით მეტი პროფესიონალიზმის გამოვლენა. ჩემი ხასიათიდან გამომდინარე, მე სირთულე უფრო მიზიდავს და ვფიქრობ, გადაცემა, რომლის მომზადებაც მაქვს ჩაფიქრებული, უფრო მრავალფეროვანი იქნება.

**— ეკა, ვარდების რევოლუციის შემდეგ არაერთხელ გაისმა ხმები, თითქოს მასმედიასა და თავისუფალ სიტყვაზე ზეწოლა ხდება, რის მაგალითადაც „ღამის კურიერის“ და „ღამის მზერის“ დახურვა მოაქვთ, თქვენ როგორ შეაფასებთ არსებულ სიტუაციას?**

— სამწუხაროდ, კულუარულ ინფორმაციებს არ ვფლობ. წამიხდება ხასიათი, თუ შევიტყობ, რომ ხელისუფლებისგან ზეწოლა ხდება. საეჭვოა, ასე იყოს, „ღამის კურიერი“ ხომ უკვე აღდგა. ისე კი სიმართლე გითხრათ, ღამის საინფორმაციო გადაცემებმა ამოწურეს თავისი შესაძლებლობები... ბოლოს და ბოლოს, მე პირველი ვიყავი, ვინც „ღამის კურიერი“ წაიყვანა ეთერში და კარგად მესმის ამ გადაცემის არსი. ვფიქრობ, ღამის ეთერში საინფორმაციო გადაცემები მომაბეზრებელი გახდა და ჩვენი წამყვანებიც დაიტანჯნენ ერთი და იმავე თემატიკის გაშუქებით.

**— რა ჰქონდა დადებითი და უარყოფითი ღამის საინფორმაციო პროგრამებს?**

— დადებითი ის იყო, რომ ამ გადაცემებმა საზოგადოებას ნათლად დაანახვა ჩვენი პოლიტიკური სპექტრის ნამდვილი სახე. ასეთ დებატებში ადამიანები კარგად ავლენდნენ ხასიათსა და ჩვენს საკმაოდ ინტელექტუალურ მაყურებელს სწორი არჩევანის გაკეთების შესაძლებლობა ეძლეოდა. უარყოფითს თვით გადაცემებში ვერაფერს ვხედავდი. ვფიქრობ, რაც ხდება, უკეთესობისკენ სვლის მცდელობაა.

**— რევოლუციის შემდეგ როგორი შეხედულებები ჩამოგიყალიბდათ?**

— როგორც ნიკა ტაბატაძეს და გიორგი სანაიას მიაჩნდათ, მეც ვფიქრობ, რომ ჟურნალისტმა თავისი პოზიცია პოლიტიკასთან დაკავშირებით არ უნდა დააფიქსიროს, იგი ობიექტურად უნდა აშუქებდეს ყველა პოლიტიკური სუბიექტის პოზიციას. როგორც მოქალაქე კი ვთვლი, რომ ძველ ხელისუფლებას, ისევე, როგორც ღამის საინფორმაციო პროგრამებს, ამოწურული ჰქონდა თავისი შესაძლებლობები. მე როგორც მოქალაქემ, ჯერ კიდევ „მზის“ ეთერში რევოლუციამდე ვთქვი, რომ არ მსურდა ახალ ხელისუფლებაში ძველი ხელისუფლების ან ოპოზიციის ხილვა. ამის გამო გავრცელდა ხმები, თითქოს პოლიტიკურ ნიჰილიზმს ვუწყობ ხელს. არ არის ეს ასე. მე მსურდა ახალი ძალა მენახა ქვეყნის ხელისუფლებაში, რადგან ვთვლი, რომ ვინც დღეს არის ხელისუფლებაში, ისინი ძველების გარემოცვაში აღიზარდნენ. ძნელია იმ ჩვეულებათა ერთბაშად შეცვლა, რასაც აღზრდის პროცესში იძენ. თუმცა, დღეს მჯერა, რომ მათ საუკეთესო სურვილები ამოძრავებთ და შეეცდებიან, ძველი პოლიტიკური კლიშეები უარყონ. თუ ამას ვერ შეძლებენ, ჩემზე უკეთ უწყიან, რომ იმ ტოტს მოჭრიან, რომელზედაც სხედან და რომელიც ყველას ერთად გვიფარავს.

**— სხვათა შორის, როცა „ღამის კურიერი“ დროებით შეწყვიტეს, ისიც ითქვა, რომ ახალ პროექტზე, თითქოს თქვენ გიწვევენ „რუსთავი 2“-ში. ამ არხიდანაც ხომ არ გაქვთ შემოთავაზება?**

— არა მგონია, ამგვარი რამ სიმართლესთან ოდნავ მაინც ახლოს იყოს. ვიმეორებ, მე ჩემი გეგმები მაქვს და მას თუ განვახორციელებ, ვერც პირველი არხი მომხიბლავს და ვერც „რუსთავი 2“. თეორიულად ყველაფერს განვიხილავ, თუმცა, არა მგონია, „რუსთავი 2“-დან მიწვევა მივიღო.

**— როდიდან შეიძლება ველოდოთ თქვენს ეთერში გამოჩენას?**

— არ ვიცი. ყოველ შემთხვევაში არა მგონია სექტემბრამდე რომელიმე საეთერო ბადის განახლება მოხდეს, თორემ რომ შემეძლოს, ხვალვე დავჯდებოდი ეთერში.

**— ინგა გრიგოლია თვლის, რომ იგი ტელეჟურნალისტად ზაზა შენგელიამ ჩამოაყალიბა. ეკა ბერიძე თუ მიაკუთვნებს ამგვარ პატივს ვინმეს?**

— მე პირველად „იბერვიზიის“ ეთერში გამოვჩნდი სწორედ ზაზა შენგელიას ხელში და „მანაც“ ავიღე როგორც საუკეთესო საინფორმაციოს წამყვანმა. ჩემს პროფესიონალურ ბიოგრაფიაში ასევე დიდი როლი ითამაშა კოკა ყანდიაშვილმა, მერე „რუსთავი 2“-ის ხელმძღვანელობამ. თითოეულისაგან ბევრი რამ ვისწავლე, თუმცა ინგაზეც და ჩემზეც ვიტყვი, რომ ვინც არ უნდა შეგიწყოს ხელი, არაფერი გამოვა, თუ შენ არა გაქვს ძალა, ნიჭი. ინგა რომ არ ყოფილიყო ნიჭიერი, ზაზა შენგელია მისგან პროფესიონალს ვერ შექმნიდა. უბრალოდ, ჩვენ სხვა ადამიანებმა მოგვცეს საშუალება ჩვენი შესაძლებლობები გამოგვევლინა და ცოდნა მიგვეღო. ამ მხრივ მე ძალიან მდიდარი ვარ.

**— ეკა, დღეს ქვეყანაში მიმდინარე პროცესების შინიდან მაცქერალმა, თუ შეგიძლიათ თქვათ, რა აკლია ჩვენს საზოგადოებას იმისათვის, რომ ჩვენ წარმატებული ქვეყნის მოქალაქეები ვიყოთ?**

— გვაკლია რაციონალიზმი, გონებისმიერი და გათვლითი მოქმედება, ეს აკლია დღევანდელ ხელისუფლებასაც და თითოეულ ქართველსაც. უფრო მეტად ემოციებს ვართ აყოლილი. თუ რაღაც გეგმა არ დაისახა, არაფერი გამოვა. როგორც მოქალაქეს, დღევანდელი ხელისუფლებისგან მომწონს ის, რომ ნეგატიურ მოვლენებს ებრძვიან, მაგრამ მსურს, მათგან მოვისმინო ხვალინდელი დღის გეგმა, თუნდაც ერთი წინადადება, მაგალითად, როგორი იქნება სახელმწიფო მოწყობის მოდელი, რაზე უნდა გაკეთდეს პრიორიტეტი ჩვენს ქვეყანაში ეკონომიკის, ტურიზმის ასაღორძინებლად და ა.შ. ამის მოსმენას მოუთმენლად ველოდები. ნეგატიურ მოვლენებზე აქცენტის გაკეთება იოლია, მაგრამ ისიც მინდა ვიცოდე, წინ როგორ უნდა წავიდეთ. ილია ჭავჭავაძე გვინდა დღეს, რომ ნაკლი დავინახოთ, რაც ნიშნის მოგებით კი არ უნდა მოხდეს, არამედ ისე უნდა მოვიქცეთ, რომ მისი გამოსწორება შევძლოთ. რომანტიზმის ეპოქა პოლიტიკაში უნდა დამთავრდეს. რომანტიზმი კარგია პირად ცხოვრებაში. პოლიტიკას კი რეალობის რაციონალური აღქმა და გაანალიზება სჭირდება, თორემ დღეს არსებული კარგი შანსები საქართველოს მხოლოდ რისკის სახით შეიძლება დარჩეს. და კიდევ ერთი — აღარ მინდა საქართველოს სამათხოვროდ გაწვდილი ხელი ჰქონდეს. ჩვენ ამის გარეშე უნდა შევძლოთ ცხოვრება.

***ეკა ლომიძე***

## ორშაბათი 8 მარტი

ქვირის პალიტრა

09.00 მულტსერიალი „პაპირუსის თავგადასავალი" 09.25 მხ. ფილმი „ვაჟიშვილის ფიცი" 12.00, 15.00, 20.00, 23.00 მოამბე 12.15 ტელესერიალი „სოლედადი" 13.00 სპექტაკლი „მგზნებარე შეყვარებული" 14.35 ქართ. სატ. ფილმი „სამი ამბავი ტელეფონით" 15.15 ქართ. მხ. ფილმი „გასეირნება თბილისში" 16.45 „არტე" წარმოგიდგენთ 17.05 დოკ. სერიალი „ჩემი საყვარელი ოჯახი" 17.20 საქართველო, დრო, მოვლენები 18.00 ვესტნიკი 18.20 დოკ. სერიალი „ბუნების სამყაროში" 18.30 სერიალი „წვრილფარსკვლავთა ღამე" მე-6ს. 19.00 მრავალჟამიერ 19.25 „იმღერე რამე" 21.05 ბასტი-ბუბუ 21.20 სერიალი „სოლედადი" 22.10 „ფრანგი დოკუმენტალისტების თვალით" 22.40 „სტუმრად მსახიობთა სტუდიაში" (გვინეტ პელტროუ) 00.00 მხ. ფილმი „დიდი მანევრები"

19.00, 22.00 „მოამბე" მეორე არხზე 19.10 მულტსერიალი „პაპირუსის თავგადასავალი" 19.35 კინოსეანსი „ქალი კამელიებით" 21.30 მოგზაურობა სასიტყვეთში 22.10 მხ. ფილმი „თორმეტი სკამი" მე-3ს.

07.00 დილა მშვიდობისა 08.00 „ტელელიპუცები" 09.40 სერიალი „შურისძიება" 11.00 ღამის შოუ დ. გოგიჩაიშვილთან ერთად 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 01.10 კურიერი 12.20 „დისკავერი" 13.30 მხ. ფილმი 15.20 ბუნდეს ლიგა 16.30 სერიალი „მაშველები" 17.05 პერეკრიოსტოკი 17.30 …

… „არგენტინელი ნიუ-იორკიდან" 15.50 „გალერეა" 16.20 მულტფილმი 17.20 „მზე აქ შემოჩერებია" 17.30 „ქალბატონები" 18.30 კომედია „ერთხელ მიდლენდში" 20.05 მელოდრამა „გზაჯვარედინები" 21.30 „რწმენა" 23.00 საინფ. გამოშვება აზერბაიჯანულ და სომხურ ენებზე 23.20 „ქალბატონები" 00.40 საინფ. გამოშვება ინგლისურ და გერმანულ ენებზე 01.00 მხატვრული ფილმი „სიყვარულის სიმწარე" 02.45, 05.45 მუსიკა 03.00 ბოევიკი „შერკინება"

07.00 Новости 07.10 Комедия "БЕРЕГИТЕ ЖЕНЩИН", 2 с. 08.30 "Шутка за шуткой" 09.30 Комедия "ЗА ДВУМЯ ЗАЙЦАМИ" 11.00, 13.00, 19.00 Новости 11.10 "Новые русские бабки" 11.40 "Кумиры" + кумиры" 13.10 Шоу "Город женщин" 15.00 "Большие родители". Л.Целиковская 15.30 Юмористический концерт "Вам, женщины!" 17.30 Комедия "КОРОЛЕВА БЕНЗОКОЛОНКИ" 19.10 Праздничный концерт "Песни для любимых" 22.30 Комедия "СБЕЖАВШАЯ НЕВЕСТА" 00.50 Худ.фильм "ЖЕНСКАЯ СОБСТВЕННОСТЬ" 02.40 Бокс. Ф.Варгас - Т.Маршалл 03.10 Легкая атлетика. Чемпионат мира в закрытых помещениях 04.00 Лыжный спорт. Кубок мира. Пер. из Финляндии

РОССИЯ 06.50 Комедия "СУЕТА СУЕТ" 08.15 Мультфильмы 08.35 Худ.фильм "8 МАРТА" 10.20 Аншлаг 11.20 Комедия "БУДЬТЕ МОИМ МУЖЕМ" 13.05 Клуб "Театр + ТВ" 15.00 Вести 15.20 Концерт Николая Баскова 17.55 Комедия "СЛУЖЕБНЫЙ РОМАН". 1-2 с. 21.00 Вести 21.10 Бабы, вперед! 23.05 Праздничное шоу В.Юдашкина 01.00 Худ.фильм "СОБЛАЗНИТЕЛЬ" 02.50 Худ.фильм "У ЗЕРКАЛА ДВА ЛИЦА"

## სამშაბათი 9 მარტი

… 15.35 სერიალი „ინდიგოს მინა" 16.35 დოკ. ფილმი „კუდიანი ამბები" 1-ლი ს. 17.00 მხ. სერიალი „ჰორასი და თინა" 18.00 მულტფილმი „კონკია" 18.30 მხ. სერიალი „პატარა აინშტაინები" 19.00 სერიალი „ლუდის ბატონები" 1-ლი ს. 20.00 „ევროპის სტადიონებზე" 22.00 სერიალი „მოჯადოება" 23.00 „ცხელი ცხრიანი" 23.50 სერიალი „ჰენრი ჯეიმსი - ახალგაზრდა მეამბოხე" მე-3ს. 01.00 მხ. ფილმი „ქეითი და ლეო".

08.00 მუსიკა 09.00 საინფორმაციო დაიჯესტი 09.30 კომედია „მოჩვენებაზე მონადირენი 2" 11.15 დოკუმენტური ფილმი 12.00, 14.00, 16.00, 18.00, 20.00, 22.00, 00.00 საინფ.გამ. „დღე" 12.10, 16.10, 18.15, 22.30, 00.20 საინფ.გამოშვება „ნოვოსტი" 12.20 კომედია „ერთხელ მიდლენდში" 14.10 მხ. ფილმი „ქუხილის დღეები" 16.20 მულტფილმი „ნოტერდამელი კუზიანი" 17.20 დოკუმენტური ფილმი 18.30 ბოევიკი „ბალისტიკა" 20.10 კომედია „ბურუ" 21.40 მუსიკა 22.40 „პოზიცია" 00.40 საინფ. გამოშვება აზერბაიჯანულ და სომხურ ენებზე 01.00 საინფ. გამოშვება ინგლისურ და ფრანგულ ენებზე 01.20 თრილერი „ღალი" 03.00, 05.25 მუსიკა 03.20 მელოდრამა „ესენია"

07.00 "Доброе утро!" 09.45 Выборы-2004 10.00, 13.00. 16.00, 19.00 Новости 10.20 Комедия "СБЕЖАВШАЯ НЕВЕСТА" 12.40 Дисней-клуб: "Ким Пять-с-плюсом" 13.20 "Юрий Гагарин: Секретный отчет" 13.50 Худ.фильм "ТАК НАЧИНАЛАСЬ ЛЕГЕНДА" 15.00 Шоу "Город женщин" 16.20 Сериал "БЕРЕГ МЕЧТЫ" 17.20 "Угадай мелодию" 17.50 "Большая стирка" 19.20 "Шутка за шуткой" 19.50 "Выборы - 2004" 20.00 Сериал "КЛОН" 20.50 Иронический детектив "ЛЮБИТЕЛЬНИЦА ЧАСТНОГО СЫСКА ДАША ВАСИЛЬЕВА" 22.00, 00.30 "Время" 22.35 Сериал "УЛИЦЫ РАЗБИТЫХ ФОНАРЕЙ 5" 23.40 Док.фильм "Юрий Гагарин" 01.00 "На футболе" 01.30 "Сканер" 02.00 "Русский экстрим" 02.30 Комедия "ПАПАША И ДРУГИЕ" 04.30 Худ.фильм "НАРУШИТЕЛЬ СПОКОЙСТВИЯ". США, 1998

РОССИЯ 06.00 "Доброе утро, Россия!" 09.45 Фильм "СЕРДЦА ЧЕТЫРЕХ" 11.40 В "Городке" 11.50, 14.50, 17.30, 00.20 Вести. Дежурная часть 12.00, 15.00, 18.00, 21.00 Вести 12.20, 15.10, 17.40, 21.30 Местное время. Вести-Москва 12.50 "Что хочет женщина" 13.50 Аншлаг 15.35 Ток-шоу "Частная жизнь" 16.30 Сериал "ВОЗВРАЩЕНИЕ МУХТАРА" 18.10 Сериал "ЛЮДИ И ТЕНИ" 19.05 Сериал "ГЛАВНЫЕ РОЛИ" 20.00 Сериал "ВКУС УБИЙСТВА" 21.50 Спокойной ночи, малыши! 21.55 Сериал "ТАЙНЫ СЛЕДСТВИЯ-3" 23.00 Сериал "ПАН ИЛИ ПРОПАЛ" 00.00 Вести+ 00.35 Худ.фильм "УТОМЛЕННЫЕ СОЛНЦЕМ", 1 с. 02.00 Худ.фильм "АФИНСКИЕ ВЕЧЕРА" 03.55 Синемания 04.25 Дорожный патруль 04.40 Агентство одиноких сердец

## ოთხშაბათი 10 მარტი

… აინშტაინები" 15.35 სერიალი „ლუდის ბატონები" 1-ლი ს. 16.35 დოკ. სერიალი „კუდიანი ამბები" 17.00 მხ. სერიალი „ჰორასი და თინა" მე-7ს. 18.00 მულტფილმი „კონკია" 18.30 მხ. სერიალი „პატარა აინშტაინები" 19.00 სერიალი „ლუდის ბატონები" მე-2ს. 20.00 „ევროპის სტადიონებზე" 22.00 სერიალი „მოჯადოება" 23.00 ქართ. ფილმი 01.00 მხ. ფილმი „ვარსკვლავეთის ომები".

08.00 მუსიკა 09.00 საინფორმაციო დაიჯესტი 09.30 მელოდრამა „ესენია" 11.35 დოკუმენტური ფილმი „ბარსელონა" 12.00, 14.00, 16.00, 18.00, 20.00, 22.00, 00.00 საინფ.გამ. „დღე" 12.10, 16.10, 18.15, 22.30, 00.20 საინფ.გამოშვება „ნოვოსტი" 12.20 „პოზიცია" 13.40 მუსიკა 14.10 კომედია „ბურუ" 15.40 მუსიკა 16.20 მულტფილმი „ანიმატრიცა" 18.30 სათავგადასავლო ფილმი „ზვიგენები-2" 20.10 მხ. ფილმი „ცეცხლში" 21.45 მუსიკა 23.00 საინფ. გამოშვება აზერბაიჯანულ და სომხურ ენებზე 23.20 მუსიკა 00.40 საინფ. გამოშვება ინგლისურ და გერმანულ ენებზე 01.00 კომედია „ოთხი ქორწილი და ერთი დაკრძალვა" 02.55, 05.30 მუსიკა 03.20 მხ. ფილმი „ევიტა"

07.00 "Доброе утро!" 09.45 Выборы-2004 10.00, 13.00. 16.00, 19.00 Новости 10.20 Сериал "УЛИЦЫ РАЗБИТЫХ ФОНАРЕЙ 5" 11.30 Сериал "КЛОН" 12.40 Дисней-клуб: "Чудеса на виражах" 13.20 Худ.фильм "ЯРОСЛАВНА, КОРОЛЕВА ФРАНЦИИ" 15.10 Шоу "Город женщин" 16.20 Сериал "БЕРЕГ МЕЧТЫ" 17.20 "Угадай мелодию" 17.50 "Большая стирка" 19.20 "Просто смех!" 19.50 "Выборы - 2004" 20.00 Сериал "КЛОН" 20.50 Детектив "ЛЮБИТЕЛЬНИЦА ЧАСТНОГО СЫСКА ДАША ВАСИЛЬЕВА" 22.00, 00.30 "Время" 22.35 Сериал "УЛИЦЫ РАЗБИТЫХ ФОНАРЕЙ 5" 23.40 Док.фильм "Лубянка". "Бриллиантовое дело". Фильм 1 00.50 "Искатели". "Дуэль века" 01.20 Док.фильм "Клад Семена Дежнева" 01.50 "Цирковые династии". "Секреты Кио" 02.20 Худ.фильм "СЕТИ ЗЛА" 04.30 Худ.фильм "ВНЕ ПОДОЗРЕНИЙ"

РОССИЯ 06.00 Доброе утро, Россия! 08.50 Выборы-2004 09.45 Сериал "ТАЙНЫ СЛЕДСТВИЯ-3" 10.50 Ток-шоу "Короткое замыкание" 11.50, 14.50, 17.30, 00.20 Вести. Дежурная часть 12.00, 15.00, 18.00, 21.00 Вести 12.20, 15.10, 17.40, 21.30 Местное время. Вести-Москва 12.50 "Что хочет женщина" 13.50 Сериал "ПАН ИЛИ ПРОПАЛ" 15.35 Ток-шоу "Частная жизнь" 16.30 Сериал "ВОЗВРАЩЕНИЕ МУХТАРА" 18.10 Сериал "ЛЮДИ И ТЕНИ" 19.05 Сериал "ГЛАВНЫЕ РОЛИ" 20.00 Сериал "ВКУС УБИЙСТВА" 21.50 Спокойной ночи, малыши! 21.55 Сериал "ТАЙНЫ СЛЕДСТВИЯ-3" 23.00 Сериал "ПАН ИЛИ ПРОПАЛ" 00.00 Вести+ 00.35 Фильм "УТОМЛЕННЫЕ СОЛНЦЕМ", 2 с. 02.10 Фильм "РЕБРО АДАМА" 03.40 Дорожный патруль 03.55 Агентство одиноких сердец 04.20 Сериал "АНГЕЛЫ ЧАРЛИ"

## ხუთშაბათი 11 მარტი

… თრილერი „მსაჯული" 16.20 მულტფილმი „ჰერკულესი" 17.50 მუსიკა 18.30 სათავგადასავლო ფილმი „ინსპექტორი გაჯეტი-2" 20.10 კომედია „უბრალოდ გავქრით ჰილზში" 23.00 საინფ. გამოშვება აზერბაიჯანულ და სომხურ ენებზე 23.20 დოკუმენტური ფილმი 00.40 საინფ. გამოშვება ინგლისურ და გერმანულ ენებზე 01.00 მელოდრამა „შემოდგომის ლეგენდები" 03.05 მუსიკა 03.40 ფილმი-ფანტასტიკა „კონტაქტი"

07.00 "Доброе утро!" 09.45 Выборы-2004 10.00, 13.00. 16.00, 19.00 Новости 10.20 Сериал "УЛИЦЫ РАЗБИТЫХ ФОНАРЕЙ 5" 11.30 Сериал "КЛОН" 12.40 Дисней-клуб: "Ким Пять-с-плюсом" 13.20 Худ.фильм "ЮЛИЯ ВРЕВСКАЯ" 16,20 Сериал "БЕРЕГ МЕЧТЫ" 17.20 "Угадай мелодию" 17.50 "Большая стирка" 19.20 "Смехопанорама" 19.50 Сериал "КЛОН" 20.50 Детектив "ЛЮБИТЕЛЬНИЦА ЧАСТНОГО СЫСКА ДАША ВАСИЛЬЕВА" 22.00, 00.30 "Время" 22.35 Сериал "УЛИЦЫ РАЗБИТЫХ ФОНАРЕЙ 5" 23.40 Док.фильм "Лубянка". "Бриллиантовое дело". Фильм 2 00.50 "Теория невероятности". "Пространство: живое и мертвое" 01.20 "Подорожник" 01.50 Док.фильм "Империя чужих", часть 2 02.20 Худ.фильм "НЕСМОТРЯ НИ НА ЧТО" 04.40 Худ.фильм "РАЙСКАЯ АЛЛЕЯ"

РОССИЯ 06.00 Доброе утро, Россия! 09.45 Сериал "ТАЙНЫ СЛЕДСТВИЯ-3" 10.50 Ток-шоу "Короткое замыкание" 11.50, 14.50, 17.30, 01.15 Вести. Дежурная часть 12.00, 15.00, 18.00, 21.00 Вести 12.20, 15.10, 17.40, 21.30 Местное время. Вести-Москва 12.50 "Что хочет женщина" 13.50 Сериал "ПАН ИЛИ ПРОПАЛ" 15.35 Ток-шоу "Частная жизнь" 16.30 Сериал "ВОЗВРАЩЕНИЕ МУХТАРА" 18.10 Сериал "ЛЮДИ И ТЕНИ-2" 19.05 Сериал "ГЛАВНЫЕ РОЛИ" 20.00 Сериал "ВКУС УБИЙСТВА" 21.50 Спокойной ночи, малыши! 21.55 Сериал "ТАЙНЫ СЛЕДСТВИЯ-3" 23.00 Сериал "ПАН ИЛИ ПРОПАЛ" 00.00 Вести+ 00.20 Исторические хроники 01.30 Худ.фильм "КАЛИНА КРАСНАЯ" 03.40 Дорожный патруль 03.55 Агентство одиноких сердец 04.20 Сериал "АНГЕЛЫ ЧАРЛИ"

## პარასკევი 12 მარტი

… 16.20 მულტფილმი 18.30 კომედია „პრეზიდენტის მეგობარი ქალი" 20.10 მხ. ფილმი „დღესასწაული არ იქნება" 21.50 მუსიკა 22.40 „პოზიცია" 00.40 საინფ. გამოშვება აზერბაიჯანულ და სომხურ ენებზე 01.00 საინფ. გამოშვება ინგლისურ და ფრანგულ ენებზე 01.20 მხ. ფილმი „მოსკოვს ცრემლების არ სჯერა" 03.40 მუსიკა 03.55 თრილერი „ტყვია თავში"

07.00 Телеканал "Доброе утро". 09.45 Выборы-2004. 10.00, 13.00, 16.00, 19.00 Новости. 10.20 Сериал "УЛИЦЫ РАЗБИТЫХ ФОНАРЕЙ-5". 11.30 Сериал "КЛОН". 12.30 Премьера мультсериала "Принцесса". 13.20 Владислав Стржельчик в фильме "КАК ВАС ТЕПЕРЬ НАЗЫВАТЬ?" 15.10 Город женщин. 16.20 Сериал "БЕРЕГ МЕЧТЫ". 17.20 "Угадай мелодию" 17.50 "Большая стирка" 19.20 Док. детектив. "Возвращение Родена". 19.50 Выборы-2004. 20.00 "Человек и закон" 20.50 "Поле чудес" 22.00 Время. 22.30 "Фабрика звезд". 00.10 Что? Где? Когда? 01.30 Кевин Спейси в детективе "ПЛАНЕТА К-ПЭКС" 03.50 Ричард Гир и Николас Кейдж в фильме "КЛУБ "КОТТОН" 06.10 "Неизвестная планета". "Безобразие красоты".

РОССИЯ 06.00 "Доброе утро, Россия!" 09.45, 21.55 Сериал "ТАЙНЫ СЛЕДСТВИЯ 3" 10.50 Ток-шоу "Короткое замыкание" 11.50, 14.50, 17.30 Вести. Дежурная часть 12.00, 15.00, 18.00, 21.00 Вести 12.20, 15.15 17.40, 21.30 Местное время. Вести-Москва 12.50 Мусульмане. 13.00 Вся Россия. 13.15 Москва-Минск. 13.30 Колоссальное хозяйство. 13.50, 23.00 Сериал "ПАН ИЛИ ПРОПАЛ" 15.35 Сериал "СЛЕДСТВИЕ ВЕДУТ ЗНАТОКИ" 17.00 "Городок". Дайджест 18.10 Сериал "ЛЮДИ И ТЕНИ-2" 19.05 Сериал "ГЛАВНЫЕ РОЛИ". 20.00 Сериал "ВКУС УБИЙСТВА" 21.50 Спокойной ночи, малыши! 00.00 Церемония вручения ежегодной премии "Звуковая дорожка-2004". 01.55 Валерий Приемыхов в фильме "ДЕНЬ ПОЛНОЛУНИЯ" 03.50 Дорожный патруль. 04.05 Агентство одиноких сердец. 04.30 Сериал "АНГЕЛЫ ЧАРЛИ" 04.25 Сериал "НАВЕКИ ДЖУЛИЯ"

## შაბათი 13 მარტი

… ბის ფურცლები" 20.40 ფილმი-ფანტასტიკა „სატურნი III" 23.00 საინფ. გამოშვება აზერბაიჯანულ და სომხურ ენებზე 23.20 «Слово» 00.40 მხატვრული ფილმი „ბენ ჯური" 04.10 დოკუმენტური ფილმი

07.00 Новости. 07.10 Сериал "ВСЕ ПУТЕШЕСТВИЯ КОМАНДЫ КУСТО". 07.40 Сергей Столяров в фильме "САДКО" 09.20 Играй, гармонь любимая! 10.00 Слово пастыря. 10.10 Здоровье. 11.00, 13.00, 19.00 Новости 11.10 "Смак" 11.30 Юбилейн. концерт Надежды Кадышевой и группы "Золотое кольцо". 13.10 История с географией. "Осторожно - змеи". 14.10 Тайны века. "Женщина "красных": Александра Коллонтай". 15.00 Дисней-клуб: "Братец Медвежонок". Фильм о фильме. 15.20 "Ералаш". 15.40 Умницы и умники. 16.20 Док. фильм "Остров Даманский. 1969 год". 17.10 Анатолий Кузнецов в фильме "БЕЛОЕ СОЛНЦЕ ПУСТЫНИ" 18.50 Золотые годы Микки Мауса 19.10 Концерт "Мелодии и ритмы зарубежной эстрады по-русски". 21.00 "Кто хочет стать миллионером?" 22.00 Время. 22.25 "Розыгрыш". 00.00 "Золотой Граммофон". 01.00 Юнг Ву-Санг, Тсанг Зийи в фильме "ВОИН" 03.40 Боевик Жана-Жака Бенекса "ДИВА" 05.50 Сериал "ДЕТЕКТИВНОЕ АГЕНТСТВО "ЛУННЫЙ СВЕТ"

РОССИЯ 06.50 Марина Ладынина в фильме "В ШЕСТЬ ЧАСОВ ВЕЧЕРА ПОСЛЕ ВОЙНЫ" 08.20 Сериал "ДРАКОША И КОМПАНИЯ". 08.45 Золотой ключ. 09.05 Русское лото. 09.45 "Большая перемена" 10.10 Утренняя почта. 10.45 Сам себе режиссер. 11.40 Звезды России в игре "Форт Боярд". 13.15 В поисках приключений. 14.15 Клуб сенаторов. 15.00, 21.00 Вести. 15.20 Евгений Матвеев в фильме "ЛЮБИТЬ ПО-РУССКИ" 17.00 Футбол. Чемпионат России. "Спартак" (Москва) - "Динамо" (Москва). Прямая трансляция со стадиона "Торпедо". 19.00 Ефим Шифрин, Елена Воробей и Юрий Гальцев в юбилейном концерте Семена Альтова. 21.25 Зеркало. 21.50 "Честный детектив" 22.20 Аншлаг. 23.20 Сергей Безруков в фильме "ЖИЗНЬ ОДНА" 01.30 Ингеборга Дапкунайте в фильме "ПОДМОСКОВНЫЕ ВЕЧЕРА" 03.35 Горячая десятка. 04.35 Евдокия Германова в фильме "НИАГАРА"

## კვირა 14 მარტი

… „ჩემი დედიკო" 20.10 კომედია „სასიყვარულო გახსენება" 21.50, 02.30 მუსიკა 23.00 დოკუმენტური ფილმი 00.40 თრილერი „ჩემი ცოლი განსხვავდება" 02.40 მხატვრული ფილმი „ნაცი"

07.00 Новости. 07.10 Сериал "ВСЕ ПУТЕШЕСТВИЯ КОМАНДЫ КУСТО". 07.30 Приключенческий фильм "Отряд особого назначения". 09.00 Армейский магазин. 09.30 Дисней-клуб: "Микки Маус и его друзья". 10.00 "В мире животных" 11.00, 13.00, 19.00 Новости 11.10 "Непутевые заметки" с Дм.Крыловым. 11.30 Пока все дома. 12.00 "Угадай мелодию" 12.30 "Путешествия натуралиста". 13.10 "Пестрая лента" с Сергеем Урсуляком. "ГУСАРСКАЯ БАЛЛАДА". 14.00 Лариса Голубкина в комедии "ГУСАРСКАЯ БАЛЛАДА" 16.00 "Шутка за шуткой" 17.00 Живая природа. "Правда о слонах". 18.00 Алексей Гуськов в фильме "ТАЕЖНЫЙ РОМАН" 20.40 Воскресный "Ералаш". 21.00 Константин Хабенский в боевике "БРАТСТВО ПО ОРУЖИЮ" 22.00 Время. 02.50 Александр Балуев в фильме "БЛАГОСЛОВИТЕ ЖЕНЩИНУ" 01.00, 02.00, 03.00 "Время". Спецвыпуск. 01.30 Лариса Гузеева в фильме "ЖЕСТОКИЙ РОМАНС" 04.30 Людмила Целиковская в комедии "БЕСПОКОЙНОЕ ХОЗЯЙСТВО" 06.00 Сериал "Детективное агентство "ЛУННЫЙ СВЕТ".

РОССИЯ 06.40 Алексей Дикий в фильме "АДМИРАЛ НАХИМОВ" 08.10 "ДРАКОША И КОМПАНИЯ" 08.35 Мир на грани. 09.00 Вести. 09.10 "Военная программа" 09.30 Студия "Здоровье". 10.05 "ТВ Бинго шоу". 10.25 Местное время. Вести-Москва. Неделя в городе. 11.05 "Сто к одному". Телеигра. 12.00, 15.00, 18.00, 21.00 Вести. 12.10 "Городок". Дайджест 12.40 Диалоги о животных. 13.25 Вокруг света. 14.15 Парламентский час. 15.20 Евгений Матвеев в фильме "ЛЮБИТЬ ПО-РУССКИ-2" 17.20 Премьера. Тележурнал "Фитиль". 18.10 Комната смеха. 19.00 Лев Лещенко и Вячеслав Добрынин. Гала-концерт. 20.50 В Городке. 21.20 Вера Алентова в фильме "МОСКВА СЛЕЗАМ НЕ ВЕРИТ" 01.10 Михаил Задорнов, Лариса Долина, Николай Басков и многие другие в концерте "Телеканал "Россия" собирает друзей". 04.15 Сериал "СЕМЬ ДНЕЙ"

ინფორმაცია მოგვაწოდა შპს „ინფოზავრმა"

# მედიცინა

## შეკითხვა ექიმს

*ძვირფასო მკითხველო! რედაქციაში უამრავი წერილი მოდის, რისთვისაც ულრმეს მადლობას მოგახსენებთ — ჩვენი რუბრიკის და მთლიანად გაზეთის მასულდგმულებელი ხომ თქვენი გამოხმაურება და თანადგომაა. რაც შეეხება თქვენს შეკითხვებს, გვერწმუნეთ, თითოეულ მათგანს დიდი გულისყურით ვეცნობით და მასზე პასუხს უსათუოდ მიიღებთ, მაგრამ რადგან შეკითხვების რიცხვი საკმაოდ დიდია, ნუ დაგვემდურებით, თუ პასუხის ლოდინი გიწევთ.*

**ვარ 20 წლის. 3 წელია საშინელ დეპრესიაში ჩავვარდი — ჩემს თავს ვატყობ, რომ მაქვს მწვავე ნევროზი. ბოლო ერთი წელია, თითქოს გონება დამებინდა, ლექციებსაც ძნელად ვითვისებ, ზოგჯერ ელემენტარული რამეც კი მავიწყდება. იქნებ არსებობს რამე მცენარეული საშუალება მეხსიერების გასაუმჯობესებლად? ძალიან გთხოვთ, გამომეხმაურეთ.**

***თქვენი უერთგულესი მკითხველი***

თქვენ მიერ აღწერილი ნიშნები დეპრესიული მდგომარეობის კლასიკურ სურათს ჰგავს. მეხსიერებისა და ყურადღების კონცენტრაციის უნარის დაქვეითება სწორედ დეპრესიის ნიშნები გახლავთ და ადეკვატური მკურნალობის შემდეგ ყველაფერი უკვალოდ გაივლის. ასე რომ, საშიში არაფერია, მაგრამ სასურველი იქნება ნევროლოგის კონსულტაცია.

მსუბუქი დეპრესიის სამკურნალოდ მცენარეულ პრეპარატებს იყენებენ ხოლმე. ასეთებია: ნევროსტიმი, ალორა, ბარამბო და სხვები. ეფექტიანია კრაზანას ნაყენი და კრაზანას ექსტრაქტზე დამზადებული პრეპარატი ნევრასტინი. მკურნალობის დროს სასურველია თქვენთვის დღემდე არსებული ფასეულობების ფსიქოლოგიური გადაფასება მოახდინოთ, რათა თავი დააღწიოთ ყოველდღიურ კონფლიქტურ სიტუაციებს. თუ ამას მარტო ვერ შეძლებთ, მაშინ ფსიქოლოგის დახმარება დაგჭირდებათ.

გირჩევთ, ყოველდღიურად მიირთვათ თაფლი, ნიგოზი, მიიღეთ ვიტამინები, მინერალები, განსაკუთრებით ეფექტიანია ნევროზის დროს B ჯგუფის ვიტამინები, ე.წ. „B კომპლექსი“.

**ყურები მაქვს დაგუბებული, სმენაც დამაკლდა. ექიმმა ყურები გამომირეცხა, მაგრამ უშედეგოდ. გთხოვთ განმიმარტოთ — უნდა თუ არა მომზადება ყურის ამორეცხვამდე და შინ თუ შეიძლება ამ პროცედურის ჩატარება?**

***თქვენი ერთგული მკითხველი ლ. ცინცაძე***

ყურების დაგუბების შეგრძნება და სმენის დაქვეითება შესაძლოა არ იყოს სასმენ მილში გოგირდოვანი საცობების წარმოქმნის ბრალი, მით უმეტეს, თუ გამორეცხვა უშედეგო გამოდგა. ასეთი შეგრძნებები სულ სხვა დაავადებებსაც ახასიათებს (მაგალითად, კისრის მალების ოსტეოქონდროზს, თავის ტვინის სისხლძარღვთა ათეროსკლეროზს, ანემიას, ოტიტს და სხვა). ამიტომ გირჩევთ, ჯერ ეს დაავადებები გამორიცხოთ და გამორეცხვა მხოლოდ იმ შემთხვევაში გაიკეთოთ, თუკი დარწმუნდებით, რომ ამის აუცილებლობა არსებობს. მაგრამ ასეთ შემთხვევაშიც კი დაუშვებელია თვითმკურნალობა, რადგან გამორეცხვის დროს დიდი მნიშვნელობა აქვს წყლის ტემპერატურას და პროცედურის ტექნიკას. მისი არასწორად ჩატარება სასმენი მილის ტრავმირების ან ყურის ანთების მიზეზი შეიძლება გახდეს.

**მქონდა გულის კუნთის ჰიპოქსია. კარდიოგრამის მიხედვით, ექიმმა თქვა, რომ მან უკვე გაიარა. რა იწვევს ჰიპოქსიას და რამდენად სერიოზული დაავადებაა, იკურნება თუ არა? ვარ 37 წლის, უპრობლემოდ ვასრულებ მძიმე სამუშაოს.**

***მკითხველი***

გულის კუნთის ჰიპოქსია იმას ნიშნავს, რომ მას არ მიეწოდება საჭირო რაოდენობით ჟანგბადი ანუ დაქვეითებულია მისი სისხლმომარაგება. ახალგაზრდებში ხშირად ამის მიზეზი გულის კუნთის მკვებავი კორონარული სისხლძარღვების სპაზმია (შევიწროება). ხანშიშესულებში კი მას ათეროსკლეროზული ცვლილებები, არტერიული ჰიპერტენზია და სხვა მიზეზები იწვევს. ახალგაზრდებში ჰიპოქსია უმეტესად ფუნქციური ხასიათისაა, ანუ მას საფუძვლად არ უდევს ორგანული ან შეუქცევადი ცვლილებები და მკურნალობის შედეგად უკვალოდ გაივლის ხოლმე. სპაზი შეიძლება გამოიწვიოს ვეგეტაციური ნერვული სისტემის აგზნებამ, ჰორმონული ცვლის დარღვევამ და სხვა. თუ მძიმე ფიზიკური დატვირთვისას არ უჩივით ჰაერის უკმარისობას ან ტკივილს გულის არეში, არც კარდიოგრამაზე ჩანს რაიმე ცვლილება, სავარაუდოა, რომ ჰიპოქსია, რომელიც გქონდათ, მართლაც დაემორჩილა მკურნალობას.

## კარაბადინი

**ექიმების აზრით, ცოფის სპეციფიკური მკურნალობა დღემდე არ არსებობს. „იადიგარ დაუდში“ კი უამრავი საშუალებაა მოყვანილი „ბრაზიანი ძაღლის“ ნაკბენის სამკურნალოდ. ასე, მაგალითად, „ვინც დამწვარი ცხვრის ხორცი ღვინით გალესოს და სვას, ეშველოს. ხმელი თევზი რომე კაცმან ჭამოს, ბრაზიანი ძაღლის ნაკბენს უშველის. ვინც ხვარბალი დაღეჭოს და ნაკბენზე დაიდვას, მწოვედ კარგია. ხახვი რომე კაცმან ჭამოს და ხახვი გააპონ და ნაკბენზე დაიდვას, მწოვედ კარგია. ვინც ხახვი, ნიორი და მდოგვი დანაყოს და ნაკბენზე დაიდვას, მაშინვე უშველის. ვინც ბევრი ნიორი ჭამოს, უსათუოდ ბრაზიანი ძაღლის ნაკბენს უშველის“.**

**დაუდევრობის ბრალია, რომ არ ვიყენებთ მატიტელას გრიპებისა და ჩინური პნევმონიის სამკურნალოდ. ერთ-ერთ ფიტოთერაპიულ სახელმძღვანელოში წერია: „მატიტელა ეფექტურია გაციებით გამოწვეული ავადმყოფობების, ბრონქიტის, პნევმონიის, პლევრიტის, ბრონქული ასთმისა და ფილტვების ტუბერკულოზის დროს. მის ნაყენსა და ნახარშს იყენებენ საშვილოსნოს ატონიით გამოწვეული სისხლის დენისა და ბუასილის დროს. მისი გამოყენება არ შეიძლება თირკმლებისა და შარდის ბუშტის ანთების დროს“.**

**მე უკვე 15 წელია ვიყენებ ამ მცენარეს გრიპისა და ყოველგვარი გაციებისას. როგორი სიმძიმის გრიპიც არ უნდა მქონდეს, ერთ კვირაში კარგად მხდის. დაბეჯითებით ვურჩევ მის გამოყენებას ყველას.**

**ჩემი რეცეპტი ასეთია: ჩავასხათ 0,5 ლ წყალი მომინანქრებულ ჭურჭელში, ავადუღოთ და მასში ჩავყაროთ ერთი სუფრის კოვზი მატიტელა, მცირე ხნით დავაყოვნოთ ცეცხლზე და გადმოვდგათ. თავდახურული ჭურჭელი გავაჩეროთ ერთი საათი. შემდეგ გადავწუროთ და მივიღოთ ღვინის ჭიქით (100გ) დღეში 2-3-ჯერ, ჭამის წინ ნახევარი საათით ადრე. ყოველ მეორე დღეს ახალი უნდა მომზადდეს.**

**ბავშვებს შეიძლება ვასვათ დამტკბარი მატიტელას ნახარში სუფრის კოვზით.**

**უნდა მივიღოთ ათი დღის განმავლობაში, შემდეგ შევისვენოთ და თუ საჭირო იქნება, ისევ დავლიოთ პერიოდულად.**

***ნ. ბოჭორიშვილი***

**ექიმის კომენტარი:** წერილის პირველ ნაწილში მკითხველს მოჰყავს ნაწყვეტები კლასიკური ქართული სამედიცინო ძეგლიდან დავით ბატონიშვილის „იადიგარ დაუდი“. მასში ლაპარაკია ძაღლის ნაკბენის ანტიბაქტერიული და ანტივირუსული საშუალებებით (ხახვი, ნიორი და სხვა) ჭრილობის დამუშავებაზე და აგრეთვე ამ საშუალებების მიღებაზე. ცოფი იმდენად საშიში დაავადებაა, რომ არავის გირჩევთ, საეჭვო შემთხვევაში ექსპერიმენტების ჩატარებას, ძაღლის ნაკბენზე ნივრის ან ხახვის დადებას და ცოფის საწინააღმდეგო აცრაზე უარის თქმას. ანტისეპტიკურმა საშუალებებმა ადამიანი ცოფიანი ძაღლის მიერ დაკბენისას შეიძლება იხსნას ჭრილობის სხვა ინფექციებით დაბინძურებისაგან, მაგრამ თუ ცოფის ვირუსმა სისხლში შეაღწია, გარწმუნებთ, ხსნის ერთადერთი გზა — დროული ვაქცინაციაა.

რაც შეეხება მატიტელას, მის შესახებ მკითხველი საკმაოდ ვრცელ ინფორმაციას გვაწვდის და დავამატებთ მხოლოდ იმას, რომ ეს მცენარე შარდმდენი, ნაღველმდენი და ანტიტოქსიკური ეფექტით ხასიათდება.

***მოამზადა თამარ მამაცაშვილმა***

*ძვირფასო მკითხველო! რედაქციაში უამრავი შეკითხვა მოდის. ყველა მათგანს ჩვენი რუბრიკა ვერ დაიტევს. ამიტომ გადავწყვიტეთ ზოგიერთზე პასუხი „კვირის პალიტრის“ დამატებაში — სამედიცინო ჟურნალ „ოჯახის მკურნალში“ მოგაწოდოთ. ჟურნალმა უკვე შეიძინა უამრავი მკითხველი და საკმაოდ ფართო გამოხმაურებაც ჰპოვა საზოგადოებაში. გავითვალისწინეთ მკითხველის ინტერესები და უფრო მრავალფეროვანი ინფორმაციის მიწოდების მიზნით ჟურნალის მოცულობა გავზარდეთ — ახლა იგი 60-გვერდიანია.*

## კოთხუჯი — სანელებელიც და მკურნალიც



კოთხუჯი (მეგრულად ჯარკვატანა) უძველესი კულტურაა, რომელსაც ოდითგანვე იყენებდნენ სანელებლად და მეტოქეობასაც კი უწევდა დაფნის ფოთოლს. XVს-ში დაშაქრული კოთხუჯის ფესვებს იყენებდნენ, როგორც კოჭას (იმბირს) ლიქიორისა და კონიაკის დასამზადებლად.

კოთხუჯის ფესვები შეიცავს ეთეროვან ზეთებს, სახამებელს, ამიტომ მას იყენებენ სამკურნალოდ. კოთხუჯის ფესვებისგან დამზადებული პრეპარატები საუკეთესოა მადის მოსაყვანად, საჭმლის მონელების გასააქტიურებლად, იგი აგრეთვე საუცხოო ნაღველმდენია. ეს მცენარე უხვად შეიცავს მთრიმლავ ნივთიერებას, იგი ანტისეპტიკურია და გამოიყენება ბაქტერიციდულ საშუალებად. ექიმებს მიაჩნიათ, რომ მიზანშეწონილია კოთხუჯის ფესვების ღეჭვა ქოლერის, ტიფისა და გრიპის ეპიდემიის დროს. გამხმარი, დაფქული კოთხუჯის ფესვები შეიძლება დაიყაროთ ჭრილობებსა და ჩირქოვან წყლულებზე.

ფართოდ იყენებენ კოთხუჯს პარფიუმერიაშიც. მას ამატებენ კბილის ფხვნილს, პასტას, პირში გამოსავლებ ნაყენსა და ელექსირს, რაც ხელს უშლის კბილების კარიესსა და ღრძილების დაავადებას.

გთავაზობთ კოთხუჯისაგან სამკურნალო ნაყენის დამზადების რეცეპტებს:

**1. საჭმლის არასწორი მონელების, ექსუდაციური დიათეზის, წყლულის, მეტეორიზმისა და არარეგულარული მენსტრუაციის დროს:** 1 ს/კ გამხმარი კოთხუჯის ფესვების ფქვილს დაასხით 1 ჩ/ჭ მდუღარე წყალი და 40 წუთი გააჩერეთ წყლის ორთქლზე. გააგრილეთ და მიიღეთ 1 ს/კ 3-ჯერ დღეში, ჭამის წინ.

**2. ქრონიკული გასტრიტის, წყლულოვანი დაავადებების, დიარეის და რევმატიზმის დროს, მხედველობისა და სმენის გასაუმჯობესებლად**: 20გ დაქუცმაცებულ კოთხუჯის ფესვებს დაასხით 100 მლ სპირტი ან არაყი. გააჩერეთ 14 დღე, მიიღეთ 15-20 წვეთი 2-3-ჯერ დღეში.

***ლიზა №11***

## ჯარაექიმის რჩევები

**დერმატოზის (კანის, თმისა და ფრჩხილების დაავადება) დროს:** 10ც ლიმონის წვენი დაასხით 10ც კვერცხს, გააჩერეთ ბნელ ადგილას 6-8 დღე, ვიდრე კვერცხის ნაჭუჭი არ გადნება; გააცხელეთ თაფლი, ვიდრე ოდნავ შესქელდებოდეს, დაამატეთ კონიაკთან ერთად გამდნარ კვერცხს. მზა ნაყენი გადაასხით მუქი ფერის ბოთლში და მიიღეთ 1ჩ/კ დღეში 3-ჯერ, ჭამის შემდეგ. სვით, სანამ წამალი არ დამთავრდება.

**ინფექციისაგან დაგიცავთ:** აიღეთ თითო-თითო კგ პირშუშხა, ხახვი, ნიორი და ლიმონი, გარეცხეთ, გაატარეთ ხორცსაკეპში, დაასხით 4ლ ანადუღარი ცივი წყალი. გააჩერეთ ერთი დღე და ღამე, შემდეგ ჩაასხით მინის ბოთლებში. მიიღეთ 1ს/კ დღეში 3-ჯერ.

**გრიპისა და გაციების დროს**:

1. შეურიეთ ერთმანეთს თანაბარი რაოდენობის სალბი, თხაწათხალა (ხარიკუდა), პიტნა, ბარამბო, დაასხით 1 ჩ/ჭ მდუღარე წყალი. გააჩერეთ 30 წუთი, გაწურეთ და დალიეთ.

2. ელეუტეროკოკის ექსტრაქტის 15-20 წვეთი მიიღეთ ჩაისთან ერთად დილა-საღამოს (ბავშვის დღეღამური დოზაა 1-2 წვეთი).

3. ზოგადგამაჯანსაღებელი საშუალებაა კედრის წიპწიპოს ზეთი, რომელიც შეიცავს B, C,D,E,F და A ვიტამინებს და 19 მიკროელემენტს. 1 ჩ/კ ზეთი უნდა მიიღოთ 3-ჯერ დღეში, ჭამამდე 30 წუთით ადრე.

4. ყოველდღე მიიღეთ თუნდაც მცირედი ნიორი, ხახვი, პირშუშხა, შავი ბოლოკი, თაფლი. გაითვალისწინეთ, რომ გაციებით გამოწვეულ თავის ტკივილს დაგიამებთ დარიჩინიანი ჩაი, ხოლო ვირუსული ინფექციის დროს უებარი წამალია ჟოლოს, შტოშის, ცირცელისა და წითელი მოცვის ჩაი.



## დამბალი ბრინჯი სასარგებლოა

იაპონელი მეცნიერები დაბეჯითებით გვირჩევენ: საჭმლის მომზადების წინ ბრინჯის დალბობას თბილ წყალში. თურმე, ეს არცთუ რთული პროცედურა აორმაგებს მის კვებით ღირებულებას — იზრდება ვიტამინებისა და მინერალების კონცენტრაცია და მნიშვნელოვნად იწევს ამინომჟავების დონე.

***ოჯ ი***

## „ალერსიანი“ ქსოვილები...

**ყოველთვის გვსიამოვნებს ახალი და ლამაზი ტანსაცმლის ჩაცმა, მით უფრო მაშინ, თუ სამოსი არა მარტო მოდური, არამედ ჯანმრთელობისთვისაც სასარგებლოა... ეს ყველაფერი კი დამოკიდებულია ქსოვილზე.**

### „ალერსიანი“ აბრეშუმი

— სიცივეში თბილია, სიცხეში — გრილი;

— საუცხოო ჰაერგამტარია, ამიტომაც მოსახერხებელია მისგან შეკერილი საცვლები;

— ძალიან სასარგებლოა გულით დაავადებულთათვის: ანელებს ტკივილს, არეგულირებს გულის რიტმს, შველის ნაღველს და საერთოდ, ქალებს მატებს სილამაზესა და მგრძნობელობას. სასურველია მთელი წელი ატაროთ აბრეშუმის ტანსაცმელი.

### „ნაზი“ სელი

— აძლიერებს მედიკამენტური პრეპარატების მოქმედებას, კურნავს მეჭეჭებსა და სოკოვან დაავადებებს;

— განსაკუთრებული ბოჭკოვანი შემადგენლობის წყალობით სელი ზამთარში ხელს უწყობს წონაში დაკლებას, ზაფხულში კი პირიქით — ხელს უშლის.

### „მოხერხებული“ ბამბა

— ბრწყინვალედ ინარჩუნებს სითბოს, თუ ჩავიცვამთ ბამბის პერანგს, ზევიდან შალის სვიტერს, სიცივე ვერაფერს დაგვაკლებს;

— ხელს უწყობს ნაკაწრებისა და ჭრილობების სწრაფად შეხორცებასა და არჩენს დაჟეჟილობას;

— შველის ვენების გაგანიერებას. დილით ჩაიცვით დანამული ბამბის წინდები ან გოლფი და გაიშრეთ ფეხზე;

— ღამით ჩაიცვით ბამბის ქსოვილის საცვალი, რადგან ხელს უწყობს დაღლილი სხეულის დასვენებას, „სუნთქვას“.

### „რბილი“ შალი

— ამშვიდებს ნერვულ სისტემას. თურმე, ადამიანი, რომელსაც შალის სვიტერი აცვია, ქვეცნობიერად არიდებს თავს სტრესულ სიტუაციებს, რადგან შალის ძაფი ნეგატიურ ენერგიას იწოვს, შედეგად თვით სვიტერი ელექტროვდება, ადამიანი კი მშვიდად გრძნობს თავს;

— კბილის ტკივილის დროს დაიდეთ ლოყაზე შეუღებავი შალის ქსოვილი და 15 წუთის შემდეგ ტკივილი გაქრება;

— მტკივანი სახსრები შეიხვიეთ შალის ქსოვილით;

— შაკიკის დროს შუბლი შეიკარით შალის ქსოვილით — ტკივილი გაივლის.

***ოტდოხნი №9***

## თამბაქოს ბოლი კლავს ინტელექტს

თურმე სიგარეტის ბოლი უარყოფითად მოქმედებს ბავშვის გონებაზე. ამერიკელმა მეცნიერებმა 4399 ბავშვის სისხლში კოტინინის შემცველობა შეადარეს თითოეულის გონებრივი განვითარების ტესტირების შედეგებს და დაადგინეს, რომ კოტინინის შემცველობა, თუნდაც მცირე დოზით, ნეგატიურ ზეგავლენას ახდენს და ხელს უშლის ბავშვების მიერ კითხვის დაუფლებისა და განსჯის უნარს.

***ტრუდ-7 №6***

# მჟავე კომბოსტოს ძალა

ხრაშუნა მჟავე კომბოსტოს ჯერ კიდევ ჩვენი წინაპრები იყენებდნენ, როგორც სუსტ და საიმედო გამხსნელ საშუალებას. ის შეიცავს ბალასტურ ნივთიერებებს, რომელიც ხელს უწყობს ნაწლავების კუნთების რეგულარულად მოქმედებას.

მიირთვით 200-300გ მჟავე კომბოსტო ყოველდღე, ერთი თვის მანძილზე. მაგრამ თუ კუჭის წვენის მჟავიანობა მომატებული გაქვთ, ჯერ მიმართეთ ექიმს.

***ზდოროვიე №9***

# ბოსტნეულის ნაყენი არეგულირებს წნევას



კარგად აურიეთ თითო ჩაის ჭიქა ჭარხლის და სტაფილოს, 0,5 ჩაის ჭიქა შტოშის წვენი, 2 ს/კ არაყი და 0,5 ჭიქა თაფლი. ჩაასხით მინის ჭურჭელში, დააყენეთ 2-3 დღე-ღამე, შემდეგ შეინახეთ მაცივარში. მიიღეთ დღეში 3-4-ჯერ თითო ს/კ ჭამის შემდეგ.

***ნაშ სად №7***

# ჩრჩილს ბალახის ეშინია


**ვმკურნალობთ**

**ქრონიკულ პროსტატიტს**

– ექსპრეს-დიაგნოსტიკა 15-20 წთ-ში;
– ექოსკოპია იაპონური აპარატურით;
– კომპლექსური მკურნალობა დღეისათვის არსებული ყველაზე თანამედროვე მეთოდებით, მათ შორის, პროფ. გუსკოვის აპარატით „ინტრატონი“, რომელსაც ეფექტურობით ანალოგი არ აქვს.

**მეცნიერებათა აკადემიის სპეც. პოლიკლინიკა, კაბ. №7 (სპორტის სასახლის უკან, მარჯვნივ). 10-14 სთ.**


ნაფტალინის მძაფრმა სუნმა რომ არ შეგაწუხოთ (ისედაც მაინცდამაინც უვნებელი არ არის ადამიანისათვის), ტანსაცმლის ჩრჩილისაგან დასაცავად გამოიყენეთ გამხმარი ბალახი — პიტნა, ასფურცელა, ავშანი. დაწანით ამ ბალახების გვირგვინი და დაკიდეთ ტანსაცმლის კარადაში.

ტანსაცმელი და თეთრეული არა მხოლოდ მწერებისაგან იქნება დაცული, არამედ სასიამოვნო სურნელსაც მიიღებს.

***ოტდოხნი! №11***




**ჩემი შვილი დაიბადა კურდღლის ტუჩითა და მგლის ხახით. რა იწვევს ამ პათოლოგიებს და როგორ მოვიქცეთ?**

***გ.გ. ბათუმი***

დეფექტები — კურდღლის ტუჩი და მგლის ხახა ზედა ტუჩისა და სასის თანდაყოლილი გაყოფით (გახლეჩით) გამოიხატება. დეფექტი ორგვარია: იზოლირებული და გამჭოლი. იზოლირებული დეფექტის დროს — ზედა ტუჩი ანდა სასაა დაზიანებული, ხოლო გამჭოლის დროს კი — ზედა ტუჩი, ზედა ყბის ალვეოლური მორჩი (სადაც კბილებია განლაგებული), რბილი და მაგარი სასა.

დიაგნოზი ვიზუალურად დაისმება, თუმცა, ზოგჯერ კი საჭირო ხდება პირის ღრუს დათვალიერება.

ზოგჯერ პათოლოგიას თან ერთვის მეტყველების დარღვევა და სმენის დაქვეითება. არსებობს ფარული ფორმა ტუჩისა და სასის გახლეჩისა; ბავშვს კარგად უნდა დაუკვირდეთ და აღმოაჩინოთ ტუჩის დეფექტს — მცირედ დეფორმაციას. ეს დეფექტი მაშინ ვლინდება, როდესაც პატარა ლაპარაკს იწყებს და ამ დროს მეტყველების დარღვევა შეინიშნება.

დეფექტის განვითარებას ხელს უწყობს: მემკვიდრეობითი წინასწარგანწყობა, ორსულობის დროს სამკურნალო პრეპარატების უხვად მიღება, ასევე ორსულობის პირველ ტრიმესტრში (3 თვე) ინფექციური დაავადების გადატანა: წითურა, ტოქსოპლაზმოზი, ციტომეგალოვირუსი, ჰერპესული ინფექცია, იონირებული რადიაცია და სხვა. ასევე რისკ-ფაქტორია: თამბაქო და ალკოჰოლი. ბავშვის სახის ფორმირება ორსულობის ადრეულ ეტაპზე ხდება.

ორსულობისას ნაყოფის პათოლოგიის დადგენა ძალზე რთულია, თუმცა, შეუძლებელი არ გახლავთ. განსაკუთრებით თუ ორსულობა 12 კვირის და მეტი ხანგრძლივობისაა.

დეფექტის მკურნალობა ხანგრძლივია, მრავალეტაპიანი და, შესაბამისად, მრავალი წელი გრძელდება. საჭიროა ქირურგიული ჩარევა, ასევე, პედიატრის, ორთოდონტის, სტომატოლოგის, ლოგოპედის, ფსიქოლოგისა და გენეტიკოსის კონსულტაციები. ქირურგიული ჩარევა სამ ეტაპად მიმდინარეობს: პირველი ეტაპი — ჰელიორინოპლასტიკა. ზედა ტუჩის ანატომიის აღდგენა. ასწორებენ ტუჩისა და ცხვირის ძგიდის დეფორმაციულ ნაწილს. ოპერაცია ბავშვის დაბადებიდან პირველ დღეებში კეთდება.

# ბავშვთა ასაკის სხვადასხვა პათოლოგია



მეორე ეტაპი — სასის ორეტაპიანი პლასტიკა — ეს კეთდება 1 წლამდე ასაკის ბავშვებში. 5-6 თვის ასაკში კეთდება რბილი სასის პლასტიკა, 11-12 თვისთვის კი მყარი სასის პლასტიკა.

მესამე ეტაპი — ოპერაცია კეთდება საჭიროების შემთხვევაში 8-12 წლის ასაკისთვის. ეს არის ძვლოვანი პლასტიკა, აღადგენენ ზედა ყბის ალვეოლურ მორჩს. შემდეგ კეთდება რეკონსტრუქციული ოპერაცია ტუჩსა და ცხვირზე. ეს საჭიროა კოსმეტიკური თვალსაზრისით და მთლიანად არის დამოკიდებული ინდივიდუალურ შემთხვევაზე. უმჯობესია ეს გაკეთდეს მოზრდილ ასაკში.

ოპერაციის შემდეგ ნაწიბურების მოსაცილებლად კეთდება ე.წ. ბუკითერაპია: ზემოქმედება რენტგენის სხივებით, ზოგჯერ ზედმეტ შემაერთებელ ქსოვილს აცილებენ მექანიკურად ან ლაზერის საშუალებით.

ერთდროულად ტუჩისა და სასის დეფექტის მოცილება ყველა შემთხვევაში ვერ ხერხდება, მაგრამ თუკი ბავშვის მდგომარეობა საშუალებას იძლევა, ამის გაკეთებაც შესაძლებელია. ანომალიის დროს ადგილი აქვს კბილების არასწორ ზრდასა და წყობას, ამიტომაც აუცილებელია ორთოდონტის კონსულტაცია.

*გაითვალისწინეთ*: მკურნალობა საჭიროა ყბის ზრდის განსაზღვრულ პერიოდში. მაშინ კბილებიც ნორმალურად განლაგდება.

# რა ვიცით გარგარისა და ჭერმის შესახებ

გარგარი და ჭერამი, გარდა იმისა, რომ გემრიელია, სასარგებლოა ჯანმრთელობისთვის. როგორც ახალი, ისე ამ ნაყოფის ჩირი ამაღლებს ორგანიზმის ტონუსს, აქვს დამამშვიდებელი თვისება.

გთავაზობთ რამდენიმე რეცეპტს:

1. *მხედველობის გასაუმჯობესებლად:* 100 გ გარგარის ან ჭერმის ჩირს დაასხით იმდენი მდუღარე წყალი, რომ ნაყოფი დაფაროს. გააჩერეთ 1 საათი, დაამატეთ 100 გ გახეხილი სტაფილო და 1 ს/კ შაქარი და მიირთვით კვირაში 3-ჯერ.

2. *შრომის უნარისა და ძალღონის აღსადგენად:* 100გ გარგარის ან ჭერმის ჩირს დაამატეთ 2 ც კაკალი და 1 ჩ/კ თაფლი. მიიღეთ 1/2 ჩ/კ ნარევი ძილის წინ.

3. *ბიოენერგეტიკული ბალანსის აღსადგენად:* 100 გ ჭერმის ან გარგარის ჩირს დაასხით მდუღარე წყალი, გააჩერეთ 15 წუთი, მიიღეთ კვირაში 2-ჯერ.

4. *იმუნიტეტის გასაძლიერებლად:* 10 ც ჭერმის ჩირს (ან ახალ ნაყოფს) დაასხით იმდენი მდუღარე წყალი, რომ დაიფაროს, გააჩერეთ 40-60 წთ, წვენი გადმოასხით, ნაყოფს დაამატეთ ლიმონის პატარა ნაჭრის რბილობი, 1/2ჩ/კ თაფლი და მიირთვით.

5. *ფიზიკური გამოფიტვისას და გადაღლილობისას:* 100 გ გარგარის ან ჭერმის ჩირსა და 50 გ ქიშმიშს დაასხით მდუღარე წყალი, გააჩერეთ 1 სთ. მიირთვით კვირაში 2-ჯერ.

6. *გასახდომად და ორგანიზმიდან წიდების გამოსადევნად:* 3ც ჭერმის ან გარგარის ჩირს დაასხით მდუღარე წყალი, გააჩერეთ 1სთ, გადაწურეთ, დაუმატეთ 1/2ჩ/ჭ მოხარშული შვრიის ბურბუშელა ნაყოფს (და არა წვენს) და მიიღეთ კვირაში 4-ჯერ, დილა-საღამოს.

7. *მზით დამწვრობისას* 3 ცალი ახალი გარგარი გახეხეთ, შეურიეთ 2ს/კ არაჟანი და ნარევი წაისვით სახეზე, 5-10 წუთის შემდეგ ჩამოიბანეთ თბილი ჩაის ნაყენით.

***ტაინაია ვლასტ №14***

**რატომ უნდა ვუჩვენოთ ბავშვი ორთოპედს და რა პერიოდში?**

***კ.ლაღიძე***

## კისერმრუდობა

ბავშვი ორთოპედს 1 თვის ასაკში უნდა აჩვენოთ, რადგან სჯობს ჩვილობაშივე დადგინდეს, აქვს თუ არა პატარას რაიმე პათოლოგია.

ორთოპედი, უპირველესად, ამოწმებს სწორად უჭირავს თუ არა ბავშვს თავი. ის სწორად აფიქსირებს თავის და მხრების მიმართულებას და ამოწმებს კისრის კუნთების დაჭიმულობას. ზოგჯერ დარღვევას პირველად დედა შენიშნავს ხოლმე. ეს დარღვევა მჟღავნდება მაშინ, როცა დედა პატარას დააწვენს და იგი თავს მაინც ატრიალებს რომელიმე მიმართულებით. ამის მიზეზია მკერდ-ლავიწდვრილისებრი კუნთის განუვითარებლობა. ამ შემთხვევაში კუნთოვანი ქსოვილის მაგივრად ჩამოყალიბებულია შემაერთებელი ქსოვილი, კისერი შეშუპებულია. სამი კვირის შემდეგ შეშუპება ცხრება, თუმცა თავის არასწორი მდებარეობა კვლავაც რჩება. ბავშვი პათოლოგიური, მტკივანი მხარისკენ ბრუნდება — ამ დროს აუცილებელია სასწრაფოდ დაიწყოთ მკურნალობა.

— ექიმმა შეიძლება დაგინიშნოთ სპეციალური დამჭერები თავის ერთ ადგილას დასაფიქსირებლად.

— ბავშვის საწოლი ისე უნდა დაიდგას, რომ პატარამ დედის დანახვის მცდელობისას თავი მტკივან მხარეს შემოაბრუნოს.

— ინიშნება სამკურნალო ფიზკულტურა, სპეციალური მასაჟი, ფიზიოთერაპიული პროცედურები.

მცირედ გამოხატული კისერმრუდობის გამოსწორება შეიძლება 1 წლამდე, სერიოზული მდგომარეობისას — 3 წელი სჭირდება, თუ არ გამოსწორდა, კეთდება ოპერაცია.

მეორე, რასაც ორთოპედი მიაქცევს ყურადღებას, ფეხების ნაკეცებია. ფეხები თანაბარი სიგრძისა უნდა იყოს. როცა ამას დედა ამოწმებს, მას, შესაძლოა, ცალი ფეხი გრძელი მოეჩვენოს. ორთოპედი ამას სხვაგვარად შეამოწმებს. ის ფეხებს ხრის ჯერ ბარძაყის არეში, შემდეგ მუხლის სახსარში და ნახულობს, ერთი სიგრძისა არის თუ არა.

რამდენად სიმეტრიულია დუნდულებისა და ფეხების ნაკეცები, ამის შემოწმება დედასაც შეუძლია. თითო ბარძაყზე უკნიდან 2 ნაკეცი უნდა იყოს და ერთი დიდი — დუნდულზე. მაგრამ თუკი ერთ დუნდულზე უფრო მაღალია ნაკეცი, ვიდრე მეორეზე და ამასთან, ერთ ბარძაყზე 2 ნაკეცია და მეორეზე ერთი — ეს შესაძლოა იყოს მენჯ-ბარძაყის სახსრის განუვითარებლობის ნიშანი. ნაკეცების ასიმეტრიულობა აღინიშნება ასევე ცალი მხარის ტანის კუნთების მომატებული ტონუსითაც.

მენჯ-ბარძაყსა და მუხლის სახსარში მოხრილი ფეხები რომ გვერდზე გადავწიოთ, თითოეული ფეხი უნდა მოიხაროს 70-90 გრადუსით ანუ დაიდოს, დაიხაროს მაგიდაზე. თუ ერთი ეხება მაგიდას და მეორე არა, ეს არის მენჯ-ბარძაყის სახსრის განუვითარებლობის ან კუნთის ტონუსის მატება.

# ორთოპედიული პათოლოგიები

საეჭვო შემთხვევაში ბავშვს გამოიკვლევენ ულტრაბგერით. დიაგნოზის დადგენისას იწყება მკურნალობა, რაც ხანგრძლივი პროცესია.

— ბავშვის ფეხებს შორის იდება ბალიში, რომელსაც ბარძაყებსა და მკერდზე აფიქსირებენ. დღედაღამ ამ მდგომარეობაში ყოფნა არც ისე მოსახერხებელია.

— სისხლის მიმოქცევის გასაუმჯობესებლად რეკომენდებულია მედიკამენტების შეყვანა ადგილობრივად, ელექტროფორეზის საშუალებით.

— 3-დან 6 თვემდე ბარძაყის თავის გაძვალების პროცესი მიმდინარეობს. თუკი ეს გვიანდება, კეთდება ელექტროფორეზი კალციუმით და ფოსფორით.

— ძლიერი დეფექტის დროს ფეხები ჩაისმება თაბაშირში.

— თუ კონსერვატიული მკურნალობა 1 წლამდე შედეგს არ იღებს, საჭირო ხდება ოპერაცია, რომელიც სჯობს 1-დან 3 წლამდე გაკეთდეს.

— სასარგებლოა ზოგადი მასაჟი, ზღვის მარილის გამამაგრებელი აბაზანები, ხანგრძლივი სეირნობა. ასევე, ორგანიზმში კალციუმის ცვლის გასაუმჯობესებლად — P ვიტამინის მიღება.

***მაია მუხიგული***


# რინიქოლდი

**სიახლე!**

**- სწრაფად გაგივლით გაციების და გრიპის ყველა სიმპტომი!**




სერტიფიცირებულია

**ზამთრის პერიოდი გამოირჩევა გრიპის ხშირი ეპიდემიით, რომელიც მიმდინარეობს ცხელებით, შემცივნებით, სახსრების, კუნთებისა და თავის ტკივილით. ასევე აღინიშნება სურდო, გაძნელებული ცხვირით სუნთქვა, ცემინება და თვალების სიწითლე.**

**ასეთ დროს რინიქოლდი შესანიშნავი საშუალებაა. იგი თანამედროვე მრავალკომპონენტიანი პრეპარატია, რომელსაც აქვს სიცხის დამწევი, ანტიალერგიული, ტკივილგამაყუჩებელი მოქმედება, ასევე ხელს უწყობს ცხვირიდან გამონადენის სწრაფ შემცირებას, თრგუნავს ალერგიული რინიტის სიმპტომებს, რაც აუმჯობესებს სუნთქვას. კოფეინის შემცველობა უზრუნველყოფს დაღლილობის და ძილიანობის შემცირებას, ზრდის გონებრივ და ფიზიკურ შრომისუნარიანობას. რინიქოლდი, გაუმჯობესებული ფორმულის გამო, არ იწვევს გართულებებს გულ-სისხლძარღვთა და ცენტრალური ნერვული სისტემის მხრივ.**

**რინიქოლდის შემადგენლობაში შემავალი ნივთიერებები უზრუნველყოფენ მოქმედების ოთხმაგ ეფექტს:**

- **სიცხის დამწევი და ტკივილგამაყუჩებელი**
- **ცხვირიდან გამონადენის სწრაფი შემცირება და სუნთქვის გაადვილება**
- **ანტიალერგიული**
- **ორგანიზმის ზოგადი მდგომარეობის გაუმჯობესება**

**მიღება: მოზრდილებში – თითო ტაბლეტი ყოველ 4-6 საათში, ბავშვებში – 6 წლიდან თითო ტაბლეტი 3-ჯერ დღეში.**

იკითხეთ აფთიაქებში!

SHREYA LIFE SCIENCES

**შრეია**

**რუსეთი**

## ამით გვაშინებდა პუტინი

რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმირ პუტინი ამაყად აცხადებდა, სულ მალე ისეთ იარაღს ვუჩვენებთ მსოფლიოს, რომელსაც ვერაფერი მოერევაო. ექსპერტები ამ დღეს მოუთმენლად ელოდნენ. და აი, რუსებმა ახალი, „ტოპოლის“ სახელით მონათლული რაკეტის გამოცდის შესახებ აცნობეს მსოფლიოს. რუსი გენერლის, იური ბალუევსკის თქმით, — „რაკეტა მსოფლიოში უსწრაფესია და მანევრირების ისეთი შესაძლებლობები გააჩნია, რომ მის წინააღმდეგ ნებისმიერი ანტისარაკეტო სისტემა უძლურია“. მანევრირებაში რუსი გენერალი „ტოპოლის“ იმ მახასიათებელს გულისხმობდა, რომელიც მას ზიგზაგურად მოძრაობის შესაძლებლობას აძლევს. გამოცდის შედეგების გამოქვეყნების შემდეგ ამერიკელმა სამხედრო ექსპერტებმა შვებით ამოისუნთქეს — თუკი ამით გვაშინებდა პუტინი, მაშინ საშიში არაფერია. ამერიკული რაკეტსაწინააღმდეგო სისტემა მას თავისუფლად გაუმკლავდება. თუკი ბატონ პუტინს სურს, თანხები ასეთ სიახლეებში ყაროს, ეს მისი ნებააო. ვაშინგტონი ვერ ხვდება, თუ რატომ იმუქრებოდა ამ „საიდუმლო იარაღით“ პუტინი. შტატები ხომ რუსეთს მტრად აღარ მიიჩნევს.

***ნიუზუიქი***

**ერაყი**

## კანონი ქურთებისათვის, ქალებისა და შიიტებისათვის

ერაყის დროებითმა მმართველმა საბჭომ დაამტკიცა გარდამავალი პერიოდის კონსტიტუცია. დოკუმენტს უკვე უწოდეს ისტორიული. იგი ისლამს აღიარებს მთავარ, მაგრამ არა — ერთადერთ რელიგიად. ოფიციალურ ენად, არაბულის გარდა, გამოცხადებულია ქურთულიც. კონსტიტუცია მოქალაქეებს სიტყვისა და აღმსარებლობის თავისუფლების გარანტიას აძლევს. სახელმწიფოს ერთ-ერთ მთავარ ამოცანად მიჩნეულია ქალთა წარმომადგენლობის გაზრდა ხელისუფლების ორგანოებში. დოკუმენტი ითვალისწინებს საყოველთაო არჩევნების ჩატარებას 2004 წლის დეკემბერ-2005 წლის იანვარში. ქვეყნის ჩრდილოეთში მცხოვრებმა ქურთებმა ვერ შეძლეს, კონსტიტუციაში შეეტანათ მომავალი ქურთულ-არაბული სახელმწიფოს ფედერალური მოწყობის საკითხი. უსიამოვნება გამოიწვია არა თავად ფედერაციის იდეამ, არამედ ქურთთა სურვილმა, ეკონტროლებინათ ჩრდილოეთის ნავთობსარეწები. მით უმეტეს, რომ სამხრეთში მცხოვრები შიიტები აცხადებენ — თუ ქურთთა მოთხოვნა, ფედერაციასთან დაკავშირებით, დაკმაყოფილდა, მაშინ ჩვენც გვეკუთვნის დამოუკიდებლობაო. ეს საკითხი არჩევნებამდე ღიად დარჩა.

ლიბერალური კონსტიტუცია საოკუპაციო ხელისუფლებამაც მოიწონა. მაგრამ ახლო აღმოსავლეთში ბევრი ქვეყანაა, რომელთა კონსტიტუციები თითქმის არ განსხვავება განვითარებული დემოკრატიის მქონე დასავლეთის ქვეყნების კონსტიტუციებისაგან. საქმე ის არის, რომ დაპირებული გარანტია უმთავრესად მხოლოდ ქაღალდზე რჩება.

***ლენტა რუ***

**ჰაიტი**

## ჟან ბერტრან არისტიდი: ამერიკამ მაიძულა სამშობლოდან გაქცევა

„მითხრეს, რომ სისხლის ღვრის თავიდან ასაცილებლად ქვეყანა უნდა დამეტოვებინა,“ — განაცხადა სი-ენ-ენისთვის მიცემულ ინტერვიუში ამბოხებული ჰაიტის ყოფილმა პრეზიდენტმა. მისი თქმით, „სამხედრო გადატრიალება“ კუნძულზე ამერიკის მთავრობამ მოაწყო. თეთრი სახლის პრესმდივანმა სკოტ მაკელაინმა კატეგორიულად უარყო ეს ინფორმაცია. მისი თქმით, აშშ-ის მთავრობამ აუცილებელი ნაბიჯები გადადგა პრეზიდენტისა და მისი ოჯახის დასაცავად მას მერე, რაც მათ ჰაიტი დატოვეს.

მაკელაინმა ისიც უარყო, თითქოს ამერიკელმა საზღვაო ქვეითებმა ჟან ბერტრან არისტიდი აეროდრომამდე მიაცილეს. ყოფილი პრეზიდენტი საკუთარმა დაცვამ გააცილა, ჩვენი სამხედროები მხოლოდ აშშ-ის საელჩოს იცავდნენო, — დასძინა მან.

ჟან ბერტრან არისტიდმა არ იცოდა, სად ეძებნა თავშესაფარი — აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტი ქვეყნების მეთაურებს სთხოვდა, მიეღოთ ყოფილი პრეზიდენტი. უარი პირველმა — სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის პრეზიდენტმა ტაბო მბეკიმ განაცხადა, მერე პანამამ, მაროკომ, ტაივანმა. ბოლოს და ბოლოს, არისტიდი და მისი ოჯახი ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკამ მიიღო, ისინი იქ მანამ დარჩებიან, ვიდრე რომელიმე სახელმწიფო პოლიტიკურ თავშესაფარს მისცემს.

***სი-ენ-ენი***

## ბუშს მხოლოდ ბინ ლადენი უშველის



ირანის რადიოს მიერ გავრცელებული ინფორმაცია, უსამა ბინ ლადენის დაჭერის შესახებ, ვაშინგტონმა უარყო, პრეზიდენტმა ბუშმა კი განაცხადა, — წლის ბოლომდე აუცილებლად დავიჭერო.

ჩვენ უარს ვამბობთ დიდმასშტაბიან ოპერაციაზე. ამიერიდან პატარა მობილური ჯგუფები რამდენიმე დღის განმავლობაში სათითაოდ გაჩხრეკენ მთიან დასახლებებს, უსამას არცთუ ბევრი საიმედო ადგილი აქვს, სადაც თავს უშიშრად გრძნობს, ეს ადგილები ჩვენთვის ცნობილია, — განაცხადა პენტაგონის წარმომადგენელმა.

ამიერიდან უსამა ბინ ლადენის დაჭერა ამერიკის ადმინისტრაციის ნომერ პირველი პრობლემა გახდება, მით უმეტეს, რომ ამერიკაში წინასაარჩევნო კამპანია დაიწყო. დემოკრატებს კი, რომლებიც რესპუბლიკელი ბუშის მეტოქეები არიან პრეზიდენტობისათვის ბრძოლაში, კარგი მეხსიერება აქვთ. მათ ბუშს უკვე არაერთხელ შეახსენეს დანაპირები — აუცილებლად დავიჭერ უსამა ბინ ლადენსა და თალიბთა მოლა ომარსო. „ბინ ლადენი ორი წლის წინ უკვე ხელში ჰყავდათ ამერიკელებს ტორა-ბორას მთებში, მაგრამ ბუშმა ჩვენს ჯარს ოპერაციის შეწყვეტა უბრძანა და მისი გაგრძელება ავღანელ მეთაურებს დაავალა“, — განაცხადა დემოკრატმა სენატორმა ჯონ კერიმ, ბუშის მთავარმა მეტოქემ.

ეს სიტყვები საერთაშორისო ტერორიზმისთვის ხელშეწყობის ბრალდებას ნიშნავს და განაჩენიც სასტიკი იქნება. ჯორჯ ბუშისთვის სასჯელის უმაღლესი ზომა გახდება ნოემბრის არჩევნებიდან მისი ჩამოშორება. ბუშს მხოლოდ №1 ტერორისტის დაჭერა უშველის.

***კომერსანტი №36***

## გელაევზე ნადირობა დამთავრდა



რუსეთის მთავრობამ ოფიციალურად დაადასტურა ცნობილი ჩეჩენი საველე მეთაურის დაღუპვა. იგი დაღესტნის მთებში მოკლეს. რუსლან გელაევი, იგივე ჰამზათი, ჩეჩნეთის პირველი კამპანიის დროს სპეცნაწილს მეთაურობდა. 1997 წელს იჩქერიის ვიცე-პრემიერი იყო, 1998 წელს — მასხადოვის მთავრობაში თავდაცვის მინისტრი. მისი კარიერა იჩქერიის შეიარაღებულ ძალებში 2000 წელს დასრულდა, როცა მან და მისმა მებრძოლებმა, სამხედრო საბჭოსთან შეუთანხმებლად, შეწყვიტეს გროზნოს დაცვა (ფაქტობრივად, მასხადოვს უღალატეს) და ურუს-მარტანის რაიონში, გელაევის სოფელში დაბანაკდნენ. რუსეთის ჯარი ორი კვირის მანძილზე უტევდა ამ სოფელს. გელაევმა ბევრი მებრძოლი დაკარგა და მცირერიცხოვან რაზმთან ერთად მთებში მიიმალა. უმეთაუროდ დარჩენილი „ბოევიკები“ ფედერალურ ჯარს ჩაჰბარდნენ. ამის მერე მასხადოვმა გელაევს ბრიგადის გენერლის წოდება ჩამოართვა და, აჰმედ კადიროვის თქმით, „სამშობლოს დაცვა აუკრძალა“. 2003 წლის 15 დეკემბერს გელაევის ბანდა დაღესტნის ცუნტინის რაიონის სოფლებს დაესხა თავს. დაიღუპა ფედერალური ჯარის 9 მესაზღვრე. 2003 წლის ივლისში აჰმედ კადიროვმა განაცხადა, რომ გელაევთან მოლაპარაკებას აწარმოებდა იარაღის დაყრის თაობაზე, მაგრამ ჩანს, ვერ შეთანხმდნენ.

...28 თებერვალს გელაევი, ჩანს, დაღესტნიდან საქართველოში შეჭრას შეეცადა, მაგრამ ორ მესაზღვრეს გადააწყდა. შეტაკების ადგილზე გელაევის ცხედრის გარდა, ორი მესაზღვრის გვამი იპოვეს. ეტყობა, გელაევი მარტო იყო, გვერდით აღარავინ ჰყავდა. მის ცხედართან ეგდო ავტომატი, ყუმბარა და ვაჰაბიტური ლიტერატურა.

***კომსომოლსკაია პრავდა №40***

## კიდევ რა კოზირი წამოყოფს თავს?

*ცნობა, იმის თაობაზე, რომ მოსკოვში დაპატიმრებულია ეგზოტიკური კატარის ორი მოქალაქე და მათ რუსეთის ტერიტორიაზე, ჩეჩენთა უკანონო შეიარაღებულ ჯგუფებთან კავშირში ედებათ ბრალი — ღიმილის მომგვრელია. ცხადზე ცხადია, რომ ეს ამბავი კატარში, იანდარბიევის აფეთქებაში ეჭვმიტანილი რუსეთის სპეცსამსახურის ორი თანამშრომლის დაპატიმრებას უკავშირდება.*




მოსკოვი თავისიანების დასახსნელად კოზირებს აგროვებს. ეტყობა, საქმეში პუტინიც ჩაერია. ეს სკანდალი მის რეპუტაციას ჩრდილს აყენებს — საპრეზიდენტო არჩევნებამდე რაღა დარჩა!

დასამალი არ არის, რომ პუტინის საყრდენი ქვეყნის შიგნით ძალოვნები არიან. ამიტომაც ისინი ყურადღებით ადევნებენ თვალს, რას იზამს პუტინი — „ჩააბარებს“ თავისიანებს თუ არა. თუ „ჩააბარებს“, ძალოვნების ნდობას დაკარგავს, მაგრამ უფრო სავარაუდოა, რომ არ გაწირავს. „რუსეთი დაიცავს ჩვენი მოქალაქეების ინტერესებს. საჭიროების შემთხვევაში, კატარის სასამართლოშიც“, — განაცხადა რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ. რუსი ადვოკატები უკვე კატარში არიან. იმავე დღეს, როცა გამოცხადდა, რომ კატარში დააპატიმრეს რუსეთის სპეცსამსახურის თანამშრომლები, პუტინი ბუშს ესაუბრა, მაგრამ... ერაყთან დაკავშირებით. სავარაუდოდ, ერაყი უფრო მიზეზი იყო, პუტინმა ამერიკელ კოლეგას სთხოვა, გავლენა მოეხდინა კატარზე. აშშ-ს კი, პატარა კატარზე ზემოქმედების ბერკეტები, ცხადია, აქვს — აქ განთავსებულია მისი უმძლავრესი სამხედრო საზღვაო ბაზა.

მოკლედ, არაოფიციალური დიპლომატიის მექანიზმი ამუშავდა. ამასობაში, მოსკოვში დააპატიმრეს ჩეჩენ სეპარატისტებთან ვითომდა კავშირში მყოფი ორი კატარელი. კატარის საგარეო საქმეთა სამინისტრომ „ალ-ჯაზირას“ პირით განაცხადა, — ისინი სპორტსმენები არიან, ოლიმპიური ნაკრების წევრები. სერბეთში მოსკოვის გავლით მიდიოდნენ, იქ კი ბელორუსიიდან ჩავიდნენო. სად კატარი, სად სერბეთი და სად მოსკოვი — ეტყობა, სპორტსმენებმა ბალკანეთში ჩასასვლელად შემოვლითი გზა აირჩიეს. ეს ალბათ „ჩვენებისთქვენებზე“ გაცვლა-გამოცვლის საიდუმლო ოპერაციის დასაწყისია. კიდევ რა კოზირი წამოყოფს თავს ორ ქვეყანას შორის გამართული ვაჭრობის დროს?

***მოსკოვსკი კომსომოლეცი №37***

## კონდოლიზა რაისის აზრით, კრემლი დემოკრატიის ნორმებს არღვევს

აშშ-ის პრეზიდენტის მრჩევლის ეროვნული უშიშროების დარგში, კონდოლიზა რაისის განცხადებით, დღეს რუსეთში გაცილებით ღია საზოგადოებაა, ვიდრე ცივი ომის წლებში იყო, მაგრამ ბოლო დროს რაც ხდება, შემაშფოთებელია.

ქალბატონ რაისის აზრით, რუსეთის დემოკრატიის ერთ-ერთი მთავარი პრობლემაა პრეზიდენტის ძლიერი ინსტიტუტი, რომელსაც არა ჰყავს მოწინააღმდეგე. დუმას ძალიან უმნიშვნელო გავლენა აქვს. სამართალდამცავი ორგანოები, ბევრის აზრით, დამოუკიდებლობას კარგავენ. ოდესღაც დამოუკიდებელი მასობრივი ინფორმაციის საშუალებების უმეტესობას კი სახელმწიფო აკონტროლებს.

შესაშფოთებლად ბევრი მიზეზი გვაქვს და რუსეთის ხელმძღვანელს ეს შევატყობინეთ, — ამბობს კონდოლიზა რაისი.

***ვლასტი №9***

## მოკლედ

**ესპანელმა** ქირურგმა პედრო კავადოსომ მედიცინის ისტორიაში უპრეცედენტო ოპერაცია გააკეთა. ავარიაში მოყოლილ მძღოლს მოწყვეტილი მარცხენა ხელი მიაკერეს, მაგრამ ორგანიზმში ინფექცია შეიჭრა. ქირურგმა კავადოსომ პაციენტს ხელი ისევ მოჰკვეთა და ფეხზე მიაბა სისხლის მიმოქცევისა და სხვა სასიცოცხლო ფუნქციის შესანარჩუნებლად. ათი დღის შემდეგ კი თავის ადგილზე მიაკერა. მას მერე ერთი თვე გავიდა. პაციენტს ხელი მთლიანად შეუხორცდა.

**შვეიცარიელმა** და **ფრანგმა** ასტრონომებმა გამოაცხადეს, რომ აღმოაჩინეს დედამიწიდან ყველაზე დაშორებული გალაქტიკა. დასავლეთ ევროპის ობსერვატორიაში, დადგმული გიგანტური ტელესკოპის საშუალებით მეცნიერებმა მიიღეს ქალწულის თანავარსკვლავედში განლაგებული პატარა გალაქტიკის გამოსახულება.

**ბაქოს** აეროპორტში კატასტროფა განიცადა უკრაინის სატვირთო თვითმფრინავმა Ил-76-მა. იგი მიფრინავდა რეისით ანკარა-ქაბული და ბაქოს აეროპორტში საწვავის შესავსებად დაეშვა. 50-60 მეტრზე აფრენილი მანქანა მიწაზე დაენარცხა და ცეცხლი წაეკიდა. ეკიპაჟის 7 წევრიდან 3 დაიღუპა, 4 დაშავდა. რა ტვირთი გადაჰქონდა თვითმფრინავს, ჯერჯერობით დაუზუსტებელია.

**ჩინეთის** ქალაქ ძეციუშის შახტებში გაზის აფეთქებას 28 ადამიანი შეეწირა. მხოლოდ 4-ის გადარჩენა მოხერხდა. ქვანახშირის მოპოვება ჩინეთში რეწვის ერთ-ერთი ყველაზე სახიფათო დარგია. უსაფრთხოების ტექნიკის დარღვევის გამო ავარია ხშირია. ჩინელ მეშახტეთა უმეტესობა გლეხები არიან და პროფესიული ჩვევები არა აქვთ.

**რუსეთის ფედერაციის** სახელმწიფო დუმამ პრემიერ-მინისტრის პოსტზე დაამტკიცა 53 წლის მიხაილ ფრადკოვი. ფრადკოვის კარიერა 1970 წელს ინდოეთში დაიწყო, მაშინ საზღვარგარეთ სამუშაოდ არ უშვებდნენ ახალგაზრდებს, რომელთაც კავშირი არ ჰქონდათ უშიშროების სამსახურებთან.

**ჩინეთი** მნიშვნელოვნად ზრდის თავდაცვის ხარჯებს. ქვეყნის 2,5-მილიონიანი ჯარი 2004 წელს დამატებით მიიღებს 2,6 მლრდ დოლარს, რამაც შეაშფოთა იაპონია და ტაივანი.

**საბერძნეთში**, ათონის მთაზე, ცეცხლი წაეკიდა სერბების მართლმადიდებლურ მონასტერს. X საუკუნის ტაძრიდან კედლებიღა დარჩა. 25-მა მონაზონმა მოახერხა ძველი წიგნების, მანუსკრიპტებისა და ხატების ნაწილის გადარჩენა. სერბეთის პრემიერ-მინისტრმა ვოისლავ კოშტუნიცამ განაცხადა, რომ სახელმწიფო დიდ თანხას გაიღებს მონასტრის აღსადგენად.

**აშშ**-ის 10 შტატში დემოკრატიული პარტიის წინასწარ არჩევნებში სენატორმა ჯონ კერიმ გაიმარჯვა. სენატორმა ჯონ ედვარდსმა ნებაყოფლობით თქვა უარი შემდგომ რბოლაზე. ასე რომ, ჯონ კერი ვადამდე გავიდა „დიდ ფინალში“, რომელიც ნოემბერში გაიმართება. იგი ჯორჯ ბუშის ერთადერთი კონკურენტია.

**თურქმენეთში** 2004 წელი პრეზიდენტ საფარმურატ ნიაზოვის მამის, ათამურატ ნიაზოვის, წლად აღიარეს. ეს გადაწყვეტილება თურქმენეთის მრავალრიცხოვანი ორგანიზაციის მოთხოვნით მიიღეს სამშობლოს სახელოვანი შვილის, მომავალი თაობების მშვიდობიანი მერმისისთვის მებრძოლის, 1943 წელს სამამულო ომში დაღუპული ათამურატ ნიაზოვის ხსოვნის უკვდავსაყოფად. შარშან პრეზიდენტის მამის სახელი მიეკუთვნა დიდ ქალაქს, ტანკერსა და ომის ვეტერანთა ორგანიზაციას. შარშანდელი წელი თურქმენეთში პრეზიდენტ საფარმურატის დედის, ყურსანსოლთანის, წელი იყო.

**კვიპროსელი თურქების** ლიდერი რაუფ დენქთაში აცხადებს, — თუ ჩვენი მოთხოვნები არ დაკმაყოფილდა, კვიპროსის გაერთიანებას მხარს არ დავუჭერთო. ანკარაში მიაჩნიათ, რომ თურქეთი შეძლებს დენქთაშთან შეთანხმებას და კვიპროსის გაერთიანებასთან დაკავშირებული მოლაპარაკება გაგრძელდება.

**მარსი**

## მარსზე წყალი იყო

NASA-ს ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა, ედ უეილერმა, ამერიკის კოსმოსური სააგენტოს პრესკონფერენციაზე განაცხადა, — მარსზე ოდესღაც წყალი იყოო, პროფესორმა სკვაიერსმა კი საზეიმოდ შეაწია სიტყვა, — აქედან გამომდინარე, პლანეტაზე შეიძლებოდა სიცოცხლე ყოფილიყოო. მას შემდეგ, რაც მარსმავლებმა — „ოპორტუნიტიმ“ და „სპირიტმა“ პლანეტაზე წყლის კვალი აღმოაჩინეს, საზოგადოება ელოდა, რომ პრესკონფერენციაზე იტყოდნენ, მარსზე ცოცხალი ორგანიზმები არსებობენო, მაგრამ მეცნიერებმა ილაპარაკეს მხოლოდ მინერალებზე, რომლებიც ნესტიან გარემოში წარმოიქმნება. ეს მინერალები ერთ-ერთი ქვის გახვრეტის შემდგომ აღმოაჩინეს. შესაძლოა ქვა თავის დროზე მარსის მლაშე ზღვის ფსკერზე იდო. ეს იმას ნიშნავს, რომ პლანეტაზე ოდესღაც, ახლანდელთან შედარებით, უფრო თბილოდა და ყველგან იყო წყალი. რა მოხდა შემდეგ? მეცნიერებს ჯერჯერობით ახსნა უჭირთ.

***გვერდი მოამზადა ნანა ანტონოვა-ილურიძემ***

# აღმოაჩინე ევროპა ვინსტონთან ერთად

ცნობილი სიგარეტის მარკა "ვინსტონი" შეიქმნა ამერიკის შეერთებულ შტატებში, 1954 წელს. მისმა გამოჩენამ გადაატრიალა მთელი თამბაქოს მრეწველობა და მაშინვე მიიქცია მომხმარებლის ყურადღება. თუმცა რა გასაკვირია – "ვინსტონი" ხომ პირველი ამერიკული ფილტრიანი სიგარეტი იყო.

"ვინსტონზე" მოთხოვნილება ძალიან მოკლე დროში რეკორდულად გაიზარდა და უკვე გამოშვებიდან ერთი წლის შემდეგ იგი ყველაზე გაყიდვადი სიგარეტის მარკა გახდა თავის სეგმენტში. "ვინსტონის" სამომხმარებლო უპირატესობა ნათელი იყო, ხოლო თავად სიგარეტმა ამ პროდუქტის მთელი მრეწველობისათვის ხარისხის ახალი სტანდარტი შექმნა.

მარკა "ვინსტონის" მფლობელმა, კომპანია "ჯეი თი ინტერნეშენალმა", საქართველოში "ვინსტონის" ოფიციალური მოწოდება 2001 წლის მაისში დაიწყო.

გაყიდვებმა პირველივე დღიდან გადააჭარბა ყველაზე თამამ მოლოდინსაც კი – ქართველმა მომხმარებელმა ღირსეულად შეაფასა "ვინსტონის" ხარისხი. დღეს ის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული სიგარეტის მარკაა საქართველოში.

კომპანია "ჯეი თი ინტერნეშენალი" მუდმივად სთავაზობს სიახლეებს თავის მომხმარებელს. უკანასკნელი 3 წლის მანძილზე ამ კომპანიამ მოაწყო არა ერთი წამახალისებელი გათამაშება საქართველოში – "მაგნა კლასიკისა" და "მონტე კარლოს" აქციები, ალბათ, კარგად ახსოვთ ამ სიგარეტების მომხმარებლებს.

სავაჭრო მარკა "ვინსტონის" გათამაშება სახელწოდებით "აღმოაჩინე ევროპა ვინსტონთან ერთად" 2003 წლის 24 ნოემბერს დაიწყო.

"ვინსტონის" მწარმოებლები კარგად იცნობენ ამ მარკის მომხმარებელთა ინტერესებს, მათ მოთხოვნილებებს და თვლიან, რომ ისინი მხოლოდ საუკეთესოს იმსახურებენ. სწორედ, ამის გათვალისწინებით შეირჩა პრიზები გამარჯვებულთათვის – ფოტოაპარატი "ოლიმპუსი", ასლარიანი ვაუჩერი "ლევისის" პროდუქციის შესაძენად და მთავარი პრიზი – ოთხკაციანი საგზური პარიზსა და ამსტერდამში.

ამ პრიზებიდან განსაკუთრებით მომხიბლავი პარიზსა და ამსტერდამში მოგზაურობა აღმოჩნდა. ყოველ ჩვენგანს ცხოვრებაში ერთხელ მაინც უოცნებია სწვეოდა მსოფლიო მოდისა და რომანტიკის ქალაქს – პარიზს, ან განეცადა ღამის ევროპის დედაქალაქად ცნობილი ამსტერდამის განსაკუთრებული ხიბლი.

გათამაშებაში ათი ათასობით ვინსტონის მომხმარებელი ჩაერთო.





წამახალისებელი აქციის ფინალური გათამაშება 27 თებერვალს შედგა, რომელზეც სამწუხაროდ ვერ მოიწვიეს აქციის მონაწილეები. მიზეზი მარტივი იყო – დასწრების მსურველთა რიცხვი რამდენიმე ათასს აღწევდა.

გათამაშების პროცესის სათანადო კონტროლირებისათვის შეიქმნა სპეციალური კომისია, რომლის წევრებიც იყვნენ კომპანია "ჯეი თი ინტერნეშენალის", აქციის ორგანიზატორი სარეკლამო კომპანია "მაკენ-ერიქსონი/ჯორჯიასა" და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს წარმომადგენლები.

"- გათამაშება ჩატარდა სამართლიანად, ყოველგვარი დარღვევების გარეშე და საქართველოს შესაბამისი კანონმდებლობის გათვალისწინებით. ჩვენ ვაკონტროლებდით გათამაშების მთელ პროცესს და, აქედან გამომდინარე, სრული პასუხისმგებლობით შემიძლია განვაცხადო, რომ დარღვევებს ადგილი არ ჰქონია. ყველაფერი სამართლიანად ჩატარდა" – განაცხადა, ფინანსთა სამინისტროს წარმომადგენელმა, გათამაშების კომისიის თავმჯდომარემ.

გათამაშებაში მონაწილეობას იღებდა ასი ათასამდე ბარათი, გამოვლინდა 151 იღბლიანი მონაწილე. ასმა მათგანმა "ლევისის" საფირმო მაღაზიის ასლარიანი ვაუჩერი მოიგო, ორმოცდაათმა კი – "ოლიმპუსის" ფოტოაპარატი.



**გათამაშების მთავარი პრიზის მფლობელი 20 წლის თამუნა გველესიანი გახდა:**

- როდესაც ვინსტონის კოლოფების შეგროვება დავიწყე, მჯეროდა რომ რაიმეს აუცილებლად მოვიგებდი, მაგრამ, სიმართლე გითხრათ, წარმოდგენაც კი არ მქონდა, თუ ამდენად გამიმართლებდა. ყოველთვის ვოცნებობდი მოგზაურობაზე... მიჭირს დაჯერება, მაგრამ, შემიძლია ვთქვა, რომ ჩემი ოცნება ახდა.

ეს გამარჯვება ყველა ჩემი ნაცნობისთვის მოულოდნელი სიურპრიზი იყო. ზოგიერთი ეჭვითაც მეკითხება –ეს მართლა შემთხვევითობააო.

- და შენ რას პასუხობ?
- რა უნდა ვუპასუხო, ეს მართლაც შემთხვევითობა იყო, როგორც ჩანს, ფორტუნამ ამჯერად მე გამიღიმა.
- თამუნა, დიდი ხანია ვინსტონის მომხმარებელი ხარ?
- არც ისე სტაჟიანი (იცინის), თუმცა მისი ერთგული მომხმარებელი ვარ. მომწონს მისი გემო, ის მართლაც ხარისხიანი სიგარეტია.
- დარწმუნებული ვარ შენთვის საკმაოდ რთული იქნება იმ სამი მეგობრის არჩევა, რომელიც შენთან ერთად უნდა გაემგზავროს, ანუ უნდა გადაწვიტო, ვის წაიყვან?
- მართალია, რადგან ძალიან ბევრი მეგობარი მყავს, ყველა ძალიან მიყვარს, მინდა რომ ყველას გავუნაწილო ის სიხარული და ბედნიერება რაც მე "ვინსტონმა" მომანიჭა. რთულია აირჩიო მხოლოდ სამი მეგობარი, მაგრამ ეს გარდაუვალია. გადავწყვიტე წავიყვანო ჩემი და ქეთი, რომელიც ბავშვობიდან ოცნებობდა პარიზის მონახულებაზე და ჩემი მეგობრები, რომლებიც ფრანგულის სპეციალისტები არიან და საფრანგეთში ჯერ არ ყოფილან. თქვენ ვერ წარმოიდგენთ რა დიდი ბედნიერებაა მოულოდნელად აგიხდეს ოცნება და მოგეცეს შანსი აუხდინო ოცნებები შენს ყველაზე საყვარელ ადამიანებს. ეს ჩემს განწყობილებას აორმაგებს და უდიდესი მადლობა მინდა გადავუხადო ყველას ვინც მე ეს განცდა მაჩუქა.



მადლობას ვუხდით "ვინსტონის" წამახალისებელი გათამაშების ყველა მონაწილეს და ვულოცავთ ყველა გამარჯვებულს.

სერტიფიცირებულია ლიცენზია №01-4/735




ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო გაფრთხილებთ: მოწევა მავნებელია თქვენი ჯანმრთელობისათვის. მოწევა ორსულობის დროს საფრთხეს უქმნის ნაყოფის ჯანმრთელობას.

# ცხოვრებისეული კურიოზები

## 1. მოყვრები



ახალგაზრდობაში გოგო მოვიტაცე. იგი დღეს ჩემი ცოლია (გამიშილა ერთმა ქიათურელმა). სიმამრმა ისეთი სიტყვებით მლანძღა, არც მე და არც მის შვილს თხუთმეტი წელი მის ეზოში არ შეგვიხედავს. თხუთმეტი წლის შემდეგ, ძველით ახალ წელს შემომიჩნდა ცოლ-შვილი — წავიდეთ ჩემიანებთანო... ბევრი ფიქრის მერე დავთანხმდი, რაც იქნება, იქნება, წავალ მოყვრებში-მეთქი. იმ დროს ჭიათურის მაღაროში ვმუშაობდი. ერთი ორასგრამიანი დინამიტი ჩავიდე გულის ჯიბეში. ძველით ახალ წელს, მოგეხსენებათ, თოფებს ისვრიან და მეც ვიფიქრე, ეზოს გავამხიარულებ-მეთქი. ეზოში შესული რომ დაგვინახეს, კინაღამ გაგიჟდნენ სიხარულით. დაკლეს ინდაურები და ქათმები, გოჭიც მიაყოლეს... ისეთი სუფრა გაიშალა, იმერეთში რომ იტყვიან, ავ თვალს არ ენახვებაო... წესია ასეთი, ზუსტად 12 საათზე უნდა მივუსხდეთ სუფრას. ჩემი მეუღლე, ბავშვები და სიდედრი სამზარეულოში ტრიალებენ, ხოლო სახლში (რომელიც ძველებური, იმერული ხის ოდა გახლდათ), ჩემი სიმამრი დოქებს ავსებდა ღვინით... საათს დავხედე, თორმეტს ხუთი წუთი აკლია, სოფელში შეიქნა სროლა, მეც გამოვედი პატარა აივანზე, ამოვიღე საგულდაგულოდ გამზადებული დინამიტი, ცეცხლი მოვუკიდე და ეზოში მოვისროლე. ამ ჩემი ცოდვით სიდედრს სარეცხის თოკი გაება აივანზე და თეთრეული გაეფინა. დინამიტი შალითას მოხვდა, უკან მობრუნდა და ზალაში შევარდა. მივხვდი, მის გამოტანას ვეღარ მოვასწრებდი, გადავხტი ეზოში და გავიქეცი. ხუთი მეტრიც არ მქონებოდა გარბენილი, უკან აფეთქების ხმა რომ გაისმა. სახლმა აიწია და დაიშალა. ნანგრევებიდან სიმამრმა ამოყო თავი.

— ამას უცდიდი თხუთმეტი წელი, მე შენი დედაო და ზუსტად ისე შემაგინა, როგორც მაშინ, როცა ქალიშვილი მოვტაცე...

***ალიკო ბარათაშვილი, თერჯოლის რაიონი, სოფელი ძევრი***

## 2. სვირინგის „ოსტატი"



კახურაანთ კაკო სოფელში განთქმული მოჭიდავე და მოხდენილი ბიჭი იყო. ჩვენ, პატარა ბიჭები, ვცდილობდით ყველაფერში მისთვის მიგვებაძა. ამიტომ მის სხეულზე ლამაზად მოსვირინგებული ქალი რომ დავინახეთ, გადავწყვიტეთ, მარაქაში გავრეულიყავით.

მართლაც დავამზადეთ ტუში, შევისწავლეთ სვირინგის „ტექნოლოგია" და გაბედული ბიჭები შევიკრიბეთ ერთ-ერთი მეგობრის ბინაში.

პირველად ჩემი ბიძაშვილი ნოდარი გაიქაჩა. გაიშიშვლა მარჯვენა მკლავი და კაკოს სთხოვა, დაეწერა მისთვის მონიშნულ ადგილას დაბადების წელი — 1930.

კაკო ამგვარ საქმეს პირველად ასრულებდა. იგი არც კალიგრაფიით გამოირჩეოდა და არც მოსვირინგება იცოდა. თუმცა კი ბევრი იწვალა. და როცა ნოდარმა მოსვირინგებული ადგილი მოიბანა, ლამის გაგიჟდა, მთელი ძალით ჩასცხო „ოსტატს" და ისეთი დაუღრიალა, რომ ყველანი წამოვხტით.

— ეს რა გიქნია, შე ვირიშვილო, ეს რა დაგიწერია?

კაკოს მისთვის 1930 წლის მაგივრად 1990 წელი მოეცოდვილებინა.

„ოსტატმა" გამოსავალს დაუწყო ძებნა და ნოდარი ანუგეშა:

— დაბადების წელს მარცხენა ხელზე დაგაწერ, მაგაზე კი თუ ვინმემ გკითხოს, უთხარი, რომ გარდაცვალების წელია!

ნოდარმა ახლა უკვე მეორედ წაუთაქა კაკოს.

***ტარიელ მაგველაშვილი, ქარელის რაიონი, სოფელი ბერძენაული***

## 3. – რეიზა ვკიოდით?..



ერთ ზაფხულს ბებიასთან ვისვენებდი გურიაში (ლანჩხუთში). ღამე ატყდა საშინელი კივილი, კიოდა მთელი სოფელი (შუხუთი). ოლია ბებიაც გადადგა აივანზე და მთელი ძალით აკივლდა. ისე ბნელოდა, თვალთან თითს ვერ მიიტანდით. მამამ ძლივს გააჩერა ბებია და შინ შემოიყვანა. დილით ადრე მეზობელმა გაგვაღვიძა. ოლია ბებიამ გაახილა თვალი თუ არა, ჰკითხა მეზობელს: — შურაია, ცა, წუხელ რეიზა ვკიოდით?

— მეც მაგის საკითხავად მოვედიო!.. — უპასუხა შურამ.

აღმოჩნდა, რომ სოფლის ბოლოში პატარა გოგონა ძაღლს შეუშინებია და მის კივილს „ეხმაურებოდნენ".

***ნიკა ფირცხალაიშვილი, ლანჩხუთი***

## 4. პოლიკარპე კაკაბაძეც ვერ მოიფიქრებდა...

1993 წლის 19 ოქტომბერია. დასავლეთ საქართველოში ნამდვილი სამოქალაქო ომია...



ახალი ამბების მოლოდინში ტელევიზორი ჩავრთე. გამოჩნდა ერთ-ერთი სარდალი, გენერალი ლანჩავა, რომელიც აღშფოთებული ლაპარაკობს: — „ჩვენ სამტრედიაში შევიკრიბეთ შტაბში. შეკრებას დივიზიის თითქმის ყველა მაღალი რანგის ოფიცერი ესწრებოდა. მთელი დღე ვიმუშავეთ, დავსახეთ ბრძოლის ბრწყინვალე გეგმა — დილის 7 საათზე უნდა თავს დავსხმოდით აბაშას, ალყა შემოგვერტყა და იქ გამაგრებული ლოთი ქობალიას შენაერთებისთვის იარაღი დაგვეყრევინებინა. მოკლედ, შუაღამემდე ვითათბირეთ, ყველა წვრილმანი გავითვალისწინეთ. ძალები საკმარისი გვყავდა, მათ არავითარი შანსი არ ჰქონდათ. დილის 7 საათზე მოულოდნელად დავესხმოდით თავს და ქალაქს უბრძოლველად ავიღებდით. ყველაფერი ავწონ-დავწონეთ და დავიძინეთ.

დილის 6 საათზე კი ისინი აქეთ დაგვესხნენ — ალყა შემოგვარტყეს და იარაღი დაგვაყრევინეს. ჩვენ არ გვინდოდა იარაღის დაყრა, როგორ, კაცო, ჩვენი გეგმით, ჩვენი მოფიქრებულით, ჩვენივე ნაშრომით... მოკლედ, რაც ჩვენ უნდა გაგვეკეთებინა 7 საათზე, იმათ გაგვიკეთეს ერთი საათით ადრე, ყველაფერი ჩვენი გეგმით იყო, მხოლოდ დრო შეცვალეს. აბა ეს საქმეა? ეს შეიძლება? ჩვენი გეგმით, ჩვენი სტრატეგიითა და ტაქტიკით, თვითონ რომ არაფერი გაეგებათ, აი, რაებს სჩადიან.. ეეხ... მოკლედ, მე მჯერა, რომ არავის არ შერჩება ასეთი ამბები. სხვისი გეგმების მითვისება!.."

ამას ხომ ცხონებული პოლიკარპე კაკაბაძეც ვერ მოიფიქრებდა?

***იგორ პატარიძე, თბილისი***



## 5. მთავრობის განცხადება:

2004 წლის 4 იანვრიდან ყველა ანეკდოტი მიხოზე ჩაითვალოს პოლიტიკურად.

***ვლადიმერ ქრელაშვილი, თბილისი***

# მკითხველის საყვარელი ანეკდოტი



**6.** ნარკომანი თამაშობს დუტასთან „ვის უნდა ოცი ათასში" და შეხვდა ასეთი კითხვა: „რომელი ჩიტი არ იშენებს ბუდეს: ა) ბულბული, ბ) ჩხიკვი, გ) გუგული, დ) არწივი.

დახმარებისათვის ურეკავს მეგობარს და მანაც უკარნახა, რომ გუგულია ასეთი. მოიგო ფული და გახარებული ურეკავს ძმაკაცს:

— შე ჩემა, ამოდენა განათლება საიდან, რა იცოდი, გუგული რო არ იშენებს ბუდეს?

— ბებიაჩემის კედლის ძველ საათში მყავს, ტო, ნანახი...

***კოკა დარახველიძე, ქუთაისი***

**7.** ახალ ქართველს, ბიზნესმენს, მოსკოვში დიდი ბიზნესის პატრონს, რომელიც გარეგნულად გოლიათს ჰგავს, დაცვაში მხოლოდ ერთი კაცი ჰყავს, ისიც ჩია და გალეული, სათვალიანი.

მეორე ახალი ქართველი გაკვირვებული ეკითხება: — აგი რისი დამცველია, ბიჯო, მე შვიდი ბულასავით ბიჭი დამდევს და მაინც დამჭრეს ორჯერ... სნაიპერია თუ კარატისტი?!

— რას ამბობ, იარაღი ხელშიც არ ჭერია...

— აპა, რა ჩემ ფეხებად გინდა?

— კილერებს მე ვგონივარ დაცვა და ამ ჭლექიანს ესვრიან, მაგას რო უყურებ, სამჯერ დაჭრეს უკვე...



***ქუთაისელი***



**8.** შალიკიამ ბაღში გაისეირნა და დაინახა ჭიჭიკია კარუსელზე ტრიალებს. მეორე დღესაც გაიარა და ჭიჭიკია ისევ კარუსელზე ზის. მესამე დღესაც იგივე განმეორდა.

— ბავშვობას იხსენებ, ჭიჭიკია?

— ვიხსენებ კი არა, ამ კარუსელის პატრონს ჩემი ვალი აქვს და ვუქვითავ.

***პაატა წიქარიშვილი, ხაშური***

**9.** თალიკიე ატირებული მივარდა დაქალთან:

— რა უბედური ვარ, რო იცოდე, რა უბედური... ქმარს ვუთხარი, — მორჩა, გეყრები-თქვა! — გამევიჯახუნე კარი და გამოვვარდი გარეთ. ამ დროს გევიგონე გასროლის ხმა...

— არ გადამრიო, თავი მეიკლა თუ?! — სახე ჩამოიხოკა მაყვალიამ.

— შამპანური გახსნა, შამპანური!..

***კ. დ., ქუთაისი***



# ყურადღება!

## კურიოზების კონკურსი

**„კვირის პალიტრამ" მკითხველის პრემია კურიოზების გვერდისთვისაც დააწესა. კონკურსში მონაწილეობის მისაღებად ავტორებმა უნდა გამოგზავნონ რედაქციაში კურიოზები, ახალი სასაცილო ამბები, ანეკდოტები. საუკეთესოები გამოქვეყნდება.**

მიანიჭეთ პრემია საუკეთესო კურიოზის ან ანეკდოტის ავტორს.

თუ რომელიმე კურიოზმა ან ანეკდოტმა თქვენი მოწონება დაიმსახურა (ყველაზე მეტად), აღნიშნეთ მისი ნომერი ქვითარში და გამოგვიგზავნეთ.

თქვენი ხმა არ დაიკარგება და თვის ბოლოს გადაწყვეტს გამარჯვებულის ვინაობას.

ხმები დაითვლება და თვის განმავლობაში ყველაზე მეტი ხმის მფლობელი კურიოზის/ანეკდოტის ავტორი მიიღებს პრემიალურ — 50 ლარს, მომდევნო — 30-ს, III ადგილზე გასული ავტორი კი — 20 ლარს.

| კურიოზების კონკურსი |
| --- |
| საუკეთესო კურიოზის ან ანეკდოტის ნომერი ____ |
| კვირის პალიტრა №10 |

*ეს ქვითარი „კვირის პალიტრის" („სიტყვა და საქმის") საფოსტო ყუთში უნდა მოათავსოთ რაიონებში ოთხშაბათის, 11 მარტის 10 საათამდე, თბილისში — ხუთშაბათის, 12 მარტის 13 საათამდე.*

**5 აპრილის ნომერში თქვენ შეიტყობთ მარტის თვის გამარჯვებულთა ვინაობას.**

**წარმატებებს გისურვებთ!**

## მილოცვა

**ჩვენო საყვარელო გვანცა!**

გილოცავთ დაბადების დღეს, 7 მარტს და ქალთა დღესასწაულს 8 მარტს. გისურვებთ ჯანმრთელობას, პირად ცხოვრებაში გამარჯვებას, სიყვარულს, სიხარულს, ბედნიერ და ლამაზ ცხოვრებას. ღმერთი იყოს შენი მფარველი.

*ნოდარი, ლია, ბესო*

**ვლადიმერ პავლეს ძე ჩინჩალაძეს!**

მიყვარს ლამაზი გაზაფხული, მარტის თვე, სითბოსთან ერთად რომ მომიყვანს შენს ლამაზ დაბადების დღეს, ჩემო საყვარელო მამა. დიდი მონატრებით ჩაგეხუტები გულში, გკოცნი და მოგილოცავ ამ ძვირფას თარიღს საქართველოდან, მამა. ჯანმრთელ სიცოცხლეს, ულევ სიხარულს გისურვებ, ჩემო სიცოცხლევ, ბურჯო და იმედო, კაშკაშა ვარსკვლავო ცაზე. ვფიცავ შენს ჭაღარას, მამიკო, შენი ნაბიჯი საქართველოში ჩემთვის შეუფასებელი საჩუქარი და მთელი ჩემი არსებობის მანძილზე განუმეორებელი სიხარული იქნება. მეამაყება, რომ შენი შვილი ვარ და ყოველთვის ვიამაყებ შენით, ჩემო საყვარელო მამა.

*წახვედი ჩვენგან, მე დავრჩი მარტო*
*ყოველ ნაბიჯზე შენ მელანდები,*
*ნეტავ იცოდე, როგორ მიყვარხარ,*
*მთელი სიცოცხლე შენ მენატრები.*

*ნათია ჩინჩალაძე*

**თეონა ბოქორიშვილს!**

ჩემო პატარა თეო, გილოცავ 8 მარტს. იყავი ბედნიერი შენს საუკეთესო მეგობრებთან ერთად. გისურვებ ყველივე ლამაზსა და კარგს. ძალიან მიყვარხარ და ძალიან მენატრები.

*შენი ანი*

**კობა ბუალავას** ვულოცავთ დაბადების დღეს.

*კეთილი სურვილებით, გელიტაშვილების ოჯახი*

## ბინები

საჩქაროდ! 2-ოთახიანი იზოლირებული ბინა საერთო ეზოში, ბ/აივნით, საამზადო-ტუალეტით, მცირე საკუჭნაოთი. ფასი $6500. მის: ქურდიანის №3 (ყოფ. ზაქრაძის №3). ტელ: 877 74-83-15. ზურა

## გთავაზობთ სამუშაოს

18-25 წლამდე გოგონებს ვთავაზობთ გამგზავრებას გერმანიასა და საფრანგეთში 1 წლით, ოფიციალური ხელშეკრულებით, AU-PAIR პროგრამით, დასაქმებისა და სწავლის შეთავსებით. უზრუნველყოფა ჯიბის ფულით (ხელფასით), საცხოვრებლით, კვებით, სამედიცინო დაზღვევით და საქალაქო ტრანსპორტით მგზავრობის ხარჯებით. ტელ: 95-64-18; 7-74-79 (ქეთინო)

ყურადღება! მრავალპროფილიანი მსოფლიო სავაჭრო კომპანია ადგილობრივი ტერიტორიიდან აიყვანს ბიზნესპარტნიორებს. შესაძლებელია სხვადასხვა პროფესიის ადამიანების გადამზადება და დასაქმება. ანაზღაურება — მაღალი. გვაინტერესებს რეგიონების წარმომადგენლებიც. ტელ: 52-44-10; 38-31-59; 893 33-18-86

გვაქვს 4 ვაკანსია. სათანამშრომლოდ მივიღებთ განათლებულ, რუსულის მცოდნე ადამიანებს ვმუშაობთ მოსკოვში. საუკეთესო თანამშრომლებს ეძლევათ შანსი საზღვარგარეთ მუშაობისა (კომპანიის ხარჯებით). გამომუშავება 200-400$ აშშ სტანდარტებით. მიმდინარეობს შერჩევა. მიმართეთ! მისამართი: მ. „დიდუბე", „სამთო ქიმიის ინსტიტუტი", I სართ. ოთახი 6. ტელ: 34-02-38; 899 90-54-78; მენეჯერი: ბნი დიმიტრი

ყურადღება! უცხოურ ორგანიზაციაში მიმდინარეობს ახალი თანამშრომელთა შერჩევა. გვესაჭიროება კადრები საორგანიზაციო სამუშაოს შესასრულებლად. ანაზღაურება მაღალია. აუცილებელი პირობებია: უ/გ და ასაკი 25-55 წელი. ტელ: 30-09-49; 893 37-33-00

კლინიკის დასაკომპლექტებლად, გვესაჭიროება ზოგადი პროფილის ექიმები, ექთ-თერაპევტის თანამდებობაზე, რომლებიც 3 თვეში ერთხელ, კვალიფიკაციის ასამაღლებლად გაიგზავნებიან ქ. მოსკოვში. მიღება წარმოებს კონკურსის სახით. სამუშაო საოფისე. ტელ: 92-17-62. თეა დევდარიანი

სოლიდურ ფირმას ესაჭიროება გამოცდილი დისტრიბუტორი. სასურველია მოქმედი დისტრიბუტორი. ტელ: 877 76-56-46

„გაცნობისა და დაოჯახების ცენტრი" და სასიყვარულო პრესის ლიდერის — გაზეთ „სისხლიანი სიყვარულის" რედაქცია სამუშაოდ იწვევს 18-დან 35 წლამდე მანდილოსნებს სარეკლამო მენეჯერის თანამდებობაზე მაღალი ანაზღაურებით. მის: თბილისი, კოსტავას ქ. №14, II სართ. ოთახი №210 (შესასვლელი ჭოველიძის ქ. №2-დან). ტელ: 93-49-72; 899 56-32-59. დათო

## მომსახურება

კომპიუტერული მომსახურების ფირმა „კომლაინი" ადგილზე მისვლით გთავაზობთ: კომპიუტერების ტექნიკურ და პროგრამულ გამართვას სტაბილური მუშაობის გარანტიით, პროფილაქტიკური სამუშაოების ჩატარებას, პროგრამულ უზრუნველყოფას, ვირუსებისგან გაწმენდას, ინფორმაციის აღდგენას, ქსელის ადმინისტრირებას, სპეციალისტის კონსულტაციას. მის: ზაქარიაძის ქ. №4. ტელ: 899 54-40-84

ვაკეთებ ეპილაციას ვოლფრამის ნემსით და ანესთეზიით, მორჩენის გარანტიით. მიღება ყოველდღე, ჩაწერით. სეანსების რაოდენობა ინდივიდუალურია — 1 სთ — 10 ლარი. მომსახურებით კმაყოფილი დარჩებით. მაქვს საკუთარი დენის წყარო. მის: ვარკეთილი-3, II მ/რ, მე-9 კორპ., VI სად., III სართ., ბინა 3. ტელ: 79-50-12; 899 90-44-93. ლიკა გორგოძე

ჭარბთმიანობის სამუდამოდ განკურნება უმოკლეს დროში და უვნებლად. დაიმახსოვრეთ: არ არსებობს მოურჩენელი თმა და ნებისმიერ შემთხვევაში, პირველივე სეანსზე ემჩნევა მკურნალობას! მოითხოვეთ გარანტია (თანხის დაბრუნებით). გააკეთეთ სწორი არჩევანი და სილამაზე გარანტირებულია! ტელ: 57-50-49; 899 91-46-36. მარიკა

ეპილაცია ვოლფრამის ერთჯერადი ნემსით და ანესთეზიით. უკლებლივ გაუხეშებული თმიანობის შემთხვევაშიც კი, განიკურნებით უმოკლეს ვადაში, ყოველგვარი შეშუპების და გამონაყარების გარეშე. არ დაგრჩებათ არც ერთი ნაწიბური. შედეგი — პირველსავე სეანსზე; სახის გაწმენდა; მასაჟი საუკეთესო მალამოებით. თუ ისარგებლებთ, დარწმუნდებით. მის: იოსებიძის 66. II სად. მე-8 სართ. ბინა 46. ტელ: 37-74-22. მანანა

ეპილაცია ვოლფრამის ერთჯერადი ნემსით, ანესთეზიით (ყოველგვარი გამონაყრების გარეშე), 1 სთ — 6 ლარი; თმის მოცილება სხეულზე მცენარეული ნაყენით (გარანტიით), სახის გაწმენდა (კოსმეტიკური მასალები იაფად). წარბების კორექცია. საერთაშორისო სერტიფიკატის მქონე კოსმეტოლოგი ნ. ყიფშიძე მის: მ. „300 არაგველი", არამიანცის საავადმყოფოს ზედა კართან, ახმეტის ქ. №15. მიღება წინასწარი ჩაწერით. ტელ: 77-86-27

სილამაზის კაბინეტი პრეტენზიული ქალებისათვის! თმის მოცილება მცენარეული ნაყენით, რესპუბლიკის პრემიის ლაურეატის მცენარეების სამეცნიერო კვლევის დარგში დოცენტ ვიტალი ხინტკარიას ხელმძღვანელობით. გადავედით შემდეგ მისამართზე: ჭავჭავაძის გამზ. №37 (აკადემიკოს დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრი, სამების ეკლესიის უკან). ტელ: 91-32-42; 91-31-19; 893 90-99-54. ნანა, ინგა

ვაკეთებ რბილი ავეჯის რესტავრაციას — სავარძლებზე ზედაპირების შეცვლა, აღდგენა, განახლება, სკამების, მატრასების დარბილება-განახლება. ვღებავ ტყავის სამუშაოებს. ტელ: 897 55-34-56 ვალერი

ვიგებთ პარკეტს, ვაკეთებთ იატაკის მოხვეწას და გალაქვას. გვაქვს 2-ფაზიანი უცხოური აპარატი და დიდი ხნის გამოცდილება. ტელ: 53-38-60; 893 91-63-94. გიორგი; 893 95-70-62. სერგო

რბილი ავეჯის რესტავრაცია, ერთ ან 2-საწოლიანი ტახტების არაბულ სტილში შეკვეთით დამზადება, ძველი სამეულების აღდგენა, მშრალი წმენდა. ტელ: 76-01-33. გია

კლუბი „ოქროს საწმისი" დაგეხმარებათ მეუღლის, მეგობრის, თანამოაზრისა და საქმიანი პარტნიორის მოძებნაში; აგრეთვე მრავალი სხვა პრობლემის გადაჭრაში. ტელ: 78-54-77 (11-19 სთ)

## მკურნალობა

ისრაელში შემუშავებული მეთოდით, გარანტიით იკურნება სკლეროზი, ოსტეოქონდროზი, ნევროზი, პოსტინსულტური დამბლა, კოჟრი, შაკიკი, ლარვა (კუჭის ქრონიკული აშლილობა), სუბფებრილიტეტი (t = 37,2°C), შიშები, რადიკულიტი, სუიციდის (თვითმკვლელობის) მცდელობები. კონსულტაცია და დიაგნოსტიკა უფასოა. მის: მეტრო „გურამიშვილი", ძმები გორიშვილების ქ. №18. ანატოლი შაკიძე. ტელ: 61-65-03

სიახლე! გთავაზობთ თამბაქოსა და ალკოჰოლისაგან განთავისუფლებას სპეციალური პროგრამით, მაქსიმალური შედეგით, აგრეთვე ორგანიზმის გათავისუფლებას აღნიშნული დაავადებებით გამოწვეული გართულებებისაგან. კურსი ინდივიდუალურად, 1-2 თვე, კვალიფიციური კონსულტაცია. მიღება წინასწარი ჩაწერით. ტელ: 99-75-90 (12-18 სთ); 893 36-87-62. ავთანდილი

გაჯანსაღება მაქსიმალურად სწრაფი შედეგებით! ნევროზი, უძილობა, შიშები, დეპრესია, აკვიატება, თავის ტკივილები, ჰიპერტონია, ინსულტის შემდგომი პერიოდი, ვარიკოზი, ბუასილი, კოლიტი, პროსტატიტი, თვალის დაავადებები, ფსორიაზი, კუჭის წყლული, სახსრების მრავლობითი დაავადებები, ასთმა, პროსტატიტი, ანტითამბაქო, ანტიალკოჰოლი. ტელ: 99-75-90; 899 21-13-66. ლალი

გაჯანსაღება უახლესი მცენარეული საშუალებებით, რომლებიც შველის: თმის ბუდობრივ ცვენას, პროსტატიტს, იმპოტენციას, კუჭისა და 12-გოჯა ნაწლავის წყლულს, წონის კორექციას, ართრიტს, სოკოს, ბუასილს, პარადონტოზს, შარდის შეუკავებლობას, გულ-სისხლძარღვთა სისტემის დაავადებებს. ტელ: 899 72-39-20; 99-75-90. ნოდარი

გთავაზობთ: თვალის დაავადებისა და სიელმეების თანამედროვე მკურნალობას; მხედველობის დადგენას და სათვალის შერჩევას თანამედროვე აპარატურით; თვალის კომპიუტერულ ვარჯიშებს 3-დან 25 წლამდე ექიმი-ოკულისტი ნათია მინდაძე. ტელ: 98-59-38. ბინა; 877 72-42-74; 66-73-73 (სამს.)

ექიმი გინეკოლოგი გთავაზობთ სპირალის ჩადგმას ან სხვა ჩასახვის საწინააღმდეგო საშუალებების გამოყენებას; კოსმეტიკურ ვიბრომასაჟორის მკერდის, მუცლის სილამაზის შესანარჩუნებლად. ტელ: 62-50-59 (საღამოს); 893 31-17-33

ექიმი გინეკოლოგი გთავაზობთ ქალთა დაავადებების (უშვილობა, ანთებები, ენდომეტრიოზი და სხვა) მკურნალობასა და დიაგნოსტიკას თანამედროვე დონეზე. ტელ: 62-50-59 (საღამოს); 893 31-17-33

გაჯანსაღება უახლესი მეთოდით — მაქსიმალურად სწრაფი შედეგებით: ანტითამბაქო, ანტიალკოჰოლი, ნევროზი, უძილობა, დეპრესია, თავის ტკივილები, ჰიპერტონია, ინსულტის შემდგომი პერიოდი, შარდის შეუკავებლობა, ცისტიტი, ასთმა, ალერგია, სახსრები, რევმატიზმი, ბუასილი, კოლიტი, კუჭის წყლული, კატარაქტა, სოკო, ფსორიაზი. ტელ: 893 96-50-32. მაია

თმის დაავადებები: ქერტლი, ქავილი, გამონაყარი, ბუდობრივი ცვენა (ამოდის თმა), ტილები, წილები, ფრჩხილის სოკო; ფეხის ქუსლებზე ნახეთქები; ოსტეოქონდროზი, სკოლიოზი; კოსმეტიკა, ოქროს ლოსიონი. მის: ჭავჭავაძის გამზ. №2/2 (ჩაის სახლთან). სტომატოლოგიური პოლიკლინიკა. 11-18 სთ. ტელ: 30-94-73; 35-32-62; 22-27-95. ცისო მჭედლიძე

პირველად საქართველოში! მკურნალობა ულტრათანამედროვე ტექნოლოგიებზე დაყრდნობით შექმნილი პროგრამებით, აკადემიკოს ლისხაროვის მეთოდებით: შიში, დეპრესია, უძილობა, ნევროზი, კლიმაქსი, არასრულფასოვნება, თავის ტკივილები, ჰალუცინაცია, ჰიპერტონია, ინსულტის შემდგომი პერიოდი, ალერგია, ასთმა, დიაბეტი, პროსტატიტი, სქესობრივი სისუსტე, სპერმის უხარისხობა, კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლული, გასტრიტი, კოლიტი, დისბაქტერიოზი, ცისტიტი, ქოლეცისტიტი, ქრონიკული ჰეპატიტი, სოკო, ეგზემა, ფსორიაზი. ტელ: 893 96-94-51 (დილით); 35-17-48 (საღამოს)

გაჯანსაღება უახლესი მეთოდით — მაქსიმალურად სწრაფი შედეგებით: ართრიტები, ჰიპერტონია, ვენების ვარიკოზული გაგანიერება, ქრ. პნევმონია, ბრონქული ასთმა, ალერგია, გასტრიტი, ბუასილი, პროსტატიტი, ფსორიაზი, კატარაქტა, კონიუნქტივიტი, გლაუკომა, რევმატიზმი, მასტოპათია, დიფუზური ჩიყვი, ანტითამბაქო. ტელ: 32-39-46; 99-75-90; 899 43-97-34. ნათია

გთავაზობთ უახლესი მცენარეული საშუალებებით ორგანიზმის სრულფასოვან გაჯანსაღებას: უძილობა, ნევროზები, კუჭისა და 12-გოჯა ნაწლავის წყლული, კანის დაავადებები, ვენების ვარიკოზული გაგანიერება, სახის კანის მოვლა უახლესი კოსმეტიკით. ტელ: 99-75-90. გიორგი

## სწავლა

კომპიუტერული სტუდია „დუკი" კომპიუტერი გიწვევთ კომპიუტერზე მუშაობის, კომპიუტერული ბუღალტრის, პროგრამისტის ენების, უცხო ენის სწრაფშესწავლის კურსებზე. შესწავლის გარანტიით, სწავლის დამთავრების შემდეგ უფასო კონსულტაციები. სწავლების მეთოდი ინდივიდუალურია. გაიცემა სერტიფიკატი. მის: ბარნოვის ქ. №1 („მაკდონალდსის" უკან). ტ: 98-44-20; 899 14-03-31

უცხო ენების ფირმა „ელიტა-სკ" იწვევს 15-დან 18 წლამდე ასაკის სკოლის მოსწავლეებს, ამერიკის, გერმანიისა და საფრანგეთის სკოლებში, აკადემიური წლის (10-თვიანი) პროგრამით. მის: ქუთარაძის ქ. №12. ტელ: 30-39-20

სამეჯლისო სპორტული ცეკვების სტუდია „გრაცია" იწვევს ბავშვებს 5-დან 15-წლამდე და უფროსებს 15-დან 35 წლამდე ევროპული, ესპანური და ლათინოამერიკული ცეკვების შესასწავლად (ვალსი, ტანგო, სამბა, როკ-ენ-როლი). კურსდამთავრებულები მიიღებენ დიპლომს. მის: დ. უზნაძის №59, 23-ე სკოლა. ტელ: 64-46-60; 93-13-45; 61-73-18; 899 55-16-09

განათლების სამინისტროს კომპიუტერული ცენტრი „მწერი". კომპიუტერის შემსწავლელი კურსები, თანამედროვე ტექნიკა, საუკეთესო მეთოდიკა, ქართულენოვანი ლიტერატურა, სათანადო სერტიფიკატი. მის: უზნაძის ქ. №70. ტელ: 29-48-61

შევასწავლი კომპიუტერზე მუშაობას. საოფისე: Windows, Word, Excel, Internet, E-mail, საგამომცემლო და გრაფიკა: Page Maker, PhotoShop., CorelDraw; Quarkxpress, AutoCAD, Arcicad, 3d-MAX; veb-დიზაინი: Flash, Dreamweaver და პროგრამირების ენები. მის. მ. „რუსთაველთან", რესტორან „სამოთხის" უკან. გაბაშვილის ქ. 7. ტელ. 98-80-23

## იყიდება

იყიდება სოფ. შინდისში (გარდაბნის რ-ნი) მიწის ნაკვეთი — 1200 კვ.მ. ტ: 877 790-950; 52-80-51

„პენტიუმ-I"-ის ვიდეოკარტა. ტელ: 34-32-79; 899 91-86-81

სმენის აპარატები შეღავათიან ფასად, სპეციალური ინდივიდუალური ყურის ჩასართით. აგრეთვე, ელექტრონული და მექანიკური წნევის აპარატები, გარანტიით. ტ: 95-95-22 (10-12 სთ); 93-46-74 (20 სთ-ის შემდეგ); 899 27-38-99

## სხვადასხვა

ვაცხადებთ შპს „სირას" ლიკვიდაციას. მის: თბილისი, დიღმის III შესახვევი №22. ტელ: 32-86-56

ცხადდება კონკურსი შემდეგ ვაკანსიებზე: ფარმაცევტული კომპანია GPG-ის დირექტორის მოადგილე, სტუდია „სამოას" ტურ-მენეჯერი, ბალნეოლოგიური კურორტ „ნუნისის" სერვისის დირექტორი და უფროსი მზარეული. ტელ: 32-99-32; 39-58-46

საქართველოს შოთა რუსთაველის სახელობის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი აცხადებს კონკურსს დიმიტრი ჯანელიძის სახელობის სამეცნიერო კვლევითი ცენტრის თეატრისა და კინოს სექტორების ხელმძღვანელთა თანამდებობის დასაკავებლად. კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ მხოლოდ ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორებს და ხელოვნებათმცოდნეობის მეცნიერებათა კანდიდატებს (შესაბამისი პროფილის მიხედვით). კონკურსში მონაწილეებმა სათანადო დოკუმენტაციასთან ერთად უნდა წარმოადგინონ სექტორების საქმიანობისა და კვლევის პერსპექტიული პროგრამა. საკონკურსო მასალების ჩაბარების ვადა ერთი თვე დღიდან განცხადების პრესაში გამოქვეყნებისა. ცნობებისათვის მიმართეთ შესაბამისი სექტორთა სწავლულ მდივნებს.

*რექტორატი*




LCG
law consulting group
სააღვოკატო-საკონსულტაციო ჯგუფი

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „სააღვოკატო-საკონსულტაციო ჯგუფი" – „LCG" (ელ-სი-ჯი) გთავაზობთ სამართლებრივ მომსახურებას შემდეგ საკითხებში:

- სამეწარმეო-სამართლებრივი საკითხების დარეგულირება;
- კონსულტაციები და ინტერესების დაცვა საგადასახადო და საბაჟო საქმეების წარმოებისას;
- სახელშეკრულებო ურთიერთობების გაფორმება (ხელშეკრულებების პროექტების მომზადება);
- მიწასთან ან სხვა უძრავ ქონებასთან დაკავშირებული სამართლებრივი ურთიერთობების დარეგულირება;
- შრომითი-სამართლებრივი საკითხების დარეგულირება;
- აუდიტორული მომსახურება;
- უფლებების წარმოდგენა და დაცვა სასამართლოსა და სხვა სახელმწიფო ორგანოებში;
- სანოტარო მომსახურება;
- კონსულტაციები სამართლის სხვა დარგებში.

მის: ლესია უკრაინკას ქ. №3
☎ (+995 32) 92 11 60; 98 39 38
ფაქსი: (+995 32) 98 39 38

## გიორგი ჯიბლაძის ხსოვნას



გიო, ჩვენო კეთილო გიო, ორი წელი გავიდა, რაც აღარა ხარ ჩვენთან. ძალიან მოგვენატრე, ძალიან გვტკივა გული შენი წასვლით. ახლაც ჩაგვესმის შენი თბილი, ალერსიანი ხმა. რეალურად შემოგვხედავ და ღიმილს შემოიყოლებდი, ყველას უყვარდი, — შენ შემოგვყვები... ნიერი იყავი, გიო, ღმერთმა დაგილოცა და გაგიჩინა ერთი ოჯახი — მეუღლე, შენი საყვარელი ანა და მიხო...

ნათელში ყოფილიყოს შენი ნათელი სული, ჩვენო კარგო...

*შენი „კვირისპალიტრელები"*

## ზურაბ კანდელაკის გახსენება



ეს მერამდენე წელი გავიდა უშენოდ; მერამდენე გაზაფხული მოსულა უშენოდ. უშენობას მონატრებაც აღარ ჰქვია, ჩვენო ზურიკო. შენი წმინდა, მშვიდობიანი სული ყოველ ჩვენგანშია და ამიტომაც არ გვავიწყდები. ამიტომაც მუდმივად გვიჩურჩულებ და შენს თავს არ გვავიწყებ. რატომღაც გვჯერა, რომ უეცრად შეგხვდები, რომ თავის საუბრებში [illegible] არც შეიძლებოდა მომხდარიყო. შენ ხომ ყოველთვის საკუთარ თავზე, შენი გულის ნაწილს ყოველთვის უშურველად გვიწილადებდი.

გაზაფხულის მოსვლას გილოცავ, ჩვენო ნათელო მეგობარო.

*ნუცა*

## ელგუჯა გაბუნიას მონატრება



წახვედი მოულოდნელად, წუხარად და დაგვტოვე მოურჩენელი გულისტკივილი. სიცოცხლე სასჯელია ჩემთვის, ჩემო კეთილო, ოჯახის მოსიყვარულე მეუღლეო, მამაც და ბაბუავ. ცრემლიანი გზა დაგვიტოვე ყველას. შენი დატოვებული სახელი გაუნათებს გზას ჩვენს შვილებს და შვილიშვილებს. ცივ სამარეში ვერაფერს გიძღვნი ცრემლების, ყვავილებისა და სანთლების გარდა. უკვე ორი წელი გავიდა 12 მარტს, რაც ჩვენგან წახვედი, მაგრამ გვჯერა იმის გაგება, რომ შენ ჩვენთან აღარ ხარ.

ელგუჯა, რამდენი დამიგროვდა შენთან სათქმელი. გეფერებოდი და გიზიარე განცდილ ტკივილს და სიხარულს.

...დრო არ ყოფილა ყველაფრის მკურნალი, რაც უფრო — უშენობის. გვიჭირს შენ გარეშე, უზომოდ გვენატრები. დრო ყველა ჭრილობას კურნავს, — [illegible] არ გვესმის ამ ცხოვრების. მაშინ რატომ არ ილევა სევდა, რატომ არ ყუჩდება ის ტკივილი, რომელიც შენით მივიღე. [illegible] მწუხარებაში... წახვედი და ბევრს ასწავლე მონატრება.

ისეთი ახლობელი გახადე სიკვდილი, უშენოდ დარჩენილს უკვე აღარ მეშინია მისი, რადგან შენ მეგულები იქ, მარადიულ სასუფეველში. შენი დატოვებული სითბო და სიყვარული არასოდეს განელდება. შენ ამშვენებდი ოჯახს, სანათესაოს, გასცემდი უზომო სიკეთეს და სიყვარულს. უსაზღვროდ დიდია ოჯახის დარდი და ტკივილი. კაცური იცხოვრე ამ ქვეყანაზე და იმედი მაქვს, იმ საუფლოსაც დაამშვენებ, სადაც წახვედი. ჩვენ მუდამ ვილოცებთ შენთვის.

ნათელში ამყოფოს ღმერთმა შენი კეთილი სული. შენს სახელზე აღვლენილმა წირვა-ლოცვამ გაგინათოს გზა ცათა სასუფეველში.

*მეუღლე, შვილები, შვილიშვილები*

## კობა ბარამიძის მოგონება



სამი ჯოჯოხეთური წელი გავიდა. ტკივილით და გოდებით მოგვიახლოვდა ავადსახსენებელი 12 მარტი. შვილო, ჩვენი ოჯახი გლოვის ცრემლებით აივსო, სანთლების, ყვავილებისა და ცრემლების გარდა ვერაფერს გიძღვნი ცივ სამარეში მწოლიარეს.

დედა მოგიკვდეს, ჩემო კობა, ჩემო იმედო. ვარსებობ უშენოდ, ჩემო შვილო, თანდათან ვრწმუნდები, რომ შვილმკვდარი დედისთვის ყველაზე დიდი სასჯელი სიცოცხლე ყოფილა.

ჩემო ლამაზო, თბილო, ტკბილო, პატიოსნებითა და სიკეთით სავსე შვილო, რატომ დააობლე შვილები, ვის დაუძახონ შენმა შვილებმა ძვირფასი სიტყვა „მამა"? შენი ვაჟკაცი ნიკუშა უკვე 3 წლისა და 5 თვისაა. ის მხოლოდ სურათით გიცნობს და ამბობს: ჩემი მამიკო სურათიდან როდის გამოვაო? მოუკვდეს მისი უბედური ბებია.

შენი თათია კი პირველ კლასში სწავლობს. მამიკოს მონატრებულია. შენი ძმა უშენობით ფრთამოტეხილია. ძალიან გვიძნელდება უშენობა. ჩვენო მოუშუშებელო ჭრილობავ, ნათელში იყოს შენი უკვდავი სული.

*შენი დაჩაგრული, დატანჯული, უბედური დედა*

## ლამარა კობაიძის მონატრება!



8 მარტს შენი დაბადების დღეა, ჩვენო კეთილო დაო. ხუთი წელია, რაც ჩვენ გვერდით აღარა ხარ.

უზომოდ გვენატრები.

ნათელში ამყოფოს ღმერთმა შენი სული.

*შენი გულმოკლული დები: ნელი, ზაირა*

## გიორგი გონაშვილის გახსენება





პირველი გაზაფხული მოვიდა უშენოდ, ჩემო ძვირფასო ნოდარ. რა სამწუხაროა, რომ უკვე მოგონებად იქეცი. განა რამ დაატრიალა ასე განუკითხავად ბედის ჩარხი ჩვენი ცხოვრებისა? ნუთუ არ ვიყავი იმ ბედნიერების ღირსი, რასაც შენი სიცოცხლე და ულევი სიყვარული ჰქვია?! წახვედი და მარადისობაში გადასულმა ისეთი ახლობელი გახადე სიკვდილი, უშენოდ დარჩენილს უკვე აღარ მეშინია მისი... რადგან შენ მეგულები მანდ, მარადიულ სასუფეველში. დიდი გულისტკივილით ვიხსენებ შენს ხანმოკლე, მაგრამ ხალისით განვლილ ცხოვრებას. ვიხსენებ მომენტებს შენი ცხოვრებიდან და ერთი აზრი მებადება: შენ გრძნობდი შენი ცხოვრების ასეთ სიმოკლეს და ამიტომ ასწრებდი ყველაფერს. წახვედი და დამიტოვე სურათები, საფლავი და სიზმრის მოლოდინით სავსე ღამეები. მენატრები, ძვირფასო, ძალიან. გულს კი იმით ვიიმედებ, რომ მანდ გყავს შენი საყვარელი მამიკო, რომელსაც 6 მარტს 79 წელი შეუსრულდებოდა, რომ არა ის ავბედითი 27 მარტი, რომელმაც უცაბედად გამოგვაცალა ხელიდან ოჯახის ბურჯი და შენც 6 თვეში თან წაგიყოლა.

მამა, შორიდან გილოცავთ დაბადების დღეს, თქვენს საფლავებს წმინდა სანთლები, ყვავილები და ჩვენი ცრემლები დაგისველებენ. ჩვენი ოჯახისთვის ყოველთვის ცოცხლები იქნებით, ჩვენო მოურჩენელო დარდო და ტკივილო.

დაე, ყველა ჩვენგანის სიყვარულმა, მონატრებამ და თქვენს სახელზე აღვლენილმა წირვა-ლოცვამ გაგინათოთ გზა ცათა სასუფეველში. გვჯერა, თქვენი ლამაზი სულები მარადული და უკვდავია.

*თქვენი საყვარელი ოჯახი*

## ნაზი ზარქუას ხსოვნას!



27 გაზაფხულს მოესწარი მხოლოდ, ჩემო საყვარელო ნაზი, გულისტკივილით სავსეა მონატრება. 40 დღე გავიდა, რაც შეწყდა შენი გულის ძგერა და მარადისობაში გადახვედი. შენი გარდაცვალება სიკვდილს არ ნიშნავს, შენთვის ის უკვდავების ღია კარია. შენს სახელს დავიწყება არ უწერია. შენი პატარები ისევ ელოდებიან შენს თბილ კალთაში ჩაჯდომას და შენს მოფერებას. ვაი, რომ არაფერი შეგიძლია.

უფალმა დაგიმკვიდროს ნათელი სამუდამო სასუფეველში.

*ინგა ნოდია*

## ბესო აზმაიფარაშვილის გახსენება

უკვე ორი წელიწადია, რაც წახვედი და ჩვენთან აღარ ხარ. ყველას გვენატრება შენი სიცოცხლით სავსე თვალები და მოღიმარი სახე. 10 მარტს 16 წელი შეგისრულდებოდა, მაგრამ სიცოცხლე არ დაგცალდა. ჩვენ ამ დღეს შენს საფლავთან ვხვდებით; ცრემლებით, დარდით, მწუხარებითა და დიდი მონატრებით შევცქერით შენს სურათს. გიხსენებთ ისეთს, როგორიც იყავი — თბილი, გამგები, მოსიყვარულე ადამიანი. სანამ ჩვენ ცოცხლები ვართ, შენ ყოველთვის იცხოვრებ ჩვენთან ერთად, ჩვენს გულებში.

*კლასელები*

## ვენერა მახანაშვილი-ალაპიშვილის მონატრება



ორმოცი გაუსაძლისი დღე გავიდა დარდითა და ცრემლებით სავსე. ვერ ვეგუებით შენს დაკარგვას, უსაზღვროდ გვენატრები, გვაკლიხარ, ჩვენო სათაყვანებელო დედიკო. შენ ყოველთვის ჩვენთან იქნები და ისეთი დარჩები, როგორიც იყავი — შეუდარებელი დედა, უერთგულესი მეუღლე, მოსიყვარულე ბებია. დიდი ტკივილი, მონატრება და ამოუვსები სიცარიელე დატოვე საყვარელი ოჯახისა და ნათესავების გულებში.

ენატრები ყველას. შენს კარგ ქალობაზე ლაპარაკობენ, გახსენებენ თბილად და სიყვარულით.

მოვალთ შენს საფლავზე, ყვავილებს მოგიტანთ, სანთლებს დავანთებთ და უფალს შევთხოვთ, ნათელში ამყოფოს შენი სული.

*უზომოდ მონატრებული ოჯახი*

## მერაბ არაბულს!



გავიდა ერთი გრძელი წელიწადი, მერაბ, უშენოდ. ცხოვრება ერთი ლამაზი წუთი ყოფილა. 24 წელი ლამაზად ვიცხოვრე შენთან. უშენოდ ძალიან დაღლილი და მარტოსული ვარ, მაინც ვიბრძვი და ვცდილობ, შიშმა და დარდმა არ დამძლიოს. შენი ზვიადი მალე ცამეტი წლის გახდება, ძალიან ვჭირდები. შენს შვილიშვილსაც ვჭირდები, მერაბ — შენთვის უცნობ ელენიკოს, რომელზეც ოცნებობდი და დარდად გაგყვა. თავის პატარა გულში მას შენს დიდ სიყვარულს ვუნერგავ.

მე მარადიული ტკივილი მარგუნა ბედმა.

გზა სიცოცხლიდან სიკვდილამდე ისე გამიკვალე, რომ აღარაფრის მეშინია. თვალს არ დავახამხამებ, ისე დავადგები იმ ბილიკს, რომელიც შენთან მომიყვანს, მაგრამ ვფიქრობ, მხოლოდ იმაზე ვილოცო, რომ სიცოცხლეზე გულდაწყვეტილს ზეცაში მოგანიჭო ბედნიერება; შენი ზვიადი ვაჟკაცი გაგიზარდო (როგორზეც ოცნებობდი), შენთან რომ ვალმოხდილი მოვიდე.

დაე, ჩვენმა სიყვარულმა, მონატრებამ და შენს სახელზე აღვლენილმა წირვა-ლოცვამ გაგინათოს გზა ცათა სასუფეველში.

უზომოდ მიყვარხარ, გულისტკივილამდე მაკლიხარ, უსაშველოდ მენატრები.

ყოველ წუთს ვლოცულობ შენზე.

*მარინა*

## მერაბ არაბულის მონატრება



ერთი გრძელი, ცრემლიანი წელიწადი გაილია, რაც აღარ მყავხარ. ჩემო ლამაზო მამიკო, რამხელა ტკივილი დამიტოვა შენმა წასვლამ. როგორ მიყვარდი, როგორ მეამაყებოდი, მეგონა, ჩემნაირი მამა არავის ჰყავდა ამქვეყნად. შენ ხომ ჩემი დედის იმედი იყავი. როცა სიზმარში გხედავ, სულ მეფერები და ჭკუას მარიგებ, ისევ სიცოცხლეს მასწავლი. როგორ გიყვარდა პატარები. ჩემს შვილს რომ ვუყურებ, ცრემლები მახრჩობს, მას ხომ ველარასოდეს მოეფერები შენებურად. როგორ გაგვაღარიბე, მამა, შენი ლამაზი სიცოცხლის გარეშე, რამხელა პასუხისმგებლობის ტვირთი დამიტოვე... შენი არყოფნით გამოწვეულ ტკივილს რა მოვუხერხო?! მეტიჩარა მარტმა სამუდამო სიცივე დამიტოვა გულში.

გკოცნი, მამა, გეფერები, ძალიან მენატრები. მეამაყება შენი შვილობა.

*შენი ხატია*

## ტარიელ დეკანოიძის გახსენება

პირველად მოვიდა გაუსაძლისი ტკივილით, ცრემლით, მწუხარებით აღსავსე შენი დაბადების დღე უშენოდ. ჩვენმა ცხოვრებამ ფასი დაკარგა, უშენოდ გაყინულია, გაქვავებულია ჩვენი ეზო-კარი.

უდიდესი ტკივილითა და დიდი მონატრებით გილოცავთ დაბადების დღეს — 8 მარტს. ამ დღეს ყველანი უკლებლივ მოვალთ შენს წმინდა საფლავთან: შენი გულჩამკვდარი მეუღლე, შენი ქალიშვილები ქმარშვილით, შენი გულდამძიმებული მამა, შენი ძმები, დები თავიანთი ოჯახებით და შენი საყვარელი პირმშო გოჩა, თავისი ახალშერთული მეუღლით, ის გოჩა, რომლის დარდიც თან წაიყოლე სამარეში. არადა, როგორ გვჯეროდა, რომ არ შეგეძლო ჩვენი დატოვება. შენს დაბადების დღეს ცოცხალი ყვავილებით შევამკობთ შენს სამარეს და ცხელი ცრემლით ოდნავ მაინც გაგათბობთ, ჩვენო მოუშუშებელო ტკივილო, ჩვენი ოჯახის ბურჯო ტარიელ.

*უდიდესი მონატრებით მეუღლე რაია, შვილები, მამა, რძლები, ძმები, დები*

## თამუნა ჯავახიშვილის ხსოვნას!



იამ და ენძელამ თვალები გაახილეს და ქვეყანას გაზაფხულის მოსვლა ამცნეს. გაზაფხულზე წახვედი და დატოვე დედისერთამ შენი მშობლები და პატარა სანდრო. შენი სული ახლა შენს პირმშოში ცოცხლობს და ზეიმობს. ის შენით ამაყობს და გბაძავს ყველაფერში... სამუდამო სასუფევლიდან კი შენი ლოცვა აძლიერებს და ღონეს მატებს შენს გენს... მასაც შენსავით გამორჩეულად უყვარს ტიტები, გაზაფხული და სიცოცხლე...

*რაც უფრო გადის წლები*
*გული ვერ იტევს ნაღველს,*
*ოთხმოცდაათის მარტი*
*მოგვაგონდება მწარედ...*
*ბედმა გვარგუნა ხვედრი*
*სანთლად ვუყუროთ შენს შვილს,*
*იმედად დატოვებულს*
*გულნათელს და ზნეკეთილს.*
*ჩვენო ლამაზო გოგო,*
*შობილო დედისერთად,*
*სიზმრებში ჩვენთან მოსულს*
*გფარავდეს ღმერთი ზენა!*

*მშობლები*

## ლევან ბაჯელიძის მონატრება



შენ აღარა ხარ, ექვსი წელია. მე კი დროს ისე ვითვლი, თითქოს წელთა სრბოლა დამიბრუნებდეს შენს თავს, თითქოს სადღაც იძულებით წასული, დატყვევებული მოხვიდოდე და გაბრწყინებული თვალებით მეტყოდე: „აი, მე მოვედი!"

ცხოვრება თავისი გზით მიდის, მაგრამ ჩემი — არა. ჩემი ცხოვრება შენს არსებას, შენს მოგონებებს ჩაეხლართა და თითქოს არაბუნებრივი გზით მიდის. ყოველი წუთი შენითაა გაჯერებული. ვერც შენი გადიდებული სურათი და ვერც შენი სამარე ვერ მაჯერებს, რომ ცოცხალი აღარ ხარ. სასაფლაოდან მოსული მაინც შენს მოსასვლელ გზას გავცქერი. ჩემი ცხოვრება შენა ხარ და რაც უფრო გადის დრო, მით უფრო გაუსაძლისი ხდება გაცნობიერება იმისა, რომ ამქვეყნად ველარასოდეს შეგხვდები. უშენოდ სიცოცხლე კი სასჯელია.

ყველა გელის. მთელი შენი დიდი ოჯახი — დიდები, პატარები ელიან შენგან კეთილ ღიმილს, ჩვეულ იმედს, ხალისს, ძალას. უშენოდ ყველაფერმა თავისი სახე დაკარგა.

მიყვარხარ, ძალიან მიყვარხარ. შენს სულს მუდამ ჩემ გვერდით ვგრძნობ და ნუგეშიც ამაშია.

*შენი და*

## ეკა გეგელიას ხსოვნას!



უშენობა გვტკივა, გვენატრები, ცარიელია ჩვენი საკლასო ოთახი. სუნთქვა გვეკვრის, როცა ფიქრს ვიწყებთ იმაზე, თუ რაოდენ დიდი სივრცე გაშორებს ჩვენგან!

უსასრულო... შეუცნობელი...

ხსოვნა ინახავს და უფრთხილდება პატარა გოგონას, რომელიც სილამაზით, სილაღით, სისხარტითა და მრავალმხრივი ნიჭით გვხიბლავდა; რომელმაც გაგვაოცა მუსიკალურობით, პოეტური ბუნებით; გვასწავლა სიყვარული და დიდი მწუხარებაც.

ეკა! ყველაფერი არ დამთავრებულა, ეს მხოლოდ დასაწყისია, ახალი სიცოცხლის დასაწყისი...

შეუცნობელი სამყაროს მკვიდრი ხარ, უხილავი საცეცებით ვგრძნობთ შენს ღიმილს, მზერას, ნატიფი, დახვეწილი სულის უკვდავებას.

*თანაკლასელები*

## რობერტ კობლიშვილის მონატრება



ჩემო ძვირფასო მეუღლევ, ჩემო რობერტ, 3 წელია უკვე, უშენოდ ვარ. მიჭირს უშენოდ ცხოვრება. უაზროდ თენდება და ღამდება ჩემთვის. დარჩენილ სიცოცხლეს მხოლოდ ერთი იმედით — შენთან მალე შეხვედრის მოლოდინში ვატარებ. გაუსაძლისია ეს წუთისოფელი ჩემთვის უშენოდ. შენ ხომ კაცური კაცის სახელით იცხოვრე ამქვეყნად, ასეთადაც დარჩები. დაუნდობელმა სიკვდილმა მოულოდნელად წამართვა შენი თავი. მენატრები, ძალიან მენატრები. მწარეა ჩემთვის სიცოცხლე. დრო მკურნალი არ გამოდგა ჩემთვის. რაც დრო გადის, მამწარებს და ყელში ბოღმა მაწვება, მტანჯავს და მახრჩობს. ღამე ჩემთვის საფლავია ალბათ. მიჭირს სიტყვებით გადმოგცე ის მწუხარება, რასაც შენი ცოლ-შვილი განიცდის, განსაკუთრებით შენს იმედზე მყოფი შენი სამი ობოლი შვილიშვილი. მიწა დამძიმდა ჩემი ცრემლით. მენატრება შენი თბილი ხმა, თბილი საუბარი.

*შენთან ცხოვრება მართლაც ხომ ღირდა,*
*შენთან სიცოცხლეს არა სჯობდა რა,*
*ისე მაცხოვრე 40 წელი*
*მე გაჭირვება არა მქონდა რა.*

ამიტომაც გთხოვ გულით, ისევ შენს სარეცელს მიჯაჭვული: გაიზიარე ჩემი გულისტკივილი. შენ ხომ ყოველთვის ყველა სურვილს მისრულებდი, წამიყვანე შენთან, რაც შეიძლება მალე.

*იქნებ გაიგოს სულმა ძლიერმა,*
*შეტოკდეს გული, გამითავისოს,*
*მანდ სამუდამო სარეცელს მიღმა*
*მეც მომათავსოს, გული გამითბოს.*

ღმერთს ვთხოვ, ნათელში იყოს შენი სპეტაკი სული.

*შენი ერთგული მეუღლე ზაირა ტაკაშვილი-კობლიშვილისა*

## ზამირი გულუას მონატრება



11 მარტი ხომ შენი დაბადების დღე იყო, მაგრამ ვაი იმ დღეს — მას ხომ უშენოდ ვხვდებით! შენ ამშვენებდი ოჯახს, სამეგობროს, სანათესაოს, მაგრამ მოულოდნელად შენმა დაკარგვამ ყველას ერთდროულად დაგვწყვიტა გული.

შენ და გაბოს (შენგელია) დიდი მეგობრობა გაკავშირებდათ ერთმანეთთან, მაგრამ განგებამ ორივეს მოგისწრაფათ სიცოცხლე.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს თქვენი ნათელი სულები.

*გოგი, ნანი, ლანა, ზამირი, დიანა შენგელიები*

## ნათელა გოდიბაძე-კაკილაძის ხსოვნას!



დედისა და დაბადების დღეს, 8 მარტს გილოცავ, ჩემო საყვარელო დედა! ახლა მართლა დაგვაობლე, შენ ხომ დედობაც გაგვიწიე და მამობაც. სამივეს გვასწავლე, დაგვაოჯახე. ობლებს შემოგვწირე მთელი სიცოცხლე. ჩვენ კი ვერაფერი გიშველეთ. ყველასათვის საყვარელი მასწავლებელი და ბებო იყავი. წახვედი შენს საყვარელ მეუღლესთან და დაგვიტოვე დიდი ტკივილი.

მსუბუქი იყოს შენთვის შენი საყვარელი ლახუნდარის მიწა. ღმერთმა ნათელში გამყოფოს. მუდამ ვილოცებთ შენზე.

*შენი დაჯო*

## რამინ ცუცქირიძის ხსოვნას!



*„რა ვუყოთ იმ ტკივილს, რასაც უშენობა ჰქვია?"*

თუკი რამ არის გარდაუვალი ამ წუთისოფლად, ეს სიკვდილია, მოულოდნელი და თავზარდამცემი ტრაგედია. სწორედ ასეთ დღედ იქცა ჩვენთვის 31 იანვარი, შენი გარდაცვალების დღე, რამინ.

ორმოცი ტკივილიანი დღე გავიდა, რაც ჩვენ გვერდით აღარ ხარ. რა ლამაზად დასრულდა, რამინ, შენი ფიზიკური არსებობა ამ წუთისოფელში.

*„ანდერძიც ვერ დაიბარე, ისე ამოგხდა სულია,*
*რა სამუდამოდ დადუმდა ეგ მხიარული გულია!"*

ჩაქრა სანთელი!!! ჩვენ მხოლოდ ისღა დაგვრჩენია გისურვოთ, რომ ნათელში იყოს შენი ლამაზი სული და კურთხეულ იყოს შენთვის ანთებული ყველა სანთელი!

სიკვდილი ყოველთვის დასასრულს როდი ნიშნავს!

*შენი მეგობრები: ამბერგი, ეთერი, ლია, მარინე, დალი, ლალი, მზევინარი და ნაზი*

## კობა აივაზიშვილის მონატრება



საყვარელო შვილო, პირველად გილოცავთ დაბადების დღეს ზეციურ სამყაროში. 8 მარტი შენი დაბადების დღეა, 27 აპრილი — შენი ამ წუთისოფლიდან წასვლის დღე. უცხოეთში შეწყდა შენი ლამაზი სიცოცხლე. ჩვენო მოურჩენელო ტკივილო, ყველას ძალიან დაგვწყვიტე გული. უსაშველოდ გვენატრები. ნაადრევი იყო შენი გარდაცვალება. ახლა 27 წლის გახდებოდი. შენ ხომ დაოჯახებაც ვერ მოასწარი. ვინ იცის, როგორი მეუღლე, მამა იქნებოდი. უშენობა გაუსაძლისი შეიქნა ჩვენთვის, დედიკო გენაცვალოს. ბუკა, შვილო, მაპატიე, ცოცხალი რომ ვარ. შვილმკვდარი დედისათვის ჯოჯოხეთია ეს სამყარო. ჩვენ ხომ ურთმანეთოდ ყოფნა არ შეგვეძლო. ახლა როგორ ხარ? ღმერთს ვეხვეწები, შემიმოკლოს შენკენ სავალი გზა.

გვიყვარხარ ძალიან. შენი ლამაზი სულისთვის ვლოცულობთ. უფალს ვევედრებით, ცათა სასუფეველი დაგიმკვიდროს.

მსუბუქი ყოფილიყოს შენთვის იმქვეყნიური ცხოვრება. ნათელი გეფინოს.

*დედა ნუნუ, მამა ჯემალი, და ია, სიძე დათო; დისშვილები: ვაჟა, საბა ხუტილაშვილები*

## იულიანა (ლუნა) ჩახაიაძძუას გახსენება



უკვე ერთი წელია, ჩვენთან აღარ ხარ, უშენოდ შევხვდით დედის დღეს, ჩვენო სანატრელო დედა. ძალიან გვიმძიმს უშენოდ. მოგვენატრა შენი ჭკვიანური დარიგება, სიყვარული, რომელიც შენ გქონდა შვილებისა და შვილიშვილების მიმართ. რაც დრო გადის, უფრო გვენატრები. ძნელი ყოფილა უდედობა.

იყავი კარგი მეუღლე, შვილების მოსიყვარულე და მზრუნველი დედა. შენს შვილიშვილებს დაამახსოვრდი, როგორც ალერსიანი, თბილი და მოსიყვარულე ბებია. სიყვარული, რომელიც შენ დაგვიტოვე, დიდხანს დარჩება ჩვენს გულებში და არ განელდება.

იყავი დაუზარელი, გიყვარდა ცხოვრება. შენ ხომ შეუდარებლად კარგი დეიდა, მამიდა და ბიცოლა იყავი. განსაკუთრებით გიყვარდა შენი უმამოდ გაზრდილი ძმისშვილები.

აღარ ხარ და უკლებლივ ყველას დასწყვიტე გული — მეზობლებს, ნათესავებს, რადგან განსაკუთრებულად კარგი იყავი ყველასათვის — დიდისა თუ პატარისთვის.

ჩვენ ყველას მოგვენატრე ისეთი, როგორიც იყავი — ცოტა უცნაური, მაგრამ კეთილი, უანგარო, ენერგიული, სიცოცხლის ხალისით სავსე — ასეთი ახსოვხარ შენს რძლებს, სიძეებს, ახლო ნათესავებსა და მეზობლებს.

ჩვენო სიცოცხლეზე უზომოდ შეყვარებულო დედავ! ძნელია უშენოდ ყოფნა.

ჩვენ, შენს შვილებსა და შვილიშვილებს ისღა დაგვრჩენია, ვიამაყოთ შენით, სათუთად შევინახოთ შენი ხსოვნა და ღმერთს ვთხოვოთ, ჩვენმა დანთებულმა წმინდა სანთლებმა დაგიმკვიდროს ცათა სასუფეველი.

შენი ნათელი სული გვფარავდეს ყველგან და ყველაფერში.



აბაშის რ/ც საავადმყოფოს სამეანო-გინეკოლოგიური განყოფილების თანამშრომლები ღრმა მწუხარებით იუწყებიან

**ეთერ ისიდორეს ასული დოლონაძე-დარცმელიძის**

გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

# წამიერი წინასწარმეტყველება...



— ეს ამბავი 27 წლის წინ მოხდა, სრულიად ახალგაზრდა გავთხოვდი, — მიამბობს ქალბატონი ნაირა, — სიგიჟემდე მიყვარდა ქმარი. უკვე ბავშვს ველოდებოდი — მერვე თვეში ვიდექი... შემოდგომა იყო და ჩემი მეუღლე, დამატებითი შემოსავალი რომ გაეჩინა, აჭარაში წავიდა ნათესავებთან, რომელთაც ციტრუსის უზარმაზარი პლანტაცია ჰქონდათ და სეზონზე მუშახელს ქირაობდნენ ხოლმე. ნათესავებმა იცოდნენ, ხელმოკლედ რომ ვცხოვრობდით და ფულს კარგად უხდიდნენ ჩემს ქმარს, მანდარინსაც ბლომად ატანდნენ ხოლმე, რომლის ნაწილსაც ვყიდდით.

...ქმარმა შემატყობინა — სამუშაო დამთავრდა და ორ დღეში შინ ვიქნებიო. მეც, გახარებულმა სახლის დალაგება გადავწყვიტე, დედამთილი მეჩხუბა კიდევაც, — ამოდენა მუცლით ამ ფანჯრებზე რას მიძვრებიო. მაგრამ არ დავიშალე, მინდოდა ქმარს ეგრძნო, რომ მისთვის ვცდილობდი...

ბოლოს, დიდი სასტუმრო ოთახი დავალაგე, დავაწკრიალე და როცა გამოვდიოდი, სანამ კარს გამოვიხურავდი, უნებლიეთ მოვიხედე უკან და... სწორედ მაშინ მოხდა სასწაული: ალბათ წამიერად, ავეჯით სავსე ოთახი „დაცარიელდა“ და მის შუაგულში ორი კუბო დავინახე გვერდიგვერდ, მიცვალებულთა სახეებიც აშკარად დავაფიქსირე: ერთი ჩემი დედამთილი იყო, მეორე კი ჩემი ქმარი — ზურაბი, რომელსაც მკერდზე ახალშობილი ბავშვიც ესვენა!.. შიშით შევკივლე და... როცა გონს მოვეგე, იატაკზე ვიწექი, თავს ატირებული დედამთილი მედგა.

...რატომღაც ვერ გავბედე თქმა, რამაც შემაშინა — როგორი სათქმელი იყო ეს დედამთილისთვის.

რადგან ცუდად ვგრძნობდი თავს, დედამთილს შეეშინდა და დედაჩემი მოიყვანა. მას გავუმხილე ჩემი ხილვა. მირჩია, არაფერი მეთქვა და თან შეეცადა, დავემშვიდებინე: „ასე გიჟურად რომ გიყვარს ქმარი, იმიტომ მოგელანდა ის სისულელეო“... ჰო, ერთი რამეც უნდა გითხრათ — როცა ოთახში კუბოები „დავინახე“, სანამ გონს დავკარგავდი, შევამჩნიე, რომ კედლის საათი ოთხ საათს უჩვენებდა — ჰოდა, მეორე დღეს სწორედ ოთხ საათზე მოვიდნენ ჩვენთან მილიციის წარმომადგენლები და საშინელი ამბავი მოგვიტანეს — ჩემი ქმარი თავისი „მოსკვიჩით“ სატვირთო მანქანას შეჯახებოდა და ადგილზე გარდაცვლილიყო, ამის გამგონე დედამთილს გული წაუვიდა და წაიქცა, ვერავინ მოასწრო ხელის შეშველება, თავი მაგიდის კიდეს ჩამოარტყა და, როგორც მითხრეს, ისე გარდაიცვალა, მკვდარი შვილი არც უნახავს... მე კი ნაადრევი მშობიარობა დამეწყო და თავადაც ძლივს გადამარჩინეს, თორემ ბავშვის სიცოცხლის შენარჩუნებაზე ყოველგვარი ლაპარაკი ზედმეტი იყო...

იმ სტრესიდან დიდხანს ვერ გამოვედი, ფსიქიატრთანაც კი ვმკურნალობდი ხანგრძლივი დროის მანძილზე... მერე ეს სახლი გავყიდე და ახლობლების დაჟინებული მოთხოვნით საკმაოდ გვიან გავთხოვდი, 48 წლის ქალს 13 და 11 წლის შვილები მყავს. როგორც გითხარით, არანაირი წინათგრძნობა მას შემდეგ მე აღარ მქონია და უფალს ვთხოვ, რომ არც მქონდეს. მერწმუნეთ, საშინელებაა მომავლის ცოდნა, მით უმეტეს, როცა იგი ასეთი მწარეა, — დაასრულა თხრობა ქალბატონმა ნაირამ...

***ინგა ჯაყელი***

# მადლიერება

**თქვენს ქალაქში კეთილმოწყობილი ევროპული სტანდარტების კლინიკა გაჩნდა, რომელსაც „კლინიკური მედიცინის ცენტრი“ ჰქვია. აქ შემოსულ პაციენტს სასახლეში უფრო ჰგონია თავი, ვიდრე საავადმყოფოში.**

**შემოსვლისთანავე იგრძნობა დიდი ყურადღება, სითბო, სიყვარული და ოჯახური გარემო პაციენტისადმი. ასეთი დამოკიდებულება ხელს გვიწყობს პაციენტებს, მივიღოთ ისეთი მძიმე გადაწყვეტილება, როგორიცაა ოპერაციის გაკეთება. მშობიარობისთვისაც ოჯახური პირობებია შექმნილი. ამ კლინიკისათვის დამახასიათებელია ოპერატიულობა და კაცთმოყვარეობა, გეგონებათ, ერთი სიყვარულის აკადემია დაამთავრა ყველა თანამშრომელმა. კლინიკის ხელმძღვანელისა და მედპერსონალისთვის ჯერ პაციენტის ჯანმრთელობაა მთავარი და შემდეგ მატერიალური ანაზღაურება (რაც ჩვენს ქალაქში დიდი იშვიათობაა). გვიხარია, რომ ასეთი კეთილგანწყობილი და კეთილმოწყობილი კლინიკა გაჩნდა ჩვენს ქალაქში, რომელიც დაკომპლექტებულია მაღალკვალიფიციური და საოცარი გულისხმიერებით გამორჩეული სამედიცინო პერსონალით.**

**დავულოცავ მარჯვენას იმ ადამიანს, ვინც ასეთი სამედიცინო ოაზისი შექმნა ჩვენს ქალაქში. დიდი მადლობა გვინდა გადავუხადოთ „კლინიკური მედიცინის ცენტრის“ დამფუძნებელს და ხელმძღვანელს, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორ მანანა შარაშიძეს ასეთი საჩუქრისთვის, ვულოცავთ დედის დღეს და ვუსურვებთ ყველაფერ საუკეთესოს და ამ საერთო საქმეში დიდ წარმატებებს.**

**ყოფილი პაციენტები დიდი მადლიერების გრძნობით.**


**გჭირდებათ დახმარება მიწასა და უძრავ ქონებაზე საკუთრების ან სარგებლობის უფლების საჯარო რეესტრში რეგისტრაციისას?**

**გსურთ მიწისა და უძრავი ქონების შეძენის წინ, წინასწარ გადაამოწმოთ ინფორმაცია და დარწმუნდეთ მის სიზუსტეში?**

**გესაჭიროებათ დახმარება მიწის ნაკვეთების შეძენისთვის დოკუმენტაციის მომზადების დროს, ან შეგექმნათ პრობლემა მიწის ნაკვეთის (უძრავი ქონების) საკუთრებასა და ფლობასთან დაკავშირებით?**

**მოგვმართეთ - მიწის მესაკუთრეთა უფლებების დაცვის ასოციაციას!**

**ასოციაცია გთავაზობთ შემდეგი სახის მომსახურებებს:**

- ✔ მედიაცია
- ✔ იპოთეკით დატვირთვისთვის დოკუმენტაციის მომზადება
- ✔ მემკვიდრეობა
- ✔ ყიდვა-გაყიდვისთვის დოკუმენტაციის მომზადება
- ✔ კერძო არბიტრაჟი
- ✔ სასამართლო ინსტანციებში ინტერესების დაცვა
- ✔ უფასო იურიდიული კონსულტაცია

**ჩვენი დახმარებით დაზოგავთ დროს და ენერგიას, თქვენი უფლება კი გარანტირებულად იქნება დაცული.**

**დაგვიკავშირდით, თქვენ სამსახურშია ასოციაციის ცენტრალური და რეგიონალური ოფისები: თბილისი, გაგარინის I შესახვევი, №8,**
**☎ 877 458 651; 899 982 809, 912 159; 931 969; ქუთაისი, 899 587 094; გორი 893 399 856; 893 336 683; ახალციხე 899 572 669, გურჯაანი 899 236 411; 899 271 912; თეთრიწყარო 899 702 192**


ჩვენ გვწერენ

# დაწყევლილი ადგილი

ამბობენ, არსებობს უცნაური ადგილები, რომლებსაც თავისი ჩვევები აქვთო. მაგალითად, ბერმუდის სამკუთხედის ავი ზნე ხომ ყველასათვის ცნობილია. ერთი ასეთი პატარა, უცნაური და საშიში ადგილი ჩემი აივნიდან მოჩანს. ამ ადგილს ბავშვობიდან ვიცნობდი, 6 წლის ვიყავი, როცა ჩემი მეგობარი ბიჭი გაგორებულ ბურთს დაედევნა. ჩვენ, ბიჭები, შევჩერდით და გახვითქულები ველოდებოდით, როდის ჩამოგვაწოდებდა პასს. ის შეჩერდა... ბურთს ფეხი დაადო და სადღაც ზემოთ აიხედა. უცებ ტროტუარზე მანქანა შემოვარდა და ბიჭს დაეჯახა. ბიჭი მძიმედ დაშავდა, ძლივს გადაურჩა სიკვდილს, მძღოლი კი ინფარქტით გააქანეს საავადმყოფოში. ამ ამბავს აღარც გავიხსენებდი, მაგრამ რომ წამოვიზარდე და დავაკვირდი, თუკი ჩვენს უბანში რამე ცუდი ხდებოდა, ყველაფერი იმ ადგილას უნდა მომხდარიყო.



ერთხელ, ჩემი კარის მეზობელი, 50 წლის კაცი, სწორედ იმ ადგილას შეხვდა სახლმმართველს და უბნის დასუფთავების პრობლემაზე დაუწყო ლაპარაკი. უცებ შუბლზე იტაცა ხელი და ჩაიკეცა... გადარჩა სიკვდილს, მაგრამ ინსულტმა დააინვალიდა.

ჯიხურომანია რომ დაიწყო, აქ ერთი მოზრდილი ჯიხური ჩადგეს, სასმელსა და ტკბილეულს ყიდდნენ. გვიან ღამით წიოკი ატყდა, აივნებზე გამოვცვივდით. ერთ მთვრალს მეორე სწორედ ჯიხურის წინ დაუჭრია დანით.

ერთი-ორი წლის შემდეგ, აყალმაყალის დროს, ჯიხურის გამყიდველ ქალს მოხვდა ტყვია და დაიღუპა... სულ ახლახან კი დიდმა სატვირთო მანქანამ საჭე ვერ დაიმორჩილა, გაექანა იქით და გადაუარა ჯიხურს. კიდევ კარგი, შორიახლოს არავინ იყო, არც გამყიდველი იჯდა შიგ და ამიტომ უმსხვერპლოდ გადავრჩით.

მოკლედ, სამეზობლოში ამ ადგილს დაწყევლილს, ნავსსა და უკუღმართს ვეძახდით, სინამდვილეში რა ხდებოდა იქ, არასოდეს გვიფიქრია.

ორი დღის წინ ჩემს პატარა ბიჭუნას რაღაცამ აწყინა და ღებინება დაეწყო. მანქანით წავიყვანეთ საავადმყოფოში. გასინჯეს, კუჭიც ამოურეცხეს და გამოგვიშვეს შინ. ბავშვი მაინც მძიმედ იყო, თვალებს ძლივს ახელდა. დედამისს ეჯდა კალთაში. მანქანით იმ ადგილს რომ გავუსწორდით, ბიჭმა თვალები ჭყიტა: — მამა, მამა, შეხედე, იქ ვინ არისო. თვალი შეშინებულმა გავაყოლე მის თითს... იქ არავინ იდგა... მე და ჩემმა ცოლმა ერთმანეთს გადავხედეთ. ბიჭი კი იმეორებდა: — მამა, იქ კაცია, დიდი კაციო. ღამის პირველი ან ორი საათი იქნებოდა. ქუჩაში ჭაჭანება არ იყო. უცებ მეც შევხედე და დავინახე კაცი, ოღონდ ჩვენსავით მიწაზე კი არა, მიწიდან ერთი მეტრის სიმაღლეზე „ლივლივებდა...“ ხელს ჩვენკენ იწვდიდა და რაღაცას მანიშნებდა კიდეც.

მანქანა დავამუხრუჭე და გადმოვედი. თვალებს არ ვუჯერებდი. კაცის ირგვლივ მუქი ნაცრისფერი ჩრდილი ეცემოდა მიწას და შიშის ზარს მცემდა. უცებ ის დაიძრა... თითქოს დატრიალდა თუ თითქმის წაიშალა, საიდანღაც გამოვარდნილი „ოპელი“ კი აწყვეტით დაეჯახა ამ ჩრდილში მოქცეულ მაღალი ძაბვის ბოძს. დაყვირებაც ვერ მოვასწარით. ჩრდილი შეიკუმშა და გაილია. მობილური ამოვიღე და სასწრაფოში დავრეკე. მოვიდნენ. ორი გარდაცვლილი მგზავრი გადმოიყვანეს იმ მანქანიდან.

ახლა უკვე ვიცი, რისი ბრალია ამდენი უბედურება. იქ ავი და ბოროტი აურაა. თუ ვინმე ცოტა ხანგრძლივად შეჩერდა ან დაემორჩილა ამ ბოროტი სამყაროს ზეგავლენას, აუცილებლად მძიმე მდგომარეობაში ჩავარდება, შეიძლება მოკვდეს კიდეც...

***ზეზვა ძოწენიძე, თბილისი***

# ზღვის ფსკერიდან ამოტანილი ნიჭი

ერთ ზაფხულს ზღვაზე ვისვენებდი. კარგი მოცურავე ვარ და შორსაც გავდივარ ხოლმე. იმ საღამოსაც თბილმა წყალმა შემიყოლია და იმხელაზე გავცურე, ნაპირი აღარც კი ჩანდა. უცებ გული ცუდად გამიხდა და ხელ-ფეხი წამერთვა. ვიგრძენი, როგორ წავედი ცივი ფსკერისკენ. ამაზეღა ვფიქრობდი — ნუთუ ასე მთავრდება ყველაფერი-მეთქი. ფართოდ მქონდა თვალები გახელილი და დავინახე, რომ ჩემს სხეულს რაღაცნაირი სინათლე მოჰყვებოდა. მოულოდნელად რაღაც ძალამ ხელისგულზე დამიწვინა და მარტო წყლის ზედაპირზე კი არ ამომიყვანა, ნაპირამდეც მიმაცილა... იქ შემნიშნეს, დამეხვივნენ, მომასულიერეს. ამ შემთხვევის შემდეგ ახალი უნარი გამიჩნდა. ადამიანს რომ შევხედავ, მისი სხეულის სხვადასხვაფერ გამოსხივებას ვხედავ და ვგრძნობ, სადაც გამოსხივება მეწამულია, იმ ორგანოს უჭირს.

***ნუცა ჭიკაიძე, თბილისი***

**„საზალდო-სალაღო“ გვერდის პასუხები**

**I. აბა, გამოიცანი:**

1) — გ); 2) — ა); 3) — ა); 4) — ა); 5) — ბ); 6) — ა); 7) — გ); 8) — ა); 9) — ბ).

**II.** აპრილი.




# სექსი, კექსი და... პიცა

სუპერმარკეტების ინგლისურ ქსელში ახალი სახის, აღმგზნები პიცა იყიდება მათთვის, ვისაც პრობლემები აქვს ინტიმურ ცხოვრებაში. ამასთან, სასწაულმოქმედი პიცა არა მარტო მამაკაცებზე, ქალებზეც აღმგზნებად მოქმედებს.

ინგრედიენტებად აღმგზნები პროდუქტებია გამოყენებული — სატაცური, ნიორი, ხახვი და სხვა. პიცას პიკანტურ გემოს აძლევს ილი და პილპილი. როგორც ამბობენ, პიცამ კეთილისმყოფელი გავლენა მოახდინა პაციენტებზე და ექიმებიც „ვიაგრას“ ნაცვლად სიამოვნებით უნიშნავენ გემრიელ „წამალს“.

*ჟენსკიე დელა №7*

# სულთნის ევროპული შოპინგი



პლანეტის ერთ-ერთ უმდიდრეს კაცს, ბრუნეის სულთანს, ევროპაში ტურნეს დროს საყიდლებზე წასვლის სურვილიც გასჩენია.

როგორც ამბობენ, სხვა წვრილმანის გარდა, თორმეტი „როლს-როისი“ უყიდია. ეს სიამოვნება სულ 8 მლნ დოლარი დაჯდა. სულ კი სულთანს საყიდლებზე დაახლოებით 22 მლნ დოლარი დაუხარჯავს.

როგორც სულთნის პრესმდივანმა განაცხადა, უახლესი მოდელის ავტომობილები მის უდიდებულესობას პირადად თავისთვის შეუძენია — თურმე უყვარს ქროლა და ვერ იტანს ერთსა და იმავე მანქანის საჭესთან ხანგრძლივ ჯდომას. „როლს-როისებით“ სულთანი თავის მამულში ისეირნებს — მისი რეზიდენცია მოცულობით ვერსალს აღემატება და მასში 17.000 ოთახია. მამულს კი რამდენიმე ჰექტარი უჭირავს.

*სტარი*

# სასჯელის ზომა — ვერდი?

ერთი ამერიკელი რეპის თაყვანისმცემელი მაიკლ კარერასი მისთვის აუტანელი ტანჯვისთვის გაწირეს — თავიდათავი რეპის სიყვარული აღმოჩნდა. ავტომობილში მუსიკის ხმამაღლა ჩართვა მაიამი-ბიჩში მკაცრად იკრძალება — თუ მუსიკა 30 მეტრზე მეტ მანძილზე ისმის, მელომანი შეიძლება დააპატიმრონ. მაიკლ კარერასიც ვერ ასცდა კანონის მსახვრალ ხელს — მას ჯარიმის გადახდა დააკისრეს და დამატებით ვერდის „ტრავიატას“ მოსმენა მიუსაჯეს... მისთვის ეს მართლაც სასჯელია, მაგრამ დაპატიმრებას ხომ სჯობია!

*ტრუდ-7 №21*

# კოცნასაც ცოდნა უნდა



ლამაზად კოცნა სახუმარო ამბავი არ გეგონოთ, თუმცა არც მიუღწეველია. საამისოდ, თავისუფალი დრო და... ვიდეომაგნიტოფონი დაგჭირდებათ.

რამდენიმე ხნის წინ ინგლისში გამოკითხვა ჩატარდა კინემატოგრაფის ისტორიაში ყველაზე ლამაზი კოცნის გამოსავლენად.

ჰიტპარადის ლიდერი ოდრი ჰეპბერნისა და ჯორჯ ჰეპარდის კოცნა აღმოჩნდა კინოფილმიდან „საუზმე ტიფანისთან“. თუ ამ ფილმს ვერ იშოვით, მაშინ „ქარწაღებულნი“ მოიშველიეთ — კლარკ გეიბლისა და ვივიენ ლის კოცნას მეორე ადგილი ერგო. ყველაზე სენტიმენტალურ კოცნად კეიტ უინსლეტისა და ლეონარდო დი კაპრიოს კოცნა აღიარეს „ტიტანიკიდან“. გამარჯვებულთა სიაში აღმოჩნდა დემი მურისა და პატრიკ სუეიზის („მოჩვენება“), რიჩარდ გირისა და ჯულია რობერთსის („ლამაზმანი“), ასევე ფილმიდან „ბრიჯიტ ჯონსის დღიური“ ნახევრად შიშველი რენე ზელვეგერისა და კოლინ ფერტის კოცნა. „კოცნის ექსპერტთა“ მოწონება დაიმსახურა ჯუდ ლოუსა და ნიკოლ კიდმანის კოცნამ ახლახან გამოსული ფილმიდან „ცივი მთა“ და ნუ გაიოცებთ — ფილმიდან „სასტიკი განზრახვა“ სარა მიშელ გელასისა და სელა ბლერის ლესბოსურმა კოცნამ.

*ნიუ ზუიქი*

# ბავშვებს მხოლოდ საექსპორტოდ აჩენენ



კამბოჯის დედაქალაქი პნომპენი ცნობილია იმით, რომ იქ მსოფლიოში ყველაზე იაფად შეიძლება ბავშვის ყიდვა, სულ რაღაც 50 დოლარად, თანაც ჯანმრთელი, ჭკვიანი და მხიარული პაწიასი. დაახლოებით ამდენივე ღირს პნომპენის ძველმანების ბაზრობაზე ბუდას ქანდაკება. ქვეყანაში ყვავის ბავშვებით არალეგალური ვაჭრობა, თანაც ეს ბავშვები ობლები არ არიან, მათ თავად მშობლები ყიდიან. ოჯახისა და დანარჩენი შვილების სარჩენად, ისინი ერთ-ერთს იმეტებენ. საქმე იქამდე მივიდა, რომ ევროპისა და კანადის ბევრ ქვეყანაში აიკრძალა კამბოჯელი ბავშვების იმპორტი. კამბოჯა სამოთხედ იქცა ამერიკული სააგენტოებისთვის, რომლებიც ასობით ბავშვს ყიდულობენ და შემდეგ მამასისხლად ყიდიან ამერიკაში.

შარშან ქვეყანაში თითქმის არ მოსულა წვიმა და ბრინჯის მოსავალიც მწირი იყო. ამიტომ ბევრს მოუწევს თითო შვილის გამეტება გასაყიდად, რომ ოჯახი შიმშილისაგან იხსნას.

*ოჯი*

# ზედმეტი ნული — გზა ციხისაკენ



53 წლის ტეხასელმა ფსიქოლოგმა რიჩარდ მილდსმა ერთ მშვენიერ დღეს სამუშაო დაკარგა, მაგრამ გული არ გაუტეხია — ფულის საშოვნელი მშვენიერი ხერხი მოიფიქრა.

ტელევიზით მოისმინა, რომ ნასას სპეციალისტებს ასტრონავტებისთვის კოსმოსში ხანგრძლივი მოგზაურობის შემდეგ პოტენციის გასაუმჯობესებელი პრეპარატი შეუქმნიათ. მილდსმა გაზეთში განცხადება გამოაქვეყნა და მსურველებს სულ რაღაც 10 დოლარად სასწაულმოქმედი პრეპარატის რეცეპტი შესთავაზა. განცხადებას რამდენიმე ასეული კაცი გამოეხმაურა. რამდენიმე დღეში ფსიქოლოგს 3. 000 დოლარი ჰქონდა ანგარიშზე. რა თქმა უნდა, „სასწაულმოქმედი რეცეპტი“ არავის მიუღია.

თაღლითის ფსიქოლოგიურმა გათვლამ სავსებით გაამართლა — არც ერთ მოტყუებულს თავისი 10-დოლარიანის ბედი არ უკითხავს. წარმატებამ ფრთები შეასხა და მილდსმა ახალი მაქინაცია ჩაიფიქრა — ამჯერად „სასწაულმოქმედ“ ნივთებს სთავაზობდა დოყლაპიებს — მაგალითად, ბრელოკს, რომელიც უცხოს ხელში ხმას გამოსცემს, სათვალის ბუდეს, რომელიც სათვალის მინებს წმენდს და საღეჭ რეზინს, რომელიც... თმის ზრდას უწყობს ხელს. ფასი უცვლელი იყო — 10 დოლარი. სიცრუის მექანიზმი შესანიშნავად მუშაობდა — თაღლითის საბანკო ანგარიშზე წყაროსავით მირაკრაკებდა ფულის ნაკადი. როცა მილდსის „მონაპოვარი“ 80.000-მდე შეივსო, პოლიციაც ეწვია. ფსიქოლოგს თავი არ გამოუდვია, ყველაფერი აღიარა და მხოლოდ იმით დაინტერესდა, ნუთუ, ვინმეს დაენანა 10 დოლარიო? სამართალდამცველთა პასუხმა გააოგნა ფსიქოლოგი-თაღლითი — ერთ-ერთ წერილში მილდსს 10-ის ნაცვლად 100 დოლარი ჩაუწერია. ადრესატი, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ ბრელოკის ყიდვას აპირებდა, აღაშფოთა ფასმა და სპეკულანტის მადის მოსათოკად საგადასახადო სამსახურს მიაკითხა. ასე რომ, მხოლოდ და მხოლოდ ერთმა ნულმა ციხისკენ წაიყვანა თაღლითი.

*ოკნა №7*

# ჩაგრულ ქალთა ქვეყანა

ჩინეთში ყოველწლიურად თავს იკლავს 150 ათასი ქალი. გამოკითხვის თანახმად, ყოველ მეორე ჩინელ ქალს ქმარი სცემს. ქალებზე ძალადობის წინააღმდეგ გამართული კამპანიის ნაწილს წარმოადგენს ივ ინსლენის პრემირებული პიესის, „ვაგინის მონოლოგის“, დადგმა ჩინეთის სცენაზე. პრემიერის შემდეგ პეკინში სპექტაკლი აიკრძალა. აკრძალვის მიზეზზე არ ლაპარაკობენ, მაგრამ ცხადია, რომ დამდგმელებს რეპრესიებისა ეშინიათ.

მთავარი გმირის როლის შემსრულებელი, 27 წლის მსახიობი ქალი ჯინგცი, რომელმაც მუსიკალური განათლება აშშ-ში მიიღო და ბროდვეის მიუზიკლის ჩინეთში დანერგვაზე ოცნებობს, თავად ძალადობის მსხვერპლი არ არის, თუმცა ეს არაფერს ნიშნავს. ის ამბობს: „ვიდრე ჩინეთში ქალი დაჩაგრულია, ბედნიერი ვერ ვიქნები. ივ ინსლენის პიესის გავლენით ფემინისტი გავხდი. ალბათ ამ პიესას მაინც დავდგამთ და ჩემს როლს გავამდიდრებ სცენებით ჩინელი ქალების ცხოვრებიდან“.

*შტერნი №9*

# მსოფლიოს 72 დღეში შემოუარა



47 წლის ფრანგმა მეზღვაურმა ფრენსის ჯოიონმა ახალი რეკორდი დაამყარა. მან ტრიმარანით სულ 72 დღეში შემოუარა მსოფლიოს და ძველი რეკორდი 14 დღით გააუმჯობესა. იგი მარტო მართავდა იახტას, რომელიც 10 მეზღვაურს უნდა ემართა, 22 ნოემბერს გავიდა საფრანგეთის ჩრდილო-დასავლეთ სანაპიროდან და 3 თებერვალს ბრესტის ნავსადგურში შევიდა. აღსანიშნავია, რომ იგი რამდენიმე საათით ადრე უნდა შესულიყო ბრესტში, მაგრამ უნდოდა, დღისით დაბრუნებულიყო სამშობლოში და სვლა შეანელა. ნელა მიცურავდა მოგზაური ატლანტის ოკეანეშიც, რადგან სატვირთო გემებთან შეჯახებისა ეშინოდა. საშუალოდ მან დღე-ღამეში 600-650 კმ გაიარა.

*მირ ნოვოსტეი №8*

# საინტერესო ფაქტები

...იაპონური სუპერთანამედროვე საკერავი მანქანა წუთში 10 ათას გვირისტს აკეთებს. ამგვარი სიჩქარე ქსოვილს სახიფათოდ ახურებს და საჭირო გახდა მანქანის აღჭურვა გამაგრილებელი სისტემით.

...სამხრეთ ამერიკის მდინარე ამაზონს შეიძლება ვუწოდოთ მტკნარწყლიანი ზღვა. იგი წყნარი ოკეანის ახლოს იღებს სათავეს და ჩაედინება ატლანტის ოკეანეში. ამაზონის სიგრძე 600 კმ-ზე მეტია, სიღრმე — 70 მეტრს აღწევს, დელტის სიგანე — 80 კმ-ს. ამაზონში, ისევე როგორც ნამდვილ ზღვაში, ცხოვრობენ დელფინები, თუმცა მტკნარი წყლისანი.

...სიდნეის საერთაშორისო გამოფენაზე, 1880 წელს ექსპონირებული იყო ქაღალდის... სახლი. კედლები, ჭერი, იატაკი — ქაღალდისგან იყო გაკეთებული. ამ უჩვეულო სახლში რამდენიმე შეხვედრა გაიმართა. სტუმრები ისხდნენ ქაღალდის სკამებზე ქაღალდის მაგიდებთან და საჭმელს (ნატურალურს) ქაღალდის თეფშებიდან მიირთმევდნენ.

...ინგლისელმა სწავლულებმა დაადგინეს, რომ დედამიწის ატმოსფერო ბრუნავს. ამასთან ატმოსფეროს ბრუნვის სიჩქარე ორჯერ აღემატება ჩვენი პლანეტის ბრუნვის სიჩქარეს. 200-300 კმ სიმაღლეზე ატმოსფეროს სიჩქარე საათში 500კმ-ს აჭარბებს.

*ნლო №13*

# ჟურნალ „კარუსელის“ საფირმო კროსვორდი „კვირის პალიტრისთვის“



**შევსების წესი: უპასუხეთ კროსვორდში დასმულ შეკითხვებს და პასუხები შესაბამის გრაფაში ჩაწერეთ. კროსვორდის სწორად ამოხსნის შემთხვევაში გამუქებულ უჯრებში გოეთეს სიტყვებს ამოიკითხავთ.**




**ჩ.** ოდნავ შემჭკნარი ყურძენი; **ვ.** თბილისის ერთ-ერთი უბანი; **ე.** მეგრული კერძი; **ნ.** კუკარაჩას ტაბელური იარაღი; **ი.** ბიბლიური პერსონაჟი, რომელიც საკუთარმა ძმებმა მონად მიჰყიდეს ეგვიპტელებს; **გ.** არითმეტიკული მოქმედება; **ა.** ღმერთი, რომლის შვილადაც გამოაცხადა თავი ალექსანდრე მაკედონელმა; **ზ.** ჭექა-ქუხილის ღმერთი ბერძნულ მითოლოგიაში; **ე.** ზრდილობიანი მიმართვა მამაკაცისადმი მუსლიმანურ ქვეყნებში; **თ.** ვალიკო მიზანდარის მშობლიური ქალაქი; **ი.** ორი ქულა ნარდში; **პ.** ქრისტეს მოციქული, რომელსაც ნერონის მმართველობის დროს მოკვეთეს თავი; **რ.** ბრინჯაოს ძველი ქართული სახელწოდება; **ე.** უძველესი ქართული სახელმწიფო; **ს.** რაიმე მოქმედებისადმი ხალხის აღმძვრელი მიზეზი; **ი.** მდინარე, რომელშიც მოინათლა იესო ქრისტე; **ს.** ჩეხი კომპოზიტორი; **ლ.** თონეში გამომცხვარი მოგრძო, თხელი პური; **ი.** სოფელი თბილისიგორის გზაზე, რომლის გავლისას მძღოლები ტრასაზე ხურდა ფულს ყრიან; **დ.** წისქვილის ქვა; **ე.** განსწავლული ადამიანი; **რ.** საკვების ნორმა განსაზღვრული ვადისათვის; **ი.** ჰომეროსის ნაწარმოები; **ა.** მთა, რომელთანაც გაჩერდა ნოეს კიდობანი.

***წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:***

**დ.** დისპუტი; **ა.** ასინეთა; **ი.** იაშინი; **ს.** სიმენსი; **ვ.** ვიაგრა; **ე.** ენგური; **ნ.** ნოელი; **ე.** ერმაკი; **კ.** კახეთი; **ვ.** ვაიკულე; **ი.** იტალია; **რ.** რურუა; **ი.** ილუმენი; **ს.** სალიერი; **პ.** პკე; **ა.** ალბიონი; **ლ.** ლუიდორი; **ი.** ისთვუდი; **ტ.** ტრუმენი; **რ.** რანგუნი; **ი.** იადონი; **ს.** სკალპი; **ფ.** ფაგოტი; **ე.** ეკალი; **რ.** რეფერი; **ე.** ეტალონი; **ბ.** ბუნგალო; **შ.** შატალო; **ი.** იპონი.

**გამუქებულ უჯრებში იკითხება: სიშმაგე მხიარულებით უნდა გაფანტო.**

# კვირის «მინიკალენდარი»

„კვირის პალიტრა“ დაბადების დღეს ულოცავს ამ კვირაში დაბადებულ მკითხველებს და კვლავ გთავაზობთ სახელგანთქმული ადამიანების „მინიკალენდარს“:



**8 მარტი:**

**კოლაუ ნადირაძე**, პოეტი; **დიმიტრი (დოდო) ალექსიძე**, რეჟისორი; **რუჯერო ლეონკავალო**, კომპოზიტორი; **ანდრეი მირონოვი**, მსახიობი; **ალექსანდრ როუ**, რეჟისორი.

**9 მარტი:**

**ჯულიეტ ბინოში**, მსახიობი; **ამერიგო ვესპუჩი**, მოგზაური; **იური გაგარინი**, პირველი კოსმონავტი მსოფლიოში; **ორნელა მუტი**, მსახიობი; **ადამ ოპელი**, მეწარმე; **რობერტ ფიშერი**, მოჭადრაკე.

**10 მარტი:**

**ლევან გოთუა**, მწერალი; **შერონ სტოუნი**, მსახიობი; **ჩაკ ნორისი**, მსახიობი; **ევა გერციგოვა**, მოდელი.

**11 მარტი:**

**ალექსანდრე ბასილაია**, კომპოზიტორი; **ჰაროლდ ვილსონი**; ბრიტანეთის ყოფილი პრემიერ-მინისტრი; **რუპერტ მერდოკი**, მედიამაგნატი.

**12 მარტი:**

**ანტონ I**, კათალიკოსი, მეცნიერი; **ზურაბ სოტკილავა**, ტენორი; **ლაიზა მინელი**, მომღერალი და მსახიობი; **სტივ ჰარისი**, მომღერალი.

**13 მარტი:**

**მერი დავითაშვილი**, კომპოზიტორი; **მაყვალა ქასრაშვილი**, მომღერალი; **იგორ კიო**, ილუზიონისტი; **სერგეი მიხალკოვი**, პოეტი, დრამატურგი; **ჯოზეფ პრისლი**, ქიმიკოსი, ფილოსოფოსი-მატერიალისტი; **ტომას ენკვისტი**, ჩოგბურთელი.

**14 მარტი:**

**არნოლდ ჩიქობავა**, ენათმეცნიერი, აკადემიკოსი; **ვასილ ამაშუკელი**, პირველი ქართველი კინოოპერატორი; **ელისო ვირსალაძე**, პიანისტი; **ალბერტ ეინშტეინი**, მეცნიერი (ფარდობითობის თეორიის ავტორი); **იოჰან შტრაუსი**, მუსიკოსი, მევიოლინე, დირიჟორი; **ნიკოლას ანელკა**, ფეხბურთელი; **მაიკლ კეინი**, მსახიობი.

# სიტყვათა კონა

**თაჯა** — ჯავახური პური.
**თებო** — თმის ცხიმი და ჭუჭყი.
**თეგი** — მიწაში ჩარჩენილი მსხვილი ძირი მოჭრილი ფიჩხის ან გათიბული ბალახისა.
**თეგი** — ვარაყის დასაკვრელი ხელსაწყო — ტვიფრი.
**თევზიფხური** — ირიბად ნაქსოვი ან ნაგები.
**თეზაფი** (სპ.) — აზოტმჟავასა და მარილმჟავას ნარევი, რომელშიც ოქრო იხსნება.
**თელხი** (კუთხ.) — სიო, ნიავი.
**თემშარა** — სოფლის შარაგზა.
**თეო** — ადგილი ცხვრის ბინის გარშემო, სადაც ძაღლები დარაჯობენ.
**თერძი** — მამაკაცის ტანსაცმლის მკერავი.
**თერხვი** — ქარი ზეფიროსისა და ჭალიკონის საშუალო (საბა).
**თექა** — 1. ნაბდისგან შეკერილი ჩასაცმელი. 2. იგივეა, რაც ნაბადი.
**თექურა** — უხარისხო მატყლისგან მოთელილი ნაბადი (იციან ფშავში, თუშეთში).
**თვალაკი** (სპეც.) — სათვალთვალო ჭუჭრუტანა სხვადასხვა აპარატში.
**თვალედი** — ბადის მსგავსი.
**თვალმაისა** — ლამაზი თვალების პატრონი.
**თვალსაწიერი** (საუბ.) — უშორესი ადგილი, სადამდეც ადამიანის თვალი სწვდება; მხედველობის არე.
**თვითნაბადი** — ბუნებრივად ხალასი (სხვა რამესთან შეურეველი) ლითონის ნაჭერი, მსხვილი მარცვალი (თვითნაბადი ოქრო).
**თვითრჯული** — თავნება, ჯიუტი, კერპი.
**თია** — 1. ცხიმოვანი სიმსივნე. 2. ავადმყოფური ნუჟრი ხეზე. 2. კორძისებური გამაგრება რაიმე შენადნობზე, კერამიკულ ნაკეთობაზე.
**თიაქარი** — რომელიმე შინაგანი ორგანოს (წვრილი ნაწლავის) მუცლის ღრუდან კანქვეშ გამოვარდნა.

# როდის ეწოდა დავით IV-ს აღმაშენებელი?

— გვაინტერესებს, როდის ეწოდა დავით IV-ს აღმაშენებელი — სიცოცხლეში თუ გარდაცვალების შემდეგ?



კითხვაზე უპასუხებს ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი **ჯაბა სამუშია**.

— დავით V აღმაშენებელს ზედწოდება „აღმაშენებელი“ გვიან შეერქვა. თანამედროვენი მას მოიხსენიებდნენ „მეფე დავით“, „მეფეთ-მეფე დავით“ და ა.შ. მოგვიანებით, სახელოვან მეფეს მადლიერი შთამომავლობა იხსენიებს როგორც „დიდ დავითს“. მეფე გიორგი X-ის მიერ, დაახლოებით 1445-1469 წლებში შიომღვიმისადმი გაცემულ სიგელში აღნიშნულია: „კარზედა მოგუადექით და ძუელნი გუჯარნი და განაჩენნი მის სულკურთხეულისა აღმაშენებლის დავითის“ გვაახელითო“. ამიერიდან დავითი ძირითადად სწორედ ზედწოდება „აღმაშენებლით“ იხსენიება. თუ რატომ ეწოდა დავით V-ს აღმაშენებელი, ეს საკმაოდ კარგად აქვს ახსნილი ვახუშტი ბატონიშვილს: „ხოლო მეფესა დავითს ამისთვის ეწოდა აღმაშენებელი, რამეთუ ოდეს იქმნა მეფედ, იყო ქუეყანა ესე სრულიად ოხერ; ამან განავხნა და აღაშენნა, რომელ არღარა ეტეოდა ამით, რამეთუ იყო მოშიში და მოყუარე ღვთისა, გლახაკთა, ქვრივთა და ობოლთა მოწყალე, სნეულთა თვითმსახური, ეკლესიათა, ქსენონთა მაშენებელი“. აქვე აღვნიშნავთ, რომ დავითის V-დ მოხსენიება ნაწილობრივ პირობითია და მკვლევართა მიერაა დადგენილი. იმ შემთხვევაში, თუ ერთიანი საქართველოს მეფეებიდან ავითვლით, მაშინ დავით აღმაშენებელი — დავით ყოფილა. თუ ბაგრატიონთა საგვარეულოში მოღვაწე დავითებს მივიღებთ მხედველობაში, — მაშინ დავით V. ზოგიერთი მკვლევარი დავითს -დაც მიიჩნევდა. ამჟამად, საბოლოოდ დადგენილი და ქართულ ისტორიოგრაფიაში მიღებულია, დავით აღმაშენებლის — დავით V-დ მოხსენიება. დაინტერესებულ მკითხველს კი მივუთითებთ როინ მეტრეველის წიგნს „დავით აღმაშენებელი“, რომელშიც დაწვრილებითაა ასახული საქართველოს ისტორიის ეს საინტერესო ეპოქა.

# სად არიან გაჩეჩილაძეები?

— მართალია თუ არა, რომ ძმები გაჩეჩილაძეები გუდაურში ავტოსაგზაო შემთხვევისას მძიმედ დაშავდნენ. ამბობენ, ლევანს ფეხიც კი მოუტეხიაო. საერთოდ, სად არიან და რატომ აღარ ჩანან ძმები?

*მეკო ნიკოლეიშვილი*



კითხვაზე უპასუხებს **გიორგი გაჩეჩილაძე („უცნობი“)**.

— გუდაურში არც ვყოფილვართ და რა თქმა უნდა, არც ავარია მოგვსვლია. ეს ჭორია და მეტი არაფერი. რაც შეეხება მეორე კითხვას, გიპასუხებთ, რომ საზოგადოებისთვის თავი არასოდეს მოგვიბეზრებია, მით უფრო ახლა. ჩვენი ცხოვრების სტილი სულაც არ არის ტელეეკრანიდან ყოველდღიურად უსარგებლო, არაფრის მომცემი ფრაზებით თავი შევაწყინოთ მაყურებელს...

ჩვენ ჩვენი საქმეებით ვართ დაკავებულები. მე ახალ კლიპს ვიღებ და ალბათ მაყურებელი მას თვის ბოლოს იხილავს, რაც შეეხება ლევანს, ისიც მთლიანად საქმეშია ჩაფლული — ჩუმად, უხმაუროდ აკეთებს იმას, რასაც სხვები, მართალია მოვალენი არიან, მაგრამ არ აკეთებენ (და თუ გააკეთეს, ბევრსაც ყვირიან!). სიკეთე ქვაზე უნდა დადო, მაგრამ არ უნდა ელოდო, წინ დამხვდებაო. ერთი სიტყვით, გულშემატკივარ მკითხველს დავაიმედებ, რომ ძმები გაჩეჩილაძეები მაშინ გამოჩნდებიან საზოგადო თუ პოლიტიკურ ასპარეზზე, როდესაც ამის საჭიროებას დაინახავენ. ამჟამად „ქვეყანაშია ფერები მუქი“, თანაც ბევრი ისეთი ადამიანი ალაპარაკდა, ვისაც საამისოდ არავითარი მორალური უფლება არ გააჩნია.

# რატომ ტირის ნიანგი?

— არსებობს გამოთქმა „ნიანგის ცრემლებით ტირისო“, იქნებ აგვიხსნათ, მართლაც ტირის თუ არა ნიანგი და რატომ?

*მაიკო მინდიაშვილი*



— ნიანგი რომ ტირის, ეს საყოველთაოდ ცნობილია, მაგრამ თუ რატომ, ამ კითხვამ თავის დროზე ადამიანები სერიოზულად დააფიქრა. უძველესი ლეგენდების მიხედვით, ნიანგი თურმე ცხარე ცრემლით „დასტირის“ მსხვერპლს და თან გემრიელად შეექცევა. ამიტომაც გამოთქმა — „ნიანგის ცრემლები“ უკვე კარგა ხანია დამკვიდრდა, როცა ლაპარაკობენ ცბიერ და ორგულ ადამიანზე, რომელიც თავს იკატუნებს, თითქოს ძალიან ეწყინა რაიმე, ანუ ისეთ ადამიანზე, რომლის გულწრფელობაშიც ეჭვი ეპარებათ, იტყვიან — ნიანგის ცრემლებით ტირისო. და მაინც, ტირის თუ არა ნიანგი? ადრე ეგონათ, რომ მას ცრემლი საერთოდ არ ჰქონდა და მისი ტირილი მითურ და პოეტურ გამონათქვამად მიაჩნდათ. მაგრამ შვედმა მეცნიერებმა რანგარ ფანგემ და კნუტ შმიდტ-ნილსონმა ნიანგზე დაკვირვებისას დაადგინეს, რომ ნიანგს მართლაც ზოგჯერ ღვარად ჩამოსდის ცრემლი, თუმცა, მომეტებული მგრძნობელობისგან კი არა... მარილების სიჭარბის გამო. რეპტილიებს საერთოდ ძალზე არასრულყოფილი თირკმელი ჰქონიათ, რომლის „დასახმარებლად“ და ორგანიზმიდან ზედმეტი მარილის გამოსადევნად ევოლუციის პროცესში სპეციალური ჯირკვლები განუვითარდათ. ეს ჯირკვლები კი ნიანგს ზედ თვალებთან აქვს მოთავსებული. და როცა ჯირკვლები აქტიურად მოქმედებენ, ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს მტაცებელი მართლაც ტირის.

# ავტომანქანის მინდობილობით გადაფორმება

— გთხოვთ მიპასუხოთ, სატრანსპორტო საშუალების გენერალური მინდობილობით გადაცემის შემთხვევაში საჭიროა თუ არა ავტოსაგზაო ინსპექციაში რეგისტრაცია და ფასიანია თუ არა ეს მომსახურება?

*რევაზ გამყრელიძე*

კითხვაზე უპასუხებს **რუბენ ფერაძე**, საგზაო პოლიციის მთავარი სამმართველოს პრესსამსახურის თანამშრომელი

— თუ ავტოსატრანსპორტო საშუალების მინდობილობა დამოწმებულია ნოტარიუსის მიერ და ერთი პირი მეორეს გენერალური მინდობილობით გადასცემს საკუთარ ავტომობილს, ამ შემთხვევაში ავტომანქანის ახალმა მესაკუთრემ აუცილებლად უნდა გაატაროს რეგისტრაციაში ავტომანქანა თავის სახელზე. ამისათვის მიმართავს ავტოსაგზაო ინსპექციას საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, შეავსებს სპეციალურ ფორმას, რის შემდეგაც ჩაითვლება ავტომობილის ფაქტობრივ მფლობელად. ეს მომსახურება ავტოსაგზაო ინსპექციაში უფასოა. არსებობს სხვა გზაც, მაგალითად, ავტოსაგზაო ინსპექცია თავად იძლევა ავტომანქანის ტარების მინდობილობას. თუ მოქალაქეს სურს მეორე პირს ანდოს მის მფლობელობაში მყოფი ავტოსაგზაო საშუალება (ავტომობილი), მას შეუძლია მიმართოს უშუალოდ საგზაო ინსპექციის რაიონულ განყოფილებას საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. დაწეროს განცხადება, სადაც აღნიშნული იქნება მოქალაქის ვინაობა, საცხოვრებელი ადგილი, მინდობილობით გადასაცემი ავტომობილის ტექნიკური პასპორტის სერია და ნომერი, ასევე იმ პირის ვინაობა, ვისაც გადასცემს ავტომობილს მინდობილობით (ტარების უფლებით). ეს მომსახურებაც ასევე უფასო გახლავთ. თუმცა გასათვალისწინებელია ის ფაქტორი, რომ მსგავს მინდობილობას ავტოსაგზაო ინსპექცია გასცემს მხოლოდ ტარების უფლებით და განსაზღვრული ვადით (3, 5 და 7 წლით).

# ისევ უნივერსიტეტში მისაღები გამოცდების შესახებ

— თქვენი გაზეთის წინა ნომერში წავიკითხე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მისაღები გამოცდების შესახებ. მაინტერესებს, დაუსწრებელი განყოფილებების ბედი. მართლაც უფასოა ზოგიერთი მათგანი თუ არასწორად გავიგე. იქნებ მისაღები გამოცდების ვადებიც დაგვიზუსტოთ.

*მიხეილ ბექაური*

*გასულ ნომერში, ანალოგიური შეკითხვის პასუხში დაუზუსტებელი ინფორმაცია გაიპარა. შემდგომში გაურკვევლობის თავიდან ასაცილებლად კიდევ ერთხელ გაწვდით ინფორმაციას მისაღები გამოცდების თაობაზე.*

კითხვაზე უპასუხებს ბ-ნი **ემილ კოპალიანი**, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიმღები კომისიის პასუხისმგებელი მდივნის მოადგილე.

— უნივერსიტეტის ყველა დაუსწრებელი განყოფილება ფასიანია და ამ მხრივ, არაფერი შეცვლილა. უბრალოდ, ამ განყოფილებებზე გაუქმდა მისაღები გამოცდები. დაუსწრებელ განყოფილებაზე სწავლების მსურველი შეავსებს სპეციალურ ბლანკს და წარმოადგენს საბანკო ქვითარს, იმის დასტურად, რომ ამა თუ იმ ფაკულტეტისთვის დადგენილი საზღაური გადახდილია. ამის შემდეგ იგი უგამოცდოდ ჩაირიცხება უნივერსიტეტში. რაც შეეხება ვადებს: არასაბიუჯეტო (ანუ ფასიან) სექტორზე გამოცდები ჩატარდება 15 ივლისიდან, ხოლო საბიუჯეტო (ანუ უფასო) სექტორზე — 18 ივლისიდან.


„ალუმინის“ ფირმის

მეტალოპლასტმასის კარ-ფანჯრები

ძალიან იაფად

ფერები: თეთრი, ნაბლის ტექსტურით, მუხა, მუქი მუხა, მაკაგონი, წითელი ხე და ა.შ.

ჩვენი პროფილი — 3-კამერიანია

მის: წერეთლის 141 მ. „დიდუბის“ გვერდით

☎ 26-30-50; 34-49-40; 61-32-37; 899-51-51-09; 899-902-091; ტფაქსი: 966-779



ამერიკა-ისრაელის ერთობლივი წარმოება

უნივერსალური სასათბურე ფირები

გარანტირებული დაცვა
- მზის მავნე გამოსხივებისაგან
- ვირუსებისა და მწერებისაგან
- ცვარისაგან
- ტემპ. ცვალებადობისაგან
- მოყინვისა და ჩახურებისაგან
- გარანტია = 2 წ; 3 წ

სიახლე

მრავალწლიანი პრაქტიკული გამოცდილებით საქართველოში

შპს შალი, თბილისი, მარჯანიშვილის 5
ტელ: 267888; 969164; ტელ/ფაქსი: 969195;
მობ: 8.99. 569195; 899 931110

ამერიკა-ისრაელის ერთობლივი წარმოება


საქართველოს ეროვნულმა ბანკმა 6 მარტიდან დაადგინა ლარის მიმართ უცხოური ვალუტის შემდეგი კურსი:

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1,9000 |
| ევრო | 2,3146 |
| ინგლ. გირვანქა სტერლინგი | 3,4567 |
| რუსული რუბლი | 0,0664 |
| თურქული ლირა (1.000.000) | 1,4313 |

CMYK

# ჟირესი თბილისს ეწვია

## კონტრაქტის გაფორმება კვლავ გადაიდო

თბილისს ეწვია 80-იანი წლების ცნობილი ფრანგი ფეხბურთელი ალან ჟირესი, რომელიც საქართველოში ჩვენი ნაკრების მთავარი მწვრთნელის პოსტზე კონტრაქტის გასაფორმებლად ჩამოვიდა.

ჟირესის კანდიდატურა მას შემდეგ გახდა აქტუალური, რაც ანრი მიშელმა უარი განაცხადა ქართველთა თავკაცობაზე, ანატოლი



ბიშოვეცის კანდიდატურა კი მრავალი ობიექტური მიზეზის გამო დაიწუნეს.□

ალან ჟირესმა თბილისში ყოფნისას დაათვალიერა საქართველოს ნაკრების ბაზა, ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნული და „ლოკომოტივის" სტადიონები, იყო საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაში, დაესწრო თბილისის „დინამოსა" და „სამგურალის", ასევე „ლოკომოტივი" — „თბილისის" მატჩებსაც, სადაც ნაკრების რამდენიმე კანდიდატიც თამაშობდა.

ჟირესის კომენტარი ასეთი გახლდათ:

„მოხარული და სასიამოვნოდ გაოცებული ვარ ასეთი გულთბილი დახვედრით. ბუნებრივია, ადვილი არ არის ამ ძალზე საპასუხისმგებლო პოსტის ჩაბარება, ამიტომაც გადავწყვიტე, რომ დეტალურად გავცნობოდი საქართველოში არსებულ სიტუაციას.

მოგახსენებთ, რომ ჩემი ხელმძღვანელობით გუნდებს ყოველთვის ამბიციური მიზნები აქვთ. საქართვლოს ნაკრებში მუშაობისას ვეცდები, რომ მაქსიმალურად კარგი შედეგები ვაჩვენოთ. ვიცი ის სირთულეები, რაც მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპისას საქართველოს ნაკრებს ელის. თუმცა, ამ სირთულეთა დაძლევა შესაძლებელია და ჩვენი ძალისხმევა აქეთკენ უნდა მივმართოთ."

და კიდევ ერთი მეტად საინტერესო და საგულისხმო დეტალი — ანრი მიშელის სტუმრობისას ნაახალწლევს ფრანგ მწვრთნელს სახელმწიფო ოფიციალური წარმომადგენლებიდან არავინ დახვედრია. ეს გასაკვირი იყო □თუნდაც იმიტომ, რომ მიშელის რანგის სტუმრებით ქართული ფეხბურთი არაა განებივრებული. ამჯერად კი სიტუაცია შეიცვალა — ალენ ჟირესს სპორტის სახელმწიფო მოხელეები თბილისში ყოფნისას გვერდიდან არ მოსცილებიან.

კვირას ალან ჟირესმა თბილისში პრესკონფერენცია გამართა, ვარაუდობდნენ, რომ იგი თბილისშივე გააფორმებდა კონტრაქტს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციასთან, თუმცა ფრანგმა თავის ადვოკატებთან კონსულტაციამდე კონტრაქტის გაფორმება არ ისურვა. გადაწყდა, რომ ფრანგი სპეციალისტი საფრანგეთში დაბრუნდება, პარიზში მასთან ერთად გაემგზავრება ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი მერაბ ჟორდანია, სწორედ ამ შეხვედრისას გაირკვევა ჟირესისა და საქართველოს ნაკრების შემდგომი თანამშრომლობის საკითხიც.

# საქართველო — რუსეთი 9:3

## მორაგბეებმა ძველებურად გაგვახარეს

გაიმართა ევროპის ერთა თასის გათამაშების მორიგი მატჩი რაგბიში საქართველოსა და რუსეთის ნაკრებებს შორის. ამ გუნდების შერკინება ყოველთვის დიდი დაძაბულობითა და უშეღავათო ბრძოლით გამოირჩევა. 1996 წლიდან მოყოლებული, საქართველოს ნაკრები მერვედ დაუპირისპირდა რუსეთის ნაკრებს, შვიდი მატჩიდან ჩვენებს ექვსი ჰქონდათ მოგებული. ერთი თამაში ფრედ დასრულდა.

რუსეთთან მატჩზე დასასწრებად თბილისს საგანგებოდ ეწვია ბორჯღალოსანთა ყოფილი მწვრთნელი, ფრანგი კლოდ სორელი, ვის სახელთანაცაა დაკავშირებული ქართული რაგბის აღორძინება.

წლევანდელი ერთა თასის გათამაშება ბორჯღალოსნებმა არცთუ დამაჯერებლად დაიწყეს, რაც რუსებს იმედს უტოვებდა, რომ



შეძლებდნენ ტრადიციის დარღვევას, თუმცა, წინა შეხვედრებისგან განსხვავებით, ქართველ ბორჯღალოსნებს ძველი გვარდიის წარმომადგენლებიც შეემატნენ. მევლუდ მთიულიშვილი, ვიქტორ დიდებულიძე, პალიკო ჯიმშელაძე, გია ლაბაძე, ილია ზედგინიძე საკმაოდ დიდი ძალაა გუნდისთვის. თუ გავითვალისწინებთ, რომ ათამდე სპორტსმენი ტრავმირებულია, აშკარა გახდება, სამომავლოდ რა დიდია ჩვენი ნაკრების პოტენციალი.

რუსეთის ნაკრებთან მატჩი ქართველმა ბორჯღალოსნებმა აგრესიულად დაიწყეს და მთელი პირველი ტაიმის განმავლობაში ფლობდნენ უპირატესობას. ჩვენები პალიკო ჯიმშელაძის არეკნითა და ზუსტად შესრულებული საჯარიმოთი პირველივე ტაიმში დაწინაურდნენ — 6:0. გარდა ამისა, პირველ ტაიმში ჩვენმა გუნდმა სამი საჯარიმო დარტყმა ზუსტად ვერ შეასრულა.

მეორე ტაიმი რუსებმა უფრო აქტიურად წარმართეს, მათ შეძლეს რაჩკოვის საჯარიმოთი ანგარიშის შემცირება, თუმცა, მატჩის მომდევნო მონაკვეთისას ქართველებმა არ მისცეს მათ მეტის გაკეთების საშუალება. მატჩის მიწურულს კი ოთარ ბარკალაიას ზუსტად დარტყმული საჯარიმოთი კიდევ უფრო გაზარდეს ანგარიში.

ბორჯღალოსნებმა თამაში დამსახურებულად მოიგეს 9:3.

**ალექსანდრ პერვუხინი** (რუსეთის ნაკრების მთავარი მწვრთნელი):

— ჩვენი წინა შეხვედრა კრასნოდარში გაცილებით უკეთესი იყო სანახაობრივი თვალსაზრისით.

თითქმის ბავშვური შეცდომები დავუშვით. დერეფანი წავაგეთ, ვერ ვივარგეთ შერკინებაში. ფსიქოლოგიური თვალსაზრისითაც ვერ შეძლო გუნდმა თამაშისთვის განწყობა. ეროვნული ნაკრებისთვის ამდენი წუნი, მართლაც რომ დაუშვებელია.

**მიხეილ ბურძგლა** (საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელი):

— ვგეგმავდით, რომ აგრესიულად გვეთამაშა დაცვაში. დარწმუნებულები ვიყავით, ასეთი თავგამოდების შედეგად რუსებს ბევრ პრობლემას შევუქმნიდით. ჩვენი ვარაუდი გამართლდა — პირველ ნახევარში საკმაოდ კარგად ვითამაშეთ. მეორე ნახევარი სულ სხვაგვარად წარიმართა. ბევრი ბურთი უაზროდ დავკარგეთ. მეტოქის ტაქტიკა კონტრშეტევის მშვენიერ შესაძლებლობას იძლეოდა. ტექნიკურად ცუდად იყო შესრულებული საჯარიმოები. ვერც ის უპირატესობა გამოვიყენეთ, რაც პირველ ტაიმში გვქონდა. მახო ურჯუკაშვილისა და თედო ზიბზიბაძის ცენტრში თამაში სიახლეა, ვფიქრობ, რომ ამან გაამართლა. რუსებმა აქცენტი გრძელ გადაცემებზე აიღეს. მახოსა და თედოს მონდომებამ კი შედეგი გამოიღო და სწორედ ეს რგოლი იყო ხელისშემშლელი იმისა, რომ რუსების გეგმა ვერ განხორციელდა. ჩვენ ყურადღება გადავიტანეთ დერეფნის მოგებაზე...

ბოლო ხანს გუნდში საინტერესო ახალგაზრდები გამოჩნდნენ — ლექსო გუგავა, ოთარ ბარკალაია, ბიძინა სამხარაძე, მერაბ კვირიკაშვილი, მამუკა გორგოძე, ლაშა ფირფილაშვილი... ამათ დავუმატოთ წამყვანი ახალგაზრდა მოთამაშეები მახო ურჯუკაშვილი და თედო ზიბზიბაძე (ორივე 1980 წელს არიან დაბადებულნი). სწორედ ამ მოთამაშეებზე ავაგებთ მომავლის ნაკრებს.

არ მოველოდი თუ რუსები ასე ზღვარს გადაცილებული უხეშობით ითამაშებდნენ. მათ თედო ზიბზიბაძეს და მახო ურჯუკაშვილს სერიოზული ტრავმები მიაყენეს. ბუნებრივია, მეტოქისადმი ასეთი დამოკიდებულება რაგბის დაწერილი თუ დაუწერელი წესებისგან საკმაოდ შორსაა.

# გოგა გახოკიძე თებერვლის ნომინანტთა შორის

მეტად საინტერესო ინიციატივით გამოვიდა რუსული გაზეთი „სპორტ ექსპრესი"— ყოველთვიურად გამოვლენილიყო პოსტსაბჭოთა სივრცის საუკეთესო შვიდი ფეხბურთელი. ამ გაზეთმა იანვრიდან იდეას ხორცი შეასხა. პირველი გამოკითხვისას შვიდეულში ორი ქართველი — ვიტალი დარასელია და შოთა არველაძე მოხვდა. სასიხარულოა, რომ თებერვლის საუკეთესო ფეხბურთელების დასახელების დროსაც არ გამორჩენიათ ჟურნალისტებს ქართველი ფეხბურთელები.



თებერვალში ნომინანტთა შორის, **ანდრეი შევჩენკოსა** და **ვალერი კარპინის** შემდეგ, მესამე ნომრად დასახელდა ჰოლანდიური „ტვენტეს" ნახევარმცველი **გოგა გახოკიძე**. გოგამ თებერვალში ჰოლანდიის თასსა და ჩემპიონატში ხუთი მატჩი ითამაშა, ორი გოლი გაიტანა და სამი საგოლე გადაცემა მიითვალა. აქვე აღსანიშნავია ისიც, რომ ამჟამად საქართველოს ნაკრებიდან ალბანეთის მატჩის ინციდენტის შედეგად შერისხული ფეხბურთელი ჰოლანდიაში მეგოლეთა საუკეთესო ასისტენტების სიას 13 შედეგიანი გადაცემით ლიდერობს.

გახოკიძე ლიტვის „რესპუბლიკამ" პირველ, უზბეკეთის „ფუტბოლ ექსპრესმა" მეორე, ქართულმა „სარბიელმა", მოლდოვურმა „ნეზავისიმაია მოლდოვამ", რუსულმა „ინტერფაქსმა" და უკრაინულმა „კომონდამ" მესამე ნომრად დაასახელა.

საუკეთესოთა შვიდეულში IV-VII ადგილები ერგოთ **მაქსიმ რომაშჩენკოს** (ბელორუსი), **ალექსეი სმერტინსა** და **ალექსანდრ მოსტოვოის** (ორივე რუსეთი) და **ალექსანდრ გლებს** (ბელორუსი).

გახოკიძის წარმატებული თამაშის შემდეგ საუბრობენ იმაზეც, რომ ჩვენებურს ხუთმატჩიანი დისკვალიფიკაციიდან დარჩენილი სამი მატჩი აპატიონ და ნაკრებში დააბრუნონ.

თუკი გავითვალისწინებთ, რომ საქართველოს ნაკრები არაა განებივრებული ევროპულ ასპარეზზე წარმატებით მოთამაშე ფეხბურთელებით, ეს ნაბიჯი მართლაც წაადგება ქართული ფეხბურთის ინტერესებს.

# უეფას თასი მეთექვსმეტედფინალი საპასუხო შეხვედრები

**ბარსელონა (ესპანეთი)** — ბრონდბიუ (დანია) 2:1 (1:0)
**გენჩლერბირლიგი (თურქეთი)** — პარმა (იტალია) 3:0 (1:0)
რუსენბორგი (ნორვეგია) — **ბენფიკა (პორტუგალია)** 2:1 (0:1)
დნიპრო (უკრაინა) — **მარსელი (საფრანგეთი)** 0:0 (0:1)
ტეპლიცე (ჩეხეთი) — **სელტიკი (შოტლანდია)** 1:0 (0:3)
**ეინდჰოვენი (ჰოლანდია)** — პერუჯა (იტალია) 3:1 (0:0)
**ბორდო (საფრანგეთი)** — გროცლინი (პოლონეთი) 4:1 (1:0)
ბეშიქთაში (თურქეთი) — **ვალენსია (ესპანეთი)** 0:2 (2:3)
**ვილიარეალი (ესპანეთი)** — გალათასარაი (თურქეთი) 3:0 (2:2)
დებრეცენი (უნგრეთი) — **ბრიუგე (ბელგია)** 0:0 (0:1)
**ინტერი (იტალია)** — სოშო (საფრანგეთი) 0:0 (2:2)
ლევსკი (ბულგარეთი) — **ლივერპული (ინგლისი)** 2:4 (0:2)
**მალიორკა (ესპანეთი)** — სპარტაკი (რუსეთი) 0:1 (3:0)
**რომა (იტალია)** — გაზიანთეფსფორი (თურქეთი) 2:0 (0:1)
პანათინაიკოსი (საბერძნეთი) — **ოსერი (საფრანგეთი)** 0:1 (0:0)
**ნიუკასლი (ინგლისი)** — ვოლერენგა (ნორვეგია) 3:1 (1:1)

## მერვედფინალში გუნდები ასე დაწყვილდნენ:

1. სელტიკი — ბარსელონა
2. გენჩლერბირლიგი — ვალენსია
3. ბორდო — ბრიუგე
4. ნიუკასლი — მალიორკა
5. ოსერი — ეინდჰოვენი
6. ინტერი — ბენფიკა
7. ლივერპული — მარსელი
8. ვილიარეალი — რომა

მატჩები გაიმართება 11 და 25 მარტს. პირველი შეხვედრები გაიმართება წყვილში პირველად დასახელებული გუნდების მოედნებზე.

# ტოტის „ჩელსი" და „რეალი" ეპატიჟება

„სკაი სპორტისთვის" მიცემულ ექსკლუზიურ ინტერვიუში საფეხბურთო კლუბ „რომას" სპორტულმა დირექტორმა ფრანკო ბალდინიმ განაცხადა, რომ გუნდის ხელმძღვანელობამ მიიღო რამდენიმე წინადადება „რომას" თილისმისა და წამყვანი ფეხბურთელის, ფრანჩესკო ტოტის გაყიდვასთან დაკავშირებით.

მას შემდეგ, რაც რუსულმა „ნეფტა მოსკვამ" ვერ გარისკა იტალიური კლუბის შეძენა, მძიმე ფინანსურ მდგომარეობაში მყოფი გუნდი პირისპირ აღმოჩნდა ურთულეს პრობლემებთან. ამდენად, ლიდერის გაყიდვა მოიაზრება ამ სირთულეებიდან თავის დაღწევის ერთადერთ საშუალებად.



„ჩემი ვალია, კლუბის დირექტორთა საბჭოს წარვუდგინო ყველა შემოსული წინადადება, — აცხადებს ბალდინი, — მე ეს უკვე გავაკეთე, ახლა მათი ჯერია მიიღონ გადაწყვეტილება."

ბალდინი დასძენს იმასაც, რომ მას უფრო მეტი ინფორმაცია აქვს, თუმცა ყველაფრის თქმისგან თავს იკავებს, რადგანაც არ სურს საკუთარ უფლებამოსილებას გადაამეტოს.

როგორც ვარაუდობენ, ტოტის მსურველთა შორის უპირველესად „ჩელსი" და „რეალი" არიან.

# ვენგერი კოლეგას ამხნევებს



ლონდონის „არსენალის" ფრანგი თავკაცი არსენ ვენგერი აღაშფოთა მუქარამ, რომელმაც რამდენიმე ხნის წინ გაიჟღერა „ლივერპულის" მთავარი მწვრთნელის ჟერარ ულიესა და ამავე გუნდის წამყვანი ფეხბურთელის მაიკლ ოუენის მისამართით. ლივერპულელებს დაუდგენელი პირები სიკვდილით ემუქრებიან.

ვენგერმა თავისი თანადგომა საკუთარი გამოცდილების გაზიარებით გადაწყვიტა. ინგლისურ „სანთან" საუბრისას მან გაიხსენა ათიოდე წლის წინ მომხდარი არასასიამოვნო ამბავი, რაც თავად შეემთხვა. „მონაკოში" მუშაობისას ვენგერისთვის ვილაცას დაურეკავს და უთქვამს, რომ მოკლავდნენ, თუკი გაბედავდა და „მარსელთან" მატჩისას მივიდოდა სტადიონზე. ვენგერი კი არათუ მივიდა სპორტულ არენაზე, საკმაოდ დამაჯერებლადაც დაამარცხა მეტოქე.

ფრანგი ლივერპულელებს მოუწოდებს, რომ არად ჩააგდონ მუქარა და ფსიქოლოგიურად განეწყონ მომავალი წარამატებული თამაშებისთვის.

***გვერდი მოამზადა გიგა ხირსელმა***

შავი ყვითელი ლურჯი წითელი

## №9 (387) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის შედეგები

რეიტინგს 583 მკითხველი გამოეხმაურა. 3 ბარათი არასწორად იყო შევსებული. 241-მა ქალმა და 339-მა მამაკაცმა უპასუხა კითხვას: **„რომელი ქართული ტელეგადაცემის ნოსტალგია გაქვთ ყველაზე მეტად?“**

როგორც შედეგებმა გვიჩვენა, რესპონდენტთა უმრავლესობას — დაახლოებით 52%-ს ყველაზე მეტად „ვის უნდა ოცი ათასი“ ენატრება. **6,84** საშუალო ქულით ერთ დროს ყველაზე მაღალრეიტინგული გადაცემა დღევანდელ რეიტინგშიც პირველ ადგილზეა.

შემდეგ ადგილზეა გადაცემა „60 წუთი“, საშუალო ქულაა 5,74. რესპონდენტთა 18%-მა დაუწერა მას მაქსიმალური — 8 ქულა. მინიმალური ქულით კი მხოლოდ 1%-მა შეაფასა.

მკითხველებს ასევე მონატრებიათ კოკა ყანდიაშვილის გადაცემა „რა ხდება“, საშუალო ქულაა 4.98.

როგორც ვხედავთ, სულ მცირე სხვაობით ჩამორჩება მას „ხალხის პირისპირ“. უნდა აღინიშნოს, რომ კოკა მანდილოსანთა ფავორიტია — ქალი რესპონდენტები ამ ორ გადაცემას შორის აშკარა უპირატესობას „რა ხდებას“ ანიჭებენ. რესპონდენტთა 9%-მა შეაფასა იგი მაქსიმალური — 8 ქულით.

მკითხველები დაახლოებით ერთნაირი ხარისხით განიცდიან სერიალის „ძილის წინ“ და ინგა გრიგოლიას „ღამის მზერის“ ნოსტალგიას.

ყველაზე ცოტა რაოდენობის მაქსიმალური ქულა (0,5%) დაიმსახურა გადაცემამ — „რას ფიქრობს ხალხი“ და დღევანდელ რეიტინგში 2.42 საშუალო ქულით იგი სულ ბოლო ადგილზეა.




საპრიზოს ზუსტად მხოლოდ ერთი ბარათი-რეიტინგი დაემთხვა. ჩვენი გამარჯვებული 69 წლის თბილისელი **თამაზ ხარაზაძეა.**

გამარჯვებულს ვულოცავთ და პრიზის — 100 ლარის მისაღებად ველით რედაქციაში ოთხშაბათს, 10 მარტს, 17 საათზე.

## №10 (388) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგი

„კვირის პალიტრა“ თავისი მკითხველებისთვის აწყობს გამოკითხვებს სხვადასხვა საინტერესო საკითხზე, რაც საშუალებას მოგვცემს (ჩვენ და თქვენ), გავიგოთ საზოგადოების აზრი ამა თუ იმ მოვლენაზე, ფაქტზე და ა. შ.

გარდა ამისა, გამოკითხვა-რეიტინგები საპრიზოა, საპრიზო ფონდით —

# 100 ლარი

თქვენ მიერ შედგენილი რეიტინგებით დგება ერთი საერთო რეიტინგი, რომელიც გამოქვეყნდება „კვირის პალიტრის“ მომდევნო ნომერში გამარჯვებულის ვინაობასთან ერთად.

პრიზს მიიღებს გამოკითხვის ის მონაწილე, რომლის მიერ შედგენილი (და, რა თქმა უნდა, რედაქციაში გამოგზავნილი) რეიტინგიც დაემთხვევა საშუალოს.

საპრიზო გამოკითხვაში შემოთავაზებული თემების თითოეული გრაფისათვის მკითხველთა მიერ დაწერილი ქულები ჯამდება და შემდეგ იყოფა რეიტინგის მონაწილეთა რაოდენობაზე, რაც გვაძლევს ამ გრაფის საშუალო ქულას.

რამდენიმე გამარჯვებულის შემთხვევაში, საპრიზო ფონდი მათ შორის განაწილდება, ხოლო თუ არც ერთი მკითხველის რეიტინგი არ დაემთხვა საშუალოს, პრიზს მიიღებს მასთან ყველაზე მიახლოებული ვარიანტის ავტორი.

იმ შემთხვევაში, თუკი მიახლოებული ვარიანტიც არ იქნება, თანხა ემატება შემდეგი რეიტინგის საპრიზო ფონდს.

* საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის ბარათის შევსებისას ნუ დაგავიწყდებათ, უპასუხოთ დამატებით კითხვასა და **«მკითხველის პრემიას»**.

№10 (388) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის ბარათი რაიონებში განთავსებულ „კვირის პალიტრის“ საფოსტო ყუთებში მოათავსეთ ოთხშაბათის, 10 მარტის 10 საათამდე, თბილისში — ხუთშაბათის, 11 მარტის 13 საათამდე.

© თბილისი

**რეიტინგის ბარათები პარალელურად იბეჭდება ჟურნალ „რეიტინგშიც“. თქვენ შეგიძლიათ ამოჭრათ ისინი, შეავსოთ და მითითებულ ვადებში გამოგვიგზავნოთ „კვირის პალიტრის“ საფოსტო ყუთების საშუალებით. აღნიშნული ბარათებით ისევე მიიღებთ მონაწილეობას კონკურსში, როგორც „კვირის პალიტრიდან“ ამოჭრილი ბარათებით.**

თემა №10(388) — „ვარდების რევოლუცია“

**თქვენი აზრით, ვის მიუძღვის ყველაზე დიდი წვლილი „ვარდების რევოლუციაში“** (ჩამოთვლილთაგან)? დაუწერეთ მას 8 ქულა, მომდევნოს — 7 და ა.შ. 1-მდე.

**№10(388) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგი**

| № | | ქულა |
|---|---|---|
| 1 | მიხეილ სააკაშვილი | |
| 2 | ჯორჯ სოროსი | |
| 3 | ნინო ბურჯანაძე | |
| 4 | რიჩარდ მაილსი | |
| 5 | ედუარდ შევარდნაძე | |
| 6 | გიორგი ბარამიძე | |
| 7 | ზურაბ ჟვანია | |
| 8 | ელდარ შენგელაია | |

**დამატებითი კითხვა**

როგორ შეაფასებდით საქართველოში დემოკრატიის ხარისხს?

| | | | |
|---|---|---|---|
| 1. ძალიან მაღალი | | 4. დაბალი | |
| 2. მაღალი | | 5. ძალიან დაბალი | |
| 3. საშუალო | | 6. მიჭირს პასუხის გაცემა | |

*(შესაბამისი უჯრა გადახაზეთ)*

**მკითხველის პრემია**

დაასახელეთ ნომრის საუკეთესო ჟურნალისტური ნამუშევარი

✓ ______________________

______________________
თქვენი სახელი, გვარი

______________________
ქალაქი (რაიონი)

__________ ასაკი __________ ტელეფონი

თუ საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგში მონაწილეობის მისაღებად რამდენიმე ბარათს ავსებთ, გთხოვთ, „დამატებით კითხვასა“ და „მკითხველის პრემიაში“ მხოლოდ ერთხელ (ერთ ბარათში) დააფიქსიროთ თქვენი აზრი.

**ყურადღება! „კვირის პალიტრის“ საფოსტო ყუთებში მითითებულ დროზე გვიან მოთავსებული ბარათები კონკურსში არ მონაწილეობს!**

## მკითხველის რეიტინგის შედეგები

**დღეს რომ საპარლამენტო არჩევნები იყოს, რომელ პარტიას/ბლოკს მისცემდით ხმას?**

| | | |
|---|---|---|
| 1. | ნაციონალური მოძრაობა | 59.6% |
| 2. | ლეიბორისტული პარტია | 14.7% |
| 3. | მოძრაობა თავისუფლება | 5.7% |
| 4. | მემარჯვენე ოპოზიცია | 5.2% |
| 5. | ერთობა | 1.8% |
| 6. | ედპ-ტრადიციონალისტები | 1.4% |
| | სხვა პარტიები | 2.3% |
| | მიჭირს პასუხის გაცემა/ჯერ არ გადამიწყვეტია | 4.2% |
| | არც ერთი | 5.1% |

*მკითხველის რეიტინგში 495 რესპონდენტი მონაწილეობდა*

## ·ფოტოპალიტრა· © ფოტოანტიკვარი

*გთავაზობთ თქვენთვის ნაცნობი პიროვნებების ფოტოებს. გთხოვთ, პასუხები გამოგვიგზავნოთ „კვირის პალიტრის“ საფოსტო ყუთების საშუალებით. ყველაზე ორიგინალური პასუხები გამოქვეყნდება გაზეთის შემდეგ ნომერში.*

რას დაარქმევდით?

______________________
______________________
______________________
______________________

თქვენი სახელი, გვარი ______________
ქალაქი (რაიონი) ______________



ზურაბ ჟვანია, გიორგი ბარამიძე, ირინა სარიშვილი-ჭანტურია

**„ფოტოანტიკვარში“ მკითხველებმა ვინ აღარ „ამოიცნეს“ — ნინი ბადურაშვილი, თიკა ჯამბურია, ბუკა მანაგაძე...**

**რესპონდენტთა 6%-მა ამ პატარა გოგონაში ლელა წურწუმია „შეიცნო“. დასახელდნენ ასევე, თამრიკო ჭოხონელიძე, ნინო ქათამაძე... უნდა აღინიშნოს, რომ დასახელებულთა შორის უმრავლესობა ქართული ესტრადის ახალგაზრდა წარმომადგენლია.**

**მკითხველთა 77%-მა კი სწორად ამოიცნო ამ პატარას ვინაობა — დიახ, თქვენ წინაშეა ქეთა თოფურიას ბავშვობის ფოტო.**





ზურა ნიკოლაიშვილის მეგობრული შარჟი



ქეთა თოფურია, ერთი წლის





— თქვენს პორტრეტს ვამთავრებ, — უთხრა პიკასომ მანდილოსანს, რომელსაც ხატავდა, — ახლა კი, მაქსიმალურად მოინდომეთ, რომ დაემსგავსოთ მას...

**14/III ☾**

**უკანასკნელი მეოთხედი**

**მაგნიტური დღეებია:**

**8/III 7-დან 10 საათამდე**
**14/III 20-დან 22 საათამდე**

## წინა ნომრის კროსვორდის პასუხები

**თარაზულად:** 1. გალერეა; 4. პარკეტი; 6. ბიოკო; 7. გარდე; 8. იმაგო; 9. იდენი; 10. იემენი; 13. კლოუნი; 16. კაასი; 18. ბინოკლი; 19. რენონსი; 20. ომარი; 22. ტრუსიე; 23. სოროსი; 25. გეტრი; 27. იტონი; 28. იჯარა; 29. ტიტრი; 30. იალქანი; 31. ათინათი.

**შვეულად:** 1. განრიტური; 2. აბიგაილი; 3. მოკრძალება; 4. პოკემონი; 5. ინდუქტორი; 11. მენიუ; 12. ნეკნი; 14. ლონგო; 15. უზნეო; 16. კიო; 17. ირი; 21. ასტრონავტი; 22. ტელესკოპი; 24. იზოლატორი; 25. გვირისტი; 26. იმიტაცია.






**თარაზულად:** 1. ცხოველი ავსტრალიის გერბზე; 4. კომპოზიტორი და მევიოლინე, ბალეტების — „დონ კიხოტისა“ და „ბაიადერას“ შემქმნელი; 6. ყველაზე დიდი მეოცნებე ადმირალის წოდებისადმი; 7. საქართველოში გაზის მომწოდებელი რუსული კომპანია; 8. სტივენ სომერსის ცნობილი ბლოკბასტერი; 9. ვედიზმის მიხედვით: ჭექა-ქუხილისა და ქარიშხლის ღმერთი; ღმერთების ხელმწიფე; 10. ყველაზე ცნობილი პიონერული ბანაკი ყოფილ საბჭოთა კავშირში; 13. რაიმე მოძღვრების მომხრე, დამცველი; 16. ცურვის სტილი; 18. ერთი და იმავე მოძრაობის მრავალჯერადი გამეორება; 19. მდინარე აფრიკაში, ცნობილი აგრეთვე მსოფლიოს ერთ-ერთი უდიდესი ჩანჩქერით; 20. ძვ. ქართული კულტურის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კერა სამხრეთ საქართველოში, ისტ. კლარჯეთში; 22. თათბედნიერი მეკვლე მოკლემეტრაჟიანი ფილმიდან „კუჩხი ბედინერი“; 23. მგალობელი ფრინველი ბელურების ოჯახისა; 25. ქოქოსის კაკლის გული; 27. ჰერმან ჰესეს 1927 წელს დაწერილი რომანი „ტრამალის ...“; 28. დანაყოფებიანი სახაზავი ან ციფერბლატი სხვადასხვა ხელსაწყოში; 29. მდინარე გერმანიაში; 30. დიდი კავკასიონის უმაღლესი მწვერვალი; 31. ეკლესიიდან განდევნა;

**შვეულად:** 1. ცხენოსანი ჯარი; 2. პოპულარული ინგლისელი მომღერალი და ხულიგანი; 3. დრამატულ ან საოპერო ნაწარმოების აქტებს შორის ჩართული კომიკური ხასიათის სცენა; 4. მსოფლიოს უდიდესი სტადიონი; 5. მიზნის მისაღწევად ფარული, საძრახისი ხრიკებით მოქმედი ადამიანი; 11. სიტყვა, რომელიც მიუთითებს ძრავას სიმძლავრის გადიდებას; 12. ერთ-ერთი პირველი დისციპლინა ბერძნულ ოლიმპიურ თამაშებში; 14. გრძელყურა პატარა სპილო მულტფილმიდან „ყურშა“; 15. აბატი, რომელმაც მსოფლიოს მოუთხრო კავალერ დე გრიესა და მანონ ლესკოს ისტორია; 16. ფრანგი ფიზიკოსი, გეოდეზისტი და ასტრონომი; 17. ილია ჭავჭავაძის მიერ ნათარგმნი ბუვიეს რომანი; 21. მსახიობის გასტროლების მომწყობი აგენტი; 22. ამერიკული ბალეტის ქართველი ფუძემდებელი, რომლის დაბადებიდან 100 წლის იუბილეს მთელი მსოფლიო აღნიშნავს; 24. მარცხენა მხარის არმსგავსება მარჯვენასთან; 25. მეგრეს თანამდებობა სიმენონის მოთხრობებში; 26. მოღვაწეობა, რომლის მიზანია მოახდინოს ზეგავლენა ფართო მასების შეგნებასა და განწყობაზე.

**შეადგინა რამაზ ალანიამ**

# „ოქროს ჟოლოს“ პრიზიორები



შეგახსენებთ, რომ „ოქროს ჟოლო“ ავლენს და აჯილდოებს წლის ყველაზე უარეს ფილმსა და მსახიობს. წელს „ოქროს ჟოლოს“ დაჯილდოება 28 თებერვალს ჩატარდა — „ოსკარის“ ცერემონიის წინადღეს. ბუნებრივია, პრიზის მისაღებად ნომინანტები არ გამოცხადებულან.

ნომინანტთა შორის არის სილვესტერ სტალონე, რომელმაც უკვე მეათე პრიზი მიიღო, მთელი თავისი მოღვაწეობის მანძილზე სტალონე 30-ჯერ იყო წარდგენილი ამ ჯილდოზე.

„მეორეხარისხოვანი როლისთვის“ ქალებში ჯილდო წილად ხვდა დემი მურს „ჩარლის ანგელოზებისთვის“. ჟიურიმ ჩათვალა, რომ მურის სტილი არ იყო ეს ვითომდა მხიარული და გონებამახვილური კომედია. „დემი სხვა ჟანრის მსახიობია და უარი უნდა ეთქვა ამ ფილმში გადაღებაზე“ — აღნიშნეს ჟიურის წევრებმა.

**ყურადღება: „კვირის პალიტრის“ (გაზეთის) საფოსტო (საკორესპონდენტო) ყუთებზე საავტორო უფლება დაცულია კანონით.©**

## (10) უფასო განცხადების ქვითარი

განცხადების ტექსტი ________________________________

________________________________

________________________________

________________________________

________________________________

________________________________

________________________________

სიტყვა და საქმე

*გთხოვთ, ტექსტი გარკვევით დაწეროთ: სიტყვათა მაქსიმალური რაოდენობა — 30 (მისამართის და ტელეფონის ნომრის ჩათვლით) გაურკვევლად ნაწერი განცხადება არ გამოქვეყნდება*

№10 თბილისში ქვითარი „კვირის პალიტრის“ ყუთებში ჩააგდეთ 11 მარტის (ხუთშაბათი) 13.00 სთ-მდე.

*„კვირის პალიტრის“ და „სიტყვა და საქმის“ საფოსტო ყუთები განლაგებულია: თბილისში – მეტროს სადგურებთან და ხალხმრავალ ადგილებში, აგრეთვე, ქალაქებსა და რაიონებში: მცხეთა, კასპი, გორი, ქარელი, ხაშური, სურამი, ზესტაფონი, ქუთაისი, სამტრედია, აბაშა, სენაკი, ხობი, ზუგდიდი, ფოთი, ქობულეთი, ბათუმი, ოზურგეთი, ლანჩხუთი, ვანი, წყალტუბო, ბაღდათი, ხონი, ბანძა, თერჯოლა, ტყიბული, ამბროლაური, ონი, ბორჯომი, ახალციხე, რუსთავი, საგარეჯო, გურჯაანი, წნორი, სიღნაღი, ყვარელი, ლაგოდეხი, თელავი, ახმეტა, დედოფლისწყარო.*

***„კვირის პალიტრისა“ და „სიტყვა და საქმის“ საფოსტო ყუთები იცლება თბილისში — სამშაბათს, ხუთშაბათს, კვირას 13 საათიდან; რაიონებში — ოთხშაბათობით, 10 საათიდან.***

გაზეთი დამოუკიდებელია და ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის მოსაზრებებს.

რედაქცია პასუხს არ აგებს უცხოური პრესიდან გადმოთარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, აგრეთვე, სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.

R ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით.

**რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.**

**მთავარი რედაქტორი ლალი გუნთაიშვილი**

**მთ. რედაქტორის მოადგილეები: ნუცა დუმბაძე, გიორგი თევდორაშვილი**

**სარედაქციო კოლეგია**

მის.: აკურის ქ. №8 (სპორტის სასახლის უკან)

ტელ: **რედაქცია:** 33-39-54
**რეკლამა, ფაქსი:** 33-50-32; 98-74-44

news@kvirispalitra.com
www.opentext.ge/kvirispalitra

**სარეგისტრაციო ნომერი © 1518**

**„კვირის პალიტრა“ გამოდის ორშაბათობით**

გაზეთი დაიბეჭდა გამომცემლობა „კოლორში“.

შავი ყვითელი ლურჯი წითელი